

ქართველოლოგი
THE KARTVELOLOGIST

Journal of Georgian Studies

28 (13)

PUBLISHED ANNUALLY BY
THE CENTRE FOR KARTVELIAN STUDIES
TBILISI STATE UNIVERSITY

2019

In a broad sense Kartvelology embraces the study of Georgian culture, history and all fields of the humanities: linguistics, literary criticism, art, archaeology, folklore, ethnography, and source study.

“The Kartvelologist” is a bilingual (Georgian and English academic journal, covering all spheres of Kartvelological scholarship. Along with introducing scholarly novelties in Georgian Studies, it aims at popularisation of essays of Georgian researchers on the international level and diffusion of foreign Kartvelological scholarship in Georgian scholarly circles.

“The Kartvelologist” is issued both in printed and electronic form. In 1993-2009 it came out only in printed form (#1-15). The publisher is the “Centre for Kartvelian Studies” (TSU), financially supported by the “Fund for Kartvelian Studies”. The founder of the journal is Prof. Elguja Khintibidze.

The Editorial Board: Foreign authors, together with their Georgian colleagues, are members of the Editorial Board of *The Kartvelologist*, taking an active part in shaping the scholarly style and form of the journal, authors of papers, occasionally reviewers of papers to be published, and popularizes in their home countries and scholarly centres of topics of Georgian Studies.

Bakhtadze Michael (History) – Georgia; Beynen Bert (Rustvelology) – Philadelphia, USA; Boeder Winfried (Linguistics) – Germany; Buachidze Gaston (Kartvelology) – France; Chikhladze Nino (History of fGeorgian Art) – Georgia; Chotiuary-Jünger Steffi (Georgian literature) – Germany; Doborjginidze Nino (Linguistics) – Georgia; Enoch Reuven (The Georgian language, Georgian-Hebrew cultural contacts) – Israel; Fähnrich Heinz (Georgian linguistics) – Gemany; Kojima Yasuhiro (Kartvelian languages) – Japan; Kudava Buba (Study of Manuscripts) – Georgia; Licheli Vakhtang (Archaeology) – Georgia; Magarotto Luigi (Georgian literature) – Italy; Melikishvili Damana (The Georgian language) – Georgia; Nikoleishvili Avtandil (Georgian literature) – Georgia; Nocun Przemyslaw (Archaeology) – Poland; Outtier Bernard (Medieval Studies) – France; Ratiani Irma (Literary criticism) – Georgia; Shurgaia Gaga (Georgian literature) – Italy; Sikharulidze Ketevan (Folklore) – Georgia; Tuite Kevin (Ethnography and folklore) – Canada.

Editor: Elguja Khintibidze

Each issue of the journal is prepared and published by the editorial staff: Khintibidze Elguja, Rusieshvili Manana, Melikidze Tamar, Guliashvili Sophio, Vardosanidze Tsira, Konstantine Lomidze.

In some cases the Editorial Board, the staff and the reviewers do not share the stylistic peculiarities and the views expressed in the papers published.

CONTENTS

FOREIGN SOURCES ON GEORGIA

Sally Newell , What's So Funny? Laughter in Shota Rustaveli's <i>The Man in the Panther's Skin</i> and the Romances of Chrétien de Troyes	28
Tamta Grigolia , The Concept of Geopoetics and the Text-Space of <i>the Man in the Panther's Skin</i>	51
Nino Popiashvili , Genre Composition and Paradigmatic System of Georgian Hagiography	77
Salome Sanikidze , Analysis of Two Lines from <i>The Man in the Panther's Skin</i> by Shota Rustveli against the Background of Its English Translated Versions	104

STUDIES: SOURCES

Elguja Khintibidze , The Path of The Man in a Panther-Skin to England and English Historical Sources	135
Nino Megeneishvili , Notes on the Council of Ferrara-Florence Preserved in Georgian Manuscripts	169

STUDIES: Archaeology	190
----------------------------	-----

Ana Sakhvadze , The Urbnisi Cemetery	190
---	-----

CHRONICLE OF EVENTS

Anthony Anderson , <i>Medieval Georgian Romance "The Man in the Panther Skin" and Shakespeare's Late Plays</i> by Professor Elguja Khintibidze	205
---	-----

An Unknown Manuscript or Fraud?	214
--	-----

List of Articles - Journal <i>The Kartvelologist</i> (№1–27, 1993 –2018) <i>Compiled by Sophio Guliashvili</i>	219
---	-----

COMMENTARIES TO <i>THE MAN IN A PANTHER-SKIN (In Georgian)</i> by Elguja Khintibidze	250
--	-----

შ ი ნ ა ა რ ს ი

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

გომას ჰეხეხგი, მოგზაურობანი სპარსეთში – 1627-1629 10

კვლევები: ქართული ლიტერატურა

სალი ნიუველი, რა არის ასე სასაცილო? სიცილი შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანსა და კრეტიენ დე ტრუას რომანებში..... 17

თამთა გრიგოლია, გეოპოეტიკის კონცეპტი და ვეფხისტყაოსნის ტექსტ-სივრცე37

ნინო პოპიაშვილი, ქართული ჰაგიოგრაფიის ჟანრული შედგენილობა და პარადიგმული სისტემა63

სალომე სანიკიძე, შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ნორი ტაეპის ანალიზი ინგლისურ თარგმანებთან მიმართებაში90

კვლევები: წყაროთმცოდნეობა

ელგუჯა ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსნის გზა ევროპისაკენ და ინგლისური საისტორიო წყაროები 116

ნინო მეგენეიშვილი, ქართულ ხელნაწერებში დაცული ცნობები ფერარა-ფლორენციის კრებაზე 152

კვლევები: არქეოლოგია

ანა სახვაძე, ურბნისის სამაროვანი 179

ქართველოლოგიური ძრონიკა 198

ანტონი ანდერსონი, პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის მონოგრაფია „შუასაუკუნეების ქართული რომანი ვეფხისტყაოსანი და შექსპირის ბოლოდროინდელი პიესები“ 198


უცნობი ხელნაწერი თუ ფალსიფიკაცია?..... 210

ქართველოლოგი #1-27 - **სტატიათა ჩამონათვალი**235

ვეფხისტყაოსნის კომენტარებისათვის

ელგუჯა ხინთიბიძე: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“ ისევ ვეფხისტყაოსნის ქაჯეთის შესახებ.....254

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ
FOREIGN SOURCES ON GEORGIA



Thomas Herbert, Travels in Persia. 1627-1629*

(Extract)

Abbas by diverse wives had several children, for whose education neither cost nor care was spared. Of most hope were Ismael, Soffy-mirza, Codobanda-Sultan, and Emangoly, four brave young Princes. The two first were begot on Gordina, daughter of Simon-cawn; the latter two of Martha, daughter of Scander-mirza, both Georgians, both Christians. The first lady was brought thence by Kurchiki-cawn, the other by Shaw-Tamas-Coolibeg, both being Per-

* See pages 192-215: Elguja Khintibidze – The Path of *The Man in a Panther-Skin* to England and English Historical Sources.

sians, both favourites: all of them so dear to Abbas that it seemed he then had got the elixir of earthly happiness: his wives were so incomparably beautiful, his favourites so exactly faithful; and his sons so lively the characters of his person, policy, and courage – reciprocally joying the aged King, and overjoying the warlike Persians. But it is commonly observed that, as the most excellent things alter soonest and that no day is so serene that is not shadowed with some cloud, so this candour and perfection in these youthful Princes quickly vanished. For Ismael (when by reason of his delight in arms and quick signs of magnanimity the Asiatic world gazed and admired him) in an infernal cloud of poison went down to an untimely grave at nineteen, in the meridian of his splendour. Soffy-mirza, dogged by a like adverse destiny, though elevated at first for revealing a conspiracy, was in the end at equal years thrown down and crushed to death, after the dumb *capigi* had got a hateful victory, mere jealousy in the King commanding it. And Emangoly, ere his popular applause could hatch his ruin, upon conference with a witch that understood the *almuten* [i. e. horoscope] of his nativity, perceiving that short life attended him, grows fearful of his sire's inconstancy, and in a deep and disconsolate melancholy evaporates his sad spirits, leaving the expectation of hazard and sovereignty to Codobanda Sultan, surnamed Soffee, who (made wise by his brother's miseries) so prudently behaved himself in duty to the King, and in a pleasing and safe distance to the people, that Abbas dotes, the people celebrate, and an uncontrollable good fortune seems to dandle him. Affability, bounty, loyalty, courage, and experience in arms at home and abroad; the Persian monarchy, Turk, Arab, Mogul and Tartar admiring, fearing, and commending him in several eulogies: so as his own left nothing unsaid or uninvented that might honour him; and his enemies, without giving their thoughts the lie, could not but idolize him. Who for all that (not, like our common spirits, afflated by every vulgar breath upon every act deify themselves, and conceit all great additions of honour below their merris) stood immovable; sorry he grew so popular; modestly chiding them for flattery; and condemned himself of hypocrisy by suffering his victories to be so gilded, since what he had or did was

but a reflex of his father's virtue, which he doubted might suffer an eclipse by his accumulation. Oh! how execrable is this marrow-fretting scab of jealousy and envy ! ... Is Abbas a King, a father? Does clemency belong to any attribute more properly? Is Soffee-Sultan-mirza a Prince, his son? On whom can he more justly confer his love ? In whom should virtue rather dwell? Where can there be a better centre? Poor Prince! the path he treads to add lustre to his father's diadem and to oblige his country betrays his steps, and entices him to an affrighting precipice; for, the more he indulges his father, it serves as fuel to an unjust jealousy; the more he dignifies his country by his good success against the Turk, the more applause the people crown him with, but Abbas fears the more his popularity. Yea, so far fears, so much degenerates from paternal piety, that without pity or regard of justice (which makes Kings more beautiful than when circled with diadems) he contrives his ruin.

During these his cabinet-machinations, the Prince brandishes his steel in proud Arabia, where, after several conquests, the victor himself became captivated. For an Arabian Princess of great beauty (and in such bodies usually are impaled the fairest souls) fettered him; but such was his bravery and worth as he quickly redeemed himself, and made her his prisoner. By this lady he had two children, Soffy and Fatima, a name given her (as I suppose) in memory of Fatima, ... This young Princess Fatima was no less loved by Soffee-Mirza, the sire, than doted on by the grandsire Abbas. [Abbas] seeks to enrage by abusing him whom he loved most dearly, Magar, an Arab, the Prince's tutor, a faithful and prudent servant. ... Such was Magar, whom Abbas calls for, and, in lieu of rewarding him for his son's generous education, darts him a stern frown, accusing him of pride, and charging him that he had bewitched the Prince with a disloyal ambition. Magar for all his prudence sees not the venom prepared; and therefore in an humble but confident innocence excuses and endeavours to quiet him; but the more he vindicates himself, and the clearer he made the Mirza's [Prince's] loyalty appear, the more he exasperates the King; ...for forthwith the blood-thirsty *capigis* break in and strangle him. ... The Prince (then in action against the Tartar) has notice of it. Whereupon, as a man void

of sense, immediately he leaves the camp; and, being come to Court, ... The Prince, inflamed with passion, in that distraction imagines he saw Magar a-strangling; and in that ecstasy unsheaths his sword, vowing to rescue him. ... (by some fair terms first disarming him) invites him into another room, and (pretending he was not very well) withdrawing himself, commanded seven big-boned villains, deaf and dumb, through a trap-door to issue into the room armed with bloody minds and deadly bow-strings; whose very looks as well as habits and weapons quickly betray their office and intention, ... The Prince innocently admires [i.e. wonders at] the cause; and if oratory or other way of entreaty could have wrought remorse in these hell-hounds, only till he knew the ground of this cruel command, he had afforded it; ... he flew upon those monsters, now one, then another receiving such testimonies of his courage that (ere they could fasten upon him their ghastly twanging bow-strings) he sent three of them to the Devil; and for some time defended himself. ... So at last they fastened their nooses on him, who now for want of breath was a dead man; and the villains had triumphed in his further tortures had not the King (who it seems was not far off) prevented it, commanding them only to pinion him, and (before he could recover sense and strength) by drawing a flaming steel before his eyes made him stark blind; forbidding him the sight of what he most loved, wife, babes, friends, and Magar's carcass. ...

The loss of this brave Prince was quickly rumoured: all Persia mourns, ... The Prince, when he perceived his own undoing (the eye of reason lent him such a sight), having cursed his birth, his fame, his loyalty, and (which is most sad) his parent, by many frantic threats vows his destruction; but finds his revenge impossible; yet at that conceit roars hideously, and not to be comforted till Suliman-mirza, Kurchiki-cawn, and other his kinsmen and quondam favourites flocked about him, and by their miserable examples dictate patience; ...

In those discontented times Abbas kept his orb, moving like another Saturn; for now he imagines his crown fixed close to his head, nothing appearing that might disturb his quiet; and amongst his delights nothing so much pleased him as young Fatima. ... Court

and kingdom admired his love to this pretty favourite, and no less rejoiced in it; for by this innocent lady they oft-times found the way to expel his rage, ... But what joy has the blinded Prince, since he cannot participate? Revenge delights him more; that word as music best pleases the infernal fancy of this melancholy Mirza, not caring how detestable, so Abbas suffered. ... For, albeit he passionately loved Fatima, yet hearing how his father doted on her, that afresh begets his hate, yea hatches the innocent's confusion.

Revenge had plunged him headlong into a whirlpool of unnatural barbarism, insomuch as, when the pious child came (in an unlucky hour) to bring him comfort, and by all symptoms of duty to express a lovely obedience, the wretch grasps and in a lymphatic fury whirls her neck, ... The astonished Princess his wife cries out: his sight deceived him, that it was Fatima! – little dreaming that he therefore martyred her because Fatima. And, as if that had not been enough (to prevent the King of a successor), hearing young Soffee's voice dolorously crying out of for Fatima, winged with rage he gropes for him; but by the Princess's interposing the child escaped, or else had lost (what he now enjoys) the Persian diadem.

Abbas, when he had notice of this tragedy, grows so outrageously passionate that many feared he would become his own executioner. But, when he had drenched his sorrow in a sea of salt tears, he moderates his spleen, and revives upon hopes of additional punishment, vowing to retaliate his distracted act in the height of cruelty: which being told the Prince, had so terrible a reply, with a million of dismal curses added, that the King was as one astonished. To conclude, after he had tired out a few more minutes with impatience, and considered that death only sets man free from the misery of this world by breaking asunder the chains of bondage, the third day he put a period to his life by quaffing up a cup of poison. ... Nevertheless, the King showed needless ceremony in his obsequies. The disconsolate Princess sequestered herself from the sight of man; but since her son's coming to the crown, ... banished her discontent and in some measure assuaged her sorrow, I could not learn. But for Abbas himself, he bade the world farewell a little after our departure.

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ
FOREIGN SOURCES ON GEORGIA

გომას ჰეხბეხტი

მოგზაურობანი სპარსეთში –1627-1629*

(ამონარიდი)

შაჰ აბასს სხვადასხვა ცოლისაგან ჰყავდა ბევრი შვილი, რომელთა განათლებაზე არც ზრუნავასა და არც ფულს არ ზოგავდნენ. უფრო მეტად საიმედონი იყვნენ ისმაილი (Ismael), სოფი-მირზა (Soffy-Mirza), ყოდაბუნდა-სულთანი (Coda-banda-Sultan) და ემანლოლი (Emangoly) – ოთხი ახალგაზრდა მამაცი პრინცი. პირველი ორი იყო გორდინას (Gordina) შვილი, სიმონ ხანის ქალიშვილის; მომდევნო ორი – მართას, სკანდერ მირზას ქალიშვილის შვილები. ორივე იყო ქართველი, ორივე ქრისტიანი. პირველი ქალბატონი ჩამოიყვანა ქურჩიკი-ხანმა (Kurchiki-cawn), მეორე – შაჰ-თამაზ-ყულიბეგმა (Shaw-Tamas-Coolibeg), ორივენი იყო სპარსელი, ორივე ფავორიტი. ყველა მათგანი ისეთი ძვირფასი იყო აბასისთვის, ჩანდა, რომ მაშინ მას ჰქონდა ამქვეყნიური ბედნიერების ელექსირი. მისი ფავორიტი ცოლები შეუდარებელი სილამაზისა და ჭეშმარიტად ერთგულები იყვნენ; ხოლო ვაჟები მისი ხასიათის, პოლიტიკისა და სიმტკიცის მსგავსნი – რაც ერთდროულად სიამოვნებას ანიჭებდათ როგორც ხანშიშესულ მეფეს, ასევე ომისმოყვარულ სპარსელებს. მაგრამ როგორც ჩვეულებრივ ხდება, ყველაზე კარგი გარემოებანიც კი სწრაფად იცვლება

* იხილეთ გვ. 163-191: ედგუჯა ხინთიბიძე – ვეფხისტყაოსნის გზა ევხოპისაკენ და ინგლისუხი საისტოხიო წყაროები.

ბიან და არ არის ისეთი მშვიდი დღეები, რომელთაც ღრუბლები
ბის ჩრდილი არ მიადგება. ამრიგად ახალგაზრდა პრინციბის
გულწრფელობა და სრულყოფილება სწრაფად გაქრა. ისმაილი
(რომელიც სამხედრო ხელოვნებისა და სულგრძელობის ად-
რეული ნიშნებით აღაფრთოვანებდა და თვალში ხვდებოდა
აზიურ სამყაროს) წყეულმა შხამიანმა ღრუბლემ დასცა და
უდროოდ დაასამარა ცხრამეტი წლის ასაკში, მისი დიდებულე-
ბის ზენიტში. სოფი-მირზა, რომელსაც თან სდევდა ბედის
უკუღმართობა, თავდაპირველად დაწინაურდა შეთქმულების
გამოვლენის გამო, მაგრამ საბოლოოდ ისიც იმავე წლებში და-
მარცხებული და სასიკვდილოდ დაჩეხილი იქნა მუნჯი კაპიტის
(capigi) მიერ, რომელმაც მოიპოვა საძულველი გამარჯვება და
უბრალოდ ეჭვიანი მეფის სურვილი აღასრულა.

და ემანლოლიმ, მისი პოპულარობის აღიარებამდე, ჯა-
დოქართან კავშირით შეიტყო საკუთარი ბედის ჰოროსკოპი,
გაიგო, რომ ხანმოკლე სიცოცხლე ექნებოდა. მშიშარა გაი-
ზარდა მამის მოღალატეობრივი ხასიათის გამო, ღრმა და
მწუხარე მეღანქოლიამ შეინირა მისი ნაღვლიანი სული.

სუვერენობის შანსი მიეცა ხოდაბუნდა სულთანს, რო-
მელსაც ეწოდა სეფი, რომელსაც (დაბრძენდა რა თავისი ძმის
უბედურებით) ისეთი სიფრთხილით ეჭირა თავი მეფის სამსა-
ხურში, და ისეთი სასიამოვნო და უსაფრთხო ურთიერთობა
ჰქონდა ხალხთან, რომ აბასმა შეიყვარა; ხალხიც ზეიმობდა.
თითქოს აშკარა შეუცნობელი იღბალი ანებივრებდა მას. კე-
თილგანწყობის, გულუხვობის, ერთგულების, გამბედაობისა
და სამხედრო ხელოვნებაში გამოცდილების გამო. როგორც
შინ, ისე საზღვრებს გარეთ, სპარსეთის მონარქია, თურქეთი,
არაბეთი, მონღოლეთი და ყიზილბაშები ადიდებდნენ, ეში-
ნოდათ და ამკობდნენ მას სხვადასხვა ხოტბით. ასე რომ,
თვითონ არაფერს ტოვებდა გამოუვლენელსა და უთქმელს,
რასაც შეეძლო მისთვის დიდება მოეტანა; მის მტრებს, მიუ-
ხედავად იმისა, რომ თავს არ იტყუებდნენ, არ შეეძლოთ, არ
გაეკერპებინათ ის, ვინც ამ ყველაფრის მიუხედავად არ იც-
ვლებოდა და შეწუხებული იყო ამ პოპულარობით (არა მსგავსად
ჩვენი ბუნებისა, რომ ყოველი მოქმედების, ყოველი ვულ-

გარული ნიშანი გაგვალმერთებს, და ყველა დიდებულების ამოებას გვმატებს დამსახურების გარეშე). იგი მოკრძალებით საყვედურობდა მამებლებს; იტანჯებოდა მათი თვალთმაქცობით, მიაჩნდა, რომ მისი გამარჯვებები ყოველთვის იყო გაზვიადებული. თვლიდა, რომ, რაც კი გააჩნდა და რასაც აკეთებდა, იყო მხოლოდ მამამისის ძლევამოსილების დამსახურება. ეჭვობდა, რომ მას დატანჯავდა მისი მონაპოვარის დაკარგვა. ოჰ! როგორი საშინელია ჩაბუდებული და დაფარული ეჭვი და შური! ... – და ეს, იმ გონიერებას, რომელიც ჩვენ ადამიანებად გვაყალიბებს, ყოველგვარი სამართლიანობის გარეშე გადააქცევს სისატიკედ. დიახ, ბოროტებად გაიზრდება ყველაზე არაგონიერ და სასტიკ არსებებში! აბას მეფე მამა ხომ არის? განა მოწყალება არ არის უპირატესი ადამიანის თვისებათაგან? ხომ არის სოფი-მირზა-სულთანი პრინცი, მისი ვაჟი? ვის მიმართ უნდა გამოამჟღავნოს მან სათანადო სიყვარული? ვისში უნდა ეძიოს ღირსება უფრო მეტად? სად შეიძლება იპოვნოს უკეთესი საყრდენი? საბრალო პრინცი! ბილიკი, რომელზეც იგი მიაბიჯებს უმატებს მისი მამის დიადემას ბრწყინვალებას და ამავე დროს უბიძგებს თავის ქვეყანას, არ მიჰყვებს მის გზას, და ამით ჩაითრევს საკუთარ თავს საშინელ უფსკრულში. რაც უფრო მეტად მამებლურად ექცევა თავის მამას, მით მეტად აალებს მასში უსამართლო შურს; რაც მეტად აღამაღლებს ის თავის ქვეყანას თავისი დიდი წარმატებებით თურქების წინააღმდეგ, მით მეტი აპლოდისმენტით ამკობს მას ხალხი, მაგრამ აბასს აშინებს მისი პოპულარობა. დიახ, ისე ძალიან ეშინია, იმდენად არის გადაგვარებული მასში მამობრივი გულმონყალება, რომ ნაცვლად მოწყალებისა და სამართლიანობისა (რომელიც აძლევს მეფეს უფრო მეტ მშვენიერებას, ვიდრე თავზე დადგმული დიადემა) ის ჩაიფიქრებს მის განადგურებას.

სამეფო კარის ამ ინტრიგების პერიოდში, პრინცი ამაყად იქნევს თავის მახვილს არაბეთში, სადაც მრავალი წარმატების შემდეგ, გამარჯვებული თვითონ გახდა დატყვევებული ულამაზესი არაბი პრინცესას მიერ (და ასეთ სხეულებში, როგორც წესი, უმშვენიერესი სულები ცხოვრობენ) მომხიბ-

ვლელობით; მაგრამ ისეთი იყო მისი სიმამაცე და ღირსება, რომ სწრაფად გამოიხსიდა თავისი თავი, და ის (პრინცესა) აქცია თავის ტყვედ. ... ამ ქალისგან მას შეეძინა ორი შვილი, სოფი და ფატიმა. ... ეს ახალგაზრდა პრინცესა ფატიმა მამამისზე – სოფი-მირზაზე ნაკლებად არ უყვარდა პაპას – შაჰ-აბასს. ... [შაჰი] სოფი-მირზას განრისხებას ცდილობდა იმით, რომ მტრულად მოპყრობოდა იმას, ვინც [პრინცეს] ძალიან უყვარდა. ეს იყო მისი მრჩეველი არაბი მალარი, ერთგული და წინდახედული მსახური... შაჰმა მალარი გამოიძახა და ნაცვლად იმისა, რომ პატივი მიეგო პრინცის კეთილშობილური აღზრდის გამო, მკაცრი მზერა მიაპყრო მას. დაადანაშაულა იგი სიამაყეში და ბრალი დასდო, რომ მან პრინცი მოაჯადოვა არაკეთილსინდისიერი ამბიციებით. მალარი თავმდაბლობით, მაგრამ თავდაჯერებული თავის უდანაშაულობაში ბოდიშს იხდოდა და მთელ ძალღონეს იყენებდა, რომ დაემშვიდებინა იგი. მაგრამ რაც უფრო მეტად იცავდა თავს, და ნათლად ცდილობდა მირზას [პრინცის] ლოიალობის წარმოჩენას, მით მეტად აღიზიანებდა მეფეს... [მეფემ] სისხლმონყურებულ კაპიტებს [capigis] დააჭრევინა და დაახრჩობინა იგი... პრინცმა, რომელიც ამ დროს ტარტარების [Tartar] წინააღმდეგ იბრძოდა, გაიგო რა ამის შესახებ, გონდაკარგულმა დატოვა ბანაკი და ჩამოვიდა სამეფო კარზე. ...პრინცი ზეცას იმონებდა, რომ მალარი უდანაშაულოა. მაგრამ აბასი მის პროვოცირებას ახდენდა, უმტკიცებდა, რომ მას ნათლად შეეძლო ქვეყნის დარწმუნება მალარის დესტრუქციულ ჩანაფიქრში. პრინცი აინთო სიბრაზით. განრისხებულმა წარმოიდგინა ჩამომხრჩვალის მალარი; იშიშვლა მახვილი, დაიფიცა, რომ გადაარჩენდა მას. ... ზოგიერთი სარწმუნო გადმოცემის მიხედვით, პრინცი ჯერ განაიარაღეს. შაჰმა მიიწვია იგი სხვა დარბაზში, თავი მოაჩვენა, რომ თვითონ არ იყო კარგად და გავიდა, უბრძანა შვიდ დიდტანიან ბოროტმოქმედს – ყრუებსა და მუნჯებს – სისხლმონყურებულნი და სასიკვდილო მშვილდ-ისრებით შეირაღებული შესულიყვნენ დარბაზში საიდუმლო კარიდან; რომელთა გარეგნობამ, საქციელმა და იარაღმა მაშინვე გამოააშკარავა მათი დანიშნულება და სურვილი. ... პრინცი გულუბრყვილოდ ცდი-

ლობდა, გაერკვია რაში იყო საქმე. რომ არ დაეწყო მჭევრმეტყველება და ხვენწა-მუდარა ამ ჯოჯოხეთის ძაღლებში თანაგრძნობის გაღვიძების მიზნით და სცოდნოდა ამ ბოროტი ბრძანების ნამდვილი საფუძველი, ის შეძლებდა გამკლავებოდა მათ. ...იგი ეძგერა ამ მონსტრებს – ჯერ ერთს, მერე – მეორეს; იხილეს რა მისი ამგვარი სიმამაცე, სამი მათგანი გაემგზავრა ეშმაკთან, სანამ ისინი მოახერხებდნენ მშვილდისრების საზარელ აჟღარუნებასა და მის დაბმას. იგი საოცარი სიმარჯვითა და სიმამაცით იცავდა თავს. ...საბოლოოდ მათ მოახერხეს პრინცის გათოკვა. ...ბოროტმოქმედნი ზეიმობდნენ გამარჯვებას, ტკბებოდნენ მისი წამებით მანამ, სანამ მეფემ (რომელიც, როგორც ჩანს, შორს არ იყო) არ შეაჩერა ისინი. ბრძანა პრინცის გათოკვა და გავარვარებული ფოლადით დაბრმავება, სანამ გონზე მოვიდოდა. ამით მოუსპო მას ხილვა ყველაფრისა (რაც ყველაზე მეტად უყვარდა) – ცოლის, შვილების, მეგობრებისა; და თვით მალარის გვამისა...

მამაცი პრინცის დაკარგვა მალე გახმაურდა, მთელი სპარსეთი გლოვობდა. ...გაიაზრა რა საკუთარი განადგურებული არსებობა, პრინცმა დაწყევლა თავისი დაბადება, დიდება, სამართლიანობა და (რაც ყველაზე მეტად სამწუხაროა) თვით საკუთარი მშობელი. გაშმაგებულმა დაიფიცა, რომ მას გაანადგურებდა. თუმცა დარწმუნდა, რომ შურისძიება შეუძლებელი იყო. პრინცი ბობოქრობდა და იმუქრებოდა მანამ, სანამ სულედიან-მირზამ, ქურჩიკი ხანმა და სხვა მონათესავეებმა და ახლობლებმა ერთხმად არ მოუწოდეს სიმშვიდისაკენ. ისინი მიაწყდნენ მას და თავიანთი საბრალო მაგალითებით მოუწოდეს სიმშვიდისკენ. ...

ამ უსიამოვნო ჟამს, აბასი ინარჩუნებდა თავის ორბიტას, მოძრაობდა, როგორც მეორე სატურნი; და თავისი გვირგვინის სიმტკიცეში დარწმუნებული იყო, არაფერი მოჩანდა, რაც დაურღვევდა სიმშვიდეს; მის სიამოვნებათა შორის არაფერი იყო მეტად ძვირფასი, ვიდრე ახალგაზრდა ფატიმა. ...სამეფო კარი და მთელი ქვეყანა აღტაცებული იყო მისი სიყვარულით ამ ძვირფასი ქმნილებისადმი. არც თუ ცოტანი ხარობდნენ ამით, რადგანაც ამ უმნიკვლო ქალის მეშვეობით

მათ მრავალგზის მოახერხეს, აეცდინათ შაჰის მრისხანება. ...მაგრამ რა სიხარული უნდა ჰქონოდა დაბრმავებულ პრინცს, როცა თვითონ არ იყო ამ სიხარულის მონაწილე? მას მხოლოდ შურისძიება სურდა; ...ეს სიტყვა, როგორც სასიამოვნო მუსიკა, ყველაზე მეტად სიამოვნებდა მელანქოლიით შეპყრობილ მირზას ჯოჯოხეთურ ფანტაზიას. არ წუხდა, როგორი საზარელი იქნებოდა ეს შურისძიება, ოღონდ აბასი დატანჯულიყო. ... გაიგო რა, რომ მამამისი აღმერთებდა ფატიმას, მიუხედავად იმისა, რომ მასაც ძალიან უყვარდა იგი, განუახლდა რა მამისადმი სიძულვილი, ჩაიფიქრა ამ უდანაშაულოს დაღუპვა. შურისძიებამ იმდენად ჩაძირა სიბნელის გაუგონარ მორევში, რომ მასთან მხოლოდ და მხოლოდ დასამშვიდებლად მისულ უმნიშვნელო ბავშვს არამზადამ ხელი სტაცა და სისხლსმონყურებული მრისხანებით მოუგრიხა კისერი. ... განცვიფრებული პრინცესა, მისი ცოლი, მოსთქვამდა: მხედველობამ შეაცდინა ის! – არ უნდა ვირწმუნოთ, იმიტომ მოეკლა, რომ ფატიმა იყო. და, თითქოს ეს საკმარისი არ იყო, გაიგო რა, ფატიმას გამო ახალგაზრდა სოფის საცოდავი ტირილის ხმა, მრისხანებით აღივსო და ხელის ცეცებით წავიდა მისკენ, რათა მოესპო მეფისთვის მემკვიდრე; მაგრამ პრინცესას ჩარევით ბავშვი გადარჩა, თორემ დაიღუპებოდა კიდევ სხვა – სპარსეთის გვირგვინი, რომელსაც იგი ამჟამად ფლობს.

როდესაც ამ ტრაგედიის შესახებ შეიტყო, აბასი ისეთი სასტიკი მძვინვარებით აღივსო, ბევრს ეშინოდა, ის თავად გახდებოდა მისი პირადი ჯალათი. მაგრამ, როდესაც თავისი მწუხარება ზღვის ცრემლებით დაალტვო, მან შეიკავა თავისი დარდი, განიზრახა სამომავლო დასჯა, დაიფიცა, რომ მის უაზრო მოქმედებაზე შურს იძიებდა, ბოროტების უმაღლესი ფორმით: როდესაც პრინცმა ეს გაიგო, პასუხი იყო ისეთი საშინელი, ზედ დართული მილიონობით საზარელი წყევლა--კრულვით, რომ ამან თვით მეფეც გააოცა. და ბოლოს, დატანჯა რა მრისხანების წუთებმა, გააცნობიერა, რომ მხოლოდ სიკვდილი იხსნის ადამიანს ამქვეყნიური უბედურებისგან მონობის ბორკილების დამსხვრევით. მესამე დღეს მან წერტილი დაუსვა თავის სიცოცხლეს ერთი ჭიქა საწამლავის დაღევით.

... მეფემ მიზანშეწონილად მაინც არ მიიჩნია მისი დაკრძალვის ცერემონიალის გამართვა. უბედური პრიცესა განცალკევდა ადამიანთაგან; მაგრამ როდესაც მისი შვილის გამეფების დრო დადგა, ... შეწყვიტა თავისი იზოლირება და გარკვეული დროით დაივიწყა თავისი დარდი.

მეტი მე არ ვიცი. მაგრამ აბასი თვითონ, ჩვენი წასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ გამოემშვიდობა ამ ქვეყანას.

მთაჩმნელები: ნინო ჯილაუხი, ედგუა ხინთიბიძე

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

რა არის ასე სასაცილო?
სიცილი შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანსა
და კრეტიენ დე ტრუას რომანებში

სალი ნიუველი

ჰუმანიტაჰუდ მეცნიეჰებათა მაგისტრი, დიუკის უნივერსიტეტი, აშშ

რეზიუმე: საკონფერენციო მოხსენებაში, რომელიც ეხებოდა ვეფხისტყაოსანსა და კრეტიენ დე ტრუას რომანებში კარგ და ცუდ საუბარს, მსუბუქად გავაჟღერე ჩემი მოსაზრება სიცილის შესახებ, ველოდებოდი რა დამსწრე საზოგადოებისაგან საინტერესო გამოხმაურებას. ჩემს მოსაზრებასთან დაკავშირებით ვარაუდები არ გამოთქმულა. ამან გაუგებრობაშიც კი ჩამაგდო, სანამ არ მივაგენი წყაროებს, რომლებიც საკითხის გაანალიზებამდე მიმიყვანდა. წინამდებარე ნაშრომის მიზანია სიცილის ეპიზოდების გააზრება როგორც სიცილის ფსიქოლოგიის თანამედროვე კვლევების, ასევე პლატონისა და არისტოტელეს ეთიკური შეხედულებების პერსპექტივიდან.

საკვანძო სიტყვები: *შოთა რუსთაველი, კრეტიენ დე ტრუა, სიცილი.*

2013 წლიდან მაინტერესებს პარალელები შოთა რუსთაველისა და კრეტიენ დე ტრუას ნაწარმოებებს შორის. ეს ორი შემოქმედი, ნახევარი კონტინენტი და რამდენიმე ათწლეული რომ აშორებთ, ყველაზე მეტად ერთმანეთს საკარო სიყვარულის ნიშნებითა და რაინდული ღირებულებებით ემსგავსება.

საკონფერენციო მოხსენებაში, რომელიც ეხებოდა ამ პოემებში კარგ და ცუდ საუბარს, მსუბუქად გავაჟღერე ჩემი მოსაზრება სიცილის შესახებ, ველოდებოდი რა შემდგომში დამსწრე საზოგადოებისაგან საინტერესო ვარაუდებს, რადგანაც ვიცოდი ლიტერატურაში სიცილის ფენომენის არსებობის შესახებ. ჩემს მოსაზრებასთან დაკავშირებით ვარაუდები არ გამოთქმულა, ამან გაუგებრობაშიც კი ჩამაგდო, სანამ არ მივაგენი წყაროებს, რომლებიც საკითხის გაანალიზებამდე მიმიყვანდა. წინამდებარე ნაშრომის მიზანია სიცილის ეპიზოდების გააზრება როგორც სიცილის ფსიქოლოგიის თანამედროვე კვლევების, ასევე პლატონისა და არისტოტელეს ეთიკური შეხედულებების პერსპექტივიდან.

შუა საუკუნეების ლიტერატურის ხელმეორედ წაკითხვისას დავძებნე ყველა ფორმა სიტყვისა *სიცილი*. მაგ. „ჰა-ჰა“ და შევადარე რამდენიმე თარგმანი. დარწმუნებული ვარ, ვერავინ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს: სამხიარულო და საღალტობო ეპიზოდებში სიცილის აღმნიშვნელი მინიშნებების არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ არიან; ეს მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ მხიარულებისა და სიცილის ეპიზოდები, უბრალოდ, ხაზგასმული არ არის. მიზანმიმართული ძიებისას გამოვლინდა იმაზე მეტი სიცილის შემთხვევა, ვიდრე მახსოვდა. ეს მომენტები, უბრალოდ ხშირად არ იკვეთებოდა.

ყველაზე ცნობილი სიცილი, კრეტიენ დე ტრუასთან, გვხვდება *პაჩიფადის* დასაწყისში. როდესაც კომიკური მომავალი რაინდი მიაღწევს მეფე არტურის სასახლეს, ქალიშვილი იცინის, როდესაც ეს უკანასკნელი ესაღმება მას. უხეში სერ კეი მას მინაზე ანარცხებს და მასხარას ცეცხლში შეაგდებს, რადგანაც მასხარას ხშირად უთქვამს, რომ ქალიშვილი მანამდე არ გაიცინებს, სანამ „არ იხილავს ისეთ მამაკაცს, რომელიც ყველა რაინდზე აღმატებულია“ [2, გვ. 394]. ეს არის ერთადერთი სიცილი, მაგრამ ის გასდევს მთელ ისტორიას. პარციფალი ყველა რაინდს, რომელსაც როგორც ტყვეს, ამარცხებს, მეფე არტურის კარზე აგზავნის, რათა ახსნას, თუ

რა მოხდა და ამავდროულად, საშუალება ჰქონდეს, გაესაუბროს იმ ქალიშვილს, რომელმაც გაიცინა.

შემდეგი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ჩანს კრეტიენ დე ტრუას *ეჩეკი და ენიდაში*, სამეფო კარზე გამართული ლხინის ბოლოს, როდესაც ქალიშვილი შეიტყობს ენიდას შესახებ: ქალწულს „არ შეეძლო სიცილი შეეკავებინა. ის ისე გამხიარულდა, რომ სრულიად დაავიწყდა თავისი მწუხარება“. [2, გვ. 113]. ახლა, როცა ერეკმა და ენიდამ აღადგინეს ჰარმონია პირად და სოციალურ სივრცეში, მათ უკვე შეუძლიათ აღადგინონ იგივე ჰარმონია, რომლის ნაკლებობასაც განიცდიდა მათაგრაინის და მისი ცოლის ურთიერთობა.

კრეტიენტან ასევე ვხვდებით ღვარძლიან სიცილსაც. *ივანიში*, როდესაც არტურის სამეფო კარი მიდის ჯადოსნური წყაროს სანახავად, ივანი, რომელიც უკვე წყაროს მცველია, აუცილებლად უნდა შეებრძოლოს ერთ-ერთ მათგანს. პატივის მაძებარი კეი, იმისდა მიუხედავად, რომ მაინცდამაინც დახელოვნებული არ არის, ამ გამოწვევას ღებულობს. ივანი ჩამოაგდება კეის ცხენიდან, სამეფო კარი კი დასცინებს უხეშ რაინდს: „ჰა! ჰა! ნახე, შენ, ადამიანი, რომელიც სხვებს დასცინოდი, ახლა მანდ აგდიხარ“ [2, გვ. 323].

როდესაც ლანსელოტი თავს დააღწევს მელიგანის ტყვეობას, რათა მონაწილეობა მიიღოს იმ შეჯიბრებაში, რომელიც ქალწულებმა მოაწყეს მეფე არტურის კარზე, მისი სურვილი – დაემორჩილოს გვინივერას, რომელიც უბრძანებს, „რაც შეიძლება ცუდად გააკეთე ყველაფერი“, ქედმაღლურ ღიმილს და გულგრილობას გამოიწვევს – „რაინდები, რომლებიც აქამდე ეთაყვანებოდნენ მას, ახლა დასცინოდნენ და ხუმრობდნენ მასზე“ [2, გვ. 276-7]. მთხრობელი აგრძელებს: „მალე ყველა შეცდა, მომასხარავე კაცები, რომლებაც წინა ღამისა და დღის უმეტესი ნაწილი მის დაცინვაში გაატარეს, გაოცდებოდნენ: ისინი იცინებდნენ, გაერთობოდნენ და იხალისებდნენ დიდხანს!“ [2, გვ. 280].

ვეფხისტყაოსანში, ქართული ლიტერატურის ეროვნულ საგანძურში, რომელიც დაწერილია დაახლოებით 1200 წელს, შენიშნული მაქვს სიცილის ხუთი ეპიზოდი. აქედან, ერთის

გარდა, ყველა პოემის ბოლოსკენ გვხვდება. სიცილის პირველი შემთხვევა პოემის დასაწყისშია, როდესაც ავთანდილი დასევდიანებული მეფე როსტევანის გამხიარულებას ცდილობს და შესთავაზებს მას, რომ ნადირობაში შეეჭიბრონ ერთურთს. რაინდის გამოწვევით აღტაცებული მეფე და ავთანდილი „იციოდეს, ყმანვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს“ [7, სტ. 70]. ნადირობის დასრულების შემდეგ ისინი სიცილს აგრძელებენ: „ერთმანერთსა, თუ: ‘მე გჯობო’ სიცილით ეუბნებოდეს“ [7, სტ. 80].

ლხენის დასრულების შემდგომ როსტევანი და ავთანდილი ნახავენ უცხო რაინდს, რომელიც მდინარესთან მოწყენილი ზის და მოთქვამს. ეს სცენა ძალიან წააგავს კრეტიენ დე ტრუასეულ სცენას. რაინდს არც კი ესმის იმ ადამიანებისა, რომელიც როსტევანმა მიუგზავნა ვინაობის გასაგებად, უცხო მოყმე ხოცავს ან ასახიჩრებს იმათ, ვინც მის შესაპყრობადაა გამოგზავნილი, შემდეგ კი ისე სწრაფად გაეცლება იქაურობას, რომ ავთანდილი და მეფე ჩათვლიან, რომ ჯადოსნურად გაუჩინარდა. როსტევანის მსახურების მიერ ერთწლიანი უნაყოფო ძიების შემდგომ, თინათინი, როსტევანის ქალიშვილი, უბრძანებს ავთანდილს, რომ მან თავად მოძებნოს უცხო მოყმე სამი წლის განმავლობაში. სანამ ავთანდილი საძებნელად წავა, ისინი სიყვარულს შეჰფიცავენ ერთმანეთს.

ძიების მესამე წლის მიწურულს ავთანდილი პოულობს რაინდს – ტარიელს და იგებს, რომ ეს იდუმალი მეომარი თავის სატრფოს – ნესტანს დაეძებს. უცხო ქვეყნის მეფეზე დანიშვნის შემდეგ, ქალმა ტარიელს სთხოვა, მოეკლა სასიძო ყოველგვარი ხმაურისა და აურზაურის გარეშე. მან არ გაითვალისწინა გაფრთხილება აყალმაყალთან დაკავშირებით და შედეგად გაქცევა მოუწია. ნესტანის მსახური ქალი – ასმათი გაჰყვა მას, რადგანაც ნესტანის მამიდის მსახურებმა მოიტაცეს მეფის ასული და არავინ იცოდა მისი ადგილსამყოფელი.

ტარიელის სატრფოს, ნესტანის, ძებნის პროცესში ავთანდილი გაიცნობს ფრიდონს – მულღაზანზარის მეფეს. ისინი დამეგობრდებიან. ავთანდილი და ტარიელი შეჰფიცებენ ერთმანეთს ძმობას, რადგანაც ორივე შეყვარებულს მოშორე-

ბული მიჯნურია. ავთანდილი ბრუნდება თინათინთან, რომელიც აძლევს მას ნებართვას, რომ შეუდგეს ნესტანის ძიებას მისი და ტარიელის ძმადნაფიცობის გამო.

შემდეგი წლის განმავლობაში, ავთანდილი უკვე საკუთარი სურვილით ნახულობს და უმეგობრდება ფრიდონს და შემდგომ კვლავ აგრძელებს ქალის ძებნას. როდესაც შეიტყობს ქალის სამყოფელის შესახებ, იგი ბრუნდება დარდისგან სიკვდილის პირას მყოფ ტარიელთან:

„ტარიელ ტირს და ავთანდილ სიცილით ეუბნებოდა;
გალიმდის, ძონნი გააპნის, კბილთაგან ელვა ჰკრთებოდა;
ეტყოდა: „ვცანო ამბავი, შენ რომე გეამებოდა,
ან გაახლდების ყვავილი, ვარდი აქამდის ჭნებოდა“ [1337].

ტარიელი ისეთი აღტაცებულია, რომ ორი მეგობარი ერთად იცინის, როდესაც ბრუნდებიან იმ გამოქვაბულში, სადაც ტარიელს დაუდევს ბინა. როდესაც ასმათი ხედავს მათ, ის აღტაცებულია მათი სიცილით.

„მათ რა ნახეს, შემოჰყვივლეს სიცილით და კბილთა ჩენით“ [1357].

მიეშურებიან რა ნესტანის გადასარჩენად, ძმადნაფიცები გზად მულღაზანზარში გაჩერდებიან, რათა ფრიდონიც დაიხმარონ. ტარიელი გადანყვეტს, ფრიდონს გაეხუმროს და მას ცხენებს მოჰპარავს. ფრიდონი და მისი მეომრები აედევნიებიან ქურდებს და დაიჭერენ, ტარიელი მოიხსნის ჩაფხუტს და ფრიდონი იცნობს მას. ის იცინის და ახელებს ფრიდონს:

„რასა ჰლამი, ჩვენი მოსლვა რას გენყინა?
პურად ავი მასპინძელი მოგვეგებვი ომად წინა!“ [1379].

ფრიდონიც ძლიერ ხალისობს მათი დანახვით და ამ ხუმრობით სულაც არ არის განანყენებული.

ნესტანის გამოსახსნელი თათბირის დროს სამივე მეგობარი შეიყრება. ავთანდილი და ფრიდონი ისეთ ვარიანტს

მოიფიქრებენ, სადაც თავად იღებენ სრულ პასუხისმგებლობას. ტარიელი კი ისეთ გეგმას მოიფიქრებს, სადაც ძმადნაფიცებს თანაბარი საქმე ეკისრებათ. ამაზე სამივე გულიანად იცინებს, რადგან ყველაზე სამართლიანი ტარიელის შეთავაზებული გეგმაა:

„ამას ზედა გაიცინნეს მათ წყლიანთა, სიტყვა-ბრძენთა, ერთმანერთსა ელაღობნეს ლაღობათა მათთა მშვენთა.“
[1406].

სამივე მეგობარი გათავისუფლებულ ნესტანთან ერთად ტოვებს ფრიდონის სამეფოს და ერთად იცინიან:

„გამოვლნეს ზღვანი სამთავე, ერთგან ძმად შენაფიცართა, კვლა ამტკიცებდეს სიტყვათა, მათ პირველ დანამტკიცართა; ჰშვენის მღერა და სიცილი მათ, მისთა არ-უიცართა.“ [1447].

შეგნებულად ვიმეორებ ფრაზას: „ერთად იცინოდნენ“ ვეფხისტყაოსნის ყველა ზემოხსენებული ეპიზოდიდან, რადგანაც გაზიარებული სიცილი არის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი ორი მწერლისა. როდესაც ეს გავიაზრე, მივხვდი, თუ რატომ ვერ შევნიშნე სიცილის სხვა შემთხვევები. პოზიტიური სიცილი კრეტიენტან მეგობრებს შორის გვხვდება, მსგავსად დამატებითი ეპიზოდებისა რუსთაველთან. მაგრამ ეს უკანასკნელნი, უფრო ხშირად, წარმოადგენს განცალკევებულ შემთხვევებს და არ მეორდება ერთსა და იმავე მეგობრებს შორის. თუკი ამ ორი პოემის ტექსტში დაძებნით სიტყვა „სიცილს“, აუცილებლად იპოვით მას. მაგრამ მხოლოდ რუსთაველი იმეორებს და ხაზს უსვამს ერთობლივ, გაზიარებულ სიცილს.

რობერტ რ. პროვინის წიგნი „სიცილი: სამეცნიერო გამოკვლევა“ (2000) [*Laughter: A Scientific Investigation*] დამეხმარა, რომ გამეაზრებინა სიცილის შემთხვევები, რომელიც გამოვავლინე. სიღრმისეული კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოაჩინს, რომ სიცილი არის სპონტანური, უნებური

პასუხი და რეაქცია, რომლის გაყალბებაც რთულია [6, გვ. 49]. ის ასევე გადამდებია; თუკი ვინმე გაიცინებს, სხვები ამ სიცილს აუცილებლად აჰყვებიან [6, გვ. 129]. ნაკლებ აშკარაა ავტორის დასკვნა, რომ სიცილის შემთხვევების უმეტესობა არ არის რეაქცია რაიმე სიცილის მომგვრელ ფაქტზე – ეს პერსონალური ურთიერთობების გამოხატულება უფროა [6, გვ. 3].

ჩვენ ვიცით, რომ ადამიანმა შეიძლება იცინოს ვინმესთან ერთად, იცინოს ვინმეზე და ადამიანების ჯგუფზე. პოზიტიური კუთხიდან სიცილი ქმნის ჰარმონიას, გარკვეული ჯგუფის „წევრობის“ გრძნობას, ვინმეს დამცირების გარეშე. მაგრამ სიცილს შესაძლოა, ასევე, ჰქონდეს ნეგატიური ზეგავლენა, რომელიც გამოიხატება იმ ადამიანის გარიყვით, ვისზეც იცინიან. [6, გვ. 2]. ამ გაგებით, სიცილი წარმოშობს ერთგვარ განხეთქილებას საზოგადოებაში. პროვინი შენიშნავს, რომ დამცინავი შეძახილები, მაგ., „ჰა“, არ არის უტყუარი, ჭეშმარიტი სიცილი, რადგანაც ეს არის განზრახული პასუხი, მეტყველებაში მკაცრად კონტროლირებადი და შემოზღუდული სიცილის ფორმა [6, გვ. 50]. ამ სიტუაციის უამრავი შემთხვევა შეიძლება ვიპოვოთ კრედიენ დე ტრუასთან, და ხანდახან არც არის მკაფიოდ გამოხატული, შეძახილია თუ ჭეშმარიტი სიცილი. მე არც კი გავითვალისწინებდი ამ შემთხვევებს, მათ რომ დაცივნის მნიშვნელობა ჰქონოდათ, რომ არ ყოფილიყო სიტყვიერი მითითებაც სიცილზე.

ვეფხისტყაოსანში სიცილი გამოხატავს წარმატებულ საქმეებთან დაკავშირებულ სიხარულს, მაგრამ, უფრო მეტად, დაკავშირებულია სამი გმირის ძმობის შეფიცვის სცენასთან. მე ნეგატიური სიცილი რუსთაველის პოემაში ვერ ვიპოვე. ამას მივანერ და ვუკავშირებ პოემის ამალლებულ, საერო ენასა და ტონს. ჩემ მიერ მოყვამილი მაგალითები უკავშირდება ავტორის ფოკუსს მთავარ გმირებზე, რომლებიც მეგობრები არიან.

ამისგან განსხვავებით, კეის უხეში დამოკიდებულება სხვების მიმართ, ივანისა და პარციფალში გვიჩვენებს, რომ ის თავადაა იზოლირებული და ეს იმდენად ჩვეული რეაქციაა მისგან, რომ სხვები სჯიან და დასცინიან მას. ეს, ერთგვარ გა-

უგებრობას ქმნის სამეფო კარზე. მეორე მხრივ, ლანსელოტი-სადმი მიმართული დამცინავი სიცილი ასახავს მისი პოპულარობის სწრაფ დაცემას ტურნირში დამარცხების შემდეგ.

პროვინის წიგნმა უფრო მეტი დახმარება გამიწია, ვიდრე უბრალოდ სიცილის ბუნების შეცნობაა. ის ასევე შეიცავს სიცილის ფილოსოფიური კვლევის ისტორიას, რომელმაც მიმიყვანა მე პლატონთან და არისტოტელესთან.

რადგანაც მეთორმეტე საუკუნის დასავლეთ ევროპაში პლატონისა და არისტოტელეს მხოლოდ მცირე რაოდენობის შრომებს იცნობდნენ, მე ვერ შევძელი სიცილზე მათი შეხედულებების დაკავშირება კრეტიენის რომანებთან. თუმცაღა, ელგუჯა ხინთიბიძე, დიანა ფარელი და სხვა ვეფხისტყაოსნის მკვლევარნი თანხმდებიან, რომ რუსთაველს კლასიკური განათლება უნდა ჰქონოდა მიღებული, კერძოდ, უნდა სცოდნოდა პლატონი, არისტოტელე და ნეოპლატონიზმი, რადგანაც ის იყო თამარ მეფის კარის წევრი, სავარაუდოდ მისი მეჭურჭლეთუხუცესი.

პლატონის ფიდეზებში, სოკრატე პროტარქუსს შეახსენებს ორ მნიშვნელოვან პრინციპს: „შეიცან თავი შენი“ და „დაიცავი ზომიერება“. „სასაცილოს“ გასაგებად ის აღწერს თვითშემეცნების სამ ასპექტს: სიმდიდრე, ფიზიკური აღმატებულობა (მაგალითად, კარგი გარეგნობა ან სიძლიერე), მორალური და ინტელექტუალური სრულყოფილება. იმ ინდივიდებს რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი ძალაუფლება ან გავლენა, სიცილად იგდებენ, თუ ეს უკანასკნელნი, დაცინვის შემთხვევაში, თავს ვერ დაიცავენ. მეორე მხრივ, ისინი, ვისაც ძალაუფლება უჭირავთ ხელში, შემაშინებლად წარმოსდგებიან, „რადგანაც ძალაუფლების მქონე ადამიანების მიერ გამოჩენილი უნიგნურობა ისეთივე საშიშია, როგორც სამარცხვინო – ის საფრთხეს წარმოადგენს ყველასთვის, როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში“ [5, 48c-49c, გვ. 47-49].

მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს იმის ფაქტი, რომ კრეტიენი შეიძლება ეთანხმებოდეს პლატონს ამაში, სერ კეი არის კარგი მაგალითი იმ ადამიანისა, რომელსაც საკუთარი შესაძლებლობები უფრო მეტად წარმოუდგენია, ვიდრე რეა-

ლურად აქვს. რუსთაველის სამივე გმირი ავლენს საკუთარი თავის შეცნობის შესაბამის ხარისხს განსაკუთრებით კი ავთანდილი. ტარიელი იმდენად გაღიზიანებულია ნესტანის დაკარგვით, რომ უუნაროა, მაგრამ მისი რაციონალური თვითშემეცნება აღსდგება, როდესაც ავთანდილი ნესტანის ადგილ-სამყოფელს შეატყობინებს.

არისტოტელეც, მსგავსად აფასებს ზომიერებას. *ნიკომაქეს ეთიკაში* იგი მიიჩნევს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ზედმეტად ხუმრობენ, მასხარებად და უხეშებად წარმოსგებიან. ისინი ყველგან სასაცილოს ეძებენ. ცდილობენ, რომ სიცილი გამოიწვიონ, ვიდრე თქვან რაიმე შესაფერისი და არ მიაყენონ ტანჯვა იმას, ვისაც დასცინიან. ადამიანები კი, რომლებიც გემოვნებიანად ხუმრობენ, მახვილგონივრებად მიიჩნევიან (*ნიკომაქეს ეთიკა*, თავი 8 1128A). არისტოტელე ხუმრობის შესახებ დასძენს, რომ კაცი, რომელიც ზომას იცავს, იწოდება ტაქტიანად ან მახვილგონიერად. (*ნიკომაქეს ეთიკა*, 1128A).

მე მგონია, რომ პლატონისა და არისტოტელეს მიერ ამგვარი ხაზგასმა ზომიერებაზე ნათლად ჩანს *ვეფხისტყაოსნის* სიცილის ყველაზე მნიშვნელოვან ეპიზოდებში: ავთანდილისა და როსტევიანის ნადირობის სცენაში – „იცინოდეს, ყმანვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს“; როდესაც ტარიელი და ავთანდილი ფრიდონთან გახუმრებას გადაწყვეტენ, ტარიელი იტყვის: „ამოა კარგი ლაღობა“; როდესაც სამივე გმირი შეთანხმდება [ნესტანის] გამოსხნის გეგმაზე, მთხრობელი ამბობს: „ამას ზედა გაიცინნეს მათ წყლიანთა, სიტყვა-ბრძენთა, ერთმანერთსა ელაღობნეს ლაღობათა მათთა მშვენთა“; და ბოლოს, როდესაც სამი ძმადნაფიცი ნესტანთან ერთად ბრუნდება, „ჰშვენის მღერა და სიცილი მათ, მისთა არ-უიცართა.“

ზომიერი სიცილისა და ხუმრობის განმეორებითი აღწერები პლატონისა და არისტოტელეს ზომიერების შესახებ შეგონებების ძირითადი ნაწილია. მიუთითებენ, რომ ზომიერებაა მთავარი და არა სიჭარბე ან ნაკლებობა.

რუსთაველს უდავოდ სურს საკუთარი გმირები ზომიერად და ტაქტიანად წარმოგვიჩინოს. სარაინდო რომანის შეყვარებულების ტრადიციული, ჭარბი გლოვა და ტირილი ცდება პლატონისა და არისტოტელეს გაფრთხილებებს ზომიერების დაცვის შესახებ. ავთანდილი და ტარიელი, ისევე როგორც შეყვარებულები კრეტიენის ნაშრომებში, ბედს წყევლიან, ტირიან განშორებისას, კამათობენ, როდესაც ლაპარაკობენ სიყვარულის შესახებ და სიყვარულის სიგიჟეებს განიცდიან. ტარიელი სამი დღით გონებასაც კი კარგავს, ნესტანის პირველად დანახვისას. მეორე მხრივ, რუსთაველის მთხრობელის ხმა მთელი ნაწარმოებში თავშეკავებულია ტექსტისა და ტონის თვალსაზრისით, რაც არ ჰგავს კრეტიენის სასაუბრო და იუმორით გაჯერებულ ნარატივს.

შეჯამების სახით, ორივე პოეტის ნაწარმოებში ჩნდება სიცილი, თუმცა მისი მხოლოდ მცირე ნაწილი გვევლინება რაიმე სასაცილო ფაქტზე რეაქციად. კრეტიენის სიცილი პოზიტიურია, მაგრამ გვხვდება ბოლმიანი სიცილიც. არ არსებობს რაიმე დასაბუთება, რომ სიცილი ეხმაურება პლატონისა და არისტოტელეს მიერ ჩამოყალიბებული სიცილის ეთიკას, თუმცა ეთანხმება ფსიქოლოგების მონაცემებს სიცილით გამონვეული ეფექტების შესახებ.

რუსთაველის სიცილი ასევე უახლოვდება ფსიქოლოგიების გამოკვლევებს, მაგრამ იგი საჭიროდ თვლის, რომ ტექსტში ჩართოს სიტყვები, რომლებიც გმირების კეთილშობილ აღზრდაზეც მიუთითებს და მსგავს ტონს თხრობაშიც ინარჩუნებს. მოკლედ რომ ვთქვათ, *ვეფხისტყაოსანში* განსჯის საგნადაა ქცეული პოემის ქეშმარიტი თემა – ძმათნაფიცობა, რომელიც პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებათა კვალდაკვალ სიცილის ერთ სახეობასაც ასახავს.

ბიბლიოგრაფია

1. Aristotle. *Nicomachean Ethics*. Trans. W. D. Ross. Internet Classics Archive, Daniel C. Stevenson, Web Atomics. 1994-2000. Accessed 9.23.2019.

2. Chrétien de Troyes. *Arthurian Romances*. Trans. William W. Kibler. *Erec and Enide* Trans. Carleton W. Carroll. London: Penguin, 1991.
3. Farrell, Dianne Ecklund. "Courtly Love in the Caucasus: Rustaveli's Georgian Epic, *The Knight in the Panther Skin*." *The Carl Beck Papers in Russian and East European Studies*. No. 2205. Accessed August 2, 2014.
4. Khintibidze, Elguja. *Medieval and Renaissance Trends in Rustaveli's "VEPHKISTKAOSANI" (The Man in the Panther's Skin)*. Tbilisi, 1993. English extended summary pp. 262-95.
5. Plato. *Philebus*. Trans. with notes and commentary J. C. B. Gosling. Oxford: Clarendon Press, 1975.
6. Provine, Robert R. *Laughter: A Scientific Investigation*. New York: Viking, 2000.
7. რუსთველი, შოთა. *ვეფხისტყაოსანი*. თბილისი: „მეცნიერება“, 1966.

დამატებითი თარგმანები:

- Chrétien de Troyes. *Arthurian Romances*. Trans. W. W. Comfort. London: J. M. Dent & Sons Ltd., 1970.
- Chrétien de Troyes. *Lancelot, or The Knight of the Cart*. Ed and trans. William W. Kibler.
- Chrétien de Troyes. *Perceval or The Story of the Grail*. Trans. Ruth Harwood Cline. Athens, Georgia: University of Georgia, 1983.
- Chrétien de Troyes. *Yvain or The Knight with the Lion*. Trans. Ruth Harwood Cline. Athens, Georgia: University of Georgia, 1975.
- Chrétien de Troyes. *Arthurian Romances*. Trans. D. D. R. Owen. London: J. M. Dent & Sons, 1993.
- Rustaveli, Shota. *The Knight of the Panther-Skin*. Trans. Lyn Coffin. Tbilisi: Poezia Press, 2015.
- Rustaveli, Shota. *The Knight in Panther Skin*. Trans. Katharine Vivian. London: The Folio Society, 1977.
- Rustaveli, Shota. *The Lord of the Panther-Skin*. Trans. R. H. Stevenson. Albany, NY: SUNY, 1977.
- Rustaveli, Shota. *The Knight in the Panther's Skin*. Trans. Venera Urushadze. Tbilisi: Private Edition, 2006. Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 2005.

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

What's So Funny? Laughter in Shota Rustaveli's *The Man in the Panther's Skin* and the Romances of Chrétien de Troyes

Sally Newell

Independent Scholar, M. A., Duke University

Abstract: In a conference paper on good and bad speech in *The Man in the Panther's Skin* and the romances of Chretien de Toyes, I included a short segment on laughter, more for helpful suggestions from the audience than because I had insight into its occurrence in the literature. In the absence of any suggestions, I remained stymied for some time before finding sources that would lead to understanding. The purpose of this paper is to analyze episodes of laughter from the perspective of modern studies of the psychology of laughter and from the ethical views of Plato and Aristotle.

Key Words: *Shota Rustaveli, Chrétien de Troyes, Laughter*

Since 2013, I have been fascinated by the parallels between these works by Shota Rustaveli and Chrétien de Troyes, separated by half a continent in distance and a few decades in time. Their greatest similarity is in their shared attributes of courtly love and knightly values. In a conference paper on good and bad speech in these poems, I included a short segment on laughter, more for helpful suggestions from the audience than because I had insight into

its occurrence in the literature. In the absence of any suggestions, I remained stymied for some time before finding sources that would lead to understanding. The purpose of this paper is to analyze episodes of laughter from the perspective of modern studies of the psychology of laughter and from the ethical views of Plato and Aristotle.

In rereading the medieval literature, I searched for all forms of the word *laugh* and laughing words like “ha-ha” and compared several translations, bearing in mind that you cannot prove a negative: the absence of references to laughter in episodes of obvious joy or merrymaking does not mean none occurred, only that it isn’t pointed out. But the focused search produced more laughter than I had remembered; it just hadn’t always stood out.

The most famous laugh in Chrétien, arguably, is near the beginning of *Perceval*. When the comical would-be knight reaches King Arthur's hall, a maiden laughs when he greets her. Sir Kay, ever rude, slaps her to the ground and kicks the jester into the fire because the jester had often said that the maid would not laugh until she “has seen the man who will be the supreme lord among all knights” [2, p. 394]. This is only a single laugh, but it echoes throughout the story. Perceval sends each knight he vanquishes to King Arthur's court as a prisoner to explain what has happened and furthermore to speak to the maiden who laughed.

Another significant episode occurs in *Erec and Enide* at the end of the Joy of the Court scene when the maiden learns who Enide is: the maiden “could not keep from laughing. She was so overjoyed that she completely forgot her sorrow” [2, p. 113]. Now that Erec and Enide have restored their own balance between private and public life, they are able to restore the same balance that had been lacking in Maboagrain and his wife.

There is also spiteful laughter in Chrétien. In *Yvain*, when Arthur's court comes to see the wonder of the magical spring, Yvain, now its defender, has to fight one of them. Kay, eager as ever to have the honor even if he isn't the most qualified, claims the right to the challenge. Yvain knocks Kay off his horse, and the court mocks

the rude knight: "Ha! Ha! Look at how you, a man who mocks others, are lying there now!" [2, p. 323].

When Lancelot leaves Meleagant's imprisonment to fight in the tournament that the maidens have arranged at Arthur's court, his willingness to obey Guinevere's command to "do your worst" earns him scornful laughter and disdain: "The knights who had praised him before now laughed and joked at his expense" [2, pp. 276-7]. The narrator continues: "Soon all those deluded, mocking men, who had spent much of the past night and day ridiculing him, would be astounded: they had laughed, sported, and had their fun long enough!" [2, p. 280].

In *The Man in the Panther's Skin* (MPS), the national treasure of Georgian literature written around 1200, I had previously noticed five major episodes of laughter, all but one in the later part of the poem. The first occurs near the beginning of the poem when Avtandil, trying to cheer up a gloomy King Rostevan, challenges him to a contest in hunting. Roused by his knight's challenge, he and Avtandil "laughed, they sported like children, lovingly and becomingly they behaved" [7, v. 69]. After the hunt has ended, they continue their laughter: "Each said laughingly to the other, 'Tis I that have won!'" [7, v. 79]. Cooling down afterwards, Rostevan and Avtandil see a strange knight sitting sadly, weeping beside a stream. In a scene very similar to some in Chrétien, the knight doesn't even hear the men Rostevan sends to find out about him, he kills or maims those who are sent to capture him, and he rides away so quickly when the king and Avtandil approach that he seems to disappear magically. After a year of fruitless searching for him by Rostevan's men, Tinatin, Rostevan's daughter, commands Avtandil to search on his own for three years. Before he leaves, she and Avtandil pledge their love. Avtandil goes in search of the knight, and the heart of the story is set into motion.

Just before the end of the three years, Avtandil finds the knight, Tariel, and learns that the mysterious knight is searching for his own love, Nestan. Having been espoused by her parents to a foreign king, she had told Tariel to kill the bridegroom but without a

disturbance. He bungled the disturbance part and had to flee into exile. Nestan's maid Asmat accompanied him, because Nestan's aunt had servants kidnap the princess, and no one knew her whereabouts. In the course of Tariel's search for Nestan, he had come upon Pridon, king of Mulghazanzar, and the two had become friends. Avtandil and Tariel form their own firm friendship, a sworn brotherhood, because they both are lovers separated from their beloved. Avtandil reports back to Tinatin, who gives her consent for him to take up the search for Nestan for the sake of this sworn friendship.

Within another year and a week, Avtandil himself visits and becomes friends with Pridon, and then continues his search. When he learns where Nestan is, he returns to tell Tariel, who is near death from despair: "Avt'handil was speaking to him laughing, he smiles, he opens his coral (lips), the flash from his teeth quivers; he said: 'I have learned tidings which will please thee; now the flower will be renewed, the rose hitherto fading.'" Tariel is so elated that the two friends begin laughing together as they return to the cave where he stays. When Asmat sees them, she is astonished at their laughter: "When they saw her they shouted to her, laughing and showing their teeth..." [7, v. 1313, 1333]. Avtandil has given Tariel the hope that he'd lost. Interestingly, this episode is similar to the restoration at the end of Chrétien's *Joy of the Court* episode.

En route to rescue Nestan, they stop in Mulghazanzar in order to include Pridon in the rescue. Tariel decides to play a joke on him by rustling his horses. When Pridon and his soldiers come to rout the thieves, Tariel removes his helmet so that Pridon will recognize him; he laughs and teases Pridon: "Why doth our coming annoy thee? Bad host! Thou meetest us to fight" [7, v. 1356]. Pridon is overjoyed to see them and not at all offended by the joke.

When the three friends plan Nestan's rescue, Avtandil and Pridon both offer suggestions in which each assigns the major role to himself. Tariel instead proposes a plan in which the three sworn brothers play equal parts, and they laugh together at the best and fairest plan: "... thereupon they, the eloquent, wise-worded ones,

laugh, they joke one with another, with merriment beseeing them” [7, v. 1383]. With the successful recovery of Nestan, she and the three friends leave for Pridon’s kingdom, laughing together: “The three sworn brothers crossed the seas together, again they confirmed by their word what they formerly affirmed; singing and laughter were beseeing to them...” [7, v. 1424].

I have deliberately chosen to repeat the phrase “laugh together” in most of the above episodes from *MPS* because shared laughter is the key difference between the two writers. Once I realized this, I understood why I’d failed to notice the other occurrences of laughter. The positive laughter in Chrétien is among friends, as are the additional episodes of laughter in Rustaveli, but these more frequently represent isolated incidents instead of recurring among the same friends throughout the works. If you search for the word “laugh”, you will find it. But only Rustaveli’s repeated shared laughter stands out.

Robert R. Provine’s 2000 book *Laughter: A Scientific Investigation*, helped me analyze the laughter I’d found. His extensive research into this subject demonstrates that laughter is spontaneous, an involuntary response that’s hard to fake [6, p. 49]. It’s also contagious: once there’s laughter, others tend to join in [6, p. 129]. Less obvious is his finding that most laughter is not in response to something funny. Instead, it is more about personal relationships [6, p. 3]. We know you can laugh with or at someone or some group. On the positive side, laughter creates harmony, inclusion within the group at no one’s expense. But it can also have a negative effect by isolating a person or group at whom the laughter is directed [6, p. 2]. In this sense, laughter produces disruption in society. Provine notes that scornful exclamations like “Ha!” are not genuine laughter because they are voluntary responses, a form of strictly controlled laughter in speech [6, p. 50]. Instances of this abound in Chrétien, and sometimes it is not clear whether it’s an exclamation or a real laugh. I generally discounted these if they seemed scornful unless they were accompanied by a reference to laughter.

In *MPS*, the laughter reflects the joy in successful accomplishments, but even more in the three heroes' sworn brotherhood. I found no negative laughter in Rustaveli's poem. I attribute this to its elevated, courtly language and tone, some of which I've quoted, as well as its narrow focus on the main characters, all of whom are friends.

By contrast, Kay's rude treatment of others in *Yvain* and *Perceval* shows us that he is the isolated one himself because it is so common a reaction from him that the others chastise him and move on or laugh at him. It does, however, create a disturbance in the court. On the other hand, the mocking laughter at Lancelot reflects his quick fall from favor after doing his worst in the tournament.

Provine's book provided even more help than merely analyzing the nature of laughter; it included a section on the history of the philosophical study of laughter, which led me to Plato and Aristotle.

Since few of the works of Plato and Aristotle were known in twelfth-century Western Europe, especially their ideas about laughter, I was unable to link their philosophy to Chrétien's romances. However, Elguja Khintibidze, Diane Farrell, and other *MPS* scholars agree that Rustaveli would have received a classical education, particularly a study of Plato, Aristotle, and the Neoplatonists, because he was a member of King Tamar's court, possibly her treasurer.

In his *Philebus*, Plato has Socrates remind Protarchus of two guiding principles: "Know thyself" and following the "measure" or "mean." To understand the ridiculous, he describes three aspects of self-knowledge: in wealth; in some area of physical superiority, like good looks or strength; and in moral and intellectual excellence. In the aspect of possessing less intelligence than they believe they have, those individuals who lack power and influence are considered ridiculous if they cannot defend themselves when mocked. But those who are powerful are frightening. "For the ignorance of powerful people is dangerous as well as shameful—it is

a menace to anyone near whether in real life or in fiction” [5, 48c-49c, pp. 47-49].

Although we have no evidence that Chrétien would have been following Plato in this, Sir Kay is a good example of a person who has a higher esteem of his capabilities than he actually possesses. All three of Rustaveli’s heroes display appropriate self-

knowledge, particularly Avtandil. Tariel is so distraught at losing Nestan that is he dysfunctional, but his rational self-knowledge returns when Avtandil brings the news of where Nestan is.

Aristotle likewise values the mean, or measure. In the *Nicomachean Ethics*, he says that “those who carry humour to excess are thought to be vulgar buffoons, striving after humour at all costs, and aiming rather at raising a laugh than at saying what is becoming and at avoiding pain to the object of their fun.... But those who joke in a tasteful way are called ready-witted” [1, 4.8]. He addresses joking in particular by saying, “Such, then, is the man who observes the mean, whether he be called tactful or ready-witted” [1, book 4.8].

I suggest that the emphasis on the mean by both Plato and Aristotle is clearly indicated through word choice in the most significant laughter episodes in *MPS*. In Avtandil and Rostevan’s hunting challenge, “lovingly and **becomingly** they behaved”. When Tariel and Avtandil play the horse-rustling joke on Pridon, Tariel says, “Pleasant is **good joking**”. As the three agree on the rescue plan, the narrator describes them as “**eloquent wise-worded ones**” who “joke one with another, with merriment **beseeming** them”. And finally, as the three sworn brothers return with Nestan, “singing and laughter were **beseeming** to them” [emphasis mine]. The reiteration of the descriptions of moderate laughing and joking lies at the heart of Plato’s and Aristotle’s instruction in the mean rather than in excess or deficiency. Rustaveli wants no doubt that his heroes are measured and tactful.

The traditional excessive lamentations and weeping by courtly lovers certainly lie outside Plato’s and Aristotle’s admonitions to adhere to the mean. Avtandil, Tariel, and the lovers in Chrétien bemoan fate, weep when they are separated, debate

whether to speak of their love, and experience love-madness. Tariel even goes into a three-day faint after seeing Nestan for the first time. However, Rustaveli's narrator's voice is restrained throughout the entire body of the story in wording and tone, unlike the conversational and even humorous tone of Chrétien's narrative voice.

In summary, both poets portray laughter in their works, even though very little of it is actually in response to something funny. Chrétien's laughter is usually positive, but he includes spiteful laughter as well. There is no supportive evidence that the laughter reflects the ethics of laughter that Plato and Aristotle laid out, but it is consistent with what psychologists tell us about laughter's effects. Rustaveli's laughter aligns with psychologists' research as well, but he takes pains to include words to indicate the well-bred background of his characters, and he maintains a similar tone in his narrative voice. In short, *MPS* reflects the real theme of this poem, sworn brotherhood that includes the kind of laughter consistent with Plato and Aristotle.

Bibliography

1. Aristotle. *Nicomachean Ethics*. Trans. W. D. Ross. Internet Classics Archive, Daniel C. Stevenson, Web Atomics. 1994-2000. Accessed 9. 23. 2019.
2. Chrétien de Troyes. *Arthurian Romances*. Trans. William W. Kibler. *Erec and Enide* Trans. Carleton W. Carroll. London: Penguin, 1991.
3. Farrell, Dianne Ecklund. "Courtly Love in the Caucasus: Rustaveli's Georgian Epic, *The Knight in the Panther Skin*." *The Carl Beck Papers in Russian and East European Studies*. No. 2205. Accessed August 2, 2014.
4. Khintibidze, Elguja. *Medieval and Renaissance Trends in Rustaveli's "VEPHKISTKAOSANI" (The Man in the Panther's Skin)*. Tbilisi, 1993. English extended summary pp. 262-95.
5. Plato. *Philebus*. Trans. with notes and commentary J. C. B. Gosling. Oxford: Clarendon Press, 1975.
6. Provine, Robert R. *Laughter: A Scientific Investigation*. New York: Viking, 2000.
7. Rustaveli, Shota. *The Man in the Panther's Skin*. Trans. Marjory Scott Wardrop. London: Royal Asiatic Society, 1912, rpt. Neker: 2005.

Additional Translations

- Chrétien de Troyes. *Arthurian Romances*. Trans. W. W. Comfort. London: J. M. Dent & Sons Ltd., 1970.
- Chrétien de Troyes. *Lancelot, or The Knight of the Cart*. Ed and trans. William W. Kibler.
- Chrétien de Troyes. *Perceval or The Story of the Grail*. Trans. Ruth Harwood Cline. Athens, Georgia: University of Georgia, 1983.
- Chrétien de Troyes. *Yvain or The Knight with the Lion*. Trans. Ruth Harwood Cline. Athens, Georgia: University of Georgia, 1975.
- Chrétien de Troyes. *Arthurian Romances*. Trans. D. D. R. Owen. London: J. M. Dent & Sons, 1993.
- Rustaveli, Shota. *The Knight of the Panther-Skin*. Trans. Lyn Coffin. Tbilisi: Poezia Press, 2015.
- Rustaveli, Shota. *The Knight in Panther Skin*. Trans. Katharine Vivian. London: The Folio Society, 1977.
- Rustaveli, Shota. *The Lord of the Panther-Skin*. Trans. R. H. Stevenson. Albany, NY: SUNY, 1977.
- Rustaveli, Shota. *The Knight in the Panther's Skin*. Trans. Venera Uru-shadze. Tbilisi: Private Edition, 2006. Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 2005.

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

გეოპოეტიკის კონცეპტი და ვეფხისგყაოსნის ტექსტ-სივრცე

თამთა გრიგოლია

თსუ დოქტორანტი

რეზიუმე: 1960-იანი წლებიდან დასავლურ აზროვნებაში უკვე ფართოდ დომინირებს რეფლექსიები სივრცის, როგორც კატეგორიის შესახებ. ეს მიმართულება ხშირად წარმოდგენილია spatial turn-ის სახელით (სივრცული შემობრუნება/შემოტრიალება), რაც სივრცესთან დაკავშირებულ უამრავ მოსაზრებას აერთიანებს. სივრცე არის ის უმთავრესი კომპონენტი, რომლითაც ხდება ტექსტის ფორმირება, სივრცის მიხედვით განისაზღვრება შინაარსობრივი მხარე, პერსონაჟთა ხასიათები, მეტაფორები და ა.შ.

სივრცის შესწავლის ერთ-ერთი თანამედროვე ჰუმანიტარული კონცეპტია გეოპოეტიკა, რომელიც იკვლევს კულტურის და პირველ რიგში, შემოქმედებითი პროცესების ზემოქმედებას ადამიანური სამყაროს სტრუქტურისა და ფორმის განსაზღვრებაზე. გეოპოეტიკის იდეა და კონცეპტი ეკუთვნის შოტლანდიელ ფილოსოფოსსა და მკვლევარს ქენეთ ვაითს (Kenneth White). ვაითის მიხედვით, გეოპოეტიკა იწყება იქ, როცა რაღაცის შესაძლებლობას ვუშვებთ. მისგან განსხვავებით, გეოპოლიტიკა მიემართება რეალურ სივრცეს. მას აინტერესებს ძალაუფლებრივი ურთიერთობები გლობალური მასშტაბის ქალაქებსა და სახელმწიფოებს შორის. გეოპოეტიკა კი უფრო ღრმა და რადიკალური ინიციატივაა. კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ, გეოპოეტიკა არის რეალური სივრცის

„ახლიდან დაწერა“. შეიძლება ტექსტში გადატანილი იყოს რეალური სივრცე ან რეალური, მაგრამ კონკრეტული ადგილისათვის არადამახასიათებელი შტრიხებით, გადამუშავებული სახეებით, რაც აღარ არის რეალურის იდენტური. ტექსტი ამ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ როგორც სამყაროს ალტერნატიული რუკა. გეოპოეტიკის ერთ-ერთი გამოხატულებაა ტერიტორიების კულტურული თვითდამკვიდრება, რასაც ე.წ. „გეოპოეზისის“ სახელით მოიხსენიებენ ხოლმე. ამის გამოხტულებაა მწერალთა მიერ ქალაქებისა და დედაქალაქების სასურველ ადგილას წარმოსახვა ტექსტის ფარგლებში, ანუ ვილებთ ე.წ. ტექსტუალურ სივრცეებს, სივრცე-ტექსტებს.

ვფიქრობ, აღნიშნული მიმართულებით ვეფხისგყაოსნისეუდი სივრცის ანალიზი, კერძოდ, იმის შესწავლა, თუ რომელ კონტექსტში რა დატვირთვა აქვს ამა თუ იმ სივრცეს და შემდგომში რა როლს ასრულებენ ეს სივრცეები მთლიანი სიუჟეტის შექმნის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იქნება არა მარტო რუსთველოლოგიისათვის, არამედ, ზოგადად, ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის, თანამედროვე მსოფლიოში ვეფხისგყაოსნის საერთაშორისო ლიტერატურათმცოდნეობით დისკურსში უფრო აქტიურად დასამკვიდრებლად.

საკვანძო სიტყვები: გეოპოეტიკა, ქენეთ ვაითი, სივრცის თანამეფხოვე თეოხიები, გქესგ-სივრცე, ვეფხისგყაოსანი“.

1960-იანი წლებიდან დასავლურ აზროვნებაში უკვე ფართოდ დომინირებს რეფლექსიები სივრცის, როგორც კატეგორიის შესახებ. ეს ეხება როგორც ლიტერატურათმცოდნეობას, ისე ფილოსოფიასა და კულტუროლოგიას. ლიტერატურული ტექსტის ანალიზისათვის სივრცე ხშირად უმთავრესი კატეგორიაა, მასთან მიმართებით დროის პრიმატი უკანა პლანზე ინაცვლებს; ანუ მნიშვნელოვნად აქცენტირებულია, თუ სად ვითარდება ტექსტის სიუჟეტი, ვიდრე – როდის. ეს მიმართულება ხშირად spatial turn-ის სახელითაა (სივრცული შემობრუნება/შემოტრიალება) წარმოდგენილი. ჰუმანიტარულ დისციპლინებში Turn გულისხმობს კვლევას რაიმე კონკრეტული კატეგორიის მიხედვით. Spatial turn-ის

შემთხვევაში ეს არის სივრცე. ე.წ. „სივრცული შემოტრიალება“, რომელიც აერთიანებს სივრცესთან დაკავშირებულ უამრავ მოსაზრებას. სივრცე არის ის უმთავრესი კომპონენტი, რომლითაც ხდება ტექსტის ფორმირება, სივრცის მიხედვით განისაზღვრება სხვა დანარჩენი, იქნება ეს შინაარსობრივი მხარე, პერსონაჟთა ხასიათები, მეტაფორები თუ სხვა.

სივრცის თეორიის ამ კუთხით განვითარება ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდია ტექსტების კვლევის ისტორიაში, რაც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება ვეფხისტყაოსანთან მიმართებით, რადგან პოემისეული სივრცე, რომელსაც რუსთველი პერსონაჟთა სამოქმედოდ შლის, საკმაოდ ჭრელი, მრავალფუნქციური და მრავალმხრივია, რის დასტურადაც შეიძლება მივიჩნიოთ ვეფხისტყაოსნის პირველივე სტროფის მეორე სტრიქონი: „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“ (1).* ამ სტრიქონის „ქვეყანა“, რუსთველოლოგიაში მიღებული თვალსაზრისით, ადამიანთათვის შექმნილი მიწაა, რომელიც შემკულია უამრავი ფერით [22, გვ. 27]. უთვალავფერიანი ქვეყანა ასევე შეიძლება გავიაზროთ, როგორც მრავალნაირი, არაერთგვაროვანი სივრცის ერთობლიობა, რაც საშუალებას მოგვცემს პოემისეული სივრცეები შევისწავლოთ სწორედ იმ მიდგომით, რასაც სივრცის თანამედროვე კონცეპტები გულისხმობს.

სივრცის თანამედროვე თეორიათა შესწავლის თვალსაზრისით არაერთი კვლევა თუ ნაშრომი დაწერილა, ამ კუთხით ასევე ფუნდამენტურ კვლევას ახორციელებს შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში პირველად პროფესორმა ირმა რატიანმა სცადა ლიმინალობის თეორიის შეჭერება ესქატოლოგიური ანტიუტოპიის მოდელთან [10]. პროფესორმა მაკა ელბაქიძემ აღნიშნული თეორია მიუსადაგა რუსთველის

* ტექსტის დამოწმებისას ამ და სხვა შემთხვევაშიც ვხელმძღვანელობთ „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის გამოცემით (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით).

ვეფხისტყაოსანს [6, გვ. 25-40], რაც მცდელობაა ლიბინალობის თეორიის, როგორც ერთ-ერთი თანამედროვე მიდგომის დანერგვისა რუსთველის პოემის კვლევისას და ამასთან, აღნიშნული მეთოდოლოგიური კონცეფციის მიმართებისა გვიანდელი შუა საუკუნეების ძეგლთან. აღნიშნულ ნაშრომში სივრცე და დრო განხილულია როგორც ლიბინალური ფენომენი და პერსონაჟთა ქმედება („გაჭრა“, სიშმაგე და ა.შ.) მისადაგებულია ქრონოტოპის ლიბინალურ მოდელთან.

თანამედროვე დასავლური კვლევები ხშირ შემთხვევაში პლურალური მიდგომით იწერება, რაც იმას ნიშნავს, რომ კვლევა არ ეყრდნობა ერთ რომელიმე კონკრეტულ თეორიას. მკვლევარი უპირატესობას ანიჭებს თეორიათა მრავალფეროვნებას; ასევე ნაშლილია საზღვრები მეცნიერებებს შორის. მაგალითისათვის შესაძლოა დავასახელოთ ფრანგი ფილოსოფოსი და ლიტერატურის კრიტიკოსი მიშელ ფუკო, რომელმაც მედიცინიდან აიღო ტერმინი „ჰეტეროტოპია“ – უჯრედი, რომელიც წარმოიქმნება იქ, სადაც, წესით, არ უნდა იყოს. ფუკო ტერმინ „ჰეტეროტოპიას“ ახსენებს თავისი წიგნის საგანთა წესჩივის წინათქმაში. ფუკოს მიხედვით, ჰეტეროტოპია დისკურსის ისეთი სახეობაა, რომელიც დისკურსთა გაბატონებულ წესრიგს არღვევს. სხვა შემთხვევაში (სხვა სივრცეთა შესახებ, 1984 წ.) „ჰეტეროტოპიას“ ფუკო უწოდებს რეალობაში განხორციელებულ უტოპიას ანუ რეალობაში განსხეულებულ უტოპიურ სივრცეებს, რომლებიც ამა თუ იმ კულტურაში არსებული ტრადიციული, ყოველდღიური სივრცეების საპირისპირო სივრცეებია. ჰეტეროტოპიულ სივრცეებად ფუკო მიიჩნევს თეატრს, კინოს, მუზეუმს, ბიბლიოთეკას და ა.შ. ასეთ სივრცეებში ერთ ადგილას იყრის თავს ტრადიციული გაგებით ერთმანეთთან შეუსაბამო შინაარსები და საგნები, ასეთ სივრცეში სხვადასხვა დრო (წარსული, აწმყო, მომავალი) ერთად თანაარსებობს და დროის ტრადიციული აღქმა დარღვეულია. ფუკოსეული ცნება „ჰეტეროტოპია“ აიტაცეს აზროვნების სხვადასხვა დარგში, იგი ასევე ფართოდ გავრცელდა ლიტერატურათმცოდნეობაში [7; 8].

თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მკვლევარები ძველ ტექსტებს ძალიან ხშირად ტექსტის ანალიზის თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, გეოპოეტიკის კონცეპტის მიხედვით იკვლევენ. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ლუდმილა ტერნოვას ნაშრომი *კავშირი შექსპირის გეოპოეტიკასა და გეოპოლიტიკას შორის* [15, გვ. 98-101], დოქტორ ჰუსეინ ალდორი (Awfa Hussein Aldoory) ბახტინის თეორიების მიხედვით განიხილავს შექსპირის შემოქმედებას და მიუთითებს, რომ შექსპირის უნივერსალურობა გვაძლევს მისი შემოქმედების შესწავლის შესაძლებლობას თანამედროვე თეორიების კონტექსტში [1]; გეოპოეტიკის კონტექსტში შეისწავლიან ისეთ ტექსტებს, რომელთაც, შეიძლება ითქვას, ერთი შეხედვით, თანამედროვეობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. მაგ., თანამედროვე გერმანელი მკვლევარი, ერიკა შელენბერგერ-დიტრიჰი გერმანელ მწერალთა და პოეტთა (Hölderlin, Novalis, E. T. A. Hoffmann, Droste-Hülshoff, Mörike, Stifter, Rilke, Bachmann, Celan) შემოქმედებას სწორედ ამ კუთხით განიხილავს [21].

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, საინტერესო იქნება ვეფხისტყაოსნისეული სივრცის ანალიზი სივრცის თანამედროვე კონცეპტთა მიხედვით. კერძოდ, რომელ კონტექსტში რა დატვირთვა აქვს ამა თუ იმ სივრცეს და შემდგომში რა როლს ასრულებენ ეს სივრცეები მთლიანი სიუჟეტის შექმნის თვალსაზრისით.

სივრცის შესწავლის ერთ-ერთი თანამედროვე ჰუმანიტარული კონცეპტი – გეოპოეტიკა – იკვლევს კულტურის და პირველ რიგში, შემოქმედებითი პროცესების ზემოქმედებას ადამიანური სამყაროს სტრუქტურულზაციაზე. გეოპოეტიკის იდეა და კონცეპტი ეკუთვნის შოტლანდიელ ფილოსოფოსს ქენეთ ვაითს (Kenneth White). იგი ასევე გახლავთ პოეტი, მწერალი და მკვლევარი. ვაითის მიხედვით, გეოპოეტიკა იწყება იქ, როცა რაღაცის შესაძლებლობას ვუშვებთ. მისგან განსხვავებით, გეოპოლიტიკა მიემართება რეალურ სივრცეს. მას აინტერესებს ძალაუფლებრივი ურთიერთობები გლობალური მასშტაბის ქალაქებსა და სახელმწიფოებს შორის. გეოპო-

ეტიკა კი უფრო ღრმა და რადიკალური ინიციატივაა. მისი ინტერესის სფერო არის არა ტერიტორიული ძალაუფლება სახელმწიფოებს შორის, არამედ ადამიანის არსებობა სამყაროში, ადამიანებისა და ზეციური/ვარსკვლავური სამყაროს ურთიერთობა და ასევე, დედამიწაზე არსებობის პრობლემა... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გეოპოეტიკაში მსოფლიო და სამყარო ერთმანეთთანაა დაკავშირებული [16].

ვაითის მიხედვით (ვეყრდნობი ვაითისეულ მიმოხილვას გეოპოეტიკის შესახებ – [18]), გეოპოეტიკას შეიძლება ვუწოდოთ თეორია, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორს სურვილი აქვს სისტემური ხასიათი მისცეს თავის იდეას. ირგვლივ არსებული ყველა რელიგიის, განსხვავებული იდეოლოგიის, მორალისა თუ ფსიქოლოგიის მიღმა, არსებობს ერთი რამ, რაც საერთოა ყველა მიმართულებით – ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით. იგი მივიდა დასკვნამდე, რომ მსგავსი რამ შესაძლოა იყოს მხოლოდ დედამიწა, ულამაზესი და უიშვიათესი პლანეტა მთელ გალაქტიკაში. (ვფიქრობ, ვეფხისგყაოსნისეუდი „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა“, ამ კონტექსტშიც ძალიან ახლოს არის გეოპოეტიკის მთავარ იდეასთან, გამომდინარე იქიდან, რომ რუსთველისეული „ქვეყანა“, ეს არის დედამიწა, როგორც იდეა, რომელიც სხვადასხვა სივრცეში მყოფ „კაცთა“/ყველა ადამიანს აერთიანებს).

რაც შეეხება „პოეტიკას“, იგი ამ სიტყვას არ იყენებს მისი ტრადიციული გაგებით, არამედ როგორც „პოეტურ ინტელექტს“ (nouspoietikos), რასაც აგრეთვე ვხვდებით არისტოტელეს შემოქმედებაში. „პოეტიკა“ მისთვის წარმოადგენს აზროვნების ფუნდამენტურ დინამიკას. აქედან გამომდინარე, არსებობს როგორც ლიტერატურის, ისე ფილოსოფიის, მეცნიერების და ასევე, პოლიტიკის პოეტიკა. გეოპოეტიკა და, შესაბამისად, ნებისმიერი „გეოპოეტიკოსი“ არსებობს „უზარმაზარ“ დრო-სივრცეში.

ვაითმა ფილოსოფიური, სამეცნიერო და პოეტური თვალსაზრისით გეოპოეტიკის სრული რუკა დაგვიხატა წიგნ-

ში *Le Plateau de l'Albatros** (აღბაღჰოსის სიბიგყე/ ზეგანი). აღნიშნულ ნაშრომში, მკვლევარი ასახელებს პროტო-გეოპოეტიკოსებს: ჰუმბოლდტს, ტოროს (ჰენრი დევიდ ტორო – მე-19 საუკუნის ამერიკელი ესეისტი, პოეტი, ფილოსოფოსი) და სეგალენს (ვიქტორ სეგალენი – მე-19-20 საუკუნის ფრანგი სამხედრო ექიმი, ეთნოგრაფი, მწერალი, ლინგვისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი და ა. შ.) იმ მიზნით, რომ გვაჩვენოს, რამდენად ღრმადაა აზროვნება დაკავშირებული ცხოვრებასთან და რომ გეოპოეტიკის იდეა დაფარული იყო გარკვეულ დროსა და სივრცეში. მიგვანიშნებს, რომ დასახელებულ ავტორთა წაკითხვა და ანალიზი სცდება ერთდროისა და ისტორიას და კარს უღებს ფიქრის გეოგრაფიას [18], რაც გულისხმობს სამყაროს ავტორისეული წარმოსახვის კონტექსტში გააზრებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გეოპოეტიკის იდეის პერსპექტივის შესანარჩუნებლად, ასევე, მრავალკულტურული და ტრანსდისციპლინური კვლევებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, ქენეთ ვაითმა 1989 წელს ჩამოაყალიბა გეოპოეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი.

კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ, გეოპოეტიკა არის რეალური სივრცის „ახლიდან დაწერა“. შეიძლება ტექსტში გადატანილი იყოს რეალური სივრცე ან რეალური, მაგრამ ამ კონკრეტული ადგილისათვის არადაამახასიათებელი შტრიხებით, გადამუშავებული სახეებით, რაც აღარ არის რეალურის იდენტური. ტექსტი ამ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ როგორც სამყაროს ალტერნატიული რუკა. გეოპოეტიკის ერთ-ერთი გამოხატულებაა ტერიტორიების კულტურული თვითდამკვიდრება, რასაც ე.წ. „გეოპოეზისის“ სახელით მოიხსენიებენ ხოლმე. ამის გამოხატულებაა მწერალთა მიერ ქალაქებისა და დედაქალაქების სასურველ ადგილას წარმოსახვა ტექსტის ფარგლებში, ანუ ვიღებთ ე.წ. ტექსტუალურ სივრცეებს, სივრცე-ტექსტებს. ვფიქრობ, ვეფხისგყაოსნის

* ვაითის თეორიული ნაშრომი გეოპოეტიკაზე – *Le Plateau de l'Albatros* (ფრანგულ ენაზე).

ტექსტის ამ კონტექსტში განხილვა იქნება მნიშვნელოვნად საინტერესო ნაბიჯი. სწორედ ეს გახლავთ ჩემი კვლევის საგანი და ვფიქრობ, ეს ახლებური ხედვა ვეფხისგყაოსნის კვლევის ეტაპებს კიდევ უფრო საინტერესოსა და მრავალმხრივს გახდის.

სივრცის გეოპოეტიკურ გააზრებას შესაძლოა სხვადასხვა საფუძველი ჰქონდეს. გეოპოეტიკა და ზოგადად, ტექსტუალური სივრცეები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ რაღაც შინაარსები და იდეები, რაც რეალობაში ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცესთან არის დაკავშირებული, ლიტერატურულ ტექსტში შეიძლება გადატანილ იქნას სულ სხვა გეოგრაფიულ სივრცეში, ანუ გათამაშდეს სხვაგან. მაგ., ქართული ხასიათები, მეტაფორები, შინაარსები, ზოგადად, გმირები, რომლებიც ითვლება, რომ ქართული რეალობის შესაბამისია, აბსოლუტურად სხვა სივრცეში იყოს გადატანილი (მაგ., არაბეთში, ინდოეთში...). ასევე ტერმინები, მყარი მეტაფორები... რაც კონკრეტული სივრცისათვის არის დამახასიათებელი, ამავე გარემოშია გასაგები და მხოლოდ იმ ენობრივი სივრცის წარმომადგენელს ესმის.

წინამდებარე სტატიის ინტერესის სფეროა გეოპოეტიკა, როგორც ლიტერატურული ტენდენცია და სივრცე, როგორც კატეგორია. აქედან გამომდინარე კი, ვეფხისგყაოსნისეუდი სივრცე, რომელიც, ფაქტია, ავტორის მიერაა გამოგონილი. არ არის აუცილებელი, რომ ტექსტ-სივრცე თავიდან ბოლომდე გამოგონილი იყოს. მთავარია, სივრცის შინაარსი, რასთან არის ეს სივრცე დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, საინტერესოა, რა მოტივი ჰქონდა პოემაში ამა თუ იმ სივრცის გამოყენებას/სივრცის როგორც კატეგორიის არსებობას? როგორია პოემის ლიტერატურული /ტექსტუალური სივრცე და როგორ მიემართება ის რეალურს? რა გავლენას ახდენს გმირებზე სივრცე, რომლებზეც ისინი მოძრაობენ, მათ ხასიათზე?

ამ კუთხით, ვფიქრობ, ასევე საინტერესოა ვეფხისგყაოსნის მე-9 სტროფის გაანალიზება („ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავ-

თქვი“...), რაც, საინტერესოდ წარმოაჩენს მთელი პოემისეული სივრცის გაგების შესაძლო ვარიაციებს და შესაძლებლობას იძლევა პოემის ტექსტუალური სივრცეები შევისწავლოთ სივრცის თანამედროვე კონცეპტთა მიხედვით. თვალს თუ გადავავლებთ რუსთველოლოგიურ კვლევებს, აშკარად გამოიკვეთება ამ სტროფის შესაძლო კომენტარების მცდელობები: მაგ., ვახტანგ მეექვსემ პოემის პირველი ბეჭდური გამოცემის კომენტარში ამბავიც და ლექსიც რუსთველისეულად მიიჩნია, არჩილ მეფის გაბაასება თეიმუხაზისა და ხუსთველისაში ვეფხისტყაოსნის ფაბულა სპარსული წარმოშობისაა, საკუთრივ რუსთველურ მეცნიერებაში პოემის ფაბულასთან დაკავშირებით იმავე აზრს გამოთქვამდა ნიკო მარი და თავის მოსაზრებას სხვადასხვა თვალსაზრისზე დაყრდნობით ამტკიცებდა (გმირთა სახელების წარმომავლობა, პოემის რელიგიური კონცეფცია...).

შემდგომი პერიოდის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში გავრცელდა მოსაზრება, რომ ამ სტრიქონში ავტორის მიერ სიუჟეტის შენიღბვის მცდელობა იგულისხმება, რასაც არაერთი პარალელი ეძებნება მსოფლიო ლიტერატურაში [3, გვ. 63-65]. რევაზ სირაძის მითითებით კი, „ამბის სპარსულობა“ ნიშნავს ამბის გამოგონებას, თავისი ლიტერატურული ბუნებით სპარსულობას, ხოლო „ნათარგმანები“ არა ქართულ ენაზე უშუალოდ თარგმნას, არამედ ქართულად გადააზრებას [13, გვ. 193; 12]. საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, „ესე ამბავი სპარსულში“ იგულისხმება არა სპარსული წარმომავლობის ამბავი, არამედ სპარსული ეპიკის ტიპის ამბავი [5, გვ. 56-57; 14, გვ. XIII-XIV]. ამავე თვალსაზრისს ავითარებს ელგუჯა ხინთიბიძე, რომელიც თვლის, რომ სიტყვა „სპარსულში“ ზოგადი მნიშვნელობით აღმოსავლეთი იგულისხმება და რომ პოემაში მოთხრობილი ამბები ხდება აღმოსავლეთის ქვეყნებში (არაბეთში, ინდოეთში...), „ქართულად ნათარგმანები“ კი გაიაზრება, როგორც ამ ამბებში ალევგორიულად ასახული ქართული სამეფო კარის სინამდვილე, და რომ პოემის სიუჟეტი გაშლილია ქართულ რეალობასთან მიახლოებულ აღმოსავლური

ტიპის ქარგაზე [23]. ამასთან ერთად, ე. ხინთიბიძემ მიუთითა, რომ პოემაში აღმოსავლური მოარული ამბები შემოტანილია ავტორის მიერ მოაზრებულ ქართულ ფაბულურ ქარგაში. ამავე სტროფის ერთ-ერთი ტაეპიდან („ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“) სიტყვა „ვპოვეს“ საინტერესო გააზრებას გვთავაზობს ზაზა ხინთიბიძე, რომლის მიხედვითაც აღნიშნული სიტყვა, შესაძლოა, ავტორისეული ფანტაზიით შექმნას, შემოქმედებით პროცესში საკუთრივ რაღაცის მიგნებას და არა უკვე არსებული ფაბულის სხვა ლიტერატურულ თუ ხალხურ სივრცეში პოვნას გულისხმობდეს [25, გვ. 361-362].

თითოეული ეს მოსაზრება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პოემისეული მრავალფეროვანი სივრცე (რომელიც მოიცავს რეალურ, არარეალურ, ფაქტობრივ, ისტორიულად დადასტურებულ თუ გამოგონილ სივრცეებს) საინტერესოდ იქნას დანახული სივრცის თანამედროვე კონცეპტთა კონტექსტში, რამდენადაც გვთავაზობს პოემისეული ტექსტ-სივრცის გააზრების რამდენიმე შესაძლო ვარიანტს. ამასთან, მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ვეთანხმები, რუსთველოლოგთა ფართო წრეებში მიღებულ მოსაზრებას, პოემის ნებისმიერ ფაბულურ ჩარჩოში, იქნება ეს არაბეთის ამბავი თუ ინდოეთის, ავტორის მიერ ნაგულისხმებია მე-12 საუკუნის საქართველოს სამეფო კარისა და პოლიტიკის ისტორია (გიორგი III-ის მიერ თავისი ერთადერთი ასულის, თამარის გამეფება დიდებულთა თანხმობით; თამარის ორი ქორწინება და ა.შ.).

გეოპოეტიკურ კონცეპტში და კერძოდ, ავტორისეული ტექსტ-სივრცის სხვა სივრცეში გადააზრებისა და ალტერნატიული სივრცის შექმნის თვალსაზრისით, საინტერესოა ელგუჯა ხინთიბიძის ბოლოდროინდელი კვლევა, კერძოდ, მისი მიგნება, რომ შექსპირის უშუალო მემკვიდრეების – ფრანსის ბომონტისა და ჯონ ფლეთჩერის *ფიდასტეჩი* და *მეფე და ახა მეფე ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტის გადამუშავებითაა შექმნილი. ჩემთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა *მეფე და ახა მეფეში* მოქმედების განვითარების ადგილის ტოპონიმიკა. ეს არის იბერია. იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ ეს იბერია არის საქართველო და არა საისტორიო წყაროებში დადასტუ-

რებული პირენის ნახევარკუნძული, საკმარისია ყურადღება მივაქციოთ სიუჟეტის განვითარებას: იბერიის მეფე ამარცხებს თავისი მეზობელი ქვეყნის, სომხეთის მეფეს, რომელიც ტყვედ მოჰყავს იბერიის სამეფო კარზე, სადაც ვითარდება შემდგომი მოვლენები [24]. საინტერესოა, რა საფუძველი ჰქონდა ინგლისელი დრამატურგების მიერ მოქმედების ადგილად იბერიის დასახელებას: 1. გაიგეს რა პოემის ავტორის წარმომავლობის შესახებ და, აქედან გამომდინარე, სიუჟეტი გაათამამებს რუსთველის ქვეყანაში; 2. თუ მათთვის ტარიელისა და ნესტანის ამბავი (სწორედ ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის ამბის სიუჟეტურ წყაროდ გამოყენებაზე მიუთითებს ე. ხინთიბიძე) მიწოდებული იყო, როგორც ქართული ამბავი, საქართველოში/იბერიაში განვითარებული სასიყვარულო სიუჟეტი? მართალია, ამ საკითხის ძიება კვლევის სხვა მიმართულებას მოითხოვს, თუმცა ალტერნატიული სივრცის არსებობა სხვა ქვეყნის დრამატურგთა შემოქმედებაში, მაშინ, როცა რუსთველის მიერ არცერთხელ არაა მითითება ტექსტში საქართველოს/იბერიის ტოპონიმიკაზე, თავისთავად ქმნის ამ საკითხისადმი ინტერესის საფუძველს და ამყარებს არგუმენტს რუსთველის მიერ ტექსტში გადატანილი საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების შესახებ.

გეოპოეტიკის თვალსაზრისით, საინტერესო იქნება ვეფხისტყაოსნის სივრცის რამდენიმე სიბრტყედ დაყოფა/გააზრება: რეალური, ირეალური, გამოგონილი (რომლებიც თავის თავში მოიცავენ სახმელეთო, საზღვაო, ომისა და ა.შ. სიუჟეტისთვის აუცილებლად მნიშვნელოვან სივრცეთა ერთობლიობას), რომელიც ისტორიულადაც არ დასტურდება. ესაა ე. წ. ფიქტიური სივრცე, რომელიც შეიძლება ტოპონიმურ დონეზე არ არსებობს ან არ არსებობდა, თუმცა შესაძლებელია, იქ განხორციელებული ქმედებებითა და უშუალოდ ამ ადგილებისათვის დამახასიათებელი გარემოებებით, რომელიმე რეალური სივრცის პროტოტიპს წარმოადგენდეს.

გამოთქმული თვალსაზრისების მიხედვით, ვეფხისტყაოსნის სივრცის გეოგრაფიული სივრცის განხილვასთან დაკავში-

რებული მოსაზრებები შესაძლებელია სამ ჯგუფად დაიყოს: 1. პოემისეული სივრცეები სიმბოლურად აღნიშნავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონს (მაგ., ინდოეთი არის აღმოსავლეთი, არაბეთი დასავლეთი, მულაზანზარი ზღვისპირა ქალაქი ან რომელიმე საპორტო ქალაქი და ა. შ.); 2. ტექსტუალური სივრცე მთლიანად არარეალურია, მისტიურია და ყველაფერი ავტორის მიერაა გამოგონილი; 3. პოემაში წარმოდგენილი ყველა სივრცე რეალურად არსებულია, გულისხმობს რეალურ გეოგრაფიულ გარემოს, რომლის დაზუსტებაც სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებითა და რუკების გამოყენებითაა შესაძლებელი. თითოეულ თეორიას თავისი დამცველი და გამავრცელებელი ჰყავს. ამ ეტაპზე ჩემთვის რაც მნიშვნელოვანია, ესაა პოემის მხატვრული/ტექსტუალური და რეალური სივრცეების ურთიერთმიმართება; ამ სივრცეთა გავლენა პროტაგონისტთა ხასიათებსა და ქცევებზე; სივრცე-ტექსტების გააზრება თანამედროვე ლიტერატურული კონცეპტების დონეზე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ზემოთ ჩამოთვლილ დაჯგუფებებს თამამად შეგვიძლია დავამატოთ კიდევ ერთი პუნქტი, რომელშიც გაერთიანდება რეალურ-ისტორიული და პოემისეული სივრცეები. კვლევის პროცესში კი ეს სივრცეები შეისწავლება როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთმანეთთან მიმართებით: როგორი იყო რუსთველის პერიოდში საქართველოს, როგორც ისტორიულად არსებული სახელმწიფოს სივრცული სქემა და როგორია ავტორისეული გარემო, ანუ რა მიმართება არსებობს რეალურსა და ტექსტუალურ სივრცეებს შორის. ტექსტუალური სივრცეები თავის თავში მოიცავს როგორც რეალურ, ასევე გამოგონილ, ფიქტიურ სივრცეებს, რომელთა არსებობა ისტორიულად არ დასტურდება, თუმცა, შესაძლოა, პროტოტიპულად ასახავდეს რომელიმე რეალურად არსებულ სივრცეს.

ვფიქრობ, წარმოდგენილი კონცეპტის დისკურსში პოემის გააზრება მნიშვნელოვანია არა მარტო რუსთველოლოგიისათვის, არამედ, ზოგადად, ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის, თანამედროვე მსოფლიოში ვეფხისტყა-

ოსნის საერთაშორისო ლიტერატურათმცოდნეობით დისკურსში უფრო აქტიურად დასამკვიდრებლად.

ბიბლიოგრაფია

1. Al-iraqir, Al-iraqir, „*Bakhtin and Shakespeare*“:
https://www.academia.edu/17667038/Bakhtin_and_Shakespeare
2. Augé M., *Non-Places: An Introduction to Supermodernity*, (English, translator John Howe), 2009.
3. ბარამიძე ა., *შოთა ხუსთველი*, თსუ გამომცემლობა, თბ. 1975.
4. Bakhtin M. M., *Forms of time and of the chronotope in the novel*, 1981.
5. Bowra C.M., *Inspiration and Poetry*, London 1955.
6. ელბაქიძე მ., „ვეფხისტყაოსნის ქრონოტოპი ლიმინალობის თეორიის კონტექსტში“, *კადმოსი*, #2, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ. 2010, გვ. 40-47.
7. Klass T., „Heterotopie“. In C. Kammler, R. Parr., J. Schneider & E. Reinhardt-Becker (Hrsg.): *Foucault Handbuch. Leben-Werk-Wirkung*. Stuttgart 2008. (ფუკოს გზამკვლევი. ცხოვრება-ნაწარმოებები-გავლენა).
8. Klass T., „Heterotopie“: *Stephan Günzel* (ed.): *Lexikon der Raumphilosophie*. Darmstadt 2012. (სივრცის ფილოსოფიის ლექსიკონი).
9. Miller H. J., *TOPOGRAPHIES*, Stanford University Press, California 1995.
10. მჟავია ლანა, *გეოგრაფიული ტოპოგრაფია* (სადისერტაციო ნაშრომი), ფრაიბურგი 2017.
11. რატიანი ი., *ქრონოტოპი ანტიუტოპიის ხომანში: ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტეგრაციისათვის*, თსუ გამომცემლობა, თბ. 2005.
12. სირაძე რ., სახისმეტყველება, „ნაკადული“, თბ. 1982.
13. სირაძე რ., *ძველი ქართული თეოლოგიური-ლიტერატურული აზროვნების საკითხები*, თსუ გამომცემლობა, თბ. 1975.
14. Stevenson R.H., *Introduction: Shota Rustaveli, The Lord of the Panther-skin* (Translated by R.H Stevenson), State University of New York Press Albany, 1977.
15. Ternovaya L., „The link between Shakespeare’s geopoetics and geopolitics“ // *Public Administration*, , №6 (104), 2016.
16. White K., *Geopoetics: Place, Culture, World*, 2004.
17. White K., „Elements of Geopoetics“, and „Open World Poetics“, by Norman Bissell, *Edinburgh Review*, 88, 1992.

18. White K.: [//www.institut-geopoetique.org/en/founding-texts/133-the-great-field-of-geopoetics](http://www.institut-geopoetique.org/en/founding-texts/133-the-great-field-of-geopoetics)
19. White K., Bissell N., "Elements of Geopoetics", and "Open World Poetics", *Edinburgh Review*, 88, 1992.
20. Foucault M., "Of Other Spaces: Utopias and Heterotopias", translated from *Architecture, Mouvement, Continuité* no. 5, 1984.
21. Schellenberger-Diederich E., *Geopoetik: Studien zur Metaphorik des Gestein in der Lyrik von Hölderlin bis Celan*, Aisthesis Verlag, 2006.
22. შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით), „მეცნიერება“, თბ. 1966.
23. ხინთიბიძე ე., *თანამედროვე ხუსთველოლოგიური კვლევებით კომენტარული ვეფხისტყაოსანი* (ელექტრონული გამოცემა), თბ. 2018.
https://www.academia.edu/39977248/თანამედროვე_რუსთველოლოგიური_კვლევებით_კომენტარული_ვეფხისტყაოსანი.
24. Khintibidze E., *Rustaveli's The Man in the Panther Skin and European Literature*, Bennett&Bloom. London 2011.
25. ხინთიბიძე ზ., „ვეფხისტყაოსნის ფაბულასა და სიუჟეტთან დაკავშირებული სტროფების ახლებური გააზრებისათვის: „სპარსული“ თუ „ნაპოვნი“: *მეშვიდე საეხთაშოხისო ქახთველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები*, თბ. 2016.
26. Hassan I., *The postmodern turn: essays in postmodern theory and culture*, Ohio State University Press, 1987.

The Concept of Geopoetics and the Text-Space of *the Man in the Panther's Skin*

Tamta Grigolia

PhD Student, TSU

Abstract: Reflections on space as a category have been widely discussed in Western thought since the 1960s. This direction is often referred to as the “spatial turn (rotation)”, which incorporates many space-related considerations. Space is the main way in which the text is formed; it defines its contextual dimension, characters, metaphors and so on.

One of the modern concepts of exploring space in Humanities-Geopoetics- explores the impact of culture and, above all, creative processes regarding the structuring of the human world. The idea and concept of Geopoetics belongs to the Scottish philosopher Kenneth White. According to White, Geopoetics starts when we allow something to happen. Geopolitics addresses real space. Its area of interest includes power relations between global cities and States. Geopoetics is a deeper and more radical initiative. To be more precise, Geopoetics is the “rewriting” of the real space. The text may include irreal space or real space, but with barcodes that are not specific to that particular place and processed faces that are no longer identical to the real ones. Therefore, the text can be considered as an alternative map of the world. One of the manifestations of Geopoetics is the cultural self-assertion of the territories, sometimes referred to as “Geopoiesis”.

This can be expressed by locating cities, capitals in the places desired by the author; thus the writer creates the so-called textual spaces, or rather space-texts.

I believe that analysing the space of *The Man in the Panther's Skin*, in particular, exploring the significance of the spaces in different contexts and the role they play in terms of creating the whole plot of the poem will be significant not only for Rustvelology, but also for Georgian literary studies and will incorporate MPS more actively into the discourse of international literary studies in the modern world.

Key words: *Geopoetics, Kenneth White, the Modern Theories of Space, Text-space, "The Man in the Panther's Skin".*

Reflections on space as a category have been discussed in Western thought since the 1960s. This applies to the philosophies of literary studies and cultural studies. Space is frequently presented as the main category concerning the analysis of the literary text whereas, compared to it, the primacy of time as a category, relocates in the background. Therefore, the place where the plot of the text develops is more significantly emphasised compared to the cases when it does develop. This is often referred to as the "spatial turn (rotation)".

In humanities, the term "turn" refers to the research according to a particular category. In the case of the "spatial turn", it is the space (the so-called "spatial rotation"), which incorporates many space-related considerations. Space is the main way in which the text is formed - it defines its contextual parameters, characters, metaphors, so on.

The development of the spatial theory in this regard is one of the modern methods in the history of text research, which, I think, will be interesting concerning *the Man in the Panther's Skin*, because the space of the poem is quite colourful, multifunctional and versatile. In confirmation of this, we can consider the second

line of the first stanza of the poem: „...to us men He has given the world, infinite in variety we possess it“ (W. 1). According to Rustavelogian thought, "the world" is the multi-coloured land created for humans [8, p. 27].*

“A multi-coloured world” can be perceived as a combination of diverse, heterogeneous spaces, allowing us to study the spaces of the epic in the connection with the modern concepts of space.

Many kinds of research and papers have been written about the modern theories of space. The Shota Rustaveli Institute of Georgian Literature is also working on this issue. In Georgian literary studies, Professor Irma Ratiani is credited with the first attempt to compare the liminality theory with the eschatological anti-utopia model [15], whereas Professor Maka Elbakidze has applied the above-mentioned theory to Rustaveli's *The Man in the Panther's Skin* [6, pp. 25-40], which is an attempt to incorporate the liminality theory as one of the modern approaches within the study of Rustaveli's poem and, at the same time, to connect this methodological concept with the late medieval literary text. In this paper, space and time are discussed as liminal phenomena, and the characters' actions (“stampede”, madness etc.) are connected with the liminal model of the chronotope.

Modern Western studies are often written in a pluralistic approach; in other words, they are not based on a particular theory but the researchers prefer the diversity of theories. The boundaries between sciences are also erased; for example, we can name the French philosopher and literary critic Michel Foucault, who borrowed the term "heterotopia" from medicine. In medicine, this term describes the appearance of a cell in an unexpected place. Foucault employs the term "heterotopia" in the preface to his book *The Order of Things*. According to him, heterotopia is a discourse type which disrupts the ruling order of discourse. In 1976, in his radio report named as “Heterotopias” (published in 1984 under the title *About Other Spaces*), heterotopia was classed

* Translated by Marjory Scott Wardrop (1912).

as utopia realised in reality. In other words, the utopian spaces embodied in reality, which as opposed to traditional, everyday spaces existing in a particular culture. According to Foucault, theatres, cinemas, museums, libraries, etc. are considered to be heterotopic spaces. In such spaces, content and subjects that are incompatible in the traditional sense, are gathered in one place and also, different times (past, present, future) coexist as the traditional perception of time is violated. Foucault's concept of "heterotopia" was used in various fields of thought and was widely pervaded in literary studies [11; 12].

In modern humanities, researchers often explore ancient texts using modern methods of text analysis, including the concept of geopoetics. For example, Lyudmila Ternovaya's work *The link between Shakespeare's Geopoetics and Geopolitics* [15, 98-101], discusses Shakespeare's work according to Bakhtin's theories. Dr. Hussein Aldoory points out that Shakespeare's universality allows us to study his work in the context of modern theories [1]. The texts that, at first glance, have no connection with the modernity, are studied within the context of geopolitics. For example, the modern German scholar Erika Schellenberger-Diederich discusses the works of German writers and poets (Hölderlin, Novalis, E. T. A. Hoffmann, Droste-Hülshoff, Mörike, Stifter, Rilke, Bachmann, Celan) in this respect [18].

Therefore, I think it will be interesting to analyse the space of *The Man in the Panther's Skin* according to the modern concepts of space. In particular, to explore the significance of space in different contexts and the role they play in terms of creating the whole plot of the poem.

One of the modern concepts of exploring space in Humanities – Geopoetics – researches the impact of culture and, above all, creative processes on the structuring of the human world. The idea and concept of Geopoetics belongs to the Scottish philosopher Kenneth White. He is also a poet, writer and researcher. According to White, Geopoetics starts when we allow something to happen. Geopolitics addresses real space. The area

of its interest includes power relations between the global scale cities and States. Geopoetics is a deeper and more radical initiative. Its area of interest is not a territorial power between States, but the existence of a human being in the universe, the relationship between humans and the celestial/stellar world, and also the problem of existence on the Earth. In other words, the world and the Universe are interconnected in Geopoetics.

According to White (I rely on White's approach to Geopoetics), Geopoetics can be called a theory, which means that the author wants to give a systemic character to his idea. Beyond all the religious, ideological, moral, psychological differences that exist and sometimes create havoc in our world, there is one thing (and it can only be the Earth, this strange and beautiful planet, apparently unique in the galaxy [25]. (I believe the words from *MPS* "...to us men He has given the world," are very close to the main idea of Geopolitics in this context, hence, the "world" in the poem is the Earth as an idea that unites all people from different spaces.)

As for the term "Poetics", White does not use it in its traditional sense, but as a "poetic intellect" (*nous poietikos*), which can also be found in the writings of Aristotle. "Poetics" for him is a fundamental dynamic of thought. Therefore, there exists the Poetics of literature, philosophy, science, and politics. Geopoetics, and hence any consequential geopoetician, exists in an enormous time - space [25]. In his book *Le Plateau de l'Albatros** (*The flatness of the albatross*), White drew up a complete map of Geopoetics from three points of view: philosophical, scientific and poetic. In the mentioned work, the researcher names the proto-geopoeticians such as Humboldt, Thoreau (Henry David Thoreau - 19th century American essayist, poet, philosopher) or Segalen (Victor Segalen - 19th-20th century French military physician, ethnographer, writer, literary critic, etc.) not only to demonstrate how

* White's theoretical work on geopoetics - *Le Plateau de l'Albatros* (in French language).

deeply the thought is related to life, but also to show that the idea of Geopoetics was hidden in certain minds across time and space. The researcher points out that interpretations and analyses of the above-mentioned authors go beyond erudition and history; they open up the Geography of the mind, which implies understanding the world in the context of the author's imagination [25].

In order to maintain the perspective of the idea of Geopoetics and to promote multicultural and transdisciplinary research, Kenneth White established the International Institute of Geopoetics in 1989.

Geopoetics is the "rewriting" of the real space. The text may include either unreal space or real space, but with barcodes that are not specific to that particular place, processed faces that are no longer identical to the real. The text can be considered as an alternative map of the world, in this case. One of the manifestations of Geopoetics is the cultural self-assertion of the territories, sometimes referred to as "Geopoiesis". This can be expressed by placing the cities, capitals in the locations desired by the author, that is, the writer creates the so-called textual spaces, space-texts. I think discussing the text of the *MPS* in this context would be a significantly interesting step and it would make the researching stages of the poem even more interesting and versatile.

The Geopoetical understanding of space may have different grounds. Geopoetics and textual spaces, in general, are interesting due to the fact that some of the content and ideas related to one particular geographical space can be transferred to a completely different geographical space in a literary text, or they can develop elsewhere; for example, Georgian characters, metaphors, contents that are considered to be relevant to the Georgian reality, as well as terms, frequently used metaphors etc. which are characteristic of a particular space, are easily decoded in the same environment and by the representatives of that linguistic space, may be transferred to a completely different space (eg, in Arabia, India ...).

The field of interest of this article is Geopoetics as a literary trend and space as a category, and therefore the space of the *MPS* which, in fact, was invented by the author. It is not necessary for the text-space to be entirely invented, the content of the space and what this space is related to are most significant. In this regard, it would be interesting to explore the motive for utilizing a specific space in the poem, the existence of space as a category. As well as this, it is interesting to study the literary/textual space of the poem and the way it refers to the real one. What effect does space, in which the characters move, have on the characters of the epic.

In this regard, I think it is also interesting to analyse the 9th stanza of the *MPS* ("This Persian tale, now done into Georgian...now I have found it and mounted it in a setting of verse..." (W. 16), which presents possible variations in the understanding of the whole poetic space in an interesting way and allows studying the textual spaces of the poem according to the modern concepts of space. If we take a look at Rustvelian studies, there are obvious attempts to comment on this stanza, for example, in his commentary on the first printed edition of the epic, Vakhtang VI considered both the story and the poem to be Rustvelian. The plot of the *MPS* is considered to be of Persian origin in Archil's poem *Conversation between Teimuraz and Rustveli*. Nikolai Marr expressed the same opinion about the plot of the epic in Rustvelian studies and argued that it was based on different points of view (the origin of the names of the characters, the religious concept of the poem...).

In the later period, in Rustvelian literature there existed an opinion that this line refers to the author's attempt to disguise the location of the action and many parallels of this can be found in the world literature [4, 63-65]. According to Revaz Siradze, "Persianness of the story" means inventing the story and its being Persian, concerning its literary nature, while "being translated" implies rethinking the plot in Georgian and not a direct translation into Georgian [20, 193; 19]. According to the point of view popular

in foreign Kartvelology, the „Persian tale“ does not denote a story of the Persian origin, but a Persian epic- type story [5, 56-57; 21, XIII-XIV]. The same point of view is developed by Professor Elguja Khintibidze, who considers that the word "Persian" means East in its general sense and the action of the plot of the epic was developed in Oriental countries (Arabia, India ...), while "Georgian translations" is understood as the reality of the Georgian court allegorically reflected in the narrative of *MPS* and the plot of the poem unfolds through the framework of the Oriental type [8]. Herewith, E. Khintibidze pointed out that the Oriental, "wandering" stories are included by the author in the Georgian fable framework. Zaza Khintibidze offers an interesting understanding of the word "I have found" from one of the verses of the same stanza ("... I have found it and mounted it in a setting of verse"). According to the author, the above-mentioned word may mean creating by the author's imagination, finding something in the creative process and not discovering an already existing storyline in other literary or folk spaces.

Each of these views provides an opportunity to consider the diversified space of the poem (which includes real, unreal, factual, historically proven, or fictional spaces as well) to be interestingly considered in the context of modern concepts of space, as it offers several possible options for understanding poetic text-space. Moreover, I would like to mention here that I agree with the opinion accepted by a wide circle of Rustvelologists, according to which the plot frameworks of the poem, an Arabian story and the story of India, are based on the history of the Georgian royal court and policy of the XII century (The only daughter's, Tamar's enthronement by the Georgian king George III following the consent of the nobles; Tamar's two marriages, etc.).

In terms of rethinking the authorial text-space into another space and creating an alternative space, Elguja Khintibidze's recent research seems quite interesting; in particular, his discovery that *MPS* is the source of the plots of two plays by Shakespeare's junior contemporaries Francis Beaumont and John Fletcher – A

King and No King and *Philaster*. In this case, I am interested in the toponym where the setting the plot of *A King and No King* develops. This is Iberia. To confirm the fact that this Iberia is Georgia and not the Pyrenees Peninsula confirmed in historical sources, it is enough to pay attention to the development of the story: after a brilliant victory over Armenia, the king of Iberia brings the defeated king with him and returns to Iberia court, where the further events unfold. I wonder what was the basis for naming Iberia as a place of action by English playwrights: 1. They must have learned about the origin of the author of the poem and, therefore, the story was played in the country of Rustaveli; 2. The story of Tariel and Nestan (the love story of Tariel and Nestan is pointed out as a plot source by E. Khintibidze) was provided to them as a Georgian story, a love story developed in Georgia/Iberia?

The exploration of this issue requires a different direction of research. However, the existence of an alternative space in the work of foreign playwrights, while Rustaveli never mentions the toponymic of Georgia/Iberia in the text, creates a basis for specific interest concerning this issue and strengthens the argument about the political situation in Georgia at that time described by Rustaveli in *MPS*.

From the point of view of Geopoetics, it will be interesting to divide the space of *MPS* into several sections: real, unreal, fictional (which includes a combination of vital and significant spaces for the development of the plot, such as mainland, sea, war, etc.), which did not (or do not) exist historically. In other words, this is the so-called fictitious space, that may or may not have existed on a toponymic level, but may be considered as a prototype of any real space concerning both the actions performed and the specific environment.

Generally, the opinions related to the consideration of the geographical space of *MPS* can be divided into three groups: 1. Poetic spaces symbolically refer to different regions of Georgia (eg, India is East, Arabia is West, Mulghazanzar is a seaside city or any

port city, etc.); 2. The textual space is completely unreal, mystical and everything is invented by the author; 3. All the spaces presented in the poem exist, implying a real geographical environment, which can be specified by taking into account different circumstances and maps. Each theory has its defenders and propagators, even though, for me it is significant to relate the artistic/textual and real spaces of the poem, as well as the influence of these spaces to the characters and behaviours of the protagonists, understanding the space-texts on the level of modern literary concepts.

Therefore, I believe we can add another point to the above-mentioned groups, which might unite real, historical and poetic spaces. Within the research, these spaces will be studied separately and, also, with respect to each other. Specifically, attention will be paid to the following issues: what was the spatial scheme of Georgia as a historically existing state during the Rustaveli period and what kind authorial environment is presented. In other words, it is interesting to explore the relationship between real and textual spaces. Textual spaces include both real and imaginary, fictitious spaces, the existence of which is not historically proven, although they may prototypically represent any existing, real space.

I think that understanding the poem within the discourse of the presented concept is significant not only for Rustvelology but also for Georgian literary to integrate MPS more actively into the discourse of international literary studies in the modern world.

Bibliography

1. Al-iraqir, Al-iraqiR., "*Bahktin and Shakespeare*": https://www.academia.edu/17667038/Bahktin_and_Shakespeare2
2. Augé M., *Non-Places: An Introduction to Supermodernity*, (English, translator John Hove), 2009.
3. Bakhtin M. M., *Forms of time and of the chronotope in the novel*, 1981
4. Baramidze A., *Shota Rustveli*, Tbilisi State University Publishing House, 1975.

5. Bowra C. M., *Inspiration and Poetry*, London 1955.
6. Elbakidze M., *The Chronotope of Shota Rustaveli's Romance "The Knight in the Panther's Skin" in the Context of Theory of Liminality*. "KADMOS", #2, "Ilia State University Press" 2010.
7. Foucault M., "Of Other Spaces: Utopias and Heterotopias", translated from *Architecture, Mouvement, Continuité* no. 5, 1984.
8. Khintibidze E., *"The Man in the Panther Skin" with commentaries based on modern Rustaveli Studies* (electronic edition), Tb., 2018.
9. https://www.academia.edu/39977248/თანამედროვე_რუსთველოლოგიური_კვლევებით_კომენტირებული_ვეფხისტყაოსანი
10. Khintibidze E., *Rustaveli's "The Man in the Panther Skin" and European Literature*, Bennett&Bloom. London 2011.
11. Khintibidze Z., Towards a Novel Interpretation of Stanzas from the Prologue to "The Man in the Panther Skin" Dealing with the Story and Plot: "Persian" or "Found"? *Proceedings of the Seventh International Symposium on Kartvelian Studies*, Tb. 2016.
12. Klass T., „Heterotopie“, in: ClemensKammleretal. (eds.): *Foucault Handbuch. Leben-Werk-Wirkung*. Stuttgart 2008.
13. Klass T., „Heterotopie“: Stephan Günzel (ed.): *Lexikon der Raumphilosophie*. Darmstadt 2012.
14. Miller H. J., *TOPOGRAPHIES*, Stanford University Press, California 1995.
15. Mzhavia Lana, *Textheterotopien* (thesis), Freiburg 2017.
16. Ratiani I., *Chronotope in the Anti-utopian Fiction. Interpretation of an Eschatological Anti-utopia*, "TSU Press", 2005.
17. Rustaveli S., *The Knight in the Panther's Skin* (translated by Marjory Wardrop), 1912.
18. Rustaveli S., *The Man in the Panther Skin*. Text and Versions, (Ed. by A. Shanidze and A. Baramidze), "Metsniereba", Tb. 1966.
19. Schellenberger-DiederichE., *Geopoetik: Studien zur Metaphorik des Gestein in der Lyrik von Hölderlin bis Celan*, Aisthesis Verlag, 2006.
20. Siradze R., *Sakhismetkveleba*, "Nakaduli", Tb. 1982 / სირაძე რ., სახისმეტყველება, „ნაკადული“, თბ. 1982.
21. Siradze R., *The Issues of Old Georgian Theoretical and Literary Thinking*, TSU Publishing House, Tb. 1975 // სირაძე რ., ძველი ქართული თეორიულ-დიგეზაგუხული აზროვნების საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბ. 1975.
22. Stevenson R. H., *Introduction: Shota Rustaveli, The Lord of the Panther-skin* (Translated by R.H Stevenson), State University of New York Press Albany, 1977.

23. Ternovaya L., "The link between Shakespeare's geopoetics and geopolitics" // Public Administration, 2016, №6 (104).
24. White K., *Geopoetics: Place, Culture, World*, 2004.
25. White K., "Elements of Geopoetics", and "Open World Poetics", by Norman Bissell, *Edinburgh Review*, 88, 1992.
26. White K.: //www.institut-geopoetique.org/en/founding-texts/133-the-great-field-of-geopoetics
27. White K., Bissell N., "Elements of Geopoetics", and "Open World Poetics", *Edinburgh Review*, 88, 1992.
28. Hassan I., *The postmodern turn: essays in postmodern theory and culture*, Ohio State University Press, 1987.

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

ქართული ჰაგიოგრაფიის ჟანრული შედგენილობა და პარადიგმული სისტემა

ნინო პოპიაშვილი

*ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ჰუმანიტაზულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი*

რეზიუმე: ქართული მწერლობა მრავალსაუკუნოვან ტრადიციას ქმნის, რომელსაც წინ უძღვის ფოლკლორული და მითოსური აზროვნება და მსოფლმხედველობა. იმ დროისათვის, რომელი პერიოდიდანაც ქართული ლიტერატურული ძეგლები მოგვეპოვება, ქართული ენა უკვე ჩამოყალიბებული სამწერლო ენაა, რომელშიც სრულფასოვნად აისახება მხატვრული სახეები, ლიტერატურული არქეტიპები და მოდელები.

ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უშუალო კავშირშია ქართული ლიტერატურის განვითარებასთან. ის ფაქტი, რომ უძველესი ქართული ლიტერატურის ძეგლები უკვე ამჟღავნებს ენობრივი და ლიტერატურული ნორმების სტრუქტურულობას, მიანიშნებს, რომ ქართული მნიგნობრული ენა უძველეს ხანაში ფორმირდებოდა.

ქართული ლიტერატურის პირველი ტექსტები დასრულებული ლიტერატურული ნაწარმოებებია, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი სტრუქტურა, ასახვის თავისებურებები, მოდელები და პარადიგმები, რაც ჰაგიოგრაფიული დარგის ძირითად პრინციპებს იცავს და ასახავს. ჰაგიოგრაფიული მოდელის კვლევისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც მოდელები, ისე მწერლის ენა სტანდარტიზებული და ნორმირებულია, რადგან დადგენილი და ნორმირებულია როგორც სიუჟეტური განვითარება, ისე – ენობ-

რივი გამომსახველობა. მასში კონკრეტული ფორმულირებებით, სტერეოტიპებად ქცეული ენობრივი კლიშეებით ვითარდება თხზულების სიუჟეტური ხაზი და ასევე იკვეთება მთავარი გმირის სახე.

ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის მოდელზე მსჯელობისას ძირითადად გამოიყენებოდა ორგვარი დეფინიცია: „მარტვილოლოგია“, ანუ „წამებანი“ და „წმინდანთა ცხოვრება“, ანუ „ცხოვრებანი“. თუმცა, ქართული ჰაგიოგრაფიის მოდელის კვლევისას მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ეთნიკური, რელიგიური და გენდერული საკითხების განხილვაც. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც „ცხოვრებანის“, ისე „წამებანის“ მთავარი გმირები ეთნიკურად ქართველებიც არიან და უცხოელებიც. მაგალითად, ქართველები არიან ილარიონ ქართველი, გრიგოლ ხანძთელი, იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები, გიორგი მანძინდელი და სხვ. ხოლო უცხოელებს შორის შეიძლება დავასახელოთ წმინდა ნინო, ევსტათი მცხეთელი, ცამეტი ასურელი მამა, აბო თბილელი და სხვ.

გენდერული ნიშნით დაჯგუფების შემთხვევაში, ქართული ჰაგიოგრაფიაში, როგორც „ცხოვრებათა“, ისე „წამებათა“ ჟანრებში, აღწერილია ქალ და მამაკაც წმინდანთა ცხოვრება და მარტვილობა. ამასთან, გენდერული და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ ქართული ჰაგიოგრაფიის როგორც „ცხოვრებათა“, ისე „წამებათა“ ჟანრებზე.

მარტვილოლოგიურ ჟანრში შესაძლებელია მსჯელობა გმირის ეთნიკური კუთვნილებაზე, ასევე, კონფესიურ საკითხზე, კერძოდ, დაბადებით ქრისტიანებზე და ახლადმონათლულ გმირებზე. ასევე, შესაძლებელია დაჯგუფება როგორც ჟანრობრივი და თემატური პარადიგმების გათვალისწინებით (როგორებიცაა „ცხოვრებანი“ და „წამებანი“), ასევე ეთნიკური, რელიგიურ-კონფესიური და გენდერული ასპექტების მიხედვით.

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ჟანრობრივი და თემატური შედგენილობა იცნობს როგორც ზოგადჰაგიოგრაფიულ, ისე ეროვნულ თემებსა და მოტივებს. ქართულ ჰაგიოგრაფიაზე დაკვირება გვაჩვენებს, რომ იგი, როგორც ჩვენამდე მოღწეული ქართული ლიტერატურის დასაწყისი, ასახავს ფოლკლორული და მითოსური მსოფლმხედველობის თავისებურებებს, ასევე, ენობ-

რივი ნორმების განვითარებასა და სტანდარტიზაციას, ამასთან ერთად, ქართულ ჰაგიოგრაფიაში ასახულია აღმოსავლეთ და ბიზანტიურ ადრექრისტიანულ ლიტერატურასთან ურთიერთობის გამოცდილება, ჰაგიოგრაფიული პარადიგმული სისტემის ზოგადქრისტიანული და ნაციონალური მოდელები. მათ შორის, უცხოელთა პროზელიტიზმის ასახვის თავისებურებები, რომელიც ქმნის ჰაგიოგრაფიის არსებულ მოდელში ნაციონალურ თავისებურებას და ემყარება სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ქართული ჰაგიოგრაფია, ჰაგიოგრაფიის ჟანრული შედგენილობა, ჰაგიოგრაფიის პაჩაღიმები

ქართული მწერლობა მრავალსაუკუნოვან ტრადიციას ქმნის, რომელსაც წინ ფოლკლორული და მითოსური აზროვნება და მსოფლმხედველობა უძღვის. უძველეს მითოსურ კულტურას განაპირობებდა წარმართული პანთეონის სისტემა, რომელიც ანტიკური პერიოდის ქართულ ისტორიასა და ფოლკლორში დასტურდება: მზისა და მთვარის ღვთაებები, ცეცხლის ღმერთი, მიჯაჭვული გმირი, ფიზიკურად ძლიერი გმირის ესთეტიკა, ქალი-ღვთაებები და სხვ. მითოსური შრეები და აზროვნების წესი როგორც მრავალფეროვან ქართულ ფოლკლორში, ისე ქართულ ლიტერატურაში და არა მხოლოდ ქრისტიანული, არამედ ქრისტიანულის მომდევნო პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, მრავალგან ვლინდება. ლიტერატურული ტრადიციები და ლიტერატურული ენა ხშირად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ზეპირსიტყვიერების სახით არსებობს [7, გვ. 200-201]. უძველესი ქართული თხზულებები ამჟღავნებს მხატვრული ტექსტის ფორმის, შინაარსისა და ენობრივი გამომსახველობის მთლიანობას. „პირველივე ქართული წერილობითი ძეგლები ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან მკაცრად სტანდარტიზებულ ენაზეა შექმნილი. სტანდარტიზაცია დამახასიათებელია როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში შექმნილ წერილობითი ძეგლებისთვის“ [6, გვ. 63]. იმ დროისათვის, რომელი პერიოდიდანაც ქართული ლიტერატურული ძეგლები მოგვეპოვება, ქართული ენა

უკვე ჩამოყალიბებული სამწერლო ენაა, რომელშიც სრულფასოვნად აისახება მხატვრული სახეები, ლიტერატურული არქეტიპები და მოდელები.

ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უშუალო კავშირშია ქართული ლიტერატურის განვითარებასთან. ის ფაქტი, რომ უძველესი ქართული ლიტერატურის ძეგლები უკვე ამჟღავნებს ენობრივი და ლიტერატურული ნორმების სტრუქტურულობას, მიანიშნებს, რომ ქართული მნიგნობრული ენა უძველეს ხანაში ფორმირდებოდა. „ქართული მნიგნობრობა თავიდანვე, უძველეს ნაშთებში, წინ გვიშლის განვითარებულს სალიტერატურო ენას. ცხადია, საეკლესიო მნიგნობრობას არ შეუქმნია იგი. სალიტერატურო ქართული ენა ქრისტიანობამდის ადრე გადამუშავებული უნდა ყოფილიყო და ქრისტიანულ მნიგნობრობას იგი მხოლოდ თავისთვის საინტერესო ნაწილში განუვითარებია“ (ნ. მარი) [11].

ქართული ლიტერატურის მაღალი განვითარება შესაძლოა ქართული ენის საერთაშორისო ენებთან ღრმა კავშირის შედეგი იყოს [8]. ლიტერატურის ისტორიის ევროპულ კვლევებში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აღნიშნავდნენ, რომ ქართულ ლიტერატურას მჭიდრო კავშირი ჰქონდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ლიტერატურებთან, მათ შორის, უძველეს პერიოდსა და ადრეულ შუასაუკუნეებში, ბერძნულ ლიტერატურასთან. 1859 წელს გერმანიაში გამოქვეყნებული უნივერსალური ლექსიკონში აღნიშნულია: „ქართული ლიტერატურა საკმაოდ მდიდარია, თუმცა მის განვითარებაში მრავალი გავლენა შეიმჩნევა ბიზანტიური, ბერძნული, შემდეგ კი სომხური, სპარსული, ისევე როგორც ახალი დროის დასავლეთის ლიტერატურისა. მეცნიერება და პოეტური ხელოვნება საქართველოში ძალზედ თავყვანცემულია, ისევე, როგორც ბიზანტიურ სათავადოებში, ქართველ თავადთა და აზნაურთა შორის საპატიოდ ითვლებოდა ლიტერატურული საქმიანობა“ [3, გვ. 209-210].

ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობები მრავალ ასპექტში გამოიხატებოდა: როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ, სოციალურ და, ბუნებრივია, ლიტერატურულ კავშირებში.

„ბიზანტიურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართული ლიტერატურა და კულტურა V საუკუნიდან დაწყებული ბიზანტიის იმპერიის დამხობამდე ვითარდებოდა დიდ ბიზანტიურ მწერლობასთან მჭიდრო კონტაქტში. ბერძნული ენიდან ქართულზე ინტენსიურად ითარგმნებოდა ბიზანტიური ლიტერატურის საუკეთესო ნაწილი“ [15, გვ. 7]. აღნიშნული ურთიერთობები აისახა ჰაგიოგრაფიაზეც, როგორც მყარი სტრუქტურისა და მოდელის ლიტერატურაზე, რომლის ტრანსლირება, თარგმნა, მათ შორის, სიტყვასიტყვითი, ან თავისუფალი თარგმნა, რედაქტირება, შემოკლება და განვრცობა არ არღვევდა ჰაგიოგრაფიულ ნორმებს, რადგან ჰაგიოგრაფიული ჟანრის მოდელები უცვლელად გადადიოდა ენიდან ენაში, მოკლე რედაქციიდან ვრცელ რედაქციაში და პირიქით. ლიტერატურული ურთიერთობების ამგვარი მაგალითები მრავლად მოიპოვება ქართულ-ბერძნულ ჰაგიოგრაფიაში, მათ შორის, თარგმანების ნაწილში, რომელთა ორიგინალები დაკარგულია და მხოლოდ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაშია შემორჩენილი.


ქართული ლიტერატურის პირველი ტექსტები დასრულებული ლიტერატურული ნაწარმოებებია, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი სტრუქტურა, ასახვის თავისებურებები, მოდელები და პარადიგმები, რაც ჰაგიოგრაფიული დარგის ძირითად პრინციპებს იცავს და ასახავს. ჰაგიოგრაფიული მოდელის კვლევისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰაგიოგრაფიაში როგორც მოდელები, ისე მწერლის ენა არის სტანდარტიზებული და ნორმირებული, რადგან დადგენილი და ნორმირებულია როგორც სიუჟეტური განვითარება, ისე – ენობრივი გამომსახველობა. მასში კონკრეტული ფორმულირებებით, სტერეოტიპებად ქცეული ენობრივი კლიშეებით ვითარდება თხზულების სიუჟეტური ხაზი და ასევე იკვეთება მთავარი გმირის სახე. ჰაგიოგრაფიის სტანდარტიზებული ენა ემსახურება ჰაგიოგრაფიული მოდელების ასახვას, თუმცა მხატვრული, ანუ პოეტური გამომსახველობის ენა არის სრულიად ინდივიდუალური და თავისუფალი, მათ შორის, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში.

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ასახვის თავისებურებების შესახებ ქართულ სამეცნიერო სივრცეში მრავალმხრივი შეხედულებები არსებობს. ამ მხრივ აღსანიშნავია კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძის, ლ. მენაბდის, ე. ხინთიბიძის, რ. სირაძის, რ. ბარამიძის, გ. ფარულავას, ლ. გრიგოლაშვილის, ბ. კილანავას, ს. სიგუას, დ. მენაბდის, მ. ელბაქიძის, გ. ალიბეგაშვილის, ი. ამირხანაშვილის, ლ. გრიგოლაშვილის, ნ. სულავას, ხ. ზარიძის, ნ. გონჯილაშვილის, ს. მეტრეველის, გ. კუჭუხიძისა და სხვათა ნაშრომები.


კ. კეკელიძის აზრით, „ქართული აგიოგრაფია დასაწყის პერიოდში უმთავრესად პალესტინაში დამუშავებულია. ეს ჩანს, პირველ ყოვლისა, იქიდან, რომ ძველ აგიოგრაფიულ ძეგლებში ჩვენ გვაქვს ერთი და იგივე მინეოლოგიური ტიპი ან რიგი წმიდანთა ხსენების დალაგება-შენწყობისა, სახელდობრ – იერუსალიმურ-პალესტინური. მერე, ჩვენ დრომდე შენახულა ეგრეთ წოდებული პალესტინის პატერიკის თარგმანი“ [10, 1980]. იერუსალიმურ-პალესტინური ლიტურგიკული და საღვთისმეტყველო წიგნები უადრესია და წინ უძღვის ბიზანტიურ და რომაულ საეკლესიო და საღვთისმსახურებო ტიპიკონებს. ქართული ჰაგიოგრაფიის მოდელთან მიმართებით აღნიშნულია აგრეთვე, რომ „ლიტერატურული მოდელი, რაც ქართულმა სასულიერო მწერლობამ შექმნა, თავისებურია, სათანადო მსოფლალქმის სპეციფიკით გაშუქებული [14, გვ. 4]. ჰაგიოგრაფიის მკვლევარი ხ. ზარიძე აღნიშნავს: „ჰაგიოგრაფიის მკვლევართაგან დიდი ხანია მიღებულია თვალსაზრისი, რომ ამ ჟანრში პიროვნება არ აისახებოდა. მისთვის იყო ზოგადი სახე სპეციფიურად გააზრებული ადამიანისა“ [9, გვ. 15]. ჰაგიოგრაფია, როგორც მყარი მოდელის სისტემა „ხდება ტრაფარეტული“, იქმნება სტილისტური სამკაულები, რომლებიც შტამპად იქცევა [16, გვ. 162]. ჰაგიოგრაფიას ენიჭება „უტილიტარული ფუნქცია“ [4, 8]. ჰაგიოგრაფიული პერსონაჟების შემთხვევაში კი ვხვდებით „შემცირებულ ინდივიდუალობას“ [1, გვ. 51], სადაც თითქმის შეუძლებელია ადამიანის სახის შეგრძნება, გმირების აღსასრულიც კი ამაღლებული და ჰეროიკულია.

ჰაგიოგრაფიული გმირის ასახვისას აქცენტები გადატანილია არა ინდივიდუალობაზე, არამედ საერთო სქემაზე, „ადამიანის იმდროინდელი იდეალის შესაბამისი გმირის სახეში“ [13, გვ. 101]. ერთ შემთხვევაში, ჰაგიოგრაფიული თხზულების გმირი ქრისტიანი იყო, ბავშვობიდანვე „მოშიში ღმრთისაი“ (იაკობ ცურტაველი), ან, უფრო მეტიც, „საშოითგან დედისაით შეწირულ ღმერთსა“ (გიორგი მერჩულე). მეორე შემთხვევაში კი, გმირს ეთნიკურ ქართველობასთან საერთო არაფერი ჰქონდა, კონფესიურად კი „სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელ“ (იოანე საბანისძე) იყო, ანუ იმ სარწმუნოებას წარმოადგენდა, რომელიც იმ პერიოდისათვის საქართველოში დაპირისპირებული იყო ქრისტიანობასთან. სარწმუნოებასთან ერთად, იგულისხმება ეთნიკური ფაქტორიც. შესაბამისად, ხაზგასასმელია, რომ პერსონაჟის ასახვის მსგავსი მოდელი ითვალისწინებდა სარწმუნოებრივ და ეთნიკურ დაპირისპირებას. მოდელის განვითარების შემდგომი ეტაპის მიხედვით, პერსონაჟი უარყოფს თავის რელიგიას, მას აწამებენ ქრისტიანობისათვის და ქართული ეკლესია წმინდანად შერაცხავს. „თუ პარალელურად განვიხილავთ ქრისტიანულ წმინდანებს, შევამჩნევთ, რომ არსებობს ერთიანი და თანმიმდევრული პარადიგმა. ტრადიციული ჯაჭვის დასაწყისში ადრეული ქრისტიანობის მოწამეების ცხოვრება შედგება ბიბლიური მოწამეების, უპირველეს ყოვლისა, ნაზარეთელი იესოს მისწრაფებებისა და ბედისწერის შესაბამისად“ [2, გვ. 35].


ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის მოდელზე მსჯელობისას ძირითადად გამოიყენებოდა ორგვარი დეფინიცია: „მარტვილოლოგია“, ანუ „წამებანი“ და „წმინდანთა ცხოვრება“, ანუ „ცხოვრებანი“. აღნიშნული პარადიგმა შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:



ქართული ჰაგიოგრაფიის მოდელის კვლევისას მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ეთნიკური, რელიგიური და გენდერული საკითხების განხილვაც. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც „ცხოვრებანი“, ისე „წამებანი“ მთავარი გმირები ეთნიკურად ქართველებიც არიან და უცხოელებიც. მაგალითად, ქართველები არიან ილარიონ ქართველი, გრიგოლ ხანძთელი, იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები, გიორგი მანწმინდელი და სხვ. ხოლო უცხოელებს შორის შეიძლება დავასახელოთ წმინდა ნინო, ევსტათი მცხეთელი, ცამეტი ასურელი მამა, აბო თბილელი და სხვ. აღნიშნული კი გრაფიკულად ასე შეიძლება გამოვსახოთ:



გენდერული ნიშნით დაჯგუფების შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ჰაგიოგრაფიაში, როგორც „ცხოვრებათა“, ისე „წამებათა“ ჟანრებში, აღწერილია ქალ და მამაკაც წმინდანთა და მარტვილთა ცხოვრება და მარტვილობა. ამასთან, გენდერული და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ ქართული ჰაგიოგრაფიის როგორც „ცხოვრებათა“, ისე „წამებათა“ ჟანრებზე. აღნიშნული შესაძლებელია შემდეგნაირად გამოისახოს:



მარტვილოლოგიურ ჟანრში შესაძლებელია ვიმსჯელოთ გმირის ეთნიკური კუთვნილებაზე, ასევე, კონფესიურ საკითხზე, კერძოდ, დაბადებით ქრისტიანებზე და სხვა სარწმუნოებიდან ახლადმონათლულ გმირებზე.

ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების ერთი ნაწილის პერსონაჟები პროზელიტები არიან. მათ შორის, ნაწილი ეთნიკურად ქართველია (კოლაელი ყრმები), ნაწილი კი, უცხოელი. მაგალითად, რაჟდენ პირველმონამე სპარსია, ასევე, ევსტათი მცხეთელი სპარსია, აბო თბილელი – არაბი. პროზელიტთა შესახებ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების შექმნისას ავტორთა მოტივაცია ორმხრივად არის ხაზგასასმელი: ერთი მხრივ, მოწამეთა ცხოვრების აღწერა მნიშვნელოვანია ქრისტიანული თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელ პროზელიტთა სარწმუნეობრივი ღვანლის აღწერა მნიშვნელოვანია სწორედ ეროვნული, ნაციონალური თვალსაზრისითაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული ჰაგიოგრაფიის უცხოელი პროზელიტები, რომლებიც მოწამეები არიან, სწორედ იმ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნიან, რომლებიც აწამებენ გმირს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პროზელიტიზმის ეს სახე, უცხოელის, სხვა ეთნოსის პროზელიტიზმი და მეწამეობრივი აღსასრული, ქრისტიანულ სარწმუნოებაში ძალზე იშვიათია და ამას ქმნის ქართული პოლიტიკური გარემო. როგორც ცნობილია, ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს რომის იმპერია სამხრეთ კავკასიის მიმართულებით გა-

ფართოვდა, დასავლეთ საქართველოსთან, მაშინდელ ეგრი-სის სამეფოსთან დადო ზავი და დაიმორჩილა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო, ანუ იბერიის სამეფო, რომის იმპერიის ვასალი იყო მის დასუსტებამდე, ხოლო შემდგომ, სპარსეთის გავლენის ქვეშ მოექცა. IV საუკუნეში, სადაც სპარსელებმა გააუქმეს მეფობა და მმართველებად თავიანთი მოხელეები დანიშნეს. „რომის ექსპანსიას აღმოსავლეთისაკენ სასანური ირანის იმპერია ვერ შეურიგდებოდა, IV-ს-ის მეორე ნახევრიდან იგი თანდათან ძლიერდება და უტევს რომს, რომელიც უკან იხევს. 60-იან წლებში მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება IV-ს-ის ბოლოს ზავით გაფორმდა, რომლის შედეგად სადემარკაციო ხაზი იქნა გავლებული ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ იმპერიას შორის, სამხრეთ კავკასიასაც შეეხო. სომხეთის დიდი ნაწილი ირანის მფლობელობაში გადავიდა. ქართლის სამეფოც ორად იქნა მათ შორის გაყოფილი და შემდგომშიც აღმოსავლეთ საქართველოში გავლენის სფეროთა განაწილებისათვის ბრძოლა არ შეწყვეტილა სასანური ირანის არაბთაგან საბოლოო დამხობამდე“ [12, გვ. 3].


სპარსელი რაჟდენ პირველმოწამისა და ევსტათი მცხეთელის მარტვილოლოგიური აღსასრულის დროს, ქართლი სპარსელების გავლენის ქვეშ არის. არაბი აბოს მონამეობრივი აღსასრულის დროს კი ქართლში მეფობა მოშლილია, არაბი ამირა განაგებს ქვეყნის შიდა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას. ქართლში ქრისტიანობა დამკვიდრებულია, ეკლესია-მონასტრები ფუნქციონირებს, ნათლობა ნებადართულია და არ ისჯება. ამავედროულად, ვინაიდან ქართლი გაქრისტიანებულია, პროზელიტიზმის საჭიროება არ დგას, თუმცა ქართლის პოლიტიკური ვითარების გამო, რადგან შიდა პოლიტიკურ მართვას სპარსელები და, შემდგომ, არაბები ხელმძღვანელობენ, უცხოელის, მათ შორის, მათი ეთნოსის წარმომადგენლის მიერ სარწმუნოების შეცვლა, ანუ პროზელიტიზმი, დასჯის მიზეზი ხდება, ხოლო ჰაგიოგრაფი ავტორისათვის კი – წმინდანის მონამეობრივი აღსასრულის აღწერის მიზეზი. ვფიქრობთ, სწორედ ამ მიზნების გამო იქ-

მნება უცხოელ პრობელიტთა შესახებ ჰაგიოგრაფიული თხზულებები, სადაც პერსონაჟის განზოგადება ხდება ჰაგიოგრაფიული მოდელის პარადიგმაში, რაც უცხოელი ეთნოსის პერსონაჟის ასახვის მოდელის შექმნას განაპირობებს. ეს არის დამატებითი პარადიგმა, ქრისტიანობის დამკვიდრების, ჰაგიოგრაფიული ჟანრის დამკვიდრებისა და განვითარების ახალ ეტაპზე, სადაც პრობელიტიზმის საჭიროება განპირობებულია არა ქრისტიანობის გავრცელებისათვის, არამედ ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის. ამასთან, პრობელიტიზმი, როგორც ფაქტი, აღინიშნება უცხოელი ეთნოსის, მათ შორის, ქართლში მმართველი ძალის წარმომადგენლებს შორის, რასაც დამატებითი პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და ასევე, ლიტერატურული მნიშვნელობა ენიჭება. ვფიქრობთ, პრობელიტიზმის ეს თავისებურება შესაძლებელია ქართული ჰაგიოგრაფიის ნაციონალურ თავისებურებადაც დასახელდეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ ჰაგიოგრაფიაში დასაწყისიდანვე აისახებოდა ქართული, ნაციონალური პრობლემატიკა. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ჰაგიოგრაფია, როგორც უნივერსალური მოდელი, თავის თავში მოიაზრებს და შეიცავს ნაციონალურ შემადგენელსაც, „ეროვნული ისტორიზმის“ პრინციპს, [5, გვ. 10], რაც ნაციონალურ ისტორიაში, კულტურულ მემკვიდრეობაში, ტრადიციაშია ასახული და ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში დამატებითი ან შემავსებელი ფუნქციები აქვს. კ. კეკელიძე ქართულ ჰაგიოგრაფიაში ნაციონალური შემადგენლის არსებობას მე-8, მე-10 საუკუნიდან აღნიშნავს და ამ პერიოდს „ეროვნულ ხანას“ უწოდებს. ქართულ ჰაგიოგრაფიულ, ასევე, ეკლესიურ და ზოგადად, ქრისტიანულ პრაქტიკაში ვხვდებით ნაციონალურ ელემენტებს, განვითარდა ორიგინალური მწერლობა, შემუშავდა ნაციონალური ჰაგიოგრაფია, დაინერგა ქართველ წმინდანთა ხსენების დღეები, დაწესდა „წმინდა ქართული დღესასწაულები ეროვნული წმინდანებისა და სხვადასხვა ეროვნული თარიღის აღსანიშნავად. ახალი დღესასწაულები ასახულია კალენდრებსა და ლექციონარკანონებში“ [15, გვ. 96]. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ქრისტიანული სტანდარტიზაცია და მოდელები შენარჩუნებულია

როგორც ჰაგიოგრაფიის, ისე საეკლესიო ღვისმსახურების პირობებშიც.

მარტვილოლოგიურ ჰაგიოგრაფიაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ოპოზიციური წყვილი: გმირი და ანტიგმირი სქემატიზებული და ნორმირებული სახეებია. აღნიშნული სქემა სრულიად საერთოა წამებათა ჟანრის თხზულებებისათვის, თუმცა თემატური საკითხები, როგორცაა გმირის ეროვნება, ან განსხვავებული სარწმუნოება, ჰაგიოგრაფიულ მოდელს ავსებს დამატებითი კომპონენტებით, ზოგ შემთხვევაში კი, ცვლის პარადიგმას და ამძაფრებს არსებულ მოდელს ექსპრესიული ელემენტებით.

როგორც აღინიშნა, მარტვილოლოგიური ჟანრი შედგება ორი ძირითადი თემატური ჟანრისაგან: დაბადებით ქრისტიანი და პროზელიტი, ორივე თემატური ჟანრი, თავის მხრივ, მოიცავს ეთნიკურობის მიხედვით ორ თემატურ ჟანრს: ქართველი მოწამე და უცხოელი მოწამე, ასევე, პროზელიტის შემთხვევაში, ქართველი პროზელიტი მოწამე და უცხოელი პროზელიტი მოწამე. აღნიშნული მოდელები შესაძლებელია გრაფიკულად ასე გამოისახოს:



დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი: ქართული ჰაგიოგრაფია შესაძლებელია დავაჯგუფოთ როგორც ჟანრობრივი და თემატური პარადიგმების გათვალისწინებით, როგორცაა „ცხოვრებანი“ და „წამებანი“, ასევე ეთნიკური, რელიგიურ-კონფესიური და გენდერული ასპექტების მიხედ-

ვით. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ჟანრობრივი და თემა-
ტური შედგენილობა იცნობს როგორც ზოგადჰაგიოგრაფიულ,
ისე ეროვნულ თემებსა და მოტივებს. ქართულ ჰაგიოგრაფია-
ზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ იგი, როგორც ჩვენამდე მოღ-
წეული ქართული ლიტერატურის დასაწყისი, ასახავს ფოლ-
კლორული და მითოსური მსოფლმხედველობის თავისებურე-
ბებს, ასევე, ენობრივი ნორმების განვითარებასა და სტან-
დარტიზაციას, ამასთან ერთად, ქართულ ჰაგიოგრაფიაში ასა-
ხულია აღმოსავლეთ და ბიზანტიურ ადრექრისტიანულ ლიტე-
რატურასთან ურთიერთობის გამოცდილება, ჰაგიოგრაფიული
პარადიგმული სისტემის ზოგადქრისტიანული და ნაციონა-
ლური მოდელები. მათ შორის, უცხოელთა პროზელიტიზმის
ასახვის თავისებურებები, რომელიც ქმნის ჰაგიოგრაფიის არ-
სებულ მოდელში ნაციონალურ თავისებურებას და ემყარება
სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას.

ბიბლიოგრაფია

1. Aland, B., *Literarische Konstituierung von Identifikations-
figuren in der Antike*, hrsg. von Barbara Aland, 2003.
2. Galley, S., *Jüdische und christliche Heilige — Ein Ver-
gleich*. Zeitschrift Für Religions – Und Geistesgeschichte, 57 (1),
2005. s. 29-47: www.jstor.org/stable/23898707
3. Pierer's Universal-Lexikon, Band 7. Altenburg 1859
4. ამირხანაშვილი ი., „აგიოგრაფიის სტილის საკითხები
(თეორიული შენიშვნები)“, *სჯანი*, #13, 212, გვ. 8-14
5. ამირხანაშვილი ი., „სიტუაციის კომპოზიცია აგიოგრაფია-
ში“, *სჯანი*, #12. 2011, გვ. 9-15
6. ბოლქვაძე თ., „ენის სტანდარტიზაცია და დიალექტები“. *კრებულში: ქახთვედუხი მემკვიდრეობა VII*, 2003, გვ. 63-72
7. გამყრელიძე თ., *წეხის ანბანუხი სისტემა და ძველი ქახთუ-
დი დამწეხლობა – ანბანუხი წეხის გიპოდოგია და წახმო-
მავლობა*, თბ. 1990
8. გორდუზიანი რ., *ქახთუდი თვითშეგნების ჩამოყალიბების
პრობლემა*, თბ. 1993

9. ზარიძე ხ., „ხოლო ნეტარმან ევსტათი განიცინა“, გაზ. *ღიგეხაგუხუდი საქათვედო*, თბ. 1985, 14. 06
10. კეკელიძე კ., *ძვედი ქახთუდი ღიგეხაგუხის ისგოხია*, გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1980
11. მარი ნ., „ქართული ენათმეცნიერებაში“ (ლექცია წაკითხული პარიზში, აღმოსავლურ ცოცხალ ენათა ნაციონალურ სკოლაში), გამოაქვეყნეს ი. მეგრელიძემ და ალ. ლლონტმა, *თსუ შიომები, VI*, პირველი სერია, საზოგადოებათმეცნიერებანი, თბ. 1938
12. მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ., *საქათვედოს ისგოხია*, ტ. 2. გამომც. პალიტრა L, თბ. 2012
13. სირაძე რ., *ძვედი ქახთუდი თეოხიუდ-ღიგეხაგუხუდი აზხოვნების საკითხები*, თბ. 1975
14. ფარულავა გ., *მხაგვხუდი სახის ბუნებისათვის ძვედ ქახთუდ პხოზაში*, თბ. 1982
15. ხინთიბიძე ე., *ბიზანგიუხ-ქახთუდი ღიგეხაგუხუდი უხთიეხთობები*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969
16. ხინთიბიძე ე., *ქახთუდ-ბიზანგიუხი უხთიეხთობების ისგოხიისთვის*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

Genre Composition and Paradigmatic System of Georgian Hagiography

Nino Popiashvili

PhD in Philology, Department of Academic Research and Development, Faculty of Humanities at Tbilisi State University

Abstract: Georgian literature has developed a centuries-old tradition and was preceded by folklore, mythical thinking and worldview. By the time the first Georgian literary works were created, the Georgian language was a well-established written language, which fully reflected artistic characters, literary archetypes and models.

The formation of the Georgian literary language is directly related to the development of Georgian literature. The fact that the monuments of the ancient Georgian literature already reveal the structural properties of linguistic and literary norms indicates that the Georgian literary language was formed in ancient times.

The first texts of Georgian literature are complete literary works with specific structures, peculiarities of reflection, models and paradigms that respect and reflect the basic principles of the hagiographic genre. When studying the hagiographic model, it should also be noted that, in hagiography, both the models and the language of a writer are standardized and normed, as both the plot development and the language expression are fully established. The storyline of the piece of writing develops in it with specific formulations and linguistic clichés that have become stereotypes, and the leading character's type is also outlined. The standardized language of hagiography reflects hagiographic mo-

dels, although the language of artistic or poetic expression is completely individual and free, including the hagiographic works.

When discussing the model of Georgian hagiographic writing, two definitions were mainly utilized - "Martyrdom" or "Tsamebani" (Martyrdom) and "Life of Saints" or "Tskhovrebani" (Lives). It is also important to consider related ethnic, religious and gender issues. First of all, it should be noted that the leading characters of "Tskhovrebani" and "Tsamebani" are both ethnic Georgians and foreigners. For example, the Georgians are Hilarion the Georgian, Grigol of Khandzta, Ioane and Ekvtime Mtatsmindeli, Giorgi Mtatsmindeli and others. Among foreigners, Saint Nino, Eustathius of Mtskheta, the Thirteen Assyrian Fathers, Abo of Tiflis and others can be cited.

In the case of a gender-based grouping in the Georgian hagiography, both the "Tskhovrebani" (Lives) and "Tsamebani" (Martyrdom) genres describe the life and martyrdom of male and female saints and martyrs. At the same time, according to gender and ethnic groups, we can talk about both the "Tskhovrebani" (Lives) and "Tsamebani" (Martyrdom) as genres of Georgian hagiography.

In the martyrdom genre, we can discuss the ethnic origin of the hero, as well as the confessional issues, in particular, Christians from the very birth and other heroes recently converted to Christianity. Georgian hagiography can be grouped taking into account both genre and thematic paradigms, such as "Tskhovrebani" (Lives) and "Tsamebani" (Martyrdom), and according to ethnic, religious confessional and gender aspects. The genre and thematic composition of hagiographic works reflect both general, hagiographic and specific, national themes and motives. The observation regarding the Georgian hagiography reveals that standing at the beginning of the works of Georgian literature that have reached us, it reflects the peculiarities of the folklore and mythical worldview and the development and standardization of linguistic norms. On the other hand, Georgian hagiography depicts the relationships with Eastern or Byzantine early Christian literature, and general Christian and national models of the hagiographic paradigmatic system. Among them are the peculiarities of the reflection of the foreigners' proselytism, which create a national peculiarity in the existing model of hagiography and are based on the socio-political situation.

Keywords: *Georgian Hagiography, Genre of Hagiography, Paradigmatic System of Hagiography.*

Georgian literature has developed as a tradition for many centuries and was preceded by folklore, and mythical thinking and worldview. The ancient mythical culture was conditioned by the system of the pagan pantheon, which is confirmed in Georgian history and folklore of the Antique period: the deities of the sun and moon, the god of fire, the chained hero, the aesthetics of a physically strong hero, female deities, etc. Mythological layers and the order of thinking are manifested in many places, both in diverse Georgian folklore and in Georgian literature, and not only in Christian, but also in Georgian literature of the period following the Christian epoch. Literary traditions and literary language often exist in the form of oral literature for a long period of time [7, pp. 200-201]. Ancient Georgian writings reveal the integrity of the form, content and linguistic expression of the literary text. "The first Georgian written monuments were created in a strictly standardized language from the 5th century AD. Standardization is typical for written monuments created both in Georgia and abroad" [6, p. 63]. By that time, since when we have obtained Georgian literary monuments, the Georgian language is already a well-established written language, which fully reflects artistic characters, literary archetypes and models.

The formation of the Georgian literary language is directly related to the development of Georgian literature. The fact that the monuments of the ancient Georgian literature already show the structural properties of linguistic and literary norms, indicate that the Georgian literary language was formed in ancient times. "Georgian writing from the very beginning, in ancient relics, reveals to us a developed literary language. Obviously, ecclesiastical writing did not create it. The Georgian literary language had to be developed before Christianity, and Christian writing was to develop it only in the part that was interesting for itself" (N. Marr) [11].

The high development of Georgian literature may be the result of a deep connection of the Georgian language with international languages [8]. In the European studies of the history of literature, as early as in the 19th century it was noted that Georgian

literature was closely connected with the literatures of the West and the East, including in the ancient period and the early Middle Ages, with the Greek literature. In a universal dictionary published in 1859 in Germany, it is noted that “Georgian literature is quite rich, although in its development one can notice the influence of Byzantine, Greek, and then Armenian, Persian, as well as Western literature of modern times. Science and poetic art are highly respected in Georgia; similar to the Byzantine nobility, literary activity was considered honorable among Georgian princes and noblemen” [3, pp. 209-210].

Georgian-Byzantine relations were expressed in many aspects regarding political, cultural, social and, of course, literary relations. “Byzantine-Georgian literary relations have a long history. Both Georgian literature and culture were developed in close contacts with the great Byzantine literature from the 5th century until the fall of the Byzantine Empire. The best part of Byzantine literature was intensively translated from Greek into Georgian” [15, p. 7]. These relations were also reflected in hagiography, as in the literature of a solid structure and model, translation, including literal or loose translation, editing, reducing and extending of which did not violate hagiographic norms, since the models of the hagiographic genre invariably have been passed from language to language, from a short edition to a wide edition and vice versa. Such examples of literary relations can be found in many Georgian-Greek hagiographies, including in the part of translations, the originals of which are lost and preserved only in the translated hagiography.

The first texts of Georgian literature are complete literary works, which possess their own structure, peculiarities of reflection, models and paradigms, that respect and reflect the basic principles of the hagiographic genre. When studying the hagiographic model, it should also be noted that in hagiography both the models and the language of a writer are standardized and normed, as both the plot development and the language expression are established and normed. The storyline of the piece of writing develops in it with specific formulations and linguistic clichés that have become

stereotypes, and the leading character's type is also outlined. The standardized language of hagiography serves to reflect hagiographic models, although the language of artistic or poetic expression is completely individual and free, including in hagiographic works.

There are diverse views on the peculiarities of the reflection of a hagiographic work in the Georgian scientific space. In this regard, the works by K. Kekelidze, Al. Baramidze, L. Menabde, E. Khintibidze, R. Siradze, R. Baramidze, G. Parulava, L. Grigolashvili, B. Kilanava, S. Sigua, D. Menabde, M. Elbakidze, G. Alibegashvili, I. Amirkhanashvili, L. Grigola-shvili, N. Sulava, Kh. Zaridze, N. Gonjilashvili, S. Metreveli, G. Kuchukhidze and others should be noted.


According to K. Kekelidze, "Georgian hagiography in the initial period was mainly worked over in Palestine. This is manifested, first of all, in the fact that in the ancient hagiographic monuments we have one and the same mineological type or order of placement-arrangement of the mention of saints, namely Jerusalem-Palestinian type. Then, till our time, the translation of the so-called Palestinian patericon has been preserved" [10, 1980]. Jerusalem-Palestinian liturgical and theological books are the earliest and precede the Byzantine and Roman church and liturgical typicons. Regarding the model of Georgian hagiography, it is also noted that "the literary model, which was created by the Georgian ecclesiastical literature, is peculiar, highlighted by specificity of the proper worldview [14, 4].

Hagiography researcher Kh. Zaridze notes: "Hagiography researchers have long held the view that the personality was not reflected in this genre. For him there existed the common type of a specifically intelligent person" [9, p. 15]. Hagiography, as a system of a solid model "becomes stenciled," stylistic decorations are created that become clichés [16, p. 162]. Hagiography is assigned a "utilitarian function" [4, p. 8]. And in the case of hagiographic characters, we are faced with a "lowered personality" [1, p. 51], where it is almost impossible to feel the human character, even the demise of the heroes is sublime and heroic.

The main accents in depicting a hagiographic hero are not placed on an individual, but on a general scheme "in the person of


a hero corresponding to the ideal of a man of that time” [13, p. 101]. In one case, the hero of the hagiographic work was a Christian, since childhood “God-fearing” (Jacob of Tsurtavi), or, moreover, “from the womb he was dedicated to God’s service” (Giorgi Merchule). In the second case, the hero had nothing to do with ethnic Georgian, confessionally was “scolding our faith” (Ioane Sabanisdze), that is, he represented the religion that at that time was opposed to Christianity in Georgia. Along with faith, an ethnic factor is also implied. Accordingly, it should be emphasized that such a model of character depiction provided for religious and ethnic confrontation. According to the further stage of the model development, the character rejects his religion, he is martyred for Christianity, and the Georgian church canonizes him. “If we simultaneously consider Christian saints, we will note that there is single and consistent paradigm. At the beginning of the traditional chain, the life of the early Christian martyrs consisted of the aspirations and destinies of biblical martyrs, primarily those of Jesus of Nazareth” [2, p. 35].

When discussing the model of Georgian hagiographic writing, two definitions were mainly used: “Martyrdom” or “Tsamebani” (Martyrdom) and “Life of Saints” or “Tskhovrebani” (Lives). This paradigm can be expressed as follows:




When studying the model of Georgian hagiography, it is also important to consider ethnic, religious and gender issues. First of all, it should be noted that the leading characters of “Tskhovrebani” (Lives) and “Tsamebani” (Martyrdom) are both ethnic Georgians and foreigners. For example, the Georgians are Hilarion the Georgian, Grigol of Khandzta, Ioane and Ekvtime Mtatsmindeli, Giorgi

Mtatsmindeli and others. Among foreigners Saint Nino, Eustathius of Mtskheta, the Thirteen Assyrian Fathers, Abo of Tiflis and others can be cited. This can be graphically expressed as follows:



In the case of gender-based grouping, it should be noted that the Georgian hagiography, both the “Tskhovrebani” (Lives) and “Tsamebani” (Martyrdom) genres, describe the life and martyrdom of male and female saints and martyrs. At the same time, according to gender and ethnic groups, we can judge both the “Tskhovrebani” (Lives) and “Tsamebani” (Martyrdom) genres of Georgian hagiography. This can be expressed as follows:



Georgian Foreigner Georgian Foreigner Georgian Foreigner Georgian Foreigner

In the martyrdom genre, we can discuss the ethnic origin of the hero, as well as the confessional issue, in particular, Christians from birth and other heroes recently baptized from other faiths.

The characters of one part of the old Georgian hagiographic works are proselytes. In particular, one part of them are ethnically Georgians (9 Martyred Brothers of Kola), and the other part are foreigners. For example, Razhden the Protomartyr is Persian, Eustathius of Mtskheta is Persian as well, and Abo of Tiflis is Arab. When creating a hagiographic work on proselytes, the authors' motivation should be emphasized in two ways: on the one hand, the description of the lives of martyrs is important from a Christian point of view, and on the other hand, the description of the religious merits of foreign proselytes is important from a national point of view. It should also be noted that foreign proselytes of Georgian hagiography, who are martyrs, belong to the same ethnic group that martyrs the hero. Consideration should also be given to the fact that this type of proselytism, proselytism and martyr death of a foreigner, of another ethnos, is very rare in the Christian faith, and this is created by the Georgian political environment. As it is known, at the end of BCE, the Roman Empire expanded towards the South Caucasus, entered into a truce with Western Georgia, with the then kingdom of Egrisi and conquered it, and Eastern Georgia or the Kingdom of Iberia was a vassal of the Roman Empire until its weakening, and then came under the influence of Persia. In the 4th century, when the Persians abolished the kingship, they appointed their officials as rulers. "The Sasanian Empire of Iran

could not reconcile with the Roman expansion to the east. From the second half of the 4th century, it progressively strengthened and attacked Rome, which retreated. The political situation in the Middle East in the 60s was marked by a truce at the end of the 4th century, as a result of which a demarcation line was drawn between the two warring empires; this also affected the South Caucasus. Most of Armenia was transferred to the ownership of Iran. The kingdom of Kartli was also divided into two parts, and the struggle for the division of spheres of influence in Eastern Georgia did not stop until the final overthrow of the Arabs of Sasanian Iran" [12, p. 3].


During the martyric death of the Persian Razhden the Protomartyr and Eustathius of Mtskheta, Kartli was under the influence of the Persians. During the martyric death of Arab Abo, the kingship in Kartli was abolished, and the Arab emir managed the domestic political and socio-economic situation in the country. Christianity was established in Kartli, churches and monasteries were functioning, baptism was allowed and not punished. At the same time, since Kartli was Christianized, there was no need for proselytism, but due to the political situation in Kartli, since the domestic political governance was headed by Persians, and then the Arabs, the change of religion by a foreigner, including a representative of their ethnos, that is proselytism, becomes the reason for the punishment, and for the hagiographic author – the reason for describing the martyric death of the saint. We think that it is precisely because of these goals that hagiographic works about foreign proselytes are created, where the character is generalized in the paradigm of the

hagiographic model, which condition the creation of a model for depicting the character of a foreign ethnos. This is an additional paradigm, at a new stage of the formation of Christianity, the formation and development of the hagiographic genre, where the need for proselytism is determined not for the spread of Christianity, but for the preservation of Christianity. At the same time, proselytism, as a fact, is noted among representatives of a foreign ethnos, including representatives of the ruling power in Kartli, to which additional political, cultural, social, as well as literary significance is assigned. We believe that this peculiarity of proselytism can also be named a national peculiarity of Georgian hagiography. It should also be noted that Georgian, national problems were reflected in Georgian hagiography from the very beginning. In this regard, we can say that hagiography as a universal model implies and includes a national component, the principle of “national historicism” [5, p. 10], which is reflected in national history, cultural heritage, traditions and has additional or supplemental functions in hagiographic works. K. Kekelidze notes

the existence of a national component in Georgian hagiography from the 8th and 10th centuries and calls this period “National Age”. In Georgian hagiographic, as well as in church and Christian practice in general, we find national elements, original writing was developed, national hagiography was worked out, days of remembrance of Georgian saints were introduced, “Holy Georgian Feasts” were established to honor national saints and to celebrate various national dates. New holidays are reflected in calendars and lectionaries-cansons” [15, p. 96]. However, it should also be noted that Christian standardization and models are preserved under the conditions of both hagiography and church services.

Observations of martyric hagiography show that the oppositional couple: a hero and an antihero are schematized and normed types. This scheme is completely common for works of martyrdom genres, although thematic issues, such as the nationality of the hero or different religions, supplement the hagiographic model with additional components, and in some cases change the paradigm and intensify the existing model with expressive elements.

As already mentioned, the martyric genre consists of two main thematic genres: a Christian from birth of and proselyte, both thematic genres, in turn, include two thematic genres according to ethnicity: the Georgian martyr and foreign martyr, as well as in the case of proselyte, Georgian proselytize martyr and foreign proselyte martyr. These models can be graphically expressed as follows:



In conclusion, it is necessary to say the following: Georgian hagiography can be grouped both taking into account genre and thematic paradigms, such as “Tskhovrebani” (Lives) and “Tsamebani” (Martyrdom), and according to ethnic, religious confessional and gender aspects. The genre and thematic composition of hagiographic works reflect both general hagiographic and national themes and motives. Observation of Georgian hagiography shows that it, as the beginning of Georgian literature that has come down to us, reveals the peculiarities of the folklore and mythical worldview, as well as the development and standardization of linguistic norms, while Georgian hagiography reflects the experience of relations with Eastern or Byzantine early Christian literature, general Christian and national models of the hagiographic paradigmatic system. Among them are the peculiarities of the reflection of the foreigners’ proselytism, which creates a national peculiarity in the existing model of hagiography and is based on the socio-political situation.

Bibliography

1. Aland, B., *Literarische Konstituierung von Identifikationsfiguren in der Antike*, hrsg. von Barbara Aland, 2003.
2. Galley, S. Jüdische und christliche Heilige – Ein Vergleich. *Zeitschrift Für Religions – Und Geistesgeschichte*, 57 (1), 2005. 29-47: www.jstor.org/stable/23898707
3. *Pierer's Universal-Lexikon*, Band 7. Altenburg 1859
4. Amirkhanashvili I., “Questions of Hagiographical Style (Theoretical Remarks)”: *Sjani*, #13, 212, p. 8-14 / ამირხანაშვილი ი., „აგიოგრაფიის სტილის საკითხები (თეორიული შენიშვნები)“: *სჯანი*, #13, 212, გვ. 8-14.
5. Amirkhanashvili I., “Composition of the Situation in Hagiography”: *Sjani*, #12. 2011, p. 9-15 / ამირხანაშვილი ი., „სიტუაციის კომპოზიცია აგიოგრაფიაში“: *სჯანი*, #12. 2011, გვ. 9-15
6. Bolkvadze T., “Language Standardization and Dialects”. In the collection: *Kartvelian Heritage VII*, 2003, p. 63-72 / ბოლქვაძე თ., „ენის სტანდარტიზაცია და დიალექტები“. კრებულში: *ქახთვედუხი მემკვიდრეობა VII*, 2003, გვ. 63-72

7. Gamkrelidze T., *Alphabetic Writing System and the Old Georgian Script – A Typology and Provenience of Alphabetic Writing*, Tb. 1990. / გამყრელიძე თ., წეხის ანბანუხი სისგემა და ძველი ქათუღი დამწეხღობა – ანბანუხი წეხის ტიპოლოგია და წაჰმომავღობა, თბ. 1990
8. Gordeziani R., *The Problem of the Formation of the Georgian Self-Consciousness.*, Tb. 1993 / გორდეზიანი რ., ქაჰთუღი თვითმეგნების ჩამოყადიღებბის ჰიობღემა, თბ. 1993
9. Zaridze Kh., “And Blessed Eustathius Smiled”, newspaper: *Literaturuli Sakartvelo (Literary Georgia)*, Tb. 1985, 14. 06 / ზარიძე ხ., „ხოლო ნეტარმან ევსტათი განიცივნა“, გაზ. დიღეჰატეჰუღი საქაჰთვეღო, თბ. 1985, 14. 06
10. Kekelidze K., *History of Old Georgian Literature*, Tbilisi, Science publishing house, 1980 / კეკელიძე კ., ძველი ქაჰთუღი დიღეჰატეჰის ისტოჰია, გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1980.
11. Marr N., *Georgian in Linguistics* (lecture delivered in Paris, at the National School of Oriental Living Languages), published by I. Megrelidze and Al. Glonti, *TSU works, VI, First Series, Social Sciences*, Tb. 1938 / მარი ნ., ქაჰთუღი ენათმეცნიერეჰბაში (ლექცია წაკითხული პარიზში, აღმოსავლურ ცოცხალ ენათა ნაციონალურ სკოლაში), გამოაქვეყნეს ი. მეგრელიძემ და ალ. ღლონტმა, თსუ შიომებბი, VI, პირველი სერია, საზოგადოებათმეცნიერებანი, თბ. 1938.
12. Muskhelishvili D., Japaridze O., Melikishvili G., Apakidze A., Lortkipanidze M., Metreveli R., Samsonadze M., Asatiani N., Jamburia G., Otkhmezuri G., Natmeladze M., Bendianishvili Al., Daushvili Al., *History of Georgia, Vol. 2*. Tb. Palitra L publishing house, 2012 / მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ., საქაჰთვეღოს ისტოჰია, ტ. 2. თბ. გამომც. პალიტრა L, 2012.
13. Siradze, R., *Questions of Old Georgian Theoretical Literary Thought*, Tb. 1975 / სირაძე რ., ძველი ქაჰთუღი თეოჰიუღ-დიღეჰატეჰუღი აზღონებბის საკითხებბი, თბ. 1975
14. Parulava G., *Toward the Nature of the Artistic Image in Old Georgian Prose*, Tb. 1982 / ფარულავა გ., მხატვრული სახის ბუნებბისათვის ძვეღ ქაჰთუღ ჰიობაში, თბ. 1982

15. Khintibidze E., *Byzantine-Georgian Literary Relations*, Tbilisi University Publishing House, 1969 / ხინთიბიძე ე., ბიზანტიუხ-ქახთუდი რიგეხაგუჲუდი უხთიეხთობები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969
16. Khintibidze E., *Toward the History of the Georgian-Byzantine Relations*, Tbilisi University Publishing House, 1982. / ხინთიბიძე ე., ქახთუდ-ბიზანტიუხი უხთიეხთობების ისგოხიისთვის, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982.

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

**შოთა რუსთველის ვეფხისგყაოსნის
ორი ტაეპის ანალიზი ინგლისურ თარგმანებთან
მიმართებაში**

სალომე სანიკიძე

*დოქტორანტი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პივედწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

რეზიუმე: შოთა რუსთველის *ვეფხისგყაოსნის* ტექსტის შესწავლა, პირველ ყოვლისა, მისი შინაარსის მაქსიმალურად მართებულ ინტერპრეტაციას გულისხმობს. ტექსტის შინაარსის მეცნიერულ შესწავლასთან ერთად, მისი ინტერპრეტაციის უტყუარ ფაქტად რჩება ასევე ნაწარმოების თარგმანი, რაც თარგმანის კრიტიკული ანალიზის საჭიროებას განაპირობებს. *ვეფხისგყაოსნის* თარგმანები ძირითადად ეყრდნობა კვლევას, რომელიც მისი შესრულების დროისთვის არის მოპოვებული რუსთველოლოგიაში.

პირველი რუსთველოლოგი, ვახტანგ მეექვსე, აცხადებდა, რომ მასზე ბევრად ადრე, მრავალნი ცდილან პოემის „თარგმანებას“, ანუ განმარტებას, ე. ი. მის ეთიკურ-ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია პოემის თარგმანების ქრილში განხილვამდე ისეთი საკითხების დადგენა, რომელთა გარკვევას რუსთველოლოგები საუკუნეების მანძილზე წარმოებული კვლევებით ცდილობდნენ და ცდილობენ დღემდე, და ცხადია, რომ ამა თუ იმ უცხოური თარგმანის სიაკვარგის განსაზღვრა მხოლოდ ქართული ტექსტის მნიშვნელობისა თუ განმარტების დადგენის საფუძველზე არის შესაძლებელი.

სტატიაში განვიხილავთ ვეფხისგყაოსნის ერთ-ერთი საფუძვლის, ნეოპლატონიზმის მოძღვრების ასახვას პოემაში, ერთი სტროფის მაგალითზე. ნეოპლატონიზმის სწავლება სამყაროს ერთიანობის შესახებ გულისხმობდა ღმერთის და ადამიანის გაიგივებას, და ბოროტების, როგორც სუბსტანციის, არ არსებობის აღიარებას, რაც საანალიზო ტექსტის ძირითად არსს წარმოადგენს.

აღნიშნული შინაარსის შემცველ ტაეპებს რუსთველთან 1492-ე სტროფში (1957 წ. გამოცემა, ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით) ვხვდებით:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს...“

რუსთველის ზემოაღნიშნულ სტროფს სტატიის ფარგლებში განვიხილავთ პოემის ოთხ ინგლისურენოვან თარგმანთან შეპირისპირებით, რომელიც შეასრულეს მ. უორდროპმა, რ. სტივენსონმა, ვ. ურუშაძემ და ლ. კოფინმა (სტატიაში არ არის განხილული ქ. ვივიანის თარგმანი, რადგან მთარგმნელს აღნიშნული სტროფი გამოტოვებული აქვს თარგმანში).

საანალიზო სტროფის განხილვა ინგლისურენოვანი თარგმანების კონტექსტში მიზნად ისახავს იმის დადგენას, თუ როგორ მოხდა ნეოპლატონისტური ფილოსოფიური იდეის გადატანა თარგმანში, რაც მეტად მნიშვნელოვანია კონკრეტული პასაჟის ადეკვატურად თარგმნის განსაზღვრისათვის.

საკვანძო სიტყვები: დივნოსი (დიონისე ახეოპაგედი), ნეოპლატონიზმი, ვეფხისგყაოსანი, ხუსთველის პოემის ინგლისურენოვანი თარგმანები

შოთა რუსთველის ვეფხისგყაოსნის ტექსტის ერთიანი კვლევის აუცილებელი პირობაა პოემის მაქსიმალურად მართებული ინტერპრეტაცია მეცნიერულ ანალიზზე დაყრდნობით. ნებისმიერი მხატვრული ტექსტის შინაარსის მეცნიერული შესწავლის გვერდით, მისი ინტერპრეტაციის უტყუარ ფაქტად რჩება ნაწარმოების თარგმანი. ჩვენც, სწორედ აღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით, შევეცდებით, წარმოგიდგი-

ნოთ რუსთველისეული ერთი სტროფის ორი ტაეპის ანალიზი ინგლისურენოვან თარგმანებთან მიმართებაში.

განსახილველად გთავაზობთ პოემის 1492-ე სტროფს, საკუთრივ, მის პირველ ორ ტაეპს:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად
გააკვლადებს.

თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“ [6, გვ. 310]

ჩვენი არჩევანი შემდეგი ფაქტორით არის განპირობებული: აღნიშნულ პნკარებში გამოხატული მოსაზრება რუსთველის ქმნილების ერთ-ერთ საფუძველს, როგორც ნეოპლატონისტური მოძღვრების გამოხატულებას წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორმა საფუძვლიანად იცოდა არა მხოლოდ ნეოპლატონური ტრადიცია, არამედ ბიბლია და ყურანი, აღმოსავლეთის მამათა წერილები, სუფიზმის მისტიციზმი, რაც გამოვლენილია მის მიერ სუფიზმის თემების ასახვაშიც. სწორედ ღმერთისადმი მისტიკური სიყვარული იყო გაიდეალებული არაბულ სუფიზმში, რომელსაც რუსთველის მიჯნურობის თეორიის ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის [8, გვ. 402].

ნეოპლატონიზმი, როგორც ფილოსოფიური მოძღვრება, ქართულ აზროვნებაში თავდაპირველად ნეოპლატონიზმის პირველი გადამამუშავებლის, ფსევდო-დიონისეს ნაშრომებით არის წარმოდგენილი, ხოლო შემდგომ განვითარებას იოანე პეტრინის ფილოსოფიაში ჰპოვებს. რუსთველის პოემაში მოხსენიებული დივნოსი, შალვა ნუცუბიძის მტკიცებით, გახლავთ V საუკუნის ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერი, არეოპაგეტული წიგნების ავტორი [11, გვ. 6-7], იგივე ფსევდო-დიონისე არეოპაგელი.

რუსთველის პოემა ამქვეყნიური სიყვარულის აპოთეოზია და სიკეთის გამოხატულების ძირითად ფორმას აქ სწორედ ამქვეყნიური, მაგრამ, ამავე დროს, ღვთაებრივ სიმაღლემდე აყვანილი სიყვარული წარმოადგენს, სადაც სიყვარუ-

ლის ობიექტი – ადამიანია. თეზას ადამიანის გაღმერთების შესახებ, ანუ თეორიას ე. წ. „თეოზისზე“, სწორედ პეტრე იბერთან – ფსევდო-დიონისესთან ვხვდებით, რომელიც იძლევა, როგორც ღმერთის გაადამიანურების, ასევე ადამიანის გაღმერთების შესაძლებლობის საფუძველს [11, გვ. 86-87]. პეტრე იბერის „პირდაპირი გზა სიკეთისკენ“ წარმოადგენდა ანტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ მიღწევას, ხოლო სიკეთის იდეა – არსებობის ერთიანობისა და ერთადერთობის გამომხატველ არსს, რისი გასაღებიც ნეოპლატონისტებმა აღმოაჩინეს და რასაც ასახავს რუსთველი ჩვენთვის საინტერესო ტაეპში „...ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“, ე.ი. უფლისგან მოვლენილია მხოლოდ კეთილი, რაც თანხვედრაშია ბიბლიურ დაბადებასთან: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი...“ [2, გვ. 7], რაც, სწორედ სიკეთის, კეთილი ადამიანის დაბადებას გულისხმობს.

ნეოპლატონიზმის სწავლებაც სამყაროს ერთიანობის შესახებ გულისხმობდა ღმერთის და ადამიანის გაიგივებას და ბოროტების უგულებელყოფას, რადგან ბოროტება ცალკე, როგორც სუბსტანცია, არ არსებობს, ბოროტება სიკეთის ნაკლებობაა, რაც საანალიზო ტექსტის ძირითად არსს წარმოადგენს. სწორედ ეს გახლავთ საანალიზო ტაეპების ძირითადი იდეა, რომელშიც პირდაპირ იკითხება ნეოპლატონიზმის მოძღვრების დედააზრი. ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობას ზოგადად, აშკარად ეტყობა როგორც ანტიკური ფილოსოფიის (პლატონის, არისტოტელეს), ასევე ნეოპლატონური (ფსევდო დიონისე არეოპაგელის) თეოსოფიის ღრმად გააზრება [9, გვ. 55].

წინამდებარე სტატიის მიზანია, გავაანალიზოთ რუსთველის ზემოთ წარმოდგენილი ორი ტაეპი იმ ინგლისურ თარგმანებთან შეპირისპირებით, რომელიც შეასრულეს მარჯორი უორდროპმა (პირველი გამოცემა თარიღდება 1912 წ.), ვენერა ურუშაძემ (პირველად გამოიცა 1968 წ.), რობერტ სტივენსონმა (თარგმანის გამოცემის თარიღი: 1977 წ.), ქეთრინ ვივიანმა (გამოიცა: 1977 წ.), და ლინ კოფინმა (2015 წ.).

მხატვრული ლიტერატურა ჩვეულებრივ თავის ენობრივ საზღვრებშია მოქცეული და თარგმანის გარეშე შეუძლებელია მისი გაცნობა დანარჩენი სამყაროსათვის. სწორედ ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსთველის სწორად შემეცნებასა და თარგმნას უცხოურ ენებზე, განსაკუთრებით, ინგლისურ ენაზე, რომელიც მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული. პოემის ყველა ინგლისურენოვანი თარგმანი ძირითადად ეყრდნობა კვლევას, რომელიც მისი შესრულების დროისთვის იყო მოპოვებული რუსთველოლოგიაში. რუსთველოლოგია კი, როგორც ცნობილია, სათავეს იღებს ვახტანგ VI-დან, რომელმაც შეისწავლა და 1712 წელს გამოსცა პოემა. საუკუნის შემდგომ, პოემის ცალკეული სტროფებისა და ლექსიკის განმარტებები უკვე თეიმურაზ ბატონიშვილმა შემოგვთავაზა. დღეს ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით 1951 და 1957 წლების გამოცემებს ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით [6], აგრეთვე პოემის გამოცემას ნ. ნათაძის განმარტებებით, კომენტარებითა და ბოლო სიტყვით [7].

პოემის ინგლისურენოვან თარგმანებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ *ვეფხისტყაოსნის* საერთაშორისო ასპარეზზე გატანისას არსებითად მნიშვნელოვანია რუსთველის მიერ პოემაში გატარებული ფილოსოფიური მოსაზრებების სიღრმისეული ასახვა, რაც, როგორც აღმოჩნდება, ყოველთვის სათანადოდ არ არის რეალიზებული თარგმანში.

ევროპელ მკითხველს *ვეფხისტყაოსნის* ტექსტზე სრულყოფილი წარმოდგენა ინგლისელი ქალის, მარჯორი სკოტ უორდროპის მიერ შესრულებულმა თარგმანმა შეუქმნა, რომელიც პირველად გამოიცა ინგლისში, 1912 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ. თარგმანს წინ უძღვის მარჯორის ძმის, ცნობილი დიპლომატისა და მკვლევარის, ოლივერ უორდროპის ვრცელი წინასიტყვაობა (წინასიტყვაობა, კომენტარებთან და დანართებთან ერთად პირველ გამოცემას ო. უორდროპმა დაურთო, თუმცა არ შეიძლება იგი მართო ოლივერს ეკუთვნოდეს. მარჯორი უორდროპი ტექსტის თარგმნის დროს თვითონვე აკეთებდა სქოლიოებს და საჭოჭმანო საკითხებზე სქოლიოში თავის მოსაზრებას გამოთქვამდა *ვეფხისტყაოს-*

ნის ამა თუ იმ სტროფის გამო. უორდროპისეული თარგმანის კომენტარები მკვლევართა განხილვის საგანი არ გამხდარა, თუმცა ისინი ბევრ საინტერესო დაკვირვებას შეიცავენ ვეფხისგყაოსნის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით [1, გვ. 11]), რომელსაც რუსთველზე დაწერილ ნაშრომთაგან ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევენ მკვლევარები (იხ.: თ. სახოკიას, ა. განერელიასა და ს. ცაიშვილის შრომები).

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც მარჯორი უორდროპმა პირველად დაიწყო ვეფხისგყაოსნის ინგლისურ ენაზე თარგმნა, რუსთველოლოგიურ მეცნიერებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ახსნილი და დასაბუთებული პოემასთან დაკავშირებული საკითხების მთელი წყება, არ იყო გადაწყვეტილი ამ ეროვნული ეპოსის მხატვრული მეტაფორების, რითმის, რიტმის, მსოფლმხედველობის და ჟანრული სპეციფიკის კომპლექსური პრობლემები. სწორედ ამიტომ, ოლივერ უორდროპს, ბრიტანელ დიპლომატს, გაერთიანებული სამეფოს უმაღლეს წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში, მისი დის, მარჯორი უორდროპის თარგმანი მიაჩნდა კიბის საფეხურის იმ ქვად, რომელიც სხვებს გაუადვილებდა რუსთველის ტექსტის სწორ ინტერპრეტაციას და ხელს შეუწყობდა მეთორმეტე საუკუნის ამ ძეგლით დაინტერესებას ევროპაში [12, გვ. 14]. ეს მართლაც ასე მოხდა, რადგან მარჯორი უორდროპმა დაძლია რუსთველის ენობრივი ფენომენი, როდესაც გულდასმით შეისწავლა ქართული ენა და სწორი ორიენტაცია და გეზი მისცა შემდგომში პოემის რუსულ და ევროპულ ენებზე მთარგმნელებს, რაც, რასაკვირველია, მთარგმნელის მიერ განეულ უდიდეს ღვაწლზე მეტყველებს.

ზოგადად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მ. უორდროპი დიდი მთარგმნელობითი ოსტატობის გამოყენებით და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ახერხებს დედნის შინაარსობრივი ქარგის გადატანას თარგმანში.

აი, როგორია საანალიზო ტაეპების მ. უორდროპისეული თარგმანი:

ორიგინალი

№1. თარგმანი მ. უორდროპისა

ამ საქმესა დაფარულსა
ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა
მოავლინებს და ბოროტსა
არ დაბადებს...

This hidden thing Divnos the sage
reveals:
God sends good, He creates no evil...
[12, გვ. 329]

მ. უორდროპი „ამ საქმესა დაფარულსა“ შემდეგნაირად თარგმნის: „**this hidden thing**“, რაც ქართულად სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ეს დაფარული საქმე“, რაც მის სწორ მიგნებად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ მთარგმნელს სიტყვა „საქმე“ ადეკვატურად გადააქვს თარგმანში.

დიონისეს სახელიც „დივნოს“ მთარგმნელს შეუცვლელად აქვს შენარჩუნებული და, შესაბამისად, იცავს საკუთარი სახელის უთარგმნელობის პრინციპს, განსხვავებით დანარჩენი მთარგმნელებისგან, რომლებიც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, დივნოსის, ე. ი. დიონისეს, ვინაობას დაუფარავად ამცნობენ მკითხველს.

მეორე ტაეპის შემთხვევაშიც, მ. უორდროპი სრული სიზუსტით ასახავს დედნისეულ აზრს თარგმანში და შესაბამისად გადმოსცემს დიონისეს დამოკიდებულებას სიკეთისა და ბოროტების მიმართ, რაც თანხვედრაშია თარგმანმცოდნეობის თანამედროვე მეთოდოლოგიასთან, საკუთრივ, როდესაც დედანი და თარგმნილი ტექსტი მინიმუმ ოთხი სახის ინფორმაციის (შინაარსობრივ-ფაქტობრივი, შინაარსობრივ-კონცეპტუალური, ქვე-ტექსტური და შინაარსობრივ-ხატობრივი) გამოყოფისა და რეალიზაციის თვალსაზრისით ფასდება [4, გვ. 288].

XX საუკუნის მეორე ნახევარში ვეფხისტყაოსნის თარგმნა დაიწყო ვენერა ურუშაძემ, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული პოეზიის არაერთი ნიმუშის ინგლისურად ამეტყველების საქმეში. მისი თარგმანი პირველად 1968 წელს გამოსცა თბილისში გამომცემლობამ „საბჭოთა საქართველო“. თარგმანს წინ უძღვოდა მთარგმნელის წინასიტყვაობა და ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის, დ. მ. ლანგის

შესავალი წერილი, წიგნის რედაქტორები კი კევინ ქროსლი-ჰოლანდი და ნიკო ყიასაშვილი იყვნენ [14].

ამ ახალი საქმის წამოწყებას ობიექტური საფუძველი ჰქონდა: როგორც ვენერა ურუშადის თარგმანის რედაქტორი, კევინ ქროსლი-ჰოლანდი მიუთითებდა, მ. უორდროპისეული თარგმანის ეგზემპლარები კანტიკუნტად იყო შემორჩენილი და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ინგლისურ ენაში მომხდარი ცვლილებებიც ახალი თარგმანის საჭიროებას განაპირობებდა [1, გვ. 31].

თავად ვ. ურუშადეც აღნიშნავდა, რომ სწორედ მ. უორდროპის თარგმანი წარმოადგენდა მისთვის მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს პოემის თარგმნის მეტად რთულ საქმეში [14, გვ. 8].

წარმოგიდგენთ საანალიზო სტროფს ვ. ურუშადის თარგმანში:

ორიგინალი

№2. თარგმანი ვ. ურუშადისა

ამ საქმესა დაფარულსა
ბრძენი დივნოს
გააცხადებს:
ღმერთი კარგსა
მოავლინებს და ბოროტსა
არ დაბადებს...

Dionysious the sage has revealed the following wisdom to us:
“God is the giver of good and not the creator of evil.....[14, გვ.1498]

ვ. ურუშადის თარგმანში პირველი ტაეპი, შინაარსობრივი თვალსაზრისით, დაახლოებულია დედანთან, თუმცა, ავტორისეული აზრისგან განსხვავებით, რომელსაც დიონისე არეოპაგელის მოძღვრება სამარადისოდ მიუჩნევია („გააცხადებს...“), თარგმანში დიონისე არეოპაგელის მოძღვრება არა განუსაზღვრელ დროში, არამედ უკვე წარსულის ქმედებად წარმოგვიდგება (revealed: გააცხადა, დაადგინა, გამოავლინა). აქვე ვხვდებით მთარგმნელისეულ ჩანართებს: მაგ. „**following wisdom**“ (**შემდეგი** სიბრძნე), რაც საერთოდ არ გვაქვს დედანში. ისიც საყურადღებოა, რომ ურუშადეს რუსთველისეული „ამ საქმესა“ გადმოაქვს როგორც the following wisdom, რაც ქართულად სიტყვასიტყვით ნიშნავს – „შემდეგი სიბრძნე“.

მეორე ტაეპის შემთხვევაში, ვ. ურუშაძე უფრო მეტად უახლოვდება დედანს და არ არღვევს დიონისე არეოპაგელის დამოკიდებულებას სიკეთისა და ბოროტების მიმართ, გამოხატულს რუსთველის მიერ, რაც, რასაკვირველია, კონკრეტული ტაეპების თარგმანის სასიკეთოდ მეთყველებს.

მთარგმნელი ცდილობს, დაიცვას რუსთველის ხაზი შინაარსობრივი თვალსაზრისით და დაუახლოვოს თარგმნილი ტექსტი ორიგინალს. გარკვეული სიტყვების დამატებით კი ცდილობს მეტი ექსპრესიულობა და დინამიზმი შესძინოს თარგმანს შინაარსობრივი ცვლილების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში კონკრეტული ფილოსოფიური მოძღვრების დედაარსს ასახავს და, რასაკვირველია, თარგმანის დადებით მხარეს წარმოადგენს.

XX საუკუნეში პოემა აგრეთვე თარგმნა ინგლისელმა ქართველოლოგმა, რობერტ სტივენსონმა, რომელმაც *ვეფხისტყაოსნის* საკუთარი ვერსიისთვის არჩევანი პროზაულ ფორმაზე შეაჩერა [1, გვ. 10]. რ. სტივენსონი თითქმის 25 წელი თარგმნიდა პოემას და მისი თარგმანი 1977 წელს გამოსცა იუნესკომ, ამერიკაში [3, გვ. 152]. რ. სტივენსონმა *ვეფხისტყაოსნის* მისეულ თარგმანს თან დაურთო ძალზედ საინტერესო გამოკვლევა, რომელშიც, სხვადასხვა საკითხთან ერთად, მკითხველს შესთავაზა *ვეფხისტყაოსნის* თარგმნის დროს წამოჭრილი გამოწვევები და მათი გადაწყვეტის პასუხებიც.

გთავაზობთ საანალიზო სტროფს რ. სტივენსონისეულ თარგმანში:

ორიგინალი

ამ საქმესა დაფარულსა
ბრძენი დივნოს
გააცხადებს:
ღმერთი კარგსა
მოავლინებს და ბოროტსა
არ დაბადებს...

№3. თარგმანი რ. სტივენსონისა

Denys the wise has revealed this arcane
truth to us:
God sends good, and good only; evil is
not his creation ... [13, გვ.179]

რ. სტივენსონს „დივნოსი“ თარგმანში შემდეგი სახით გადმოუცია: *Denys*, რაც განსხვავდება ყველა სხვა მთარგმნელის ვერსიისაგან. ამ არჩევანის საფუძველს ბერძნულ-რომა-

ული სახელისაგან (დიონისე) წარმოქმნილი სახელი დენნისი ან დენის (Dennys, Dennis, Denis) უნდა წარმოადგენდეს, რაც კონკრეტული სახელის თანამედროვე ინტერპრეტაციად გვესახება თარგმანში.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს, საკუთრივ, ნეოპლატონისტურ მოძღვრებას, მის თარგმანში არ არის დაკარგული საანალიზო ტაეპების ძირითადი აზრი.

რუსთველის პოემის თარგმანებს შორის მნიშვნელოვანი და საინტერესოა ინგლისელი მწერლისა და მთარგმნელის, ქეთრინ ვივიანის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტი. ქ. ვივიანისეული თარგმანის სახით ჩვენი კლასიკოსის უკვე მეოთხე თარგმანი შეემატა ინგლისურენოვან სამყაროს. ფრიად სამაგალითოა, რომ ქ. ვივიანმა შეისწავლა ქართული ენა და პოემის თარგმანი ქართველ რუსთველოლოგებთან (ს. სერებრიაკოვი, მ. კარბელაშვილი, მ. გიგინეიშვილი და სხვ.) მჭიდრო თანამშრომლობით განახორციელა [1, გვ. 69]. 1972 წელს ის საგანგებოდ ეწვია თბილისს და ქართველი მეცნიერების დახმარებით დახვეწა და შეასწორა კიდევ საკუთარი თარგმანი, რომელიც 1977 წელს გამოიცა ფოლიოს საზოგადოების (Folio Society) მიერ ლონდონში. ცნობილია, რომ მას დიდი დახმარება აღმოუჩინა აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ, რომელმაც საუკეთესო პირობები შეუქმნა მთარგმნელს ტექსტის ურთულესი ადგილების გასაგებად.

ქ. ვივიანის თარგმანი, მისი წინამორბედი მთარგმნელებისგან განსხვავებით, პოემის პოპულარული გარდათქმვა და მის მიერ შესრულებული ვერსია, ფაქტობრივად, პოემის გარკვეულწილად შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს. თავად მთარგმნელიც აცხადებს, რომ ეს არის პოემის „თავისუფალი პროზაული თარგმანი“, რაც გარკვეულწილად ხსნის მთარგმნელის მიერ ზოგიერთი პასაჟის გამოტოვებას თარგმანში. რაც შეეხება საანალიზო სტროფს, ეს სტროფიც ქ. ვივიანთან გამოტოვებულია და, ამდენად, ჩვენ არ გვეძლევა შესაძლებლობა ვიმსჯელოთ, თუ როგორ გაიგო მან ნეოპლატონიზმის იდეის შემცველი სტროფი დედანში.

2015 წელს, თბილისში გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ უახლესი თარგმანი, შესრულებული ამერიკელი პოეტისა და

მთარგმნელის, ლინ კოფინის მიერ. თარგმანის გამომცემლის, ნ. ალხაზიშვილის თანახმად, ტექსტი თარგმნილია პოემის 1966 წლის გამოცემის მიხედვით, რომლიც რედაქცია ეკუთვნით ი. აბაშიძეს, ა. ბარამიძეს, პ. ინგოროყვას, ა. შანიძესა და გ. წერეთელს. ნ. ალხაზიშვილის ცნობით, ტექსტი შემდგომ შედარებულია ნ. ნათაძის ზემოაღნიშნულ სასკოლო გამოცემასთან. პროლოგის თარგმანი შესრულებულია გ. ჯოხაძის პნკარედის მიხედვით, ხოლო დანარჩენი ტექსტის თარგმანის საფუძველს დ. კიზირიას პნკარედი წარმოადგენს. გამომცემლის განცხადებით, თარგმანში გათვალისწინებულია, როგორც ნ. ნათაძის, ასევე ლ. გიგინეიშვილის შენიშვნები [13, გვ. 358], რომელმაც ბოლოთქმა დაურთო ხსენებულ თარგმანს.

პოემის თარგმანი შესრულებულია პოეტური ფორმის მიცემის მცდელობით. პოემაში ხშირად ვაწყდებით შემთხვევებს, როდესაც თარგმანში პოემის ინფორმატულობა დარღვეულია სხვადასხვა ასპექტით, იქნება ეს ფაქტობრივი, კონცეპტუალური, ქვეტექსტური, თუ ხატობრივი პარამეტრი. სამწუხარო ფაქტია, რომ ლინ კოფინი არ ფლობს ქართულ ენას და შესაძლებელია, ესეც იყო ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი პოემის ტექსტის მართებული წვდომისა. ასევე აშკარაა, რომ ის არ ითვალისწინებს წინამორბედი მთარგმნელების წარმატებულ ინტერპრეტაციებს და, ამდენად, მასთან რუსთველოლოგიური მიღწევები და მიგნებები არ არის სათანადოდ გაზიარებული. თარგმანის ხარვეზებზე განსაკუთრებით კარგად მეტყველებს სწორედ ჩვენთვის საინტერესო, საანალიზო სტროფი:

ორიგინალი

ამ საქმესა დაფარულსა
ბრძენი დივნოსს
გააცხადებს:
ღმერთი კარგსა
მოავლინებს და ბოროტსა
არ დაბადებს...

№5. თარგმანი ლ. კოფინისა

This hidden truth was revealed to us by
Dionysus, the wise

God creates only good; He lets no evil
in the world arise...[15, გვ. 318]

როგორც უკვე ითქვა, რუსთველთან დიონისეს დამოკიდებულება სიკეთისა და ბოროტების მიმართ, მარადიულობას უკავშირდება. რაც შეეხება ლინ კოფინს, ის ქართულ, დედნისეულ სიტყვას „გააცხადებს“, წარსულ დროში გადმოსცემს, რაც ავინროებს ნეოპლატონისტური მოძღვრების სიღრმეს, გადმოცემულს რუსთველის მიერ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ურუშაძის და ლ. კოფინის მიერ შესრულებული ჩვენთვის საინტერესო პნკარების თარგმანები ერთმანეთთან უფრო ახლოს არიან, ვიდრე ორიგინალთან: Dionysius the sage has revealed the following wisdom to us – ვკითხულობთ ვ. ურუშაძესთან, ლ. კოფინთან კი იგივე პნკარის თარგმანს შემდეგი ინტერპრეტაციით ვხვდებით: This hidden truth was revealed to us by Dionysus, the wise, რას სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება ქართულად: „ეს დაფარული ჭეშმარიტება გაცხადებული იყო ჩვენთვის დიონისე ბრძენის მიერ“.

რაც შეეხება მეორე ტაეპს, აქ მთარგმნელი რუსთველის ტექსტის შესაბამისად, ანმყო განუსაზღვრელ დროში გადმოსცემს დიონისე არეოპაგელის დამოკიდებულებას სიკეთისა და ბოროტების მიმართ, მაგრამ, სამწუხაროდ, ტაეპის ძირითადი შინაარსი ნეოპლატონიზმის მოძღვრების ირგვლივ, უხეშად არის დარღვეული თარგმანში. თუ დედანში ვკითხულობთ: „...და ბოხოგსა ახ დაბადებს“, ინგლისური თარგმანი he lets no evil in the world arise (უფალი არ დაუშვებს ქვეყანაზე ბოროტების აღმოცენებას) არა მხოლოდ შეუსაბამობაშია ზემოთ განხილულ ნეოპლატონისტურ მოძღვრებასთან სიკეთისა და ბოროტების შესახებ, არამედ, უფრო მეტიც, ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას. ინგლისურენოვან მკითხველს ამ პნკარის ნაკითხვისას გაუჩნდება შეკითხვა: თუ უფალი არ უშვებს ბოროტების აღმოცენებას, მაშ რატომ არსებობს ბოროტება დედამინაზე? აი, ასე შეიქმნა გაუმართლებელი შინაარსი ინგლისურ თარგმანში.

ბუნებრივია, ისმის სხვა კითხვა: თუ ლ. კოფინი, რომელმაც ქართული ენა არ იცის, სარგებლობდა ნ. ნათაძის განმარტებებითა და კომენტარებით, როგორ გაიზიარა, ან გაიზიარა თუ არა მან ნათაძისეული ინტერპრეტაცია? ისმის კიდევ შემდეგი კითხვა: რაიმე ცდომილებას ხომ არ შეიცავდა თა-

ვად ნათაძისეული განმარტება ზემოაღნიშნული პნკარისა? გადავამოწმეთ რა ნ. ნათაძესთან ზემოაღნიშნული სტროფის ინტერპრეტაცია, კიდეც ერთხელ დავრწმუნდით ნ. ნათაძის მიერ ნეოპლატონიზმის იდეის შემცველი რუსთველის ტექსტის სწორ მცენიერულ წვდომაში. ჩანს, მთარგმნელი არ გაცნო სიღრმისეულად ნათაძისა და სხვა ქართველ სწავლულთა განმარტებებს და, ასევე, არ გაიზიარა ამ სტრიქონის ის მართებული ინტერპრეტაციები, რომლებიც ასახულია, პირველ ყოვლისა, მ. უორდროპის, ხოლო შემდეგ ვ. ურუშაძისა და რ. სტივენსონის ინგლისურ თარგმანებში.

განხილული თარგმანების კვალდაკვალ, საინტერესოა საანალიზო სტროფის შ. ნუცუბიძისეული რუსულენოვანი თარგმანიც: „Мудрый Дивнос открывает дела скрытого исток: лишь добро являет миру, а не зло раждает бог... ” [10 გვ. 330], რადგან მას, როგორც აღიარებულ რუსთველოლოგსა და ფილოსოფოსს, რასაკვირველია, ზედმინევნით ზუსტად აქვს ასახული რუსთველის მიერ გამოხატული ნეოპლატონისტური არსი თარგმანში.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ საანალიზო სტროფის კონტექსტში, მ. უორდროპის თარგმანი ყველაზე მართებულ ვარიანტს წარმოადგენს, ვ. ურუშაძისა და რ. სტივენსონის თარგმანებიც წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო საანალიზო სტროფის ლ. კოფინისეულ თარგმანში არსებითად დარღვეულია ავტორისეული აზრი. ბუნებრივია, ინგლისურენოვანი მკითხველი დაელოდება ჩვენი საუკუნის უკეთეს ვარიანტს, რათა ვეფხისცყაოსანმა წვლილი შეიტანოს მსოფლიო კულტურის საგანძურში და მეტი სახელი და დიდება მოიხვეჭოს საერთაშორისო ასპარეზზე.

ბიბლიოგრაფია

1. ანდრონიკაშვილი ნ., „ვეფხისცყაოსნის“ ინგლისური თარგმანები, თბ. 1984.
2. ბიბლია, თბ.2013.
3. გამსახურდია ზ., „ვეფხისცყაოსანი“ ინგლისური ენაზე, თბ.1984.
4. მერაბიშვილი ი., პოეტური თარგმანის დინგვისტიკა. თბ. 2002.

5. ნუცუბიძე ქ., *შადვა ნუცუბიძე (ეპოზოდები ცხოვრებიდან)*. თბ. 1982.
6. რუსთაველი შ., „ვეფხისტყაოსანი“ (სახედაქციო კოდეგია: ად. ბა-
ხამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე). თბ.1957.
7. რუსთაველი შ., „ვეფხისტყაოსანი“ (რედაქტორი ალ. ჭინჭა-
რაული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარ-
ტებანი, კომენტარი და ბოლო სიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ). თბ.
1974.
8. ხინთიბიძე ე., „ვეფხისტყაოსნის“ იდეუხ-მსოფდმხედველობითი
სამყაჩო. თბ. 2009.
9. ხინთიბიძე ე., „ვეფხისტყაოსანი“ შექსპიჩისა და მისი თანა-
მედხოვეების ინგლისუხ დხამაგუჩგიაში. თბ. 2017.
10. Руставели Ш., «Витязь в Тигровой Шкуре». Перевод с грузинского
Шалва Нуцубидзе. Тб.1957.
11. Нуцубидзе Ш., *Собрание Сочинений*, Том V. Тб. 1988.
12. Rust'haveli Sh., „*The Man in the Panther's Skin*“, a close rendering
from the Georgian, attempted by Marjory Scott Wardrop. Tb. 1966.
13. Rustaveli Sh., „*The Lord of the Panther Skin*“. Translated by R. H.
Stevenson. Alb. 1977.
14. Rustaveli Sh., „*The Knight in the Panther's Skin*“. Translated by V.
Urushadze, Tb.1986.
15. Rustaveli Sh., „*The Knight in the Panther Skin*“. New Translation by
Lyn Coffin. Tb. 2015.

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

Analysis of Two Lines from *The Man in the Panther's Skin* by Shota Rustveli against the Background of Its English Translated Versions

Salome Sanikidze

*PhD Student, St. Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia*

Abstract: Studying the text of *The Man in the Panther's Skin* by Shota Rustveli means the interpretation of its content as adequately as possible. Alongside with the scholarly analysis to understand the essence of the text, its translated version represents the fact of interpretation that requires critical analysis. Translations of "*The Man in the Panther's Skin*" are mainly based on those academic findings and data that Rustvelology had achieved and obtained by the time of their renderings in English.

According to the first Rustvelologist – Vakhtang VI, there had been many attempts of either "translating" or clarifying the poem, i. e. providing its ethical and philosophic interpretation. Respectively, before reviewing the poem concerning renderings, it is of high significance to determine the issues that Rustvelologists attempted to define and clarify through the researches conducted during centuries. The definition of adequacy of a rendering of the poem is possible, based on determining the significance or clarification of the Georgian text only.

The present article provides an analysis of a reflection of Neo-Platonism in the poem, based on one stanza. The teaching of Neo-Platonism about world unity meant the identity of God and the human

being and acknowledgement of the absence of Evil as the substance, representing the main idea of the text to be analyzed.

The lines containing the above- referenced content are given under the Stanza #1492 (according to the edition by A. Baramidze, K. Keke- lidze and A. Shanidze, Tb., 1957) as compared with all its translated English versions.

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს...“

English translations of the poem were made by M. Wardrop (1912), V. Urushadze (1968), R. Stevenson (1977), K. Vivian (1977) and L. Coffin (2015). K. Vivian offered the shortened rendering of the poem, under which the Stanza #1492 is omitted.

Reviewing of the stanza to be analyzed in the context of its English renderings aims at determining how the philosophic idea of Neo-Platonism was reflected in the translation. This is of high significance for defining the adequacy of renderings of the specific extract from the text.

Key words: *Divnos (Dionysius the Areopagite), Neo-Platonism, The Man in the Panther's Skin, English translations of Rustvelis' Poem.*

The essential pre-condition for the comprehensive study of the text of *The Man in the Panther's Skin* by Shota Rustveli is an adequate interpretation of the text based on scientific research. Along with the scientific exploration of the essence of a text, the rendering in another language remains the way of interpretation.

With consideration of that attitude, we will attempt to represent the analysis of two following lines of one stanza (#1498) from the poem by Shota Rustveli against the background of its English translated versions:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,

ავსა წამ-ერთ შუამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად
გაკვლადებს.
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“
[6, p. 310]

The selection of these lines in this article was determined by the following factors: this stanza contains the main idea of Neo-Platonism as the leading philosophical doctrine of the poem. It is worth mentioning that the author of *The Man in the Panther's Skin* was aware of not only the Neo-Platonic tradition, but also of the Bible and Koran, Eastern Church, and Sufism. This can be proved by reflecting Sufism themes in the poem (mystic love towards God was idealized in Arabic Sufism that must have contributed to the creation of Rustveli's Love Theory [8, p. 402]).

Neo-Platonism in Georgian thinking was represented by scholarly works of Pseudo-Dionysius who was the first to elaborate the Neo-Platonism teaching developed later under philosophy of Ioane Petritsi. According to the outstanding Georgian philosopher and translator, Shalva Nutsubidze, Georgian thinker of the V century – Petre Iberi, an author of Areopagite books, was also Pseudo-Dionysius the Areopagite [11, pp. 6-7].

The poem by Rustaveli represents the apotheosis of this world's love and the basic form of representation of kindness is actually the love of this world elevated up to the divine level, at which the object of love is a human being. The thesis on deification of a human being, i.e. theory on so-called "Theosis" is represented in the works by Petre Iberi – Pseudo-Dionysius, who provides the basis for the possibility of God to be humanized and the human being to be deified [11, pp. 86-87]. "The Direct Road to Good" by Petre Iberi was one of the achievements of Ancient philosophy, and the idea of "good" was the essence of the unity of existence, the key to which was identified by Neo-Platonists and was reflected by Rustveli in the stanza we are interested in: "*God sends good, He creates no evil*", i.e. God creates only good and that is in compliance with the Bible.

The teaching of Neo-Platonism on the world unity meant equalising God with a human being and rejecting existence of evil, since the latter does not exist separately, as the substance, and the scarcity of good is the main idea of the text to be analyzed. The worldview of the author of *The Man in the Panther's Skin*, in general, justifies deep conceptualization of Ancient philosophers (Plato, Aristotle) as well as of Neo-Platonism (Pseudo Dionysius the Areopagite) theosophy [9, p. 55].

This article aims at studying the above -reviewed two lines from one stanza by Rustveli and comparing them to the English translations of the poem by M. Wardrop (1912), V. Urushadze (1968), R. Stevenson (1977), K. Vivian (1977) and L. Coffin (2015).

Generally, literature is restricted by linguistic limitations and without translation, it would be impossible for the world to get familiarized with it. That is why the correct perception and adequate translation of Rustveli's poem into foreign languages, in particular, in English, is of crucial significance, as the latter represents the widespread language worldwide. All English renderings of the poem are based on those findings and data that Rustvelology had achieved by the time of their rendering. Rustvelology, as a branch of philology, started by the Georgian king, Vakhtang VI, who studied and printed the poem as early as in 1712. A century later it was Teimuraz Bagrationi, who offered meticulous definitions and explanations for each stanza, paying particular attention to the lines and significant words. Nowadays we mostly refer to the editions published in 1951 and 1957 as a result of studies and editorial work by A. Baramidze, K. Kekelidze and A. Shanidze [6], alongside with the one offered later by N. Natadze [7].

With regard to the English translation of the poem, it is to be noted that whilst representing *The Man in the Panther's Skin* at an international level, it is highly important for the philosophical ideas expressed by Rustveli in the poem to be reflected in translations in an adequate and appropriate manner which is not always true.

European readers were acquainted with the adequate representation of the text of *The Man in the Panther's Skin* by Marjory

Scott Wardrop, whose translation of the poem was first published in England in 1912, following her death. The Preface to her translation was written by her brother, a famous diplomat and researcher Sir Oliver Wardrop (the preface, along with the comments and appendices was enclosed to the first edition by Sir O. Wardrop. However, the text may not have been elaborated only by O. Wardrop. While translating the text of the poem, M. Wardrop made the footnotes and expressed her opinions regarding the issues related to the text. The comments made by Wardrop have never been studied by researchers, although they comprise interesting findings and data with regard to the above-mentioned issues [1, p. 11]) and which is rendered by researchers (studies by T. Sakhokia, A. Gatserelia and S. Tsaishvili) as one of the best works written on Rustveli.

It is worth mentioning that at the threshold of XIX and XX centuries, when Marjory Wardrop started translation of *The Man in the Panther's Skin* into English, Rustvelology had not had clarified and explained a range of issues related to the poem. The complex problems connected to the comprehension of artistic, metaphoric, rhythmic and worldview issues were not resolved either. That was why Sir Oliver Wardrop, British diplomat, and a high-rank representative of the United Kingdom to the South Caucasus and Georgia, deemed that the translation of his sister – Marjory Wardrop was “a contribution to Georgian studies in Europe, a stepping-stone to help others in a difficult task” [12, p. 14]. And this corresponded to reality since having studied the Georgian language, Marjory Wardrop managed to comprehend the linguistic phenomena

ორიგინალი

ამ საქმესა დაფარულსა
 ბრძენი დივნოს გააცხადებს:
 ღმერთი კარგსა მოავლინებს
 და ბოროტსა არ დაბადებს...

1. Translation by M. Wardrop

This hidden thing Divnos the sage
 reveals:
 God sends good, He creates
 no evil...[12, p. 329]

of Rustaveli. Her translation also provided future translators of the poem into Russian and European languages, with the proper guidance.

It needs to be noted that M. Wardrop manages to reflect the substantial essence of the original text into her translation effortlessly by applying translating skills of the highest level.

This is how the lines to be analyzed under the present article are translated by M. Wardrop:

M. Wardrop suggests „**this** hidden **thing**“ for “ამ საქმესა დაფარულსა”, which represents the adequate translation of the respective line.

The name “Divnos” is also maintained in the translation; hence the translator here complies with the principle of the untranslatability of personal names, unlike other translators, who unveiled the identity of Divnos, i.e. of Dionysius the Areopagite.

In the second line M. Wardrop adequately and precisely reflected the essence of the original text in her translation and thus represented the attitude of Dionysius towards Good and Evil. This also complies with the modern methodology of translation studies, i.e. when the original and the translated texts are evaluated as per representation and realization of at least four types of information (substantial-factual, substantial-conceptual, sub-textual and substantial-representational) [4, p. 288].

In the second half of XX century, the translation of *The Man in the Panther's Skin* was made by Venera Urushadze, who had contributed much to the translation theory by translating a number of samples of Georgian poetry into English. Her translation of the poem was first published by the Publishing House “Soviet Georgia” in Tbilisi in 1968. This translation was preceded by the translator’s preface and the introduction by famous English Kartvelologist David M. Lang. The editors of the translation were Kevin Crossly-Holland and Niko Kiasashvili [14].

The initiation of the new translation of the poem was based on objective reasons. According to Kevin Crossly-Holland, there were few copies of the English translation by Wardrop available. Moreover, the need for the new translation arose due to the recent changes in the English language [1, p. 31].

According to V. Urushadze, she was in debt to Marjory Wardrop, since the translation by Wardrop had served as a stepping-stone in the difficult task [14, p. 8].

Here is the stanza in the translation by V. Urushadze:

ორიგინალი

ამ საქმესა დაფარულსა
ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს
და ბოროტსა არ დაბადებს...

№2. Translation by V. Urushadze

Dionysius the sage has
revealed the following wisdom to us:
“God is the giver of good and not
the creator of evil.....[14, p. 151]

The first line of the stanza in V. Urushadze’s translation is close to the original from the point of view of the meaning. However, unlike the opinion expressed by Rustveli, who represents the teaching of Areopagite as an eternal phenomenon, the same doctrine is represented by the translator as an action that already occurred the past, i.e. the action that happened only once (has *revealed*). There are inclusions by the translator in the text: e.g. „ the *following wisdom*“. There is neither the word “following”, nor “wisdom” (although *wisdom* may mean the *thing*) in the original text.

In the second line, V. Urushadze's variant is closer to the original and expresses the attitude of Dionysius the Areopagite to Good and Evil, maintained by Rustveli in his text. This certainly speaks in favour of the translation of these specific lines.

The translator follows the line by Rustveli from the standpoint of the meaning of the text and approximates the translated version to its original. By adding her own words and expressions, V. Urushadze intensifies the dynamic nature of the text, without making substantial changes to the content. This is a positive side of the translation since neither substantiality nor essence of the specific philosophic doctrine (Neo-Platonism) is violated.

In the XX century, the poem was translated in prose by an English Kartvelologist, Robert Stevenson. [1, p.10]. It took R. Stevenson almost 25 years to translate the poem, and this translation was published by UNESCO in America, in 1977 [3, p 152]. R. Stevenson's

translation was published with a very interesting work enabling the readers to get familiarized with the challenges arising in the process of translation and the possible ways for their solution.

Below there are the lines of the line in question as translated R. Stevenson:

Original

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი
დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და
ბოროტსა არ დაბადებს...

№3. Translation by R. Stevenson

Denys the wise has revealed
this arcane truth to us:
God sends good, and good only;
evil is not his creation. [13, p. 179]

It is worth mentioning that R. Stevenson transposed Divnos as Denys, which is different from all of the other versions suggested by other translators. The basis for such a decision might have been *Dennys (Dennis, Denis)*, originated from the Greek-Roman name that represents the modern interpretation of Divnos.

Concerning the issue that we are interested in, in particular, the Neo-platonic teaching, it needs to be noted that the main essence of the lines under the study is neither lost nor changed in Stevenson's rendering.

Among the translations of Rustveli's poem, the fourth variant of the translation, done by the English writer and translator Katherine Vivian, is also significant. The fact that K. Vivian studied the Georgian language and translated the poem in English in tight cooperation with Georgian Rustvelologists is of high importance (S. Serebryakov, M. Karbelashvili, M. Gigineishvili, etc.) [1, p. 69]. In 1972 Vivian arrived in Tbilisi and, with the help of Georgian scholars, she elaborated and revised her translation which was published by "Folio Society" in London in 1977. It is also known that she was assisted by Academician A. Baramidze concerning the understanding of the complex language of the poem.

Unlike previous translations, Vivian's rendering represents a popular, so-called shortened version of the poem. According to the translator, it is a "free prosaic rendering" of the poem that somehow clarifies missing of certain passages in this version.

With regard to the lines under question, this stanza is also omitted in her translation. Therefore, we are unable to explore how K. Vivan understood the stanza referring to the idea of Neo-Platonism in the original text.

The recent translation of *The Man in the Panther's Skin* by an American Poet and Translator Lyn Coffin was published in Tbilisi in 2015. According to the publisher N. Alkhazishvili, for this translation, L. Coffin employed the text published in 1966 by the State Commission for the Ascertaining of the Text (editorial board: I. Abashidze, A. Baramidze, P. Ingorokva, A. Shanidze and G. Tsereteli). According to N. Alkhazishvili, the text was compared to the so-called "School Edition with Commentaries" published by Nodar Natadze. The Prologue to the poem was translated first using the word-for-word translation by Gia Jokhadze. Later Prof. Dodona Kiziria prepared the verbatim translation of the whole poem. Critical comments and corrections suggested by N. Natadze were also incorporated into the text. The text benefited from the comments and suggestions provided by Prof. Levan Gigineishvili [13, p. 358], who also wrote the Afterward to that text.

Rendering of the poem represents an attempt to translate the poem in verse. The original meaning, in some cases, is violated concerning various parameters of the text related to the factual, meaning, sub-textual or representational aspects. Unfortunately, Lyn Coffin does not speak Georgian that might be one of the hindering factors regarding the understanding the depth of the text. Moreover, it is obvious that this translation does not take into consideration successful interpretations and findings of previous translators. Below is given the stanza as translated by L. Coffin:

Original

ამ საქმესა დაფარულსა
ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლი-
ნებს და ბოროტსა არ
დაბადებს...

№5. Translation by Lyn Coffin

This hidden truth was revealed to us
by Dionysus, the wise
God creates only good;
He lets no evil in the world arise...[15,
p. 318]

As it was noted above, the attitude of Dionysius the Areopagite towards Good and Evil is associated with eternity. As for Lyn Coffin, she expresses the same idea in her rendering in the past tense, by which she narrows down the depth of Neo-Platonism, expressed by Rustveli in his poem. It is also worth mentioning that translations of these specific lines, suggested by V. Urushadze and L. Coffin, are closer to each other rather than to the original text: “*Dionysius the sage has revealed the following wisdom to us*” (V. Urushadze), and “*This hidden truth was revealed to us by Dionysus, the wise*” (L. Coffin).

In the second line of the same stanza, the translator expresses the attitude of Dionysus to God and Evil in a correct tense (present simple). However, the main content of the line related to Neo-Platonism is breached. The original text says: “*God... creates no evil*”, whereas the rendering by L. Coffin maintains: “*he lets no evil in the world arise*”, that does not correspond to the above referenced and reviewed Neo-Platonism thinking about Good and Evil. Moreover, this interpretation is against the Christian doctrine. While reading the stanza, an English-speaking reader of the variant by L. Coffin might ask: *if God does not let evil in the world arise*, then how is it possible that evil does exist on earth? This is an example of how the unjustified content maybe created in the translated version of the text.

Because Lyn Coffin, who does not speak Georgian, utilized the explanations and clarifications by N. Natadze while translating, it is interesting whether she shared the interpretations offered by N. Natadze or not. Here emerges the following question: what was the interpretation by Natadze for the above-mentioned lines? We have checked the interpretation of the lines by Natadze and found his understating of Rustveli’s text concerning Neo-Platonism correct. It seems to us that Coffin was not aware of the comments by Natadze and other Georgian scholars. That is why she did not share correct interpretations of the line in question although it was translated adequately in all English renderings, suggested first by M. Wardrop and later by V. Urushadze and R. Stevenson.

Along with all the above-reviewed translations, the Russian rendering of the lines by Shalva Nutsubidze is also of considerable interest: „Мудрый Дивнос открывает дела скрытого исток: лишь добро являет миру, а не зло рождает бог... ” [10, p.330]. Nutsubidze was an acknowledged Rustvelologist and Philosopher and Neo-platonic doctrine was precisely and adequately translated by him.

In the context of the stanza in question, we may conclude that the translation by M. Wardrop represents the most adequate interpretation of the essence. While renderings by V. Urushadze and R. Stevenson of the particular stanza might be considered successful, the content of the same lines by L. Coffin is substantially breached. English readers will be looking forward to a better version of “*The Man in the Panther’s Skin*” of our century for the poem to contribute to the world culture and be granted the deserved recognition at the international level.

Bibliography

1. Andronikashvili N., *English Translations of the Man in the Panther’s Skin*, Tb. 1984. /ანდრონიკაშვილი ნ., „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანები, თბ. 1984.
2. *Bible*, Tb., 2013. /ბიბლია, თბ. 2013.
3. Gamsakhurdia Z., “*The Man in the Panther’s Skin*” in *English*, Tb. 1984./ გამსახურდია ზ., „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, თბ. 1984.
4. Merabishvili I., *Linguistics of Poetic Translation*, Tb., 2002. /მერაბიშვილი ი., პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა. თბ. 2002.
5. Nutsubidze K., *Shalva Nutsubidze (Episodes from Life)*. Tb. 1982. / ნუცუბიძე ქ., შადვა ნუცუბიძე (ეპიზოდები ცხოვრებიდან). თბ. 1982.
6. Rustaveli Sh., *Vepkhistaosani (Editorial Board: Al. Baramidze, K. Kekelidze, A. Shanidze)*, Tb. 1957. /რუსთაველი შ., „ვეფხისტყაოსანი“ (საჩუქარი კომპილაცია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე). თბ.1957.

7. Rustaveli Sh., *Vepkhistkaosani* (Editor: Al. Chincharauli, text prepared for publishing, preface, clarifications, comments and afterward enclosed by N. Natadze), Tb. 1974. / რუსთაველი შ., „ვეფხისტყაოსანი“ (ხელაქტმოხი ად. ჭინჭარაული, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტაჲნი და ბოლო სიტყვა დაუხთომ ნ. ნათაძემ). თბ. 1974.
8. Khintibidze E., *The world view of Rustaveli's Vepkhistqaosani (The Man in a Panther-Skin)*, Tb. 2009. / ხინთიბიძე ე., „ვეფხისტყაოსანის“ იდეუი-მსოფდმხედველობითი სამყაიჲ. თბ. 2009.
9. Khintibidze E., *“The Man in a Panther-Skin” in the English Dramaturgy of Shakespeare and his Contemporaries*, Tb. 2017. / ხინთიბიძე ე., „ვეფხისტყაოსანი“ შექსპიიისა და მისი თანამედჲოვეების ინგლისუი ღჲამაგუიგიაში. თბ. 2017.
10. Руставели Ш., *Витязь в Тигровой Шкуре. Перевод с грузинского Шалва Нуцубидзе*. Тб.1957.
11. Нуцубидзе Ш., *Собрание Сочинений*, Том V. Тб. 1988.
12. Rust'aveli Sh., *The Man in the Panther's Skin, a close rendering from the Georgian, attempted by Marjory Scott Wardrop*. Tb. 1966.
13. Rustaveli Sh., *The Lord of the Panther Skin. Translated by R. H. Stevenson*. Alb. 1977.
14. Rustaveli Sh., *The Knight in the Panther's Skin. Translated by V. Urushadze*, Tb.1986.
15. Rustaveli Sh., *The Knight in the Panther Skin. New Translation by Lyn Coffin*. Tb. 2015.

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

ვეფხისტყაოსნის გზა ევროპისაკენ და ინგლისური საისტორიო წყაროები

ელგუჯა ხინთიბიძე

ოსუ პიოფესორი

რეზიუმე: ნაშრომში შესწავლილია ინგლისური საისტორიო მწერლობისა და პირველწყაროების ცნობები შაჰ-აბას პირველის წარმოშობით ქართველ ქრისტიან ცოლთა თაობაზე, რომელიც არ ჩანს განხილული ქართულ საისტორიო მწერლობაში. კერძოდ, XVI საუკუნის დასასრულის ინგლისელი დიპლომატი და მოგზაური სერ ანტონი შერლი და XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისელი ატაშე ირანში სერ ტომას ჰერბერტი თავიანთ XVII საუკუნეებში გამოქვეყნებულ წიგნებში აღნიშნავენ, რომ აბასმა ცოლად შეირთო ქართლის მეფე სიმონის და კახეთის მეფე ალექსანდრეს ქალიშვილები (დაახლოებით XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე).

ინგლისური საისტორიო მწერლობა და პირველწყაროები მიუთითებენ, რომ ინგლისელ დიპლომატს სერ ანტონი შერლისა და მის კომპანიას XVI ს-ის დამლევს შაჰ-აბასის კარზე ხელს უწყობდნენ შაჰის ქართველი ქრისტიანი ცოლები. ეს ცნობა განამტკიცებს იმ თვალსაზრისს, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისელ დრამატურგთა წრესთან, და თვით შექსპირთან, მიტანილია შაჰ-აბასის გარემოცვაში დაწინაურებულ წარმოშობით ქართველთა თანამშრომლობის შედეგად სერ ანტონი შერლისთან.

საკვანძო სიტყვები: ვეფხისტყაოსანი, გომას ჰეხბეჩგი, შაჰ აბასი

ჩემს ძიებას იმის თაობაზე, რომ ვეფხისგყაოსნის ფაბულა სიუჟეტურ წყაროდ ყოფილა გამოყენებული XVII ს-ის დასაწყისის ინგლისურ დრამატურგიაში, საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულ უცხოელ ჰუმანიტარტაგან ერთ-ერთმა პირველმა ინგლისელმა მწერალმა და მეცნიერმა ანტონი ანდერსონმა მიაქცია ყურადღება*. მან ჩვენი პირველი შეხვედრისა და საუბრისას მითხრა: სადღაც წამიკითხავს, ანტონი შერლის სპარსეთის სამეფო კარზე შაჰ-აბასის ორი ქრისტიანი ცოლი ეხმარებოდაო. ეს აზრი 2018 წლის ნოემბერში ლონდონში სამეფო სააზიო საზოგადოებაში ჩემი წიგნის (*Medieval Georgian Romance "The Man in a Panther-Skin" and Shakespeare's Late Dramaturgy*) პრეზენტაციაზეც გაიმეორა. სად უნდა ამოეკითხა ჩემს ინგლისელ კოლეგას ეს აზრი? ემყარება ეს ცნობა რაიმე პირველწყაროს თუ მხოლოდ ვარაუდია? ვინ უნდა ყოფილიყო ეს ორი ქრისტიანი ცოლი? ქართველები ხომ არ იყვნენ? ძველი ქართული ტრადიციით, ქართველ პატარძალთა სამზივო საბარგულში ერთი უმთავრესი ხომ ვეფხისგყაოსანი იყო!

აქტიური კვლევა ამ კითხვების პასუხისა გასული წლის დასასრულიდან დავიწყე ჩემს სტუდენტებთან და თანამშრომლებთან ერთად. მე და ჩემმა დოქტორანტმა ნინო ჯილაურმა მივაგენით, რომ ბრიტანეთის „ნაციონალური ბიოგრაფიის ლექსიკონში“ შეტანილ ანტონი შერლისადმი მიძღვნილ სტატიაში იკითხება: შაჰ აბასის ორი ფავორიტი ცოლი ქრისტიანები იყვნენ და მათ უზრუნველყვეს შერლის ძალზე საიმედო მიღება. მან აგრეთვე მოიპოვა კეთილგანწყობა არმიის მთავარსარდლის ალავერდი-ბეგისა; და მას მირზას, ანუ პრინცის წოდებაც მიანიჭეს. ("The two favourite wives of Shah Abbas were Christians and they procured for Shirley a very promising reception.

* ინგლისელი პიროვნების ანტონი ანდერსონის მეცნიერული ინტერესის სფერო საქართველოსა და ზოგადად ახლო აღმოსავლეთის შესახებ ევროპული, კერძოდ ინგლისური საისტორიო წყაროების კვლევაა. ამ მიმართულებით იგი ავტორია ორი წიგნისა: *Bread and Ashes, a Walk in the Mountains in Georgia; British Travellers to Georgia*.

He won, too, the regard of Aly-verd Beg, the chief of the army, and the rank of mirza, or prince, was conferred upon him”) [4].

ჩემი შემდგომი ძიებანი გავაგრძელე ანტონი შერლის ბიოგრაფიის ამ სტატიაში დამოწმებული ლიტერატურის შესწავლით. დამოწმებული ლიტერატურა, თავის მხრივ შერლის სპარსული ვოიაჟის მიმომხილველ სხვა სტატიებზეც მიმანიშნებდა. ამ ლიტერატურიდან ჩემ წინაშე დასმული კითხვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა გენერალი ბრიჯის სტატია შერლების ოჯახზე, რომელიც სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალში 1841 წელს გამოქვეყნდა: Major-General Briggs, “A Short Account of the Sherley Family”: *The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, Vol. 6, #1 (1841), pp. 77-104. ირკვევა, რომ ანტონი შერლის დამხმარე შაჰის ქრისტიანი ცოლები იყვნენ ქართველები.

ცნობები შაჰის ფავორიტი ორი ქართველი ქრისტიანი ცოლის თაობაზე XVIII ს-ის ინგლისური *უნივერსიტეტი ისტორიის* ტომებშიცაა დამოწმებული [8]. გასარკვევი ის რჩენობდა, თუ რა საისტორიო წყაროს ემყარებოდა შერლის სპარსეთში მოგზაურობის მიმომხილვისას XVIII და XIX ს-ის ინგლისურ ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისი, რომ XVI ს-ის ინგლისელთა ექსპედიციას სპარსეთში შაჰის ორი ქრისტიანი ქართველი ცოლი უწყობდა ხელს. ინგლისური საისტორიო მიმომხილველები ამ საკითხზე მსჯელობისას ტომას ჰერბერტს, შაჰ აბასის სამეფო კარზე ინგლისის ატაშეს, იმომებენ.

ტომას ჰერბერტს XVII ს-ში ორი წიგნი აქვს გამოქვეყნებული სპარსეთის შესახებ. ამ თვალსაზრისით, საგანგებოდ შევისწავლე აგრეთვე 1613 წელს ლონდონში დასტამებული სერ ანტონი შერლის წიგნი მისი სპარსეთში მოგზაურობის თაობაზე [9]. შაჰის ქართველი ცოლების შესახებ ამ პირველწყაროებში დამოწმებული ფაქტები მეტ-ნაკლებად ერთმანეთთან თანხმობაში აღმოჩნდა. სეფიანთა სამეფო კარზე ქართველთა კვალის შესწავლის თვალსაზრისით საჭიროდ მივიჩნიე ამ პირველწყაროების დეტალური მიმომხილვა.

ანტონი შერლი შაჰ-აბასის ქართველი ქრისტიანი ცოლების შესახებ. სერ ანტონი შერლი XVI-XVII სს-ის ცნობილი

ინგლისელი დიპლომატი და მოგზაურია. 1598 წლის დამლევს იგი 26-კაციანი დელეგაციით შაჰ-აბასის სამეფო კარს ეწვია. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მისი ინიციატივა სეფიანთა სამეფო კარზე თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების განწყობის შესაქმნელად. იგი 6 თვეს დარჩა სპარსეთში. შემდეგ კი შაჰის ელჩის რანგში ევროპის მრავალ ქვეყანას ეწვია. შერლი ინგლისში ვერ დაბრუნდა, რადგანაც მისი დიპლომატიური მისია სპარსეთში დედოფალ ელისაბედ პირველთან არ იყო შეთანხმებული; ხოლო მისი სპონსორი და მხარდამჭერი გრაფები დედოფლის წინააღმდეგ შეთქმულებაში ამხილეს და უმკაცრესად დასაჯეს. მიუხედავად იმისა, რომ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ ინგლისის საშინაო პოლიტიკის კურსი რადიკალურად შეიცვალა, შერლიმ ინგლისში დაბრუნების უფლება ვერ მოიპოვა. ანტონი შერლი მრავალი ენის მცოდნე, უაღრესად განათლებული და ერუდირებული პიროვნება იყო. მას და მის სპონსორ გრაფებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ინგლისის სამეფო თეატრალურ დასთან. XIX ს-ის ერთი ინგლისელი ავტორის აზრით, იგი ლიტერატურულ სიუჟეტებს აწვდიდა ლონდონის თეატრალურ დასებს და, უფრო მეტიც, ამ ავტორის გაზვიადებული თვალსაზრისით, შექსპირის შემოქმედების ბოლო პერიოდის პიესების თავდაპირველი მონახაზები შერლის კალამს უნდა ეკუთვნოდეს [11].

მიჩნეულია, რომ შერლი აშკარად აჭარბებს საკუთარი პიროვნების ღირსებისა და დამსახურების აღწერისას 1613 წელს ლონდონში დასტამბულ წიგნში, რომელიც სპარსეთში მის მოგზაურობას შეეხება. მაგრამ ამავე დროს იგი შაჰის სამეფო კარის ამბების თვითმხილველია და გადმოგვცემს საისტორიო ფაქტებს იმ ვერსიით, რომელიც იმდროინდელი სამეფო კარის ელიტარულ წრეებში ცირკულირებდა. არაა სავარაუდო, რომ შერლი რაიმეს მოიგონებდა, ან გადააჭარბებდა იმ ფაქტების გადმოცემისას, რამელთაც მის ღირსებასა და მოღვაწეობასთან კავშირი არ ჰქონდათ.

ანტონი შერლი შაჰ-აბასის ცოლთაგან საუბრობს მხოლოდ ორზე, ორივე ქრისტიანზე და ორივე ქართველზე. პირველი მათგანი, შერლის მონათხრობის მიხედვით, ქართლის მე-

ფის სიმონის ქალიშვილია. იგი წერს: შაჰ-აბასმა ცოლად მოითხოვა სიმონ ხანის ქალიშვილი, ქართველთა ერთი პრინცესა, რომელიც უკვე მზად იყო იმგვარი სიყვარულისთვის, როგორიც მოეთხოვებოდა. ცოტა უფრო ქვემოთ ავტორი უბრუნდება ამ ამბავს: დედოფალი ჩამოვიდა. მას საპატიოდ მოაცილებდა 2000 ცხენოსანი და მისი ძმა უფლისწული ბიჩეიკი (Byraike Myrza). ქორწილი მალე გაიმართა. ორივე მხარემ სათანადო ცერემონიები მოაწყო. ღმერთმა ორივე მათგანს ბედნიერება მიანიჭა: ერთ წელზე უფრო ნაკლებ დროში მათ მისცა მშვენიერი პრინცი უფლისწული სოფი (Sophir Mirza), რომელიც ახლაც ცოცხალია [9, გვ. 44-45].

შაჰის მეორე ქართველი ცოლის ამბავს შერლი პირველის გარდაცვალებას უკავშირებს. შაჰის ცხოვრების რამდენიმე შემდგომი ეპიზოდის გადმოცემის შემდეგ, იგი აღწერს აბასის რამდენიმედღიან სტუმრობას ერთ-ერთი ხანის სამფლობელოში, სადაც ნადირობით ცდილობდა მოწყენილობის განქარვებას [9, გვ. 57]: მეფე ნადირობით ატარებდა დროს რვა თუ ათი დღის მანძილზე, მაგრამ უცებ სასწრაფოდ დატოვა იქაურობა მისი ცოლის დაღუპვის ამბის გამო, რომელიც გარდაიკვალა უეცარი და ძლიერი ავადმყოფობით. შაჰი დაბრუნდა ისპაჰანში, სადაც რამდენიმე დღე მწუხარებაში გაატარა, დიდი დანაკარგის გამო. შემდეგ გაგზავნა მაცნე ალექსანდრესთან, ქართველთა სხვა ხანთან, მისი ქალიშვილის მოთხოვნით; იმ მიზნით, რომ შეინარჩუნოს ის ურთიერთობა, რაც შეიძლებოდა გამქრალიყო დედოფლის გარდაცვალების გამო. ამ დავალებით წავიდა შაჰ-თამაზ ყულიბეგი (Xa-Tamas Coolibeague), რომელიც რამდენიმე თვეში ქალბატონით დაბრუნდა.

ამგვარად, ანტონი შერლი თავის სპარსეთში მოგზაურობის ვრცელ მიმოხილვაში ახსენებს შაჰ-აბასის მხოლოდ ორ ცოლს – ორ ქართველ ქრისტიან პრინცესას – მეფის ასულებს; სპარსეთის სამეფო კარის ტიტულატურით ქართველი ხანების ასულებს. XVIII და XIX სს-ის ინგლისური ისტორიოგრაფია რომ შაჰის სწორედ ამ ორ ქართველ ქრისტიან ცოლს მიიჩნევს სეფიანთა კარზე შერლის ხელშემწყობად, იქიდანაც ჩანს, რომ ეს ისტორიოგრაფიული წყაროები ინგლისელი დიპლომატის

ხელისშემწყობლებად სწორედ შაჰის იმ ორ ცოლს ასახელებენ, რომლებზეც შერლი საუბრობს თავის წიგნში (ქართლის მეფის სიმონის/სიმონ ხანის და კახეთის მეფის ალექსანდრეს/ისკანდერ ხანის ასულებს). უფრო მეტიც, ისიც ჩანს, რომ ეს ისტორიოგრაფიული მიმოხილვები არ ეყრდნობიან ანტონი შერლის (ან მხოლოდ ანტონი შერლის) ცნობებს. ისინი ამ ქართველ ასულთა სახელებსაც ახსენებენ და მათი შვილების თავგადასავლებსაც მოგვითხრობენ.

ინგლისური ისტორიოგრაფია შერლის დამხმარე შაჰის ქრისტიანი ცოლების შესახებ. შაჰ-აბასის ფავორიტი ქრისტიანი ცოლების შერლისადმი დახმარებაზე შერლების ოჯახის ისტორიის მიმოხილვაში საუბრობს შერლების გვარის უფრო გვიანდელი წარმომადგენელი ეველინ ფილიპ შირლი (Shirley Evelyn Philip – 1812-1882): “სერ ანტონი შერლის კეთილგანწყობილი მიღება კაზბინში (Kazveen), იმ პერიოდის სპარსეთის შაჰის – შაჰ-აბას დიდის მიერ გენერალ-მაიორის ბრიჯის მიერ შერლის ოჯახზე მის საინტერესო მოგონებაში მიჩნეულია იმ გავლენის შედეგად, რომელსაც ფლობდნენ სახელგანთქმული მონარქის სამეფო კარზე ქალბატონები (მისი ორი ფავორიტი ცოლი ქრისტიანი იყო)” [10, გვ. 19].

გენერალი ბრიჯის თავის „შერლის ოჯახის მოკლე ცნობარში“ წერს: „სერ ანტონი შერლისა და მისი კომპანიის ასეთი კეთილგანწყობილი მიღება სპარსეთში შეიძლება აიხსნას შაჰ-აბასის ტოლერანტული დამოკიდებულებით ქრისტიანობის მიმართ, რაც ალბათ მონარქის კარზე მყოფი ქალების გავლენით ხდებოდა. ამ გარემოებას სერ ტომას ჰერბერტი განსაკუთრებულად აღწერს. მათი გავლენის იმაზე დიდი საბუთი რა უნდა იყოს, რომ ქართველები მეფის ხელდასხმით იღებდნენ ისეთ ტიტულებს, როგორცაა ხანი და მირზა – ტიტულებს, რომელთა მინიჭებაც მკაცრადაა შეზღუდული მუსულმანთა მიერ. იშაჰ-აბასს ჰყავდა ბევრი ცოლი, რომელთა შვილების განათლებაზე ზრუნვა და ხარჯები არ იყო შეზღუდული. შაჰს რომ უყვარდა, მათ შორის გამორჩეულები იყვნენ: ისმაილი (Ismael), ტოფი მირზა (Tophy Mirza), ყოდაბუნდა სულთანი (Kodabunda

Sultan) და იმან ყული (Iman Kooly). პირველი ორი ჰყავდა სიმონ ხანის (Simon Khan) ქალიშვილის გორდინასგან (Gordina); ხოლო შემდეგი ორი სკანდა მირზას (Scanda Mirza) ქალიშვილის მართასგან. ორივე ცოლი იყო ქართველი, ორივე ქრისტიანი და მისთვის ორივე ძალიან ძვირფასი; რადგან, როგორც ჩანს, სწორედ მათთან მოიპოვა მან ამქვეყნიური ბედნიერება” [2, გვ. 88].

შაჰ-აბასის ქართველი ცოლებისა და მათი შვილების შესახებ ჩემ მიერ ზემოთ დამოწმებული XVII ს-ის უნივერსიტეტის ისტორიკოს იმავე ფაქტებს აფიქსირებს და იქაც პირველწყაროდ ტომას ჰერბერტი დამოწმებული. მბობა შაჰის მუხანათობით იწყება საკუთარი შვილების მიმართ; ხოლო შემდეგ გრძელდება: „ჰერბერტი, რომელიც სპარსეთში მოგზაურობდა შაჰ-აბასის მეფობის პერიოდში, ამ ამბებს განსაკუთრებულად აღწერს. იგი ამბობს, რომ შაჰს ჰყავდა ოთხი ვაჟი: უფროსი ისმაილი (Ismaeli), სოფი მირზა (Sofi Mirza), ყოდაბანდა სულთანი (Kodabanda Sultan) და ემანგოლი (Emangoli). პირველი ორი სიმონ ხანის (Simon Khan) ქალიშვილის გორდინას (Gordina) შობილი იყო. მომდევნო ორი სკანდერ მირზას (Scander Mirza) ქალიშვილი მართასი (Martha). ორივენი იყვნენ ქართველი ქრისტიანები. ისმაილი, რომელმაც შური აღძრა სამხედრო ხელოვნებისადმი თავისი მისწრაფებით, მოწამლეს. სოფი მირზა (რომელიც ოლარიუსის მიხედვით არის საფი – Safi, ან სეფი – Sefi), მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად იყო განდიდებული შეთქმულების გამოაშკარავების გამო, ჩამოიშორეს და ცემით მოაკვლევინეს კაპიჯებს (Kapiji). ემანგოლი (ან იმამ ყული – Imam Kuli), იყო რა ნაწინასწარმეტყველები, რომ დიდხანს არ იცოცხლებდა, იზრდებოდა მამის სისასტიკის შიშით და მელანქოლიით გარდაიცვალა. ხოდაბუნდა სულთანი, რომელსაც ეწოდა სოფი, ცოცხლად დარჩენილი ერთადერთი ვაჟი, იყო დიდი ნიჭით დაჯილდოებული უფლისწული. მან თავი გამოიჩინა მრავალ ბრძოლაში და მამამისი მისით ამაყობდა, ხოლო ხალხი აღფრთოვანებული იყო. მაგრამ მისმა ასეთმა პოპულარობამ აბასს მიაღებინა გადაწყვეტილება, რომ იგი გაენადგურებინა“ [8, გვ. 443].

ტომას ჰერბერტი შაჰ-აბასის ქართველი ქრისტიანი ცოლებისა და მათი შვილების შესახებ. ტომას ჰერბერტი, რომელსაც შაჰ-აბასის ქართველ ცოლებსა და მათ შვილებზე საუბრისას ინგლისური საისტორიო მწერლობა ეყრდნობა, XVII ს-ის ინგლისის სამეფო კარზე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა. იგი აბასის ცხოვრების ბოლო წლებში სეფიანთა სამეფო კარზე ინგლისის ატაშე იყო და ამდენად მისი ცნობები უაღრესად მნიშვნელოვანი პირველწყაროა სეფიანთა სპარსეთის ისტორიის შესასწავლად.

ტომას ჰერბერტი სპარსეთის ისტორიის თაობაზე ორი წიგნის ავტორია. ერთი მათგანია – „სპარსეთის მონარქიის აღწერა“, რომელსაც მე ლონდონის 1634 წლის გამოცემით გავეცანი. მასში ქართულ-სპარსულ ურთიერთობებზე საგანგებო ქვეთავია, სათაურით „ქრისტიან ქართველთა ბოლოდროინდელი ტრაგიკული ისტორია“ [7, გვ. 72-82], რომელშიც უმთავრესად კახეთის მეფის ალექსანდრეს, მისი ვაჟის კონსტანტინეს და შემდეგ თეიმურაზის დროინდელი საქართველოს ისტორიის მძიმე პერიოდზეა საუბარი. ჩვენთვის ამჯერად საინტერესო საკითხზე – სპარსეთის შაჰის ქართველ ცოლებზე – წიგნში ცნობები არ გვხვდება. მეორე წიგნი – „მოგზაურობა სპარსეთში“ ინგლისში ჰერბერტისეული გადამუშავებებით მისივე სიცოცხლეში ოთხჯერ დაისტამბა: 1634, 1638, 1665 და 1677 წლებში. 1928 წელს ლონდონში სერ ვილიამ ფოსტერმა ჰერბერტის უკანასკნელი 1677 გამოცემის მიხედვით განახორციელა წიგნის კრიტიკული გამოცემა – შესავლით, შენიშვნებითა და მცირე შემოკლებით. გამომცემლის შენიშვნით, მან შეუბრალებლად ამოიღო (ruthlessly excised) ჰერბერტისეული აღწერები ისეთი ადგილებისა, სადაც იგი არ ყოფილა, ასევე მის მიერ მოხმობილი სხვა ავტორთა აზრები და სხვა, მისი აზრით, არა საისტორიო ღირებულების მრავალი პასაჟი [6, გვ. XII]. მე ხელთა მაქვს ამ კრიტიკული ტექსტის 2014 წლის გამოცემა, რომლის 160-167-ე გვერდებზე შაჰის ქართველი ქრისტიანი ცოლებისა და მათი შვილების ამბავი იკითხება. იგი ამგვარად იწყება (ამ მბობის სწორედ დასაწყისი არის მრავალგზის ციტირებული ინგლისურ საისტორიო მწერლობაში):

„შაჰ-აბასს სხვადასხვა ცოლისაგან ჰყავდა ბევრი შვილი, რომელთა განათლებაზე არც ზრუნავასა და არც ფულს არ ზოგავდნენ. უფრო მეტად საიმედონი იყვნენ ისმაილი (Ismael), სოფი-მირზა (Soffy-Mirza), ყოდაბუნდა სულთან (Codabanda-Sultan), და ემანლოლი (Emangoly), ოთხი ახალგაზრდა მამაცი პრინცი. პირველი ორი იყო გორდინას (Gordina) შვილი, სიმონ ხანის ქალიშვილის; მომდევნო ორი მართას შვილები იყვნენ, სკანდერ მირზას ქალიშვილის; ორივე ქართველი, ორივე ქრისტიანი. პირველი ქალბატონი ჩამოიყვანა ქურჩიკი-ხანმა (Kurchiki-cawn), მეორე შაჰ-თამაზ-ყულიბეგმა (Shaw-Tamas-Coolibeg). ორივენი იყვნენ სპარსელები, ორივე ფავორიტები. ყველა მათგანი ისეთი ძვირფასი იყო აბასისთვის, ჩანდა, რომ მაშინ მას ჰქონდა ამქვეყნიური ბედნიერების ელექსირი: მისი ცოლები იყვნენ შეუდარებელი სილამაზისა; მისი ფავორიტები, ჭეშმარიტად ერთგულები. ვაჟები მისი ხასიათის, პოლიტიკისა და სიმტკიცის მსგავსები იყვნენ – რაც ერთდროულად სიამოვნებას ანიჭებდა, როგორც ხანში შესულ მეფეს, ასევე ომისმოყვარულ სპარსელებს”.

შემდგომ ჰერბერტი ყვება შაჰის შურზე და მუხანათობაზე თავისი ვაჟების მიმართ: ისმაილი და სეფი მირზა, ეჭვიანი მამის სურვილით, 19 წლის ასაკში დაილუპნენ (რომელთაგან პირველი თავისი სამხედრო ხელოვნებით აღაფრთოვანებდა ხალხს; ხოლო მეორე სამეფო კარის ერთგული სამსახურის გამო უკვე დაწინაურებული იყო). ემანლოლი ღრმა და მწუხარე მელანქოლიამ შეინირა. რომლის მიზეზი, ერთი მხრივ, მისთვის ჰოროსკოპით ნაწინასწარმეტყველი მძიმე ხვედრი იყო; ხოლო, მეორე მხრივ, შიში მამის მოღალატეობრივი ხასიათისადმი.

შემდეგ კი ჰერბერტი დაწვრილებით გადმოსცემს ხოდაბუნდა სულთნის (რომელსაც შემდგომში სეფფი ეწოდა) ტრაგიკულ ამბავს. მან დიდი სიფრთხილით და ერთგულებით მოიპოვა აბასის სიყვარული და ხალხის დიდი პატივისცემა; ხოლო გამბედაობით, გამოცდილებით და სამხედრო ხელოვნებით დაიმსახურა მთელი აღმოსავლეთის აღიარება და პატივისცემა. ეჭვიანმა და შურიანმა მამამ ჯერ მისი აღმზრდელი დასაჯა

სიკვდილით, ხოლო მის გადასარჩენად მოსულ შვილს, უგონოდ დაჭრილს, თვალები დასთხარა. დაბრმავებული სეფფი ვერ შეურიგდა თავის ბედს. მამისაგან ნამემკვიდრევი მუხანათობა გამოიჩინა: დაახრჩო საკუთარი ქალიშვილი ფატიმა, რათა შური ეძია აბასზე (ხანშიშესულ აბასს საოცარი სიყვარულით უყვარდა ეს შვილიშვილი) და შემდეგ თავი მოიკლა.

ამ ამბებს ჰერბერტი საკუთარი ემოციითა და ფილოსოფიური წიაღსვლებით ვრცლად ყვება.

ტომას ჰერბერტის ცნობები შაჰ-აბასის ცხოვრების ბოლო პერიოდზე მნიშვნელოვან პირველწყაროდ ითვლება. იგი დამონმებულია შაჰის კარზე ქართული კვალის შემსწავლელ ისტორიკოსთა მიერაც, მაგრამ დამონმებულია მისი მხოლოდ ერთი წიგნი (*A Description of the Persian Monarchy*) [14, გვ. 10; 17, გვ. 105; 18, გვ. 82]; ხოლო ტომას ჰერბერტის *Travels in Persia*-ზე მითითებას ამ საკითხისადმი მიძღვნილ ქართულ სამეცნიერო კვლევებში მე ვერ მივაგენი. ვიმედოვნებ, რომ ზემოთ მითითებულ პირველწყაროებში დაცული ცნობები შაჰ-აბას პირველის ორი ქრისტიანი ქართველი ცოლის შვილებზე, ქართველ ისტორიკოსთა შემდგომი კრიტიკული შესწავლის საგანი გახდება: მოხდება ამ ვერსიის დეტალური შეჯერება შაჰის შვილების შესახებ სპარსულ, ქართულ, სომხურ და სხვა ენებზე დაცული პირველწყაროების ვერსიებთან. ამჯერად მე მინდა დავუბრუნდე ჩემი საკვლევი პრობლემის ძირითად თემას.

კომენტარები ინგლისურ პირველწყაროებზე. ინგლისური ისტორიოგრაფიის და პირველწყაროების ზემოთ ციტირებული ცნობები სეფიანთა ირანის კარზე ქართული კვალის თაობაზე ჩვენს მეცნიერებაში გავრცელებულ თვალსაზრისებთან შედარებით არა მხოლოდ სიახლეებს, არამედ სხვაობებსაც აფიქსირებს.

ქართულ ინტორიოგრაფიაში პოპულარული თვალსაზრისით, შაჰ-აბასის ცოლთაგან ოთხი მათგანი იყო ქართველი, ესენი იყვნენ: ანდუყაფარ ამილახორის და თამარი, სიმონ მეფის და ფახრიმჯან-ბეგუმ, თეიმურაზ მეფის და ელენე, ლუარსაბ მეფის და ლელა [21, გვ. 198; 17, გვ. 109]. ინგლისური ისტორიოგრა-

ფიის ცნობა ქართული მეცნიერების პოპულარულ თვალსაზრისთან თანხმობაში არაა. ეს გარემოება ამ ცნობათა კრიტიკულ ანალიზს საჭიროებს, ამ მიმართულებით რამდენიმე გარემოებას მინდა მივაქციო ყურადღება.

შაჰის ქართველ ცოლთა თაობაზე სხვადასხვა პირველწყაროს განსხვავებული თვალსაზრისი მოულოდნელი არ არის. არაქართველი ავტორები, მათ შორის თვით სპარსელი, ამ ქალთა სახელებს სხვადასხვა სოციალური და რელიგიური თუ კულტურული წრეებიდან ეცნობოდნენ. ისიც ბუნებრივია, რომ სპარსულ გარემოში შერქმეული რამდენიმე სახელიდან ამ საკითხით არა საგანგებოდ დაინტერესებული ავტორები მხოლოდ ზოგიერთ სახელს ახსენებენ. ქართული წყაროები კი ქართველ პატარძლებს უპირატესად მათთვის საქართველოში შერქმეული სახელებით იცნობენ.

როგორც ქართულის, ასევე უცხოური სასიტორიო წყაროებით ცნობილია, რომ შაჰ-აბასის მამის მოჰამედ ხუდაბანდას მოთხოვნით ქართლის მეფე სიმონმა და კახეთის მეფე ალექსანდრემ თავიანთი ქალიშვილები სპარსეთში გაგზავნეს, რომლებიც უფლისწულს ჰამზა მირზას შერთეს ცოლებად [20, გვ. 271; 13, გვ. 99; 19, გვ. 42; 15, გვ. 47]. იგი 1587 წელს გარდაიცვალა და აბასი მალე გამეფდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მუსლიმანური ტრადიციით, არაა იშვიათი, როცა ძმა ცოლად ირთავს გარდაცვლილი ძმის ქვრივს. ჰამზა მირზას ერთ-ერთ ქვრივს (Olgan Pasha Khanum) შაჰის ცოლთა ჩამონათვალში ასახელებს ვიკიპედიის ინგლისურენოვანი სტატია შაჰ-აბასზე [1].

ქართული საისტორიო წყაროებისაგან განსხვავებით ინგლისურენოვანი ვიკიპედიის იგივე სტატია შაჰის ქართველ ცოლთა შორის ასახელებს ქართლის მეფის ბაგრატ VII ქალიშვილს *Fakhri-Jahan Khanum* და კახეთის ფეიქარ ხანის ქალიშვილს ფატიმა სულთან ბეგუმს *Fatima Sultan Begum* (alias Peri Lala, née Tinatin, daughter of Peykar Khan of Kakheti). ეს მოანცემები შაჰ-აბასზე ვიკიპედიის ქართულენოვან სტატიაშიც დასტურდება. ფატიმა სულთან ბეგუმის მამად, ქართული ტრადიციის თანახმად, ქართლის მეფე გიორგი X არის მოხსენიებული [12].

ინგლისური ისტორიოგრაფიის ცნობები შაჰ-აბასის ქართველ ცოლებზე ქართულ მეცნიერებაში გაჟღერებული ფაქტებისგან განსხვავებით ერთ საყურადღებო ფაქტსაც შეიცავენ: სიმონ მეფის და ალექსანდრე მეფის ქალიშვილებს, შაჰ-აბასის ცოლებს, ხაზგასმით და დაბეჭითით შაჰის ქრისტიან ცოლებს უწოდებენ. არაა სავარაუდო, რომ ეს გარემოება მხოლოდ იმას ნიშნავდეს, რომ ისინი (ქართველი პატარძლები) თავდაპირველად იყვნენ ქრისტიანები. ვფიქრობ, ეს კატეგორიული ხაზგასმა მათ ქრისტიანობაზე იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი შაჰთან დაქორწინების შემდეგაც ქრისტიანებად დარჩნენ; რაც აშკარად მოულოდნელია საერთო ფონზე – სეფიანთა სამეფო კარის სამსახურში შესულ თუ შაჰების ცოლთა საკრებულოში მყოფ წარმოშობით ქრისტიანთა ფონზე. ისინი, როგორც წესი, გამაჰმადიანებულნი იყვნენ (გამონაკლისები ყოველთვის არსებობდა). ინგლისური პირველწყაროების კატეგორიული მითითება ამ ქალთა ქრისტიანობაზე აშკარად გააზრებული და ფაქტობრივი მნიშვნელობის განცხადებაა. ტომას ჰერბერტი აბასის ქრისტიანი ცოლების ეპიზოდში ახსენებს შაჰის ორ გამაჰმადიანებულ დიდ მოხელეს – ქურჩიკი-ხანდსა და შაჰ-თამაზ-ყულიბეგს და ორივეს სპარსელს უწოდებს, თითქოს კონტრასტულად იქვე ნახსენები ორი ქართველი ქრისტიანი ცოლისა („...[პატარძლები] ორივე ქართველი, ორივე ქრისტიანი. პირველი ქალბატონი ჩამოიყვანა ქურჩიკი-ხანმა, მეორე – შაჰ-თამაზ-ყულიბეგმა, ორივენი იყვნენ სპარსელები“). შაჰ-თამაზ-ყულიბეგი წარმოშობით ქართველი იყო, შაჰის კარზე გამაჰმადიანებული [9, გვ. 73].

ქრისტიანი ცოლების შერთვა და მათთვის ქრისტიანობის შენარჩუნება შაჰ-აბასის პოლიტიკის და სახელმწიფოებრივი სტრატეგიის ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო; რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც შაჰი ევროპელ მონარქებთან ერთად თურქეთის წინააღმდეგ კოალიციის შექმნას ცდილობდა. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ რომის პაპისთვის ქრისტიანობისადმი თავისი სიმპათია მოეჩვენებინა. ამაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ინგლისელ მოგზაურთა დიდი ჯგუ-

ფის მიღება შაჰის კარზე და ანტონი შერლის ჩანაწერები შაჰის ქართველ ქრისტიან ცოლებზე. შაჰმა ანტონი შერლი 1599 წლის მაისში სპარსეთის ელჩის რანგში ევროპაში გაგზავნა. წერილები გაატანა რომის პაპთან და ევროპის ბევრ მონარქთან და დიდ გრაფთან თუ ჰერცოგთან. წერილებთან ერთად შერლის დიპლომატური ნუსხაც მიჰქონდა, რომელშიც აქცენტი სწორედ შაჰის ქრისტიანთა მიმართ კეთილ და შემწყნარებლურ დამოკიდებულებაზე იყო გადატანილი. ამის ერთ-ერთი საბუთი კი იყო ქართველი მეფის სიმონ-ხანის ქალიშვილის ცოლად შერთვა შაჰის მიერ [3, გვ. 78; 16, გვ. 200]. *კახმედიტა ქრონიკის (The Chronicle of the Carmelits)*. იგივე კრებული ინახავს ცნობას იმის თაობაზე, რომ პაპი კლიმენტი VIII 1601 წლის თებერვალში წერილს უგზავნის შაჰ-აბასის ქრისტიან მეუღლეს, უწოდებს მას „ქრისტეს მიერ საყვარელ დას“, შეახსენებს მას სიტყვებს პავლე მოციქულის ეპისტოლედან, რომ წარმართი მეუღლე განწმენდილია მორწმუნე მეუღლისგან და მოუწოდებს შაჰის კარზე ქრისტიანული რწმენის სამსახურისაკენ [13, გვ. 103].

დაბოლოს, ინგლისური პირველწყაროების უმთავრესი შეუსაბამობა შაჰ-აბასის ქართველ ცოლთა თაობაზე გავრცელებულ თვალსაზრისებთან: ინგლისური პირველწყაროები შაჰის ქართველ ქრისტიან ცოლებად ასახელებენ სიმონ მეფის და ალექსანდრე მეფის ქალიშვილებს.* ქართულ ისტორიოგრაფიაში სიმონ ქართლის მეფისა და ალექსანდრე კახეთის მეფის ქალიშვილები შაჰის ცოლებად არ არიან მოხსენიებულნი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიმონ და ალექსანდრე მეფეს თავიანთი ქალიშვილები ვაჟიშვილებთან ერთად სპარსეთში შაჰ-აბასის მამის (მოჰამედ ხუდაბუნდა) მოთხოვნით გაუგზავნიათ, იქ კი ისინი უფლისწულ ჰამზა მირზას ცოლებად განუწესებიათ. ანტონი შერლისა და ტომას ჰერბერტის ქართველი ქრისტიანი ქალიშვილები ჰამზა მირზას ცოლები ამკარად არ არიან. ჰამზა მირზას ერთი ქვრივი (Olgan Pasha Khanum) ინგლისურ ლიტე-

* ანტონი შერლისთან – Simon Can და “Alexander, the other Can of Georgians”. ტომას ჰერბერტთან – Simon-cawn და Scander – mirza. სახელი ალექსანდრე სპახსუდ ენაში გადადის სკანდრე ან ისკანდრე ფოხმით.

რატურაში შაჰის ცოლად დასახელებულია, მაგრამ შაჰის ქრისტიანი ცოლები ბევრად უფრო ახალგაზრდები არიან. მათ ამბავს შერლი ყვება, როგორც თანამედროვეთა ამბავს (ეს დაახლოებით 1598-1601 წლებია). ამასვე უჭერს მხარს ევროპაში ელჩად გაგზავნილი შერლის (1599 წ.) დიპლომატური ნუსხა, რომელშიც შაჰის ქრისტიანი ცოლზეა საუბარი და პაჰის 1601 წლის წერილი შაჰ-აბასის ქრისტიანი მეუღლისადმი. და ასევე, ტომას ჰერბერტის სიტყვები, სადაც ავტორი ამ ცოლების კონტექსტში ლაპარაკობს შაჰის ხანშიშესულობაზე.

ტომას ჰერბერტისეული შაჰ-აბასის ქრისტიანი ცოლის – სიმონ მეფის ქალიშვილის *გოხინას* იდენტიფიცირებას ახდენს ჰერბერტის წიგნის – *Travels in Persia*-ს გამომცემელი სერ ვილიამ ფოსტერი (1928 წ). შენიშვნებში იგი წერს [5, გვ. 320]: „როგორც ჩანს, ჰერბერტის ‘გორდინა’ უნდა იყოს ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის უმცროსი და თინათინი“. *თინათინს* აბასის ცოლის – *ფატიმა სულთან ბეგუმის* ადრინდელ (ქალწულობის პერიოდის) სახელად შაჰ-აბას პირველის ბიოგრაფიულ მიმოხილვაში მოიხსენიებს ინგლისურენოვანი ვიკიპედია. იქვეა მითითებულია მისი სხვა სახელიც (alias Peri Lala) და იგი მიჩნეულია კახეთის ფეიქარ ხანის შვილად. ქართული ვიკიპედიით, *ფატიმა სულთან ბეგუმი* არის ელენე ბაგრატიონი – ქართლის მეფის გიორგი X-ის ქალიშვილი. იგი უნდა იყოს, ჩემ მიერ ზემოთ მოხსენიებული ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ვერსიით, ლუარსაბ II-ის და ლელა.

გიორგი X-ის ქალიშვილს, ლუარსაბ II-ის უმცროს დას, სეფიანთა სამეფო კარზე რომ სხვა სახელი (ფატიმა სულთან ბეგუმი) შეარქვეს, ეს მოულოდნელი არაა. მაგრამ ძნელია ვარაუდის გამოთქმა იმის თაობაზე, თუ რატომ უნოდა მას ჰერბერტმა *გოხინა* (რასაც იმეორებენ შერლის ბიოგრაფიის ინგლისელი მიმოხილველებიც). ხომ არ არის ეს სახელი სამეფო კარზე ან შაჰის ცოლთა გარემოცვაში, ან კიდევ სპარსეთის ინგლისურენოვან წრეში, შაჰის ამ ცოლზე მისი ქართველობის მისათითებლად შერქმეული *გოხინას* მსგავსი მეტსახელის ჰერბერტისეული დამახინჯება (მცდარად მოსმენილი)?

უფრო მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რატომაა სეფიანთა კარზე გიორგი X-ის ქალიშვილი, ლუარსაბ II-ის და, მიჩ-

ნეული ქართლის მეფის სიმონ I-ის ქალიშვილად. ეს არაა ჰერბერტისეული შეცდომა. ამ ქალს ანტონი შერლიც სიმონ მეფის ქალიშვილად თვლის (ტომას ჰერბერტის წყარო კი მხოლოდ ანტონი შერლის წიგნი არ არის. მას აშკარად სხვა და უხვი ცნობები აქვს აბასის ქრისტიან ცოლებზე და მათ შვილებზე).

დასმული საკითხი უმჯობესია ტომას ჰერბერტის ცნობების და მასზე დამყარებული ინგლისური საისტორიო ლიტერატურის კიდევ ერთ, ამავე ტიპის შეუსაბამობასთან ერთად განვიხილოთ. ტომას ჰერბერტი (ისევე როგორც ანტონი შერლი) შაჰის მეორე ქრისტიან ცოლს – მართას ალექსანდრე მეფის ქალიშვილად მიიჩნევს. აბასის ქართველი ცოლი მართა, ჩემ მიერ დამონმებულ ყველა ჩამონათვალში მიჩნეულია კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის დად, კახეთის მეფის დავით I-ის ქალიშვილად. იგი არის კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის შვილიშვილი. ასევე ინგლისური პირველწყაროების შაჰის ქრისტიანი, ქართველი ცოლი, ჰერბერტისეული *გოხინა*, არის ქართლის მეფის სიმონის არა შვილი, არამედ შვილიშვილი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს აღრევა მხოლოდ შერლისა და ჰერბერტის შეცდომად ჩაითვალოს. ანტონი შერლის, შაჰ-აბასის მიერ ევროპაში გაგზავნილი ელჩის, დიპლომატურ ნუსხაში აღნიშნულია შაჰის მიერ ცოლად შერთვა ქართველი მეფის სიმონ ხანის ქრისტიანი ქალიშვილისა (*კარმელიტთა ქიონიკა*) [16, გვ. 200]. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ქართველი პატარძლები – ბაგრატიონთა სახლის პრინცესები, რომელთა სეფიანთა კარზე გამოგზავნა აბასმა ქართლის და კახეთის მეფეებს სიმონს და ალექსანდრეს მოსთხოვა და მათაც ეს მოთხოვნა შეასრულეს, სამეფო კარზე, ან სამეფო კარის ზეპირ მითქმა-მოთქმაში ამ მეფეთა შვილებად იქნენ გამოცხადებულნი და წარდგენილნი. ისინი მართლაც მეფის შვილები იყვნენ, მაგრამ არა გამომგზავნი მეფის შვილები, მათი შვილიშვილები*.

* ისიც ახაა გამოჩივბუდი, ჰომ ქახიდის სამეფო კახიდან ჰინცესა ედენეს (დელას) გაგზავნა სიმონ მეფის ოსმადთა მიეხ დატყვევების და მისი შვიდის გიოხგის გამეფების პეჩიოდში მოხდა – 1599 წელს და სიმონის სამეფო კახიდან შაჰთან საპაგაჩიოდ გაგზავნიდი შვიდიშვიდი შაჰის კახზე უკვე მეფის შვიდად ჩავიდა. სავა-

ასე რომ, ინგლისური პირველწყაროების ეს ვერსიაც ახსნადია, მაგრამ შერლისა და ჰერბერტის ნაამბობში სხვა დეტალებიცაა დასაზუსტებელი და კრიტიკულად განსახილველი. შესაძლებელია, რომ შერლი ერთი ქართველი ქრისტიანი საპატარძლოს შაჰის კარზე მიღების თვითმხილველი იყოს, და უფრო სავარაუდოა, რომ მეორე ამბავს იგი გაგონილის მიხედვით ყვებოდეს. არც ისაა გამორიცხული, რომ იგი ზოგიერთი ფაქტის ახსნას საკუთარი ფანტაზიით ახდენდეს*. ჰერბერტიც შაჰის სიცოცხლეში სამეფო კართან დაახლოვებულ საზოგადოებაში გავრცელებულ ამბებს ყვება.

हालुए, अमास्तान् मीाखलुएतुएी सलतुासुा शुकुदुएा कुकुदललु कुखुतुलसु सलतुल कुखु. मलतुा डलडलखुदुलसु डलडल दलकुतु | कुखुतुलसु लुकुतुललुखुल मडलखुतुललु ललतु ललु 1601-1602 वुदुडु. डुलसु डलडल अदुतुसलनुदुखु || अडलतु डुखुललुदुडुल नुडुलनुदुललुखुदु ललतुदु ललतुललुडुडु. अदुतुसलनुदुखु ललतुडु शलडुलसु सलकुलदुदु शुकुललुशुकुललु गलडुडलनुनल, अडलतु दुखुलसु लुगु (सलडलडलखुदुल) ललतुसु (दलकुतु डुखुवुदुलसु) शुकुललु ललु.

ყუხადლება უნდა მიექცეს შემდეგ გახეიშობასაც: სპახსეთის მბჰძანებლის ჰელიგიუხი დოიარობის მტკიცების მიზნით ევხოპის უმაღლესი ქისტიანული წიხეები (ხომის პაპი, ევხოპელი მონაქები და დიდი გუბერნი) იმთავითვე იყვნენ ინფორმირებულნი შაჰ-აბასის მიერ ქართველთა სამეფო კაჰის ქისტიანი პრინციების ცოლად შეიხვის თაობაზე. ინგლისური საინგოლიო პრინციპალები (ანგონი შეიდი, გომას ჰეხბეხი) მიანიშნებენ, რომ პრინციესა (სიმონ მეფის ასული) სხუიად ახადგაზხდა იყო (Anthony Sherley: *he required the daughter of Simon Can, one of the Princes of the Georgians, to wife, which was, with as ready an affection performed, as demanded* – მან ცოლად მოითხოვა სიმონ ხანის ქალიშვილი, ქართველთა ერთი პრინციესა, რომელიც უკვე მზად იყო ისეთი სასიყვარულო ურთიერთობის შესახებდებად, როგორც მოეთხოვებოდა); ხოლო შაჰი კი – უკვე ხანშიშესული (Thomas Herbert: *“his wives were so incomparably beautiful ... reciprocally joying the aged King”* – მისი მეუღლეები იმგვარი უმაგალითო მშვენიერებით იყვნენ შემკულნი, რომ ხანშიშესული შაჰის საპასუხო სიხარულს იწვევდნენ). ამიგომაც ქართველი მეფეების (სიმონის და ადუქსანდუხეს) მიერ მათივე ოჯახიდან სახდლოდ გამოგზავნილი პრინციესები უმჯობესი იყო გამოცხადებულნი და წაჩვენებულნი ყოფილიყვნენ მეფეთა შვილებად და ახა შვილიშვილებად.

* მაგალითად, შაჰის მიერ მეოხე ქისტიანი ცოლის თხოვნა პრინციესის გახდაცვადების გამო.

შაჰის ქართველი ქრისტიანი ცოლები და ვეფხისტყაოსნის გზა საქართველოდან ინგლისამდე. XVI-XVII ს-ის მიჯნაზე სეფიანთა სამეფო კარზე ქართული კვალის თაობაზე ზემოთ განხილული ინგლისური პირველწყაროები თვალნათლივ ადასტურებს, რომ ინგლისურ მისიას შაჰ-აბას პირველის სამეფო კარზე XVI ს-ის დასასრულიდან XVII ს-ის 20-იან წლებამდე (ანტონი შერლის დელეგაცია, რობერტ შერლის ოჯახი, ტომას ჰერბერტი) მჭიდრო ურთიერთობა აქვს შაჰ-აბასის გარემოცვის ქართულ წრესთან (ალავერდი ხანი და მისი დიდი ოჯახი, შაჰის ქართველი ცოლები, შაჰ-თამაზ ყულიბეგი, კონსტანტინე მირზა...). ჩემი საგანგებო დაინტერესება ამ საკითხით უკავშირდება იმ გზის ძიებას, რომლითაც უნდა მისულიყო ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი XVII ს-ის დასაწყისის ინგლისის სამეფო თეატრალური დასის დრამატურგებთან. ამ გზის ყველაზე მეტად სარწმუნო ვარაუდი XVI ს-ის დასასრულს სეფიანთა სამეფო კარზე რამდენიმე თვის განმავლობაში მყოფი ინგლისელ მოგზაურთა და დიპლომატთა, და უპირველეს ყოვლისა მათი მეთაურის სერ ანტონი შერლის, თანამშრომლობაა შაჰის კარზე მყოფ ქართული წარმოშობის დიდ მოხელეებთან. შერლის მოგზაურობის მიმომხილველი ინგლისური საისტორიო მწერლობა დაბეჭდვით იუწყება, რომ სამეფო კარზე შერლის ხელშემწყობი იყო შაჰის ორი ქართველი ქრისტიანი ცოლი. სწორედ შაჰის ორი ქართველი ქრისტიანი ცოლის შესახებ დიდი სიმპათიით საუბრობს თვით ანტონი შერლი 1613 წელს ლონდონში თავისი მოგზაურობის შესახებ გამოქვეყნებულ წიგნში.

შაჰის ამ ორი ქართველი ქრისტიანი ცოლის და მათი შვილების შესახებ უფრო დანვრილებით ცნობებს იძლევა სერ ტომას ჰერბერტი, რომელიც ინგლისის სამხედრო ატაშე იყო შაჰ-აბასის სპარსეთში 1627-29 წლებში. ჰერბერტის ცნობები შაჰის ქართველ ცოლებზე იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ უმთავრესი და ამავე დროს უშუალო წყარო ამ ამბების მბობისა არის სერ რობერტ შერლი, ანტონი შერლის ძმა, რომელიც ანტონი შერლის და მისი თანამგზავრების შაჰის კარზე მოღვაწეობის თვითმხილველია. ტომას ჰერბერტი ინგლისიდან სპარსეთში რობერტ შერლისთან და მის ოჯახთან ერთად ჩავიდა. რობერტ

შერლისთან ერთად იყო იგი სტუმარი ალავერდი ხანის შვილის იმამ-ყული ხანის დიდი და მრავალდღიანი დღესასწაულისა. ასე რომ, მისი ცნობები და კერძოდ დაინტერესება შაჰის ორი ქართველი ქრიასტიანი ცოლით და მათი შვილებით, სავარაუდოდ შერლების ოჯახის ამბებსაც უკავშირდება.

ამგვარად, სავარაუდოდ, შერლისა და მისი კომპანიონების კონსულტანტები და დამხმარეები დიდი ქართული ეროვნული სარაინდო რომანის *ვეფხისტყაოსნის* გაცნობისა და მისი ფაბულის ინგლისურად გადამუშავებაში სპარსეთში შაჰის ცოლებად განწესებული ქართველ მეფეთა ასულებიც უნდა ყოფილიყვნენ. საქართველოდან სპარსეთში ახლად ჩამოსულ პატარძლებთან ინგლისელ მოგზაურთა და დიპლომატთა ურთიერთობის დადასტურება კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის აღმოსავლეთის საისტორიო ამბებით, ფოლკლორით და ლიტერატურით დაინტერესებულ ინგლისელ ინტელექტუალთა მიერ *ვეფხისტყაოსნისადმი* განსაკუთრებულ ყურადღებას და რუსთველის დიდი შემოქმედებისთვის რენესანსული დიდი კულტურისაკენ გზის გახსნის ფაქტს.

ქართველი პატარძლის სამზივო საბარგულში რომ *ვეფხისტყაოსანი* ყველაზე უსაფრთხოდ იყო შეფუთული, ამ გადმოცემას ქართველთა ისტორიული მეხსიერება საიმედოდ ინახავს. და როცა ეს პატარძლები ქართველ მეფეთა ოჯახებიდან სპარსეთში გადასახვენად განწესებული პრინცესები იყვნენ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათ სათუთად მიჰქონდათ ნესტან-ტარიელისა და თინათინ-ავთანდილის დიდი სიყვარულის ამბით შთაგონებაც.

ბიბლიოგრაფია

1. Abbas the Great: [https://en.wikipedia.org/wiki/Abbas the Great](https://en.wikipedia.org/wiki/Abbas_the_Great). (გვერდი განახლებულია 2020 წ. 20 ივლისს).
2. Briggs (Major-General), "A Short Account of the Sherley Family": *The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, Vol. 6, #1 (1841).
3. *The Chronicle of the Carmelits and Papal mission in Persia XVII-XVIII centuries*, v. I. London, 1939.

4. *Dictionary of National Biography*, v. 52, Djvu/132, 1897.
5. Foster W., "Notes": Tomas Herbert, *Travels in Persia*, London, 2014.
6. Herbert Thomas, *Travels in Persia. 1627-1629*, abridged and edited by Sir William Foster, C.I. E. with Introduction and Notes, Broadway House, London 2014.
7. Herbert Thomas, *A Description of the Persian Monarchy*, London 1634.
8. *The Modern Part of a Universal History* (from the Earliest Account of Time. Compiled from Original Writers. By the Authors of the Antient Part), vol. V, London 1759.
9. Sherley Anthony, *His Relation of his Travels into Persia...*, London 1613.
10. Shirley Evelyn Philip, *The Sherley Brothers* (an historical memoir of the lives of Sir Thomas Sherley, Sir Anthony Sherley, and Sir Robert Sherley, knights. By one of the same house). Chiswick: Press of C. Whittingham 1848.
11. Scott Surtees, *William Shakespeare of Stratford-On-Avon. His Epitaph Unearthed, and the Author of the Plays Run to Ground*, London 1888.
12. აბას I: [https://ka.wikipedia.org/wiki/აბას I](https://ka.wikipedia.org/wiki/აბას_I) (ირანი). (გვერდი და-რეგისტრირდა 2019 წლის 19 მარტს).
13. გაბაშვილი ვ., „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ. 1954.
14. გიორგაძე ბ., „შესავალი“: დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, XVII ს. (ბ. გიორგაძის გამოცემა), თბ. 1977.
15. მაედა ჰიროტაკე, *ქართველები სეფიანთა ირანში*, თბ. 2008.
16. პავლიაშვილი ქ., „ინგლისელი ძმები ენტონი და რობერტ შერლეები ვატიკან-ირანის დიპლომატიურ ასპარეზზე“: *ქართული ენციკლოპედია*, №4, 1997.
17. სონღულაშვილი ა., *ირანში ქართველთა ნაკვადევზე*, თბ. 2005.
18. სტეფანძე ჯ., „წინასიტყვაობა და შენიშვნები“: ნასროლა ფალსაფი, შაჰ-აბას პიჩვედის ცხოვრება (სპარსულიდან თარგმნა ლ. ჟორჟოლიანმა), თბ. 2003.
19. ფათეში მორთუბა მეჰდი, *სპახსუდი მასალები XVI-XVII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შესახებ*, თბ. 1982.
20. ჯავახიშვილი ი., *ქართველი ეჩის ისტორია*, IV, თბ. 1967.
21. ჯამბურია გ., „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ XVII საუკუნის პირველ მეოთხედში“: *საქართველოს ისტორია* (ოთხ ტომად), ტ. III, თბ. 2012.

კვლევები: ქართული ლიტერატურა
STUDIES: GEORGIAN LITERATURE

The Path of The Man in a Panther-Skin to England and English Historical Sources

Elguja Khintibidze

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract: This paper examines the information emerging in the English historical literature and primary sources concerning the origin of Shah Abbas' Georgian Christian wives, which has not yet been discussed in Georgian historical writing. Specifically, English diplomat and traveller Sir Anthony Sherley, at the end of the 16th century, and Sir Thomas Herbert, an English attaché to Iran in the early 17th century, note in their books published in the 17th century that Abbas married the daughters of King Simon of Kartli and King Alexander of Kakheti.

English historical writings and sources indicate that the English diplomat Sir Anthony Sherley and his colleagues were assisted by the Christian wives of the Shah at the end of the 16th century. This statement reinforces the view that the story of the MPS known to a group of the early 17th-century English playwrights, and Shakespeare himself, became known through the cooperation of prominent ethnic Georgians, promoted at the Court of Abbas, with Sir Anthony Sherley.

Key Words: *The Man in a Panther-Skin, Thomas Herbert, English dramaturgy, Shah Abbas*

While searching the trace of *The Man in a Panther-Skin's* plot in the English dramaturgy, I got interested in the stories related to

Georgians promoted on the Court of Shah Abbas I in Persia; mainly, in the fact of the collaboration between the Georgians promoted on the Shah's Court in the late 16th century, Alaverdi Khan in particular, and the team of English diplomats led by Anthony Sherley at the end of the century.

The first foreigner to pay attention to my research about the plot of *The Man in a Panther-Skin* as a literary source of the English dramaturgy at the beginning of the 17th century was an English writer and a scholar Anthony Anderson. While conversing with him about the issues for the first time, he mentioned that he had read from some sources that Anthony Sherley received some support from the Christian wives of Shah Abbas. He once again mentioned this fact during the presentation of my book ("Medieval Georgian Romance *The Man in a Panther-Skin* and Shakespeare's Late Dramaturgy") in November 2018 at the London Royal Asiatic Society.

This fact provoked some questions such as where might my English colleague have read about this fact? Is this information based upon any primary sources or it is just a conjecture? Who were those two Christian wives mentioned by Anderson? Were they Georgians? According to the old Georgian traditions, the book of *MPS* was one of the most valuable components of a dowery for Georgian brides.

I, along with my students and colleagues, have actively been involved in the research of the issue since last year. The outcome was prompt. My PhD student Nino Jighauri and I found the article dedicated to Anthony Sherley in the *Dictionary of National Biography* that reads the following: "The two favourite wives of Shah Abbas were Christians and they procured for Shirley a very promising reception. He won, too, the regard of Aly-verd Beg, the chief of the army, and the rank of mirza, or prince, was conferred upon him" [4].

I carried on my research by studying the references indicated in the article dedicated to the biography of Anthony Sherley. These literary sources also referred to other records describing Sherley's voyage in Persia. The article about the Sherley family, by General

Briggs [2, pp. 77-104] turned out to be of the greatest importance in terms of the issue posed above. The Shah's Christian wives who helped Anthony Sherley were Georgians. Records about Shah's two favourite wives – Georgians by nationality and Christians by religion – are also mentioned in the volumes of the 18th century English Universal History [8]. The question remains: what was the source supporting the notes permeating the English literature of the 17th and 19th centuries', according to which the expedition led by Sherley was supported by the two Christian wives on the Court of the Shah.

English historical surveys, while discussing the issue, refer to Thomas Herbert, an English attaché on the Court of the Shah. Thomas Herbert issued two books on Persia in the 17th century. Besides these books, regarding the issue, I studied the book by Anthony Shirley, describing the Author's travel to Persia [9], published in London in 1613.

The facts concerning Shah's two Georgian wives are more or less in accordance with one another and require detailed study in terms of detecting the Georgian trace on the Court of Shah Abbas.

Anthony Sherley about the Shah's Georgian, Christian wives. Sir Anthony Sherley was a prominent English diplomat and a traveller of the 16th-17th century. At the end of 1598 he, accompanied by the delegation of 26 people, visited Shah Abbas's Court. He contributed to the growth of the hostile attitudes toward Turkey in Persia. Sherley stayed there for 6 months and later was able to visit many European countries in the rank of the Persian ambassador.

Sherley was unable to return to England since his diplomatic mission to Persia was not agreed with Queen Elizabeth I. Besides, the Earls sponsoring him were uncovered and punished for plotting against the Queen. Despite the fact that the political situation in England drastically changed after the death of the Queen, he failed to obtain permission to go back to his country. Anthony Sherley, who had a good command of several languages, was an intelligent person. He and the Earls sponsoring him had tight contacts with The Royal National Theatre in England. According to one English author

of the 19th century, Sherley provided the plot for the Royal Troupe; besides, by exaggerating certain facts, the author states that even the early drafts of the Shakespeare's late period plays were created by Sherley himself [11].

It is believed that Sherley definitely exaggerated his personal merits and contribution in the book printed in London in 1613, while describing his travels to Persia. However, the most important is that he narrates the facts he was the eyewitness of and presented the historical facts in the way they permeated the elite circles of the Shah's court. Therefore, it can be assumed that his narrations, regarding these facts, which were not directly related to his personal merits, were not exaggerated.

There are only two wives of the Shah mentioned by Sherley and both of them are Georgian Christians. According to the author, the first one is the daughter of the King of Kartli – Simon. As Shirley puts it [9, pp. 44-45], Shah Abass claimed the Georgian Princess, the daughter of the King of Kartli Simon (according to Sherley, the princess was ready to provide the love required). A little below, the author returns to this topic and writes that the Queen escorted by 2000 horsemen and her brother, the prince *Byraike Myrza*, arrived at the Shah's court. Soon the marriage took place and both parties provided adequate ceremonies for the wedding. The God blessed both of them and in less than a year they had their firstborn son, Prince – Sophir Mirza who was still alive.

According to Sherley, the story related to the second wife is linked to the death of the first one. Following the narration of some episodes from Shah's life, he describes Abbas's visit to one of the Khan's land. To alleviate his boredom, the Shah spent either eight or ten days hunting. However, he abandoned the place as he heard the news about his wife's death of a sudden and severe illness. The Shah returned to Ispahan where he spent several days in pain and sorrow because of the immense loss he had suffered. Afterwards, he sent a messenger to another King of Georgia, Aleksandre, making a marriage proposal for his daughter with the intent to maintain the relationship that might disappear after the passaway of the Queen.

The person sent to the Georgian king was Xa-Tamas Coolibeague, who, returned to the Shah together with the lady mentioned above in several months [9, p. 57].

Thus, Anthony Sherley, in his vast review of adventures in Persia, mentions only Shah's two wives – two Georgian Christian Princesses, the daughters of the Kings (according to Persian Court title – the daughters of Georgian *Khans*).

Two Georgian Christian wives supporting Sherley mentioned in English historiography, are those princesses noted by Sherley himself in his survey described above. Furthermore, these historical surveys are not solely based on the notes provided by Sherley. These sources mention the names of the princesses and tell the stories of their offsprings as well.

The English historiography about the Shah's wives, who assisted Sherley. Shah's favourite Georgian, Christian wives assisting Sherley during his travel are mentioned by a distant descendant of the Sherley family, Evelyn Philip Shirley in her historical review of the Sherley family (*Shirley Evelyn Philip – 1812-1882*): "Sir Anthony Shirley's favourable reception at Kazveen, by Shah Abbas the Great, at this period King of Persia, has been ascribed by Major General Briggs, in his interesting Memoir on the Shirley Family, to the influence possessed by the ladies of the Court, (his two favourite wives being Christian) over that celebrated monarch" [10, p. 19].

General Briggs writes in his brief review "A Short Account of the Sherley Family": "The favourable reception of Sir Anthony Sherley and his company in Persia may be accounted for by the great toleration of Shah Abbass towards Christians, owing, perhaps, to the influence possessed by the ladies of the court over that monarch. Sir Thomas Herbert thus quaintly describes this circumstance; and no greater proof of their influence could be afforded than that of Georgians receiving the title of Khan and Mirza at the king's hands – titles which are now strictly confined to Moslems.

'Abbass had several wives, who had several children, for whose education neither cost nor care was spared. Of the most promising he loved were Ismael, Tophy Mirza, Kodabunda Sultan, and Iman Kooly, The two first by Gordina, daughter of Simon Khan, and the two latter by Martha, daughter of Scanda Mirza, both Georgians, both Christians; and so dear to Abbass' "that is seemed he had then got the elixir of earthly happiness' " [2, p. 88].

The 17th century *Universal History* (the reference made above) reveals similar facts, naming Thomas Herbert as its primary source. The story starts with the treacherous deeds by the Shah towards his offsprings and develops as follows:

"*HERBERT*, who travelled into Persia in the reign of *Shâh Abbâs*, gives a different account of this affair. He says, that *Abbâs* had four sons, the eldest *Ismael*, *Sofi Mîrza*, *Kodabânda Soltân*, and *Emangoli*. The two first born of *Gordina*, daughter of *Simon Khân*: the two latter of *Martha*, daughter of *Skander Mîrza*, both *Georgian* Christians. *Ismael*, giving jealousy by his delighting in arms, was poisoned. *Sofi Mîrza* (who is the *Safi*, or *Sefi*, of *Olearius*), although extolled, at first, for revealing a conspiracy, was at length thrown down, and crushed to death by *kapiji*. *Emangoli* (or *Imâm Kûli*), upon being told by a witch, that he should not live long, grew fearful of his father's temper, and died of melancholy. *Kodabânda Soltân*, surnamed *Sofi*, now the only son living, was a prince of great endowments; and had signalized himself so much in the wars, that his father doted on him, and the people admired him: but this popularity made *Abbâs* resolve to destroy him" [8, p. 443].

Thomas Herbert about Shah Abbas's Georgian Christian Wives and their offsprings. Thomas Herbert, on whose information the English Historical Writing relies upon when stating facts about the Shah and his two Christian wives and their offsprings, was a prominent politician of the 17th century English Court. He served as an English attaché on the Persian Court during the Shah's late years. Therefore, his records can be considered as the primary source for studying the history of the Safavid Dynasty. Thomas Herbert is the

author of two books on the History of Persia. I got acquainted with the book “A Description of the Persian Monarchy” published in London, in 1634. The book provides a separate chapter on the topic of Georgian-Persian relationship under the name of “A Late Tragical History of the Georgians, Christians” [7, pp. 72-82], describing hard times the King of Kakheti – Aleksander, his son Konstantine and King Teumuraz had to go through. The book does not provide any notes concerning the Shah’s Georgian wives. The second book *The Travels in Persia* revised by Thomas Herbert himself was published four times during his life in 1634, 1638, 1665 and 1677.

In 1928, in London Sir William Foster released a critical edition of Herbert’s publication of 1677 with his Introduction and notes. This edition is a little shorter version of the original text. According to the publisher, he ruthlessly excised the descriptive passages of the places Herbert had never visited as well as some ideas of other authors and facts with nohistorical value [6, XII]. At the moment I have the publication of the critical text issued in 2014 in which on the pages 160-167, the author starts the story of the Georgian Christian wives of the Shah Abbas as follows (there are multiple citations of the beginning of this story found in English historical writings):

“Abbas by diverse wives had several children, for whose education neither cost nor care was spared. Of most hope were Ismael, Soffy-mirza, Codobanda-Sultan, and Emangoly, four brave young Princes. The two first were begot on Gordina, daughter of Simon-cawn; the latter two of Martha, daughter of Scander-mirza, both Georgians, both Christians. The first lady was brought thence by Kurchiki-cawn, the other by Shaw-Tamas-Coolibeg, both being Persians, both favourites: all of them so dear to Abbas that it seemed he then had got the elixir of earthly happiness: his wives were so incomparably beautiful, his favourites so exactly faithful; and his sons so lively the characters of his person, policy, and courage – reciprocally joying the aged King, and overjoying the warlike Persians” [6, pp. 160-161].

Afterwards, Herbert narrates about the Shah's treacherous deeds towards his sons: Ismail and Sefi-Mirza died upon the consent of their envious father at the age of 19, as the former was famous for his military skills and the latter - for his loyal service to the Court. Emangoly, who, according to a horoscope was predicted to have a difficult life and who dreaded his treacherous father, died of deep melancholy.

Then the author develops a detailed narration concerning the tragic story of Kodabunda Sultan (later called Seffi). He gained respect for his commitment to the country and the Shah. With his courage and experience as well as his military skills, he was able to gain the recognition and the respect of the Oriental World. His jealous and envious father first slew his mentor and then blinded his wounded son, who came to the rescue of his mentor. Blinded Seffi was unable to reconcile himself with his fate, and following the steps of his father's brutality, strangled his daughter Fatima (a favourite granddaughter of elderly Abbas) to revenge on his father, and then killed himself. Herbert narrates the stories emotionally through philosophical explanations.

The author's notes regarding the late period of the Shah's life are considered as the significant primary source for studying the issues. Generally, Herbert's notes are confirmed by the historians studying Georgian trace on the Court of the Shah, however, they refer only to his book – *A Description of the Persian Monarchy* [14, p. 10; 17, p. 105; 18, p. 82]. However, amongst the studies by Georgian scholars dedicated to this issue I was unable to find any reference to the Book – *Travels in Persia*. I hope that the notes about the two Georgian wives of Shah Abbas and their sons, preserved in the primary sources mentioned above will become the main subject of the critical study by Georgian historians and these versions will be placed in juxtaposition with the notes about the Shah's sons preserved in Persian, Georgian, Armenian and other sources. At this point, I find it reasonable to go back to the main topic of the research question.

Comments on English Original Sources. The cited notes on the primary sources of the English historiography concerning the Georgian trace at the Shah's Court, compared to the opinion permeating into Georgian literary circles, evince not only novelties but also differences.

According to the dominant opinion in the Georgian literary circles, Shah Abbas's four wives, (a sister of Andukhpar Amilakhvar – Tamar, Pakhrijan-Begum – The King Simon's sister. Elene – Teimuraz's sister and Lela – Luarsab's sister) were Georgians [21, p. 198; 17, p. 109]. The notes in the English historiography are not in accordance with those presented in the Georgian historiography. These details require some critical analysis on our part and there are several circumstances we should pay more attention to.

Different viewpoints of various primary sources on the Shah's Georgian wives are not surprising at all. Non-Georgian authors, Persians amongst them, learnt about the names of these ladies through various social, religious, and cultural circles. It is understandable that the authors of various reports and some researchers not expressing any particular interest in the subject, refer to the Shah's wives by one name only (given in the Persian environment). However, Georgian sources identify the Georgian brides mostly through Georgian names.

According to Georgian as well as foreign historical sources, at the request of the Shah Abbas's father Mohammad Khodabanda, the King of Kartli-Simon and the King of Kakheti –

Aleksander sent their daughters to Persia to marry the Persian Prince Hamza-Mirza [20, p. 271; 13, p. 99; 19, p. 42; 15, p. 47]. Prince Hamza-Mirza died in 1587, which led to the enthronement of Shah Abbas. We should also consider the fact that, according to the Muslim tradition, brothers often married the wives of a deceased brother. Olga Pashan Khanum, one of the widows of Hamza-Mirza is referred to as one of Shah Abbas's wives by the English Wikipedia in the article on Shah Abbas [1].

Unlike the Georgian historical sources, the same article from the English Wikipedia refers to *Fakhri-Jahan Khanum* – the daughter

of The King of Kartli Bagrat VII and *Fatima Sultan Begum* the daughter of the Peykar Khan of Kakheti (“alias Peri Lala, nèce Tinatin, daughter of Peykar Khan of Kakheti”) as Shah Abbas’s wives. These data are also confirmed by the Georgian article about Shah Abbas from Wikipidia. The King of Kartli George X is referred to as the father of *Fatima Sultan Begum* [12].

One of the most compelling facts different from the ones publicized by Georgian scholalry circles, regarding Shah Abbass’ Georgian wives, has been revealed by the English historiographical notes according to which, Shah’s wives, the daughters of the Kings Simon and Aleksander, are without any doubt referred to as the Shah’s Georgian, Christian wives. This would not lead us to thinking that they (the Georgian brides) were Christians only by origin. I assume that this emphasis on their Christianity refers to the fact that they maintained their Christian faith even after marrying the Shah. This fact is suprising indeed as all Christians (with some exceptions), sojourning the Shah’s court were converted to Islam immediately on their arrival. This categorical implication to Christianity of these two wives by English historiography was not accidental. In the episode discussing the Shah’s wives, Thomas Herbert mentions two Mahmadian servants of Shah Abbas –Kurchik-Khan and Shah-Thamas-Khulibeg, referring to them as Persions as if in contrast with the two Christian wives mentioned in the same passage (While, – Shah-Thamas-Khulibeg was a Georgian Christian by origin converted to Muslim [9, p. 73]. Apparently, these two wives remained Christians and were not converted to Islam at the Shah’s Court.

Marrying Christian wives without converting them to Islam would be one of the most important political and state strategies of Shah Abbas that became apparent at the turn of 16th-17th centuries, when the Shah, along with European Monarchs attempted to create a coalition against the Turks. He did his best to prove his loyalty and sympathy to the Christians. This idea was many times reinforced on the basis of numerous facts throughout the history.

This period coincides with the reception of a big group of English travellers at the Shah's court and the same period is reflected in the records by Anthony Sherley concerning the Christian wives of the Shah. Shah Abbas sent Anthony Sherley as a Persian ambassador to Europe in May of 1599. Anthony Sherley delivered the Shah's letters to the Pope of Rome and to many European Monarchs as well as to a lot of Counts and Earls.

Along those letters, Sherley carried a diplomatic list emphasizing Shah's benevolent and merciful attitude towards Christians that was reinforced by the Shah's marriage to the daughter of the Georgian Khan Simon [3, p. 78; 16, p. 200]. *The Chronicle of the Carmelits* has retained a note from the letter sent by the Pope of Rome Climentes VIII to the Shah's Christian wife in February of 1601, referring to her as a *Beloved Sister in Christ*. In this letter the Pope reminds her of the words from The Epistles of Paul according to which a pagan spouse can be purified by a Christian spouse, and urges her to serve the Christian religion with loyalty and commitment [13, p. 103].

Finally, there are several discrepancies between the English original sources and the common opinions concerning the issue of the Shah Abbas's Georgian wives. According to the English sources, the Georgian Christian wives of Shah Abbas are considered to be the daughters of the King Simon and the King Aleksander; however, Georgian historiography fails to name the daughters of the two Georgian Kings – Simon and Aleksander to be the Shah's wives.

As already mentioned above, Simon and Aleksander sent their daughters (who later became the wives of the prince Hamza-Mirza) along with their sons to Persia upon the demand of Shah Abbas's father – Mohammad Khodabanda. The ladies mentioned by Sherley and Thomas Herbert are definitely not the wives of the Prince Hamza Mirza. One of Hamza Mirza's widow Olgan Pasha Khanum is referred to as the Shah's wife by the English Wikipedia; however, Shah-Abbas's Christian wives were a lot younger than Olgan Pasha Khanum. Sherley narrates the stories regarding the Shah's wives as if these were the events taking place during his stay at the Shah's

Court (around 1598-1601). The same idea was supported by the diplomatic list delivered by Sherley to Europe (1599) which mentioned the Shah's Christian wife and the letter of the Pope sent to her in 1601. Finally, Thomas Herbert, in the context of the Shah's Christian wives, mentions the advanced age of the Shah.

Gordina, the Shah's wife, mentioned by Thomas Herbert was identified by Sir William Foster – the publisher of Herbert's book – *Travels in Persia* (1928). He writes in the commentaries [5, p. 320]: "Herbert's 'Gordina' was apparently Thinatin, younger sister of Luarsab II, King of Kartli (Georgia)". The English wikipedia mentioned *Tinatin*, (along with another name – *Alias Peri Lala*), as a maiden name of the Shah's wife – Fatima Sultan Begum – in the biographical review of Shah Abbas I. This Princess was considered a daughter of Peykar Khan of Kakheti. According to the Georgian Wikipedia, Fatima Sultan Begum is Elene Bagrationi – a daughter of The King of Kartli Giorgi X. She must be Lela, mentioned by me above, the youngest sister of Luarsab II.

Changing a Georgian name of a daughter of the King Giorgi X at the Shah's Court should not be surprising at all, however, the fact that Herbert calls her *Gordina* (repeated by English surveyors of Sherley's biography) does raise some questions. Should we assume that the name (*Gordina*) is just a mispronunciation of the Georgian princess' nickname *Gorgina* (perhaps *Georgian*) permeating at the Shah's court or among the group of Englishmen sojourning at the Court at the time?

The most challenging is the question why the daughter of Giorgi X and the sister of Luarsab II, sent to the Shah's Court is referred to as a daughter of the King of Kartli– Simon I. We should not assume that this is the mistake made by Herbert. Even Sherley regards this lady to be a daughter of King Simon. Anthony Sherley's book is not the only source Herbert relies upon. It is apparent that he bases himself upon some other sources as well.

It is more reasonable to study this issue along with another discrepancy revealed in the notes provided by both Thomas Herbert and English historical literature. Thomas Herbert, as well as Shirley,

consider the other Christian wife of the Shah – Martha to be the daughter of King Aleksander. However, according to all of the sources discussed above, Martha is regarded to be a sister of King of Kakheti – Teimuraz and a daughter of King of Kakheti–David I. She is a granddaughter of King of Kakheti Aleksandre II. Besides, the Shah’s Christian wife referred to as Gordina by Herbert must be a granddaughter rather than a daughter of King Simon – the King of Kartli.

It is less likely that this is the mistake made solely by Sherley and Herbert. The diplomatic list delivered by Sherley to Europe mentions the fact that the Shah married a Georgian, Christian Princess, a daughter of the Georgian Khan – Simon. [3; 16, p. 200].

It is more likely that these Georgian Bagrationi princesses from Georgia, sent at the request of Abbas, to the Shah’s court by Kings of Kartli and Kakheti Simon and Aleksander, were considered to be the daughters of the Kings. Indeed, they were Princesses and daughters of the Kings, however, the Kings who sent them were their grandfathers and not their fathers.*

It is possible that the arrival of Princess Lela, a granddaughter of King Simon, at the Shah’s court coincided with the time when King Simon was already imprisoned by Turks and father of the Princess, Giorgi (Simon’s son) was then King of Kartli (approximately in 1599). It is likely that another Georgian Princess Martha, a granddaughter of King Aleksander arrived at the Shah’s court in the period her father David (the son of King Aleksander) was enthroned in Kakheti (1601-02). In addition, the following circumstances should be considered: in order to prove the religious tolerance of the Persian Ruler, the highest Christian Circles of Europe (the Pope, European Monarchs and Great Counts) were informed about the fact that Shah Abbas had married Christian princess of the Georgian Royal Court. English historical primary sources (Anthony Sherley, Thomas Herbert) allude to the fact that the princess (the daughter of Simon I) was rather young (Anthony Sherley: “he required the daughter of Simon Can, one of the Princes of the Georgians, to wife, which was, with as ready an affection performed, as demanded” – however the Shah, not many years after this marriage, was rather aged. (Thomas Herbert: “his wives were so incomparably beautiful ... joying the aged King”). Therefore, it was better that the princesses sent by Georgian Kings (Simon and

Thus, the peculiarities of English original sources on Georgian Christian Princesses can be fully explained, however, there are some other details in the narration of Sherley and Herbert that still need more elaboration and critical discussion. It is possible that Sherley himself was the witness of only one Princess' arrival at the Court. We should not exclude the possibility that he may have tried to explain some fact relying upon his conjecture as well.*

Shah Abbas' Georgian Christian Wives and a Path of *the Man in a Panther-Skin's* to England. The English original sources, concerning the trace of Georgians in Persia at the turn of the 16th-17th century provide a substantial proof that the English mission, visiting the Shah's Court in the late 16th and early 17th century (a delegation led by Anthony Sherley, Robert Sherley's family, Thomas Herbert) had close connections with the Georgian circles at the Shah's Court (Alaverdi Khan and his family, Shah's Georgian wives, Shah-Thamaz Khulibeg, Konstantine Mirza...). My interest in the issue mentioned above is closely linked to my research regarding the path through which the plot of the MPS penetrated the English dramaturgy circles in the early 17th century. The visit of the English delegation led by Anthony Sherley and their relationship with high-ranking Georgians sojourning the Shah's Court provides a substantial and reliable evidence for the assumption with regards to the penetration of the plot of the MPS in the circles of the English dramaturgy.

The English historical writing describing Sherley's travels asserts that the Shah's two Georgian Christian wives provided a substantial assistance to Sherley's delegation. Even Sherley himself, in his book about his travells, published in London (1613), mentions these two wives with great sympathy and respect.

More detailed notes regarding the Shah's two Georgian Christian wives and their sons were provided by Sir Thomas Herbert,

Aleksander) were proclaimed and presented as daughters rather than granddaughters of the kings.

For example: he explains the Shah's decision to marry another Georgian Christian wife by the fact that his previous wife had died.

an English military attaché in Persia in 1627-29. The reason the notes about the two wives provided by Herbert are the most significant is that his narration is based on the information provided by Robert Sherley, Anthony Sherley's brother who was a direct witness of the events taking place at the time in Persia. Thomas Herbert visited Persia with Robert Sherley and his family. He also accompanied Robert Sherley at a several-day feast arranged by Alaverdi Khan's son Imam-Khuli Khan (Georgian with origin). Thus, his notes and his interest in these two wives and their offspring are presumably related to the stories about the Sherley family.

Thus, presumably, the Georgian Christian wives of the Shah were among all high-ranking Georgians assisting and consulting Sherley and his companions with regard to the rendering of the plot of the great Georgian Romance *The Man in a Panther-skin* from Georgian into English. The establishment of the close relationship between English intellectuals interested in literary, folk and historical tales, with Christian Princesses having just arrived from Georgia, once again confirms the conjecture that these intellectuals were the ones to spread the great epic by Rustaveli among the English circles.

The fact that the MPS was one of the most valuable tokens in the dowry of Georgian brides in old times has been cautiously retained in the memory of every Georgian. It is highly likely that the Georgian princesses, the brides of the Shah, having abandoned their homeland forever carried not only the MPS as the part of their dowry but also the affection for the story of the Georgian Love Romance.

Bibliography

1. Abbas the Great: [https://en.wikipedia.org/wiki/Abbas the Great](https://en.wikipedia.org/wiki/Abbas_the_Great). (The page was refreshed on July 20, 2020)
2. Briggs (Major-General), "A Short Account of the Sherley Family": *The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, Vol. 6, #1 (1841).

3. *The Chronicle of the Carmelits and Papal mission in Persia XVII-XVIII centuries*, v. I. London 1939.
4. *Dictionary of National Biography*, v. 52, Djvu/132,1897.
5. Foster W., "Notes": Tomas Herbert, *Travels in Persia*, London 2014.
6. Herbert Thomas, *Travels in Persia. 1627-1629*, abridged and edited by Sir William Foster, C.I. E. with Introduction and Notes, Broadway House, London 2014.
7. Herbert Thomas, *A Description of the Persian Monarchy*, London 1634.
8. *The Modern Part of a Universal History* (from the Earliest Account of Time. Compiled from Original Writers. By the Authors of the Antient Part), vol. V, London 1759.
9. Sherley Anthony, *His Relation of his Travels into Persia...*, London 1613.
10. Shirley Evelyn Philip, *The Sherley Brothers* (an historical memoir of the lives of Sir Thomas Sherley, Sir Anthony Sherley, and Sir Robert Sherley, knights. By one of the same house). Chiswick: Press of C. Whittingham 1848.
11. Scott Surtees, *William Shakespeare of Stratford-On-Avon. His Epitaph Unearthed, and the Author of the Plays Run to Ground*, London 1888.
12. აბას I: [https://ka.wikipedia.org/wiki/აბას I](https://ka.wikipedia.org/wiki/აბას_I) (ირანი). (The page was registered on March 19, 2019).
13. Gabashvili V., "From the History of Georgian Diplomacy": *Materials for the History of Georgia and Caucasus*. Part 31, Tb. 1954 / გაბაშვილი ვ., „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან“: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ. 1954.
14. Giorgadze B., "Preface": *Don Pietro Avitabile, Evidence on Georgia*. "Metsniereba", Tb. 1977. / გიორგაძე ბ., „შესავალი“: დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, XVII ს. (ბ. გიორგაძის გამოცემა), თბ. 1977.
15. Maeda H., *Georgians in Safavid Iran*. Tb. 2008. / მაედა ჰიროტაკე, *ქართველები სეფიანთა ირანში*, თბ. 2008.
16. Pavliashvili K., "The English Brothers Antony and Robert Sherley in the Vatican-Iran Diplomatic Arena": *Georgian Diplomacy*, 4. Tb. 1997. / პავლიაშვილი ქ., „ინგლისელი ძმები ენტონი და რობერტ შერლები ვატიკან-ირანის დიპლომატიურ ასპარეზზე“: *ქართული ეტიმოლოგია*, №4, 1997.
17. Songulashvili A., *On the footprints of Georgians in Iran*. Tbilisi, 2005. / სონღულაშვილი ა., *ირანში ქართველთა ნაკვადევზე*, თბ., 2005.
18. Stefnadze J., "Preface and notes": Falsafi N., *The Life of Shah Abbas the First* (translated from the Persian by L. Zhorzholiani), Tbilisi University

Press, Tb. 2003. / სტეფნაძე ჯ., „წინასიტყვაობა და შენიშვნები“: ნასროლა ფალსაფი, შაჰ-აბას პიჩვედის ცხოვრება (სპარსულიდან თარგმნა ლ. ჟორჟოლიანმა), თბ. 2003.

19. Phatemi M. Mahdi, *Persian materials on XVI-XVII centuries Georgian figures*. Tb. 1982. / ფათემი მორთეზა მეჰდი, სპახსუდი მასაღები XVI-XVII საუკუნეების ქაჩთვედ მოღვაწეთა შესახებ, თბ. 1982.
20. Javakhishvili I., *History of the Georgian People*, v. IV, Tb. 1967. / ჯავახიშვილი ი., ქაჩთვედი ეჩის ისტორია, IV, თბ. 1967.
21. Jamburia G., “The struggle of the Georgian People against foreign Invaders”: *History of Georgia*, v. III. Tb. 2012. / ჯამბურია გ., „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ XVII საუკუნის პირველ მეოთხედში“: საქაჩთვედოს ისტორია (ოთხ ტომად), ტ. III, თბ. 2012.

კვლევები: წყაროთმცოდნეობა
STUDIES: SOURCES

ქართულ ხელნაწერებში დაცული ცნობები ფერარა-ფლორენციის კრებაზე

ნინო მეგენიშვილი

*საქართველოს კოხნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორი*

რეზიუმე: ფლორენციის კრება იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა არა მარტო ქრისტიანული სამყაროსთვის, მან შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური წესრიგი, მათ შორის საქართველოსიც. ეს აისახა ქართულ რეალობაზეც და ლიტერატურულ ცხოვრებაზეც. ქართულ ხელნაწერ ფონდში დაცულია ხელნაწერები, რომლებშიც აღწერილია და ასახული ფლორენცია-ფერარას კრება. ძირითადად ეს ხელნაწერები ანტიკათოლიკური პოლემიკური შინაარსისაა და ყველა მათგანი XVIII ს-ით თარიღდება. უპირველესად უნდა აღინიშნოს თხზულება „ფლორენციის კრება“. შემორჩენილია ხელნაწერის ორი ნუსხა: 1. A-1443 და 2. Q-1391. ფლორენციის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხილული თეოლოგიურ-დოგმატური საკითხების საპასუხოდ დაუნერხა ბესარიონ ორბელიშვილს „გრდემლი“, როგორც თავად აღნიშნავს შესავალში. ბ. ორბელიშვილის „გრდემლი“ ვრცელი ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებაა, ტრაქტატია. ის XVIII ს-ის პოლიტიკური და სოციალური შინაარსის ლიტერატურული პროდუქტია. გრდემლის არსობრივ გაგრძელებას წარმოადგენს ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველება“. ანტონ კათალიკოსი „მზამეტყველების“ ანტიკათოლიკურ პოლემიკურ ნაწილს სწორედ ფლორენციის კრების მნიშვნელობის მიმოხილვით იწყებს და ამთავრებს.

საკვანძო სიტყვები: ფეხახა-ფდოხენციის კიება, „ფდოხენციის კიება“, „გხედმლი“.

ბ. ორბელიშვილის „გრდემლი“ ვრცელი ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულება, ტრაქტატი. ის XVIII ს-ის პოლიტიკური და სოციალური შინაარსის ლიტერატურული პროდუქტია. ლიტერატურული, კულტურული, სამეცნიერო მიმართულების შემოქმედებითი პროცესები, გარკვეულწილად, დამოკიდებულია ეპოქალურ პროცესებთან, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ შინაარსთან და კონტექსტთან, რაც ხშირად სხვადასხვა თემატური მიმართულების ჩამოყალიბების მოკარნახეა. ასე შეიქმნა ლიტერატურული ჟანრები სხვადასხვა დროსა და ვითარებაში. ანტიკათოლიკური თხზულებების მომრავლებასაც XVIII ს-ის ქართულ მწერლობაში თავისი იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა.

XV ს-ში, 1453 წ-ს, ბიზანტიის იმპერია დასრულდა, შესაბამისად, დასრულდა მისი კულტურული და იდეოლოგიური გავლენა დანარჩენ მარლთმადიდებელ სამყაროზე.

ბიზანტიური გავლენების დემონტაჟი შესამჩნევი იყო ბევრად ადრე, როცა დაიწყო იმპერიული ძლიერების რყევა. კოსტანტინეპოლის დაცემა იყო სრულიად ქრისტიანული სამყაროსთვის უდიდესი ტრაგედია, პოლიტიკური გაუგებრობების თუ გარჩევის შედეგი. პოლიტიკური მარცხი ერთი დღის ტრაგიკული დასასრული არაა, მას აქვს წინაპირობები, განვითარების ეტაპი და მიზეზი. კოსტანტინეპოლის დაცემა მოსალოდნელი იყო, თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი თურქეთის იმპერიის მასშტაბების სწრაფ გაფართოებას. 1430 წელს, ფლორენცია-ფერარას კრებამდე ცოტა ხნით ადრე, თურქებმა დაიპყრეს და შესაბამისად, ბიზანტიის იმპერიამ დაკარგა მნიშვნელოვანი ქალაქი – თესალონიკი. თურქეთს უკვე დაპყრობილი აქვს ბიზანტიის მოსაზღვრე ქვეყნები-სერბეთი და ბულგარეთი (XIV ს.-ის ბოლო – XV ს.-ის დასაწყისი), 1396 წელს ძლიერს ჭვაროსნებს ნიკოპოლისთან. ამ დროს ხდება ერთი საყურადღებო ფაქტი, თემურ-ლენგის ჯარი ანკარასთან ამარცხებს ოსმანთა არმიას. ეს მოვლენა სიცოცხლეს უხანგრძლი-

ვებს კოსტანტინოპოლს და შესაბამისად, ბიზანტიის იმპერიას ათეული წლებით და სრულიად ქრისტიანულ სამყაროს კონსოლიდაციის უკანასკნელ შანსს, საშუალებას აძლევს. ერთი რამ ცხადი იყო, კოსტანტინოპოლის მოსალოდნელი ტრაგედიის, საფრთხის ხსნა თურქული აგრესიისგან ბიზანტიის იმპერიის ძალებს აღემატებოდა და კოალიციური ერთობის გარეშე შეუძლებელი იყო. თუმცა საკითხავია, რამდენად შესაძლებელი და სასურველი აღმოჩნდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროსთვის პოლიტიკური თუ უნიტარული ერთობა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ფლორენციის კრებას წინ უძღვოდა ბაზელისა და კოსტანტინეპოლის კრებები, ანუ შიდა საეკლესიო მსჯელობა, პოლემიკა არსებულ პრობლემებზე.

როგორც ცნობილია, ეს კრება ჩატარდა ეტაპობრივად – 1438-39 წლებში ფერარაში, 1439-1442 წლებში ფლორენციაში და დასრულდა რომში 1442-1445 წლებში. როგორც არაერთი მკვლევარი (ი. უშიკიშვილი, ე. მამისთვალაშვილი, ა.პოგოდინი და სხვა) [10, გვ. 18; 4, გვ. 251; 7, გვ. 20] აღნიშნავს: „ფლორენციის კრების შესახებ წყაროები არც ისე ბევრია. ფერარა-ფლორენციის კრების ქმედებები, რომელიც ლათინურ და ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა – დაკარგულია“ [7, გვ. 20]. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე კრებას ესწრებოდნენ როგორც ყოველად უსამღვდელოესნი, ისე მაღალი საერო იერარქიის პირნიც. დაკარგული თუ დამალული წყაროები სხვადასხვაგვარი მსჯელობისა და ვარაუდის საფუძველს იძლევა. ფაქტია, საეკლესიო კრებაზე მსჯელობის ძირითადი თემა – თეოლოგიურ-დოგმატური საკითხები – არსებული პოლიტიკური მოცემულობის სარჩული იყო.

ქართულ ხელნაწერ ფონდში დაცულია ხელნაწერები, რომლებშიც აღწერილია და ასახული ფლორენცია-ფერარას კრება. ძირითადად ეს ხელნაწერები ანტიკათოლიკური პოლემიკური შინაარსისაა და ყველა მათგანი XVIII ს-ით თარიღდება, მანამდე ქართულ მწერლობაში ანტიპაპისტური შინაარსის ერთი ნათარგმნი თხზულების – ევსტრათი ნიკიელის „მოსაჯენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და

ეკლესიად მათი, და რაღსთვს საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“ – ჩანს. თხზულება დაცულია არსენ ვაჩეს-ძე-ს დოგმატიკონში, რომელიც XII-XIII სს.-ს განეკუთვნება. კ.კეკელიძე კი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული თხზულება მოგვიანებით უნდა დაემატებინათ ხელნაწერისთვის. რატომ თვლის კ. კეკელიძე, რომ ევსტათი ნიკიელის თხზულება დოგმატიკურ-პოლემიკურ კრებულს შემდეგ უნდა დართვოდა, გაურკვეველია. აქ მინიშნებაც კი არ არის აღნიშნულ კრებაზე. გვიანი შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში ანტიპაპისტური განწყობა განსაკუთრებით თვალშისაცემია.

ფლორენციის შეუმგარი თანხმობა და კოსტანტინეპოლის ტრაგედია აისახა ყველა მართლმადიდებელი სახელმწიფოს მომავალზე პოზიტიური და ნეგატიური შედეგებით. საქართველოსთვის ეს შედეგი იყო ტრაგიკული, მოგეხსენებათ, XV ს-ში, 1490 წელს, ფერარას კრების შემდგომ საქართველოს სახელმწიფოს რღვევა ოფიციალურად გაფორმდა და ის ოთხ სახელმწიფო ერთეულად – ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხე-ჯავახეთის სამთავროდ – დაიშალა. საქართველო დარჩა პოლიტიკური და სტრატეგიული პარტნიორის გარეშე მუსლიმანურ სახელმწიფოთა ალყაში. გადარჩენის გზა გადიოდა ან ჩრდილოეთისკენ, ან დასავლეთისკენ. ამან მოამძლავრა და მოამრავლა ჩვენში დასავლეთის მისიონერული შემოდილება.

პრობლემის არსი არა მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკურ კრიზისშია, არამედ კონკრეტული პრობლემის მასშტაბებში. როცა აღარ არსებობს საქართველოს პირველი პოლიტიკური და იდეოლოგიური მოკავშირე – ბიზანტია, როცა ეკონომიკურ-სოციალურ სივრცეში მსოფლიო უახლოვდება ახალ ფორმაციას – კაპიტალიზმს, ასევე ევროპა ხდება პოლიტიკური მოკარნახე მსოფლიო წესრიგის, სახელმწიფოთა გეოსტრატეგიული დატვირთვა, მნიშვნელობა სხვაგვარი ყურადღების არეალში ექცევა, სხვადასხვაგვარი დისკუსიის, განსჯის, მიღწეული შედეგებისა და მიზნების გადასინჯვის მიზეზი ხდება. იწყება გავლენების გაფართოება, პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობების

ახალ სტანდარტზე აყვანა, ახალი მეთოდების, სტრატეგიის, აქტივობების ჩამოყალიბება.

დასავლეთის დაინტერესება საქართველოში და ამიერკავკასიით გაცილებით ადრე, XIII ს-დან ცხოველდება და მისი მასშტაბები ფართოვდება შემდგომ საუკუნეებში. XVII საუკუნე კათოლიციზმის ზეობის ხანა იყო საქართველოში, მომრავლდა კათოლიკე მრევლი და ვიზიტორი, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს მიხეილ თამარაშვილიც [3, გვ. 297]. არსებული პოლიტიკური კრიზისი მისი პროგრესირების ნაყოფიერ საფუძველს ქმნიდა, ამას ემატებოდა ევროპული კაპიტალის შემოდნება მისიონერული მოღვაწეობის გასაძლიერებლად. საქართველო მათ მოსვლაში ურჯულო მტრების წინააღმდეგ მოკავშირე სტატეგიულ პარტნიორს ხედავდა, დასავლელი მისიონერების, მათი მომყოლ მოგზაურებისთვის კი ეს იყო მზარდი ეკონომიკური პროცესებისთვის საჭირო ბაზრისკენ მიმავალი მოკლე, იაფი და შედარებით უსაფრთხო გზა. ევროპელი მისიონერები, მოგზაურები ან ადგილზე, საქართველოში, სწავლობდნენ ქართულს, ან უკვე ქართული ენის ცოდნით ჩამოდიოდნენ. ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია კი იყო ადგილობრივი მოსახლეობიდან შეერჩიათ და მოემზადებინათ კადრები, რომლებიც შემდგომში მათი საქმის გამგრძელებლები იქნებოდნენ, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში გაზრდიდა, აამაღლებდა ნდობას ახალი იდეოლოგიის, პოლიტიკური მიმართულების მიმართ [6, გვ. 135]. ოპონენტი მხარეების ერთ-ერთი მთავარი „იარაღი“, „ძალა“ არის მასების ინფორმირება, იდეოლოგიური მობილიზება ანუ მოსახლეობის სოლიდური ნაწილის „თანადგომა, თანამზრახველობა“, ამისთვის უმოკლესი გზა, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, ერთმორწუნე მრევლის მომრავლებაზე გადიოდა.

დაიწყო და მომრავლდა კათოლიკური შინაარსის ლიტერატურა ბეჭდური და ხელნაწერი წიგნების სახით. ქართულ ხელნაწერ ფონდებში ინახება პაპისტური შინაარსის-ლიტურგიკული, ბიბლიოლოგიური, თეოლოგიური და სხვა-უამრავი ლიტერატურა (მისსალი, ტიბიკონი, ლოცვანი, გალობანი, სახარება, საკითხავები ბიბლიიდან, ჰომილეტიკური კრებული,

კატეხიზმო, კონდაკი, ქადაგებანი და სხვა). მისიონერთა მოღვაწეობამ ქართულ მწერლობაზე გავლენა ვერ მოახდინა, თუ არ ჩავთვლით სულხან-საბას „სამოთხის კარს“. სხვა ორიგინალური კათოლიკური შინაარსის თხზულება ქართულად არ დაწერილა. სულხან-საბა ორბელიანს თავის „სიტყვის კონაში“ შეუტანია ერთი კათოლიკური დოგმატის განმარტება, „განსაწმედელი რომელ არს სალხინებელი, სადა არს მონანულთა, ცოდვილთა სულთა სამყოფი“ [8, გვ. 139] სულხან-საბას, როგორც იმ დროს მოღვაწე სხვა ელიტარული ფიგურებს, საინტერესო პოლიტიკური ბიოგრაფია ჰქონდათ. მათი გადაწყვეტილებები დღესაც საკამათოა, ეს იყო ჭეშმარიტი რწმენა თუ სავალდებულო პოლიტიკური ხარკი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ერთი დეტალიც, ხელნაწერი, მაშინ, როცა არ იყო მედია საშუალებები, საზოგადოებასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება იყო. საზოგადოება შედგება სხვადასხვა სოციალური ფენის, იერარქიული სტატუსისა და პოლიტიკური გემოვნების ადამიანებისგან, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის გარდა ქვეყანაში დროებით ჩამოსული სტუმრებისაგან. მწერლის საუბრის ადრესატი იყო არა მარტო მისი ლიტერატურული ოპონენტი, არამედ საზოგადოება, ამიტომაც თხზულების დაწერისას ავტორი ითვალისწინებდა ჭრელი საზოგადოების განსხვავებულ გემოვნებასა და პრეტენზიებს და ის ცდილობდა, თხზულებაში ყველა სიტყვა, ფრაზა, მოსაზრება, არგუმენტი ყოფილიყო რაფინირებული, კორექტული, აკადემიური. ამ კონტექსტში საინტერესოა ანტონ კათალიკოსის მოსაზრება. ის „წყობილსიტყვაობაში“ წერდა: „არ მომწყინდება თქვენთან საუბარი, ჰოი ქართველნო, სიბრძნის შემყვარებელნო! ვალდებულება მაქვს ნიჭად თქვენს მიმართ – შრომად, საუბრად, წერად...“ [2, გვ. 287]

საომარ ვითარებას ახასიათებს ერთი სირთულე, მოსახლეობას ზუსტად უნდა აუხსნა გარდაუვალი მსხვერპლის – ოჯახის წევრის, ძმის, ქმრის, შვილის, ნათესავის, მეგობრის, მეზობლის და ა. შ. – მოსალოდნელი გარდაცვალების მიზეზი, მიზანი და ისტორიული მნიშვნელობა. თუმცა ქართველები,

როგორც თ. კრუსინსკი წერდა „მუდამ იჩენენ პირმტკიცობას, მტერთა ზედა ერთობას... ერთსულოვნებას მაშინ იჩენენ, როცა საქმე ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ეხება“ [5, გვ. 13]. ამიტომაც უფრო რთული ასახსნელია საზოგადოებისთვის ის საფრთხე და აქედან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგი, რომელიც ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში შემოდის სრული ჰუმანურობით, ლიბერალური იდეოლოგიით, ყოველგვარი ძალმომრეობის გარეშე. სწორედ ეს გახდა ქართულ მწერლობაში ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებების მომრავლების მიზეზი.

უპირველესად უნდა აღინიშნოს თხზულება „ფლორენციის კრება“. ეს თხზულება არ არის პოლემიკური შინაარსის, ის კრების დეტალურ აღწერას წარმოადგენს და სულთან მურადის, ბიზანტიის იმპერატორის იოანე პალეოლოღოსის და რომის პაპის ევგენი IV-ის პერიოდს ასახავს. არაფერია ნათქვამი მიღებულ გადაწყვეტილებაზეც, მხოლოდ აღნიშნულია, რომ „არა შეერთდენ ეკლესიისანი ამათ თანა, არამედ არა ენებათ ერთობა მათ თანა და შეიქმნა განყოფილება ურთიერთას“ [13, 10r] და ბერძნები იმედგაცრუებულნი დაბრუნდნენ კოსტანტინეპოლში. თხზულება, შინაარსიის მიუხედავად, არსობრივად, თემატურად და იდეოლოგიურად ახლოსაა ანტიკათოლიკური განწყობის ლიტერატურასთან. შემორჩენილია მისი ორი ნუსხა: 1. A-1443 და 2. Q-1391. თხზულება გამოცემული არაა, ის დამუშავებული, მომზადებული და გადაცემულია გამოსაცემად ჩემ მიერ. ორივე ხელნაწერი თარიღდება მე-18 საუკუნით და წარმოადგენს ცალკე თხზულებას. ორივე ხელნაწერი შესრულებულია მხედრულით. თხზულების ავტორი ან ჩამწერი შესაძლოა იყოს ვინმე ევგენიოსი, თხზულებაში არის ერთი ფრაზა: „ევგენიოს, მონა ღვთისა, ამის საქმისათვის ვწერ, რათა მტკიცედ იყოს, დიდსა ღმერთსა ქეშმარიტად ვმადლობდეთ“ [13, 10v; 14, 6v]. გაურკვევლია, ეს ვინმე „ევგენიოსი“ ესწრებოდა კრებას, თუ შემდეგ მონათხრობის ან წყაროების საფუძველზე აღწერა კრების მიმდინარეობა. ტექსტი უნდა იყოს თარგმნილი ბერძნულიდან მოგვიანებით, რადგან ორივე ხელნაწერში კოსტანტინეპოლი მოხსენი-

ებულია სტამბოლად: „ვიდრე ვენედიკამდის და შეწევნასაც, ვიდრემდის სტამბოლსა მიბრძანდეთ“ [13, 8v; 14, 51v], ეს კი 1453 წლამდე შეუძლებელი იყო, ოფიციალურად სახელიც ქალაქისთვის კოსტანტინეპოლის დაცემისთანავე არ შეუცვლიათ, ამდენად თხზულება ცოტა მოგვიანებით უნდა თარგმნილიყო.

A-1443 ხელნაწერი სრულყოფილია, მინაწერის მიხედვით ხელნაწერი ეკუთვნოდა იერონიმე ალექსიევს: „–“ ესე ეკუთვნის კოლლუესკი სეკრეტარს იერონიმე ალექსიევს [13, 1r]. ხელნაწერის ყდაზე არის მინაწერი: „არქიმანდრიტის ტარასისა, პაპიჩემის ნაწერი მე მეკუთვნის“ [13, ხელნაწერის ყდა]. ამ მინაწერის მიხედვით ხელნაწერი ეკუთვნოდა ტარასი არქიმანდრიტის პაპას. ტარასი იყო ცნობილი მწიგნობრების ოჯახიდან, მათ შორის იყო ალექსი მესხიშვილი და თელავის აკადემიის რექტორი დავითი.

ხელნაწერს აქვს წინასწარმეტყველური შინაარსის მინაწერიც: [ამონარიდი ტექსტიდან იხილეთ დანართი 1]. ტექსტი შეიცავს იმ შედეგების შეხსენებას ან ერთგვარ გაფრთხილებას, რაც მოჰყვებოდა თურქთა მოსალოდნელ ექსპანსიას.

ხელნაწერის 1r-ზე არის შვიდი საეკლესიო კრების ცხრილი, თუ სად, როდის ჩატარდა კრება, ვინ იყო ხელმწიფე, პაპა, პატრიარქები, რომელი მწვალებლობის წინააღმდეგ იყო კრება მოწვეული, რამდენი მამა ესწრებოდა და რამდენი კანონი იქნა მიღებული. ცხრილში არის გარკვეული უზუსტობა მსოფლიო კრებების თარიღებთან დაკავშირებით.

მეორე ნუსხა, Q-1391, თავ-ბოლო ნაკლულია. ხელნაწერის ის ნაწილი, სადაც საუბარია კრების დაწყებასა და ფინალურ ნაწილზე, დაკარგულია. ხელნაწერის თანადროული პაგინაციის მიხედვით, რომელიც შემორჩენილია ზედა მარჯვენა კუთხეში, არაბული ასოებით „6“ [14, 1r], მას დასაწყისში აკლია ხუთი ფურცელი. ხელნაწერი შეცავს 61 ფურცელს, სავარაუდოდ, ბოლოშიც უნდა აკლდეს 5 ფურცელი. დასახელებულ ხელნაწერებში არაფერია ნათქვამი მთარგმნელზე, გადამწერსა და გადაწერის ადგილზე.

ფლორენციის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები-
სა და განხილული თეოლოგიურ-დოგმატური საკითხების საპა-
სუხოდ დაუნერია ბესარიონ ორბელიშვილს „გრდემლიც“,
როგორც თვითონაც ამბობს; „ამათ ყოველთათვის სიტყვს-
გებად თითოეულად ქუჭმორე ურცელესად აღგვწერიეს, რო-
მელი ცხადად საცნაურ ჰყოფს ყოველსავე“. [12, 14v] დღემდე
გამოცემულია ერთი ხელნაწერის S-3269-ში დაცული ტექსტი.
ეს არ არის აკადემიური გამოცემა, კრიტიკული ტექსტი. არსე-
ბობს თხზულების 12 ნუსხა. ჩვენ სტატიაში ვისარგებლეთ A-
119-ით, რომელიც გადაწერა ტიმოთე გაბაშვილმა და რომელ-
საც მ. ქავთრია მიიჩნევდა ვრცელ ავტოგრაფიულ ნუსხად.
როგორც აღვნიშნეთ, ფლორენციის კრების აქტების მხოლოდ
მცირე ნაწილია შემორჩენილი, ბესარიონი კი თხზულებაში
ასახელებს არსებულ „ვრცელ და უნაკლებო მოსახსენე-
ბელს“ და დეტალურად პასუხობს ოპონენტებს: [იხილეთ და-
ნართი 2]. სამწუხაროდ, დღეს არსებულ ქართულ წერილობით
წყაროებში ბესარიონის დასახელებული ცნობები არ იძებნე-
ბა.

ფლორენციის კრებაზე, პოლიტიკური ქვეტექსტის მიუ-
ხედავად, სწორედ თეოლოგიური შინაარსის კამათი წარიმარ-
თა და ბესარიონს განხილულ თეოლოგიურ-დოგმატურ სა-
კითხებზე შესაძლოა ნაკლები უზუსტობა მოსდიოდა, მაგრამ
საკამათოა ერთი ისტორიული ფაქტია, ის აღნიშნავს, რომ
„ხოლო აღმოსავლეთისა ეკლესიანი და ოთხნივე საპატ-
რიაქონი, დიდი რუსეთი და ჩუენ ქართველნი მასვე და ერთსა
სარწმუნოებასა ზედა ვჰკვიეთ შეურყეველსა და შეუცვალე-
ბელსა მოციქულთა მართლმოცემულსა და შვიდთა მსოფლო-
თა კრებათა მიერ დამტკიცებულსა“ [12, 14v-15r]. ბესარიონის
აზრით, უნიას „შეურყეველი“ წინააღმდეგობა გაუწია ოთხმა
ეკლესიამ, მათ შორის რუსეთმაც. საკამათო სწორედ „დიდი
რუსეთის“ „პრინციპული“ პოზიციის ხაზგასმაა აღნიშნულ
კრებაზე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თხზულება XVIII
ს-შია დაწერილი, როცა მუსლიმანურ ალყაში მოცეული სა-
ქართველო „დიდი რუსეთის“ იმედად რჩებოდა. „გრდემლი“
38 თავისგან შედგება, პირველი თავი, ანუ შესავალი არის იმ

მიზეზთა ახსნა, რამაც აიძულა დუმილის დარღვევა. შესავალში ის იხსენებს შვიდ საეკლესიო კრებას და მათი მოწვევის მიზეზებს და ფლორენციის კრებას მერვე საეკლესიო კრებას უწოდებს. ამდენად მისთვის დასავლეთის ეკლესიის საფრთხე იმ ერეტიკოსთა საფრთხეს უტოლდება, რაც შვიდი საეკლესიო კრების მიზეზი გახდა. სწორედ ამ კრებებზე მიღებული დოგმების უგულებელყოფაში დებს ბრალს ის პაპისტებს. ბესარიონს ძირითადი არგუმენტები მოჰყავს წმინდა წრილებიდან. ფლორენციის კრებაზე შეკრებილნიც ბიბლიური ციტატებით ამყარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს. თუმცა, ზოგჯერ მისი არგუმენტაცია არასერიოზულია, მაგალითად ის აღნიშნავს, რომ ლათინებს ახასიათებთ პირუტყვის, განსაკუთრებით ძაღლის შეყვანა ტაძარში და ამის დამადასტურებლად იშველიებს ფრაზას „მსმენია“: „ესე ყოველივე მსმენია და მრავალთა თვალთ მხილველთა და სარწმუნოთა კაცთა მიერუწყებულ არს ჩემდა“ [12, 183r] და ოპონენტებს მეექვსე კრების გადაწყვეტილებით პასუხობს „ხოლო მეექვსის კრებისა კანონთა შინა მოიხსენებს ესრეთ, ვითარმედ დაღაცათუ ძნელ არს და უკადრებელ სახლთა მიმართ ღმრთისათა შესლვა პირუტყვთა“ [12, 183r]. ამგვარი საკითხი ვერ იქნებოდა ფლორენციის კრების განსახილველი, იქ, სავარაუდოდ, ასეთ დეტალებზე ვერავინ მოიცილიდა და არც თავად ბესარიონი იყო ბრიყვი მსგავსი არგუმენტებით ემსჯელა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, პოლემიკოსის ადრესატი იყო მისი ლიტერატურული ოპონენტიც და მის აუდიტორიას შეადგენს ე.წ. უბრალო საზოგადოებაც, რომელსაც ცოტა „პოპულისტური“ თხრობაც ხიბლავს.

ბესარიონ ორბელიშვილის თხზულება კი, როგორც თვითონაც ამბობს, წარმოადგენს პასუხს კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე: „ამ ყველაფერზე პასუხი დეტალურად აღვწერე, რომელიც ცხადად გახდის ყოველსავეს“ [12, 14v]. ანუ ბესარიონი აღწერს არა კრების დეტალებს, არამედ მის არსობრივ ნაწილს. ცნობილია, რომ ფლორენციის კრების აქტების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, ამდენად უცნობია, რომელ წყაროზე დაყრდნობით გასცა მან პასუხი პა-

პისტებს, რას გულისხმობდა, როცა წერდა „ვითარცა წერილ არს მაშინდელთა მოსახსენებელთა შინა ვრცელად“ [12, 12v], თუ მისი საინფორმაციო საყრდენი მხოლოდ პადრე ფრანჩისკო ბოლონიელი იყო, ან ბესარიონი ინფორმაციით დამკვეთმა მოამარაგა, რადგან ის წერს: „ნებით არა აღვსწერეთ...“ [12, 12v], ვისი ნება იყო ტრაქტატის შექმნა, უცნობია, იქნებ ეს „ნება“ მრევლის წინაშე ვალდებულება იყო, რადგან ამ დროს ბესარიონი ავტორიტეტული საეკლესიო მოღვაწე და დიდი მწიგნობარია და ის შემდგომ ქართული ეკლესიის მწყემსმთავარიც გახდება, ფაქტი კი ისაა, გრდემლი როგორც წყარო, თუ რა შინაარსის თეოლოგიური, დოგმატური დისკუსია მიმდინარეობა ე.წ. მერვე – ფლორენციის – კრებაზე, წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობისაა.

„გრდემლი“ 38 თავისგან შედგება, პირველი თავი, ანუ შესავალი არის იმ მიზეზთა ახსნა, რამაც აიძულა ავტორს დუმილის დარღვევა. შესავალში ის ახსენებს შვიდ საეკლესიო კრებას, მათი მოწვევის მიზეზებსა და ფლორენციის კრებას მერვე საეკლესიო კრებას უწოდებს. ამდენად, მისთვის დასავლეთის ეკლესიასთან უნია შვიდ საეკლესიო კრებაზე დაგმობილ ერეტიკოსთა საფრთხეს უტოლდება. სწორედ ამ კრებებზე მიღებული დოგმების უგულებელყოფაში დებს ბრალს ის პაპისტებს. ბესარიონის თხზულება სწრაფად გადაიწერა და დღეს ჩვენამდე მოღწეულია მისი თორმეტი ნუსხა.

„გრდემლი“ არსობროვ გაგრძელებას წარმოადგენს ანტონ კათალიკოსის *მზამეცყველება* – აქ მე-3 თავში ცალკე, მე-17 ნაწილად, არის გამოყოფილი ლათინთა მიმართ პასუხი. ძირითადად ეს შეეხება წმინდა ზიარების საიდუმლოს. ანტონი არგუმენტაციისთვის წმინდა წერილებიდან იყენებს იმავე თავებს, რომელსაც ბესარიონ ორბელიშვილი: ანტონი: „მიიღეთ და ჰსჭამეთ ესე არს ჯორცი ჩემი, ამას ჰყოფდეთ მოსახსენებელად ჩემდა, და მოილო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და ჰთქუა: ჰსუთ ამისგან ყოველთა ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა“ (მათე 26, 26-28) [1, გვ. 524], ბესარიონი: „მიიღეთ და ჰჭამეთ ესე არს „ჯორცი ჩუენი თქუენთვს განტეხილი მისატევებელად ცოდვათა, მერმე მოილო

სასუმელი და აკურთხა და მისცა მათ და თქუე: სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა“ (მათე 26, 26) [12, 148r]; ანტონი: „მოვედით და ჭამეთ პური ჩემი და სუთ ღვინოდ, რომელი განგიმზადეთ თქვენ“ (წიგნი იგავთა 9,1) [1, გვ. 524], ბესარიონი: „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი და ქუცჴე შეუდგნა მას შვიდნი სუეტნი და დაუკლა თვისი იგი საკლველი და განაზავა ტაკუკთა თვისი იგი ღვინოდ და განუმზადა თვისი იგი ტაბლა და წარავლინნა თვისნი მონანი მოწოდებად მალლითა ქადაგებითა ტაკუკთა მათ ზედა და ჰქუა: მოვედით, და ჭამეთ პური ჩუცნი და სუთ ღვინო, რომელი განგიმზადე და დაუტევეთ უგუნურებად და სცხონდეთ“ (წიგნი იგავთა 9,1) [12, 144v]; ანტონი: „უკეთუ არა ჰსჭამოთ ჯორცი ძისა კაცისა და ჰსუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებად თავთა შორის თქვენთა; ხოლო რომელი ჰსჭამდეს ჯორცსა ჩემსა იგი ჩემთა დადგრომილ-არს და მე მისთანა“ (იოანე 6, 53-56) [1, გვ. 524]; ბესარიონი: „ამენ, ამენ გეტყვ თქვენ: უკეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებად თავთა შორის თქვენთა, ხოლო რომელი ჭამდეს ჯორცსა ჩუენსა და სუმიდეს სისხლსა ჩუენსა, აქუნდეს ცხოვრებად საუკუნო და მე აღვადგინო უკანასკნელსა მას დღესა, რამეთუ ჯორცი ჩუენი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს. და რომელი ჭამდეს ჯორცსა ჩუენსა და სუმიდეს სისხლსა ჩუენსა, იგი ჩემთა დადგრომილ არს, და მე მისთა“ (იოანე 6, 53) [12, 148v]; ანტონი: „გამო-ლაი-ცადენ კაცმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგანი ჰსჭამენ და სასმელისა მისგანი ჰსუნ“ (ა კორინთელთა, 11, 28) [1, გვ. 524], ბესარიონი: „გამო-ლაიადენო კაცად კაცადმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგან ჭამეონ და სასუმლისა მისგანი სუნ“ (I კორინთელთა, 11, 27) [12, 154r]. ანტონ კათალიკოსი „მზამეტყველების“ ანტიკათოლიკურ პოლემიკურ ნაწილს სწორედ ფლორენციის კრების მნიშვნელობის მიმოხილვით იწყებს და ამთავრებს.

შუა საუკუნეებში და შემდგომ პერიოდშიც შესაძლოა, საკამათო ან მისაღები იყო დასავლური პოლიტიკური ღირებუ-

ლებები, მაგრამ ის, რაც საფრთხეს უქმნიდა ქართულ კულტურულ ფასეულობებსა და ერის თვითმყოფადობას უყურადღებოდ არ და ვერ დარჩებოდა ქართველი მოღვაწეების მხრიდან. კ. კეკელიძე აღნიშნავდა, ბ. ორბელიშვილს „გრდემლი“ დაუწერია იმ დროს თბილისში მყოფ ლათინთა მოძღვრის ფრანცისკო ბოლონიელის კაფუცინის დახმარებით, მსგავსი მოსაზრება ჰქონდა პ. კარბელაშვილსაც, ეს კი ადასტურებს განსხვავებული შეხედულებების ოპონენტთა ჯანსაღ პოლემიკას და როგორც ერთმანეთის კულტურული ღირებულებების პატივისცემას, ასევე პრობლემის აღიარებასაც. მ. ქავთარია აღნიშნავს: „იგი (იგულისხმება ანტიკათოლიკური თხზულება „გრდემლი“ და გარეჯში შექმნილი ლიტერატურა) უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის თხზულებაა, რომელმაც შეასრულა თვალსაჩინო როლი ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში და ეროვნული თვითშეგნების დაცვა-განვითარების საქმეში“. [11, გვ. 111] ფაქტია, ფლორენციის კრება იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა არა მარტო ქრისტიანული სამყაროსთვის, მან შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური წესრიგი, მათ შორის საქართველოსიც. ეს აისახა ქართულ რეალობაზეც და ლიტერატულ ცხოვრებაზეც.

დანართი

1. „ქ. ესენი ესრეთ ეწერა დიდის კოსტანტინეს საფლავზე, რომელიცა თარგმნა ამა სასოებისა პატრიარქის კოსტანტინეპოლისა მასწავლელმან. პირველსა ინდიკტიონსა მეფობა ისმაელისი, რომელ არს მოჰმედ, უნდა რომე დათრგუნოს ნათესავი პალეოლოლოსი და დაიპყრას შვიდნი სამთავრონი და იმეფოს იმან გარეთ ნათეაგნი დიდ ფრიად, დათრგუნოს და ქალაკნი აღაოჭროს, ვიდრე ექსინო პონტომდე და რვას ინდიკტიონსა მრავალი საზღვარი იპყრას, პელოპონისი დაიპყრას და ცხრას ინდიკტიონსა სამხრეთის კერძო აღილაშქროს და ათას ინდიკტიონს დაიპყრას დაღმატელნი და ებრძოლუნენ დიდად და რომელთამე ავნებს და მსგავსნი სიმრავლითა, ვითა ფურცელნი გამრავლდეს ზღვა-

სა ზედან და ჳმელითაც იბრძოლონ და ისმაილნი დათრგუნოს და ამათგანმა იმეფოს მცირედ ჟამ და ეგრეთვე წითელმან ნათესავმან ყოვლითა ძალითა მისითა ისმაილი დათრგუნოს და ის შვიდნი სამთავრონი ამათ დაიპყრან მისის შემკობილებითა, მაშინ შეიქმნას ბრძოლა ფრიად დიდ დიდი, ვიდრე მეხუთედ ჟამადმდე და ჳმა ისმეს სამგზის: „დეგით, დეგით შიშით“ და მსწრაფლ მოხედეთ მარჯვნივ კერძო და პოოთ კაცი შვენიერი, საკვირველი, რომელი ესე მიიღეთ, ჩვენთაგანი არს, ეს იჩინეთ მეუფედ და ამას რა მიიღებთ ნებასა ჩემსა იქმთ.

ქ. ჟამსა კოსტანტინეს მეფობისასა, რომელიცა ესე ზემორები აღიწერა საფლავსა მისსა მეფობადმდე იოანე პალეოლოღოსა, რომელნი თარგმნა ბერძენმა გენადიოს, არს წელნი ქრისტეს აქეთ ათას ას ერთი. და ქრისტეს აქეთ მიცვალებადმე კოსტანტინესა წელნი სამას ოცდაცხრა“ [13, 10v].

2. „ოდეს მეფე იგი ბერძენთა და პატრიარქი კოსტანტინეპოლისა წარვიდა, ეს იტალიას დასავლეთისა მყოფთა და პაპასა, რადთა თანა შემწე ეყვნეს მტერთა ზედა, ხოლო მათ ღქუეს, რადთა სარწმონოებად პირველი უარყონ და აღიარონ სარწმუნოებად მათი და მაშინლა შეენივნენ მტერთა ზედა.

ხოლო ბერძენთა არა თავს იდვეს ესე, არამედ აღირჩიეს სიკუდილი, ვიდრე იოტა ერთი არა რქად ერთი სარწმუნოებისაგან მამათა მიერ მოცემულსა შეცვალებად და დაკლებად ანუ შემატებად და ესრეთ განიყარნეს და განეშორნეს ურთიერთარს ბერძენნი და ჰრომნი, ვითარცა წერილ არს მაშინდელთა მოსაჯსენებელთა შინა ვრცელად და უნაკლულიოდ, ხოლო ჩუენ ნებისით არა აღვსწერეთ, რადთა არა სიმრავლე წერილისა იქმნას.

მაშინ შეკრიბეს ერთად დასავლეთისა იგი კერძონი და ქმნეს კრებდ ფილორენციას და უწოდეს მერვედ კრებად და დაჯსნეს წესნი და კანონი მოციქულთანი და მამათა მიერ მოცემულნი საზღუარნი და ყოველივე წინააღმდგომი თქვეს და ქმნეს და ვითარცა ენებათ, ეგრეთ დაამტკიცეს.

ა რამეთუ პაპა ჰრომისა ნებითა მათითა თვნიერ კანონისა აღამაღლნეს უმეტეს ყოველთა პატრიქთა და ღვთის

მაგიერად და მეორედ ქრისტედ აღიარეს ქუეყანასა ზედა; **ბ** მერმე წმიდისა და თაყუანისაცემელისა სამებისა შორის თქუცს შერევნა და სული წმიდა მამისა და ძისაგან გამოსვლით აღიარეს, რომელი ესე უცხო არს ქადაგებისაგან წმიდათა მოციქულთასა და ღმერთშემოსლთა მამათასა, რამეთუ არა ოდეს თქმულ არს ესე სარწმუნოებად არცა ერთსა კრებათა შინა, არცა ვის ერთსა წარმართთაგანსა უკადრებიეს ესრეთ თქმად, ვითარცა იგინი აღიარებენ; **გ** მერმე წმიდად ნათლისღებად, რომელი წმიდათა მოციქულთა და წმიდათა კრებათა განგვიწესეს სამგზის წყალთა შინა დაფლვითა და მიერ აღმოშობილთა სახლსა ზედა წმიდისა სამებისასა. ესე აღიღეს და მცირედისა წყლისა შეხებითა განაწესეს ნათლისღება მღდელთა მიერ, გინა ერისკაცთა ანუ დედაკაცთა მიერ; **დ** მერმე წმიდისად ჟამის-წირვისა საიდუმლო უფოვართა სეფითა შეწირვა დღესა შინა ერთსა ერთისა მღდლისა მიერ მრავალგზის წირვა და საეროთა სახლითა შინა უეკლესიოდ განაწესეს; **ე** მერმე ზიარებად ერისკაცთა სხვითა სეფისკურიითა, რომლითა დიდებულნი ჟამად არა ეზიარებიან და სხვითა ლიტონითა ღვინითა, რომელი არა მიახლებულ არს ტრაპეზსა, მით ზიარებად განუწესნეს და ჩვილთა ყრმათა, ვიდრე ათხუთმეტ წლამდე ჟამად არა აზიარებენ; **ვ** მერმე განჰყუცს ჯოჯოხეთი და სხუად სხუად რიგად თქვეს, ერთსა მას საუკუნო უწოდეს, რომელსა შინა შთასრულნი ვერა რომლითა ღონითა, ვერცა ხუაიშნითა წმიდათადათა, ვერცა აქედგან მოწმარებითა, ვერცა რაფსა ლხინებასა ჰპოებენ და ერთი სხუად არსო ცეცხლისა სატანჯველიო, რომელსა შინა მოსავნი პაპისანი შევლენ მცირედ ჟამად და ადრე განწმედილნი გამოვლენო; **ზ** ხოლო ლოცვა და საეკლესიო განწესებული ფსალმუნებად სრულიად აღწოცეს ეკლესიით და წმიდათა მამათა მიერ განწესებული აღიღეს და თვინიერ წირვისა არღარა არს ეკლესიათა მათთა შინა, არცა ფსალმუნებად, არცა საგალობელი, არცა ღამისთევა; **ც** და ვითარცა ენებოს და ვითარცა დახუდეს, ეგრეთ აღმართებენ საკურთხეველთა არა აღმოსავალით განწესებისაებრ წმიდათა მოციქულთასა, არამედ გინათუ დასავლეთით კერძო, ანუ სამ-

ხრეთით, ანუ ჩრდილოეთით; **თ** ხოლო მარხვათა სრულიად დაჯსნეს და მოსპეს და არღარა არს მათ შორის მარხვა ერისკაცთა, არცალა სამღდელოთა კაცთა შორის, თვინიერ მცირედთა მონაზონთა გარეშე და მათცა უკეთუ იმარხონ თვინიერ ჯორცისა არა რადსა სხუასა იმარხუვენ, არამედ უკრძალველად ყოველსავე იჯუმევენ და ურიდად ჭამენ; **ი** ხოლო ოთხშაბათსა ჟამადვე არა იმარხუვენ. რომელი განგვიწესეს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა და მისდა ნაცვლად შობისა იმარხვენ, რომელი არა ოდეს მოცემულ არს ესე ჩუენდა, თვინიერ ერთისა მის დღისა; **ია** ხოლო დედათა მათთა ჟამსა წიდოვანებისასა და ოდესცა საწოლითა ქმართა მათ თანაშეყოფილ იყვნენ, საკურთხეველთა აღიყვანენ და ზიარებადსცა მისცემენ; **იბ** და ყოველი ერი ოდეს შევიდეს ეკლესიად დიდი, გინათუ მცირე მამანი, გინათუ დედანი თანა შეიყვანენ ძალთა და ეკლესიათა არა ჰრიდებენ; **იგ** და ყოველი ცოდვა მომაკვდინებელი ადვილად შეჰრაცხეს და მას ღამესა, რომელთაცა ვინ ბოროტითა ცოდვითა დაეცეს და შეიგინოს მას დღესა აზიარებან. ესე და ესე ვითარნი წესნი და კანონნი დასცნეს ეკლესიასა შინა და ყოველი საზღუარნი და განწესებად წმიდათა მოციქულთა და შვიდთა მსოფლიოთა კრებადთა დაჰქსნეს და გარდასცვალნეს ... და სხუა რამე წესი შემოიღეს გარეშე საზღვართა მამათასა დღეიდელადვე დღეინდელად დღემდე უახლესთა და უახლესთა წესთა შემოიღებენ წინააღმდეგომთა შვიდთა კრებადთასა.“ [12, 12v-15r].

ბიბლიოგრაფია

1. ანტონ კათალიკოსი, *შბამეცყვედება*, თბ, 1892.
2. ანტონ კათალიკოსი, *წყობიღსიგყვაობა*, თბ. 1980.
3. თამარაშვილი, მ., *ისტოხია კათოლიკობისა ქახთვედთა შოხის*, თბ. 1902.
4. მამისთვალაშვილი, ე., *ქახთვედები ფეხახა-ფდოხენციის კეებაზე (XIII-XV სს.)*, კადმოსი, თბ. 2016.
5. პაპაშვილი, მ., *საქახთვედოს საგახეო პოდიტიკუხი უხთიეხობები*, თბ. 1992.

6. პაპაშვილი, მ., საქართველო-ჩომის ურთიერთობა, თბ. 1995.
7. პოგოდინი, ა., წმინდა მახკობ ეფესედი და ფდოხენციის უნია, თბ. 2016.
8. სულხან-საბა ორბელიანი, სიგყვის კონა, თბ. 1966.
9. ტაბალუა, ი., საქართველო ევროპის აქტივებსა და წიგნთსაცავებში, თბ. 1984.
10. უშიკიშვილი, ი., სადისეგაციოა ნაშხომი – „ფეხაჲაფდოხენციის საეკდესიო კხება და საქართველო“, თბ. 2016.
11. ქავთარია მ., დავით-გაჩეჯის დიგეჲაგუჲუდი სკოლა, თბ. 1965.
12. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-119
13. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1443
14. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q-1391

კვლევები: წყაროთმცოდნეობა
STUDIES: SOURCES

Notes on the Council of Ferrara-Florence Preserved in Georgian Manuscripts

Nino Megeneishvili

*Researcher at Georgian National Center of Manuscripts,
PhD student at Samtskhe-Javakheti State University*

Elguja Khintibidze: Two Commentaries Concerning the <i>Kadjis of The Man in a Panther-Skin</i> (in Georgian)	267

ქართველოლოგიური ქრონიკა
CHRONICLE OF EVENTS

სტატიათა ჩამონათვალი

ჟურნალი „ქართველოლოგი“

(№6–№27, 2000 – 2018)

შემდგენელი სოფიო გულიაშვილი

№6 (ინგლისურ ენაზე)

დავით აღმაშენებელი – გალობანი სინანულისანი (<i>ინგლისური თაჩგმანი, წინასიტყვაობა და კომენტაჟები</i> <i>დარი ჯობაძისა</i>)	5
ელგუჯა ხინთიბიძე – ქართველი ნმინდა მამის შეხედულება ბერძნულ-რომაული საეკლესიო განხეთქილების თაობაზე მეცამეტე საუკუნის ლათინურ კრებულში	20
სასკია შელეკენსი და ალექსანდრა გაბრიელი – ბაგრატიონის ფონდი ამსტერდამში	29
ბელა წიფურია – ლუიჯი მაგაროტო – მარჯორი უორდროპის პრემიის გამარჯვებული	39
ია ანთაძე – საპარლამენტო არჩევნები საქართველოში	47
თამარ პატარაია – სამხრეთ კავკასიის რეგიონის თავდაცვის პრობლემები	57

№7

ცხოვრება ფარნავაზისი – უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლი (<i>ქახთუღ და ინგლისუი ენებზე</i> . <i>ინგლისური თაჩგმანი და შესავადი მითითებები ახიანე</i> <i>ჭანგუჩიასი</i>).....	5
---	---

ლევან ჭილაშვილი – წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან (ინგლისუხ და ქახთუდ ენებზე).....	20
ელგუჯა ხინთიბიძე – ვეფხისგყაოსნის შეფასება ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში (ინგლისუხ და ქახთუდ ენებზე)	34
გ. კულემანს ბეინენი – შოთა რუსთაველი და კურტუაზული სიყვარულის სტრუქტურა (თახგმანი ინგლისუხიდან და შესავადი მითითებები ეკა ქუთათედაძისა).....	43
ფ. დელშადი – ვეფხისგყაოსნის თარგმანი სპარსულ ენაზე	60
ნანა ინგოროყვა – შტეფი ხოტივარი-იუნგერი და მისი ბროშურა “ქართველები ბერლინში”	62
ლევან ბერძენიშვილი – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (ინგლ.)	65
ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა – 2000	69

№8

ანა კალანდაძე – ლექსები თარგმანში (ქახთუდ-ინგლისუხი პახადედუხი ტექსტი. თახგმანი ნანა ბუხიძისა)	5
ელგუჯა ხინთიბიძე – ათონის მთის ქართული ხელნაწერები: დღემდე უცნობი ძველი ქართული ხელნაწერები ივირონის წიგნთსაცავში (ინგლ.)	16
ლევან ჭილაშვილი – წარწერა ქვევრის პირზე ნეკრესიდან (და კიდევ ერთხელ მითრას კულტისათვის საქართველოში) (ინგლისურ და ქართულ ენებზე).....	29
დეკანოზი იოსებ ზეთეიშვილი – გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შესახებ (ინგლისურ და ქართულ ენებზე)	43
ვინფრიდ ბოედერი – ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური ნაშრომების ბიბლიოგრაფია (შემდგენელი – ავტორი).....	53
ბერნარ უტიე – ბიბლიოგრაფია (შემდგენელი – ავტორი)	63
ფ. ვებერი – ბერლინში სწავლობენ ქართულ ენასა და ლიტერატურას (ინგლისუხ და ქახთუდ ენებზე)	79

№9

მზექალა შანიძე – ქართული ხელნაწერები სინას მთის წმ. ეკატერინას მონასტერში (ინგლ.).....	5
ელგუჯა ხინთიბიძე – ლანსელოტი და ავთანდილი (ინგლ.) 22 ელეტრა ელკოლინო – ქართველები ოტომანთა იმპერიაში (ქაht.)	30
ბელა წიფურია – ვინფრიდ ბოედერისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული (ქაht.)	72
ელგუჯა ხინთიბიძე – ახალი თეორია ქართველთა სახელწოდებების ეტიმოლოგიის შესახებ (ქაht.)	81

№10

გალაკტიონ ტაბიძე – დონალდ რეიფილდის თარგმანში.....	5
ელგუჯა ხინთიბიძე – საზღვარგარეთული ქართველოლოგია (ქაht.)	22
ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში (ქაht.)	30
IV საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი (ქაht.)	59
ზაზა ხინთიბიძე – ჰომეროსი, არისტოტელე და სიუჟეტის განვითარების კომპოზიციური თავისებურება ვეფხისტყაოსანში (ინგლისუხ და ქაhtუდ ენებზე)	65
ელგუჯა ხინთიბიძე – ღვთისმშობიშების სათნოების რუსთველური ინტერპრეტაცია და შუასაუკუნეების ევროპული პატრისტიკა	89

№11

ქართულ-ინგლისური პარალელური ტექსტები: პლატონი – დემოკრატია	5
რობერტ ლ. ლარსონი – საქართველოს უსაფრთხოების „გადასინჯვა“: უსაფრთხოების კომპლექსის ძირითადი თეორიის პოსტ-მოდერნისტული ასპექტები (ინგლ. და ქაhtუდ ენებზე).....	20
ვიტფარნეს ექსპედიცია – ვიკინგების დაბრუნება	44
ალექსანდრე გვახარია (1929-2002) (ინგლისუხ და	

ქახთუდ ენებზე)	49
მედუა გოცადე – ბაჰმანამე და მისი ქართული ვერსია ბაამიანი (ინგდ.)	50
ანა ხარანაული – ძველი აღთქმის ხანმეტი ფრაგმენტები და ქართული ბიბლიის წარმომავლობის საკითხები (ინგლისუხ და ქახთუდ ენებზე)	65
ელგუჯა ხინთიბიძე – რუსთველი, დანტე, პეტრარკა. სიყვარულის გადააზრება შუასაუკუნეებიდან რენესანსამდე (ინგლისუხ და ქახთუდ ენებზე).....	99

№12

სულხან-საბა ორბელიანის არაკები (ქეთრინ ვივიანის ქართული თარგმანით).....	5
ნანა ინგოროყვასა და ანტონი სტობარტის რეპორტაჟი ლონდონიდან: ნინო უორდროპი – მოკლე ცნობები მის ცხოვრებაზე [ქართულ და ინგლისურ ენებზე]	12
ნინო ჩაკუნაშვილი: ვეფხისგყაოსანი ქერჩის სრუტეში, ყირიმის ფრონტზე [ქართულ ენაზე]	15
უცხოელი მეცნიერის ახალი გამოკვლევა ვეფხისგყაოსანზე [ქართულ და ინგლისურ ენებზე]	24
გ. კულემანს ბეინენი: ძალადობა და კომუნიკაცია შოთა რუსთაველის ვეფხისგყაოსანში (თამარ ხაფავას ქართული თარგმანი)	25
რამაზ ხალვაში: აბუსერიძე ტბელი – მეცამეტე საუკუნის ქართველი მეცნიერი და მწერალი [ინგლისურ და ქართულ ენებზე]	59
ელგუჯა ხინთიბიძე: პლატონის დამონშება ვეფხისგყაოსანში და მისი მსოფლმხედველობითი დატვირთვა (ინგლისურ ენაზე).....	66

№13

დავით გურამიშვილი – ზუბოვკა (ღონადე ჰეიფიდის ინგლისუხი თაჩგმანით).....	5
---	---

ვახტანგ იმნაიშვილი – „თქვენ მიერ შეძენილი ხელნაწერების გამო ორი წლის წინ ნამდვილი ომი გაჩაღდა“ [ქართ.]	10
სოფიო გულიაშვილი – მეხუთე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი [ქართ.]	22
პოლ პუპარი – ქართული თვითმყოფადობისა და სულიერების დედაბოძი (ქართველი მეცნიერები საზღვარგარეთ) [ქართ.].....	26
გ. კულემანს ბეინენი – ადიულტერი და მკვლელობა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში [ქართულ ენაზე].....	34
ანტონი სტობარტი – არის თუ არა ქართული ენა უფრო ეკონომიური, ვიდრე ინგლისური? [ქართ. და ინგლ. ენებზე].....	68
ჟ. დენიელ-ჰამფრისი – ქართულ ზმნათა პრაქტიკული ლექსიკონის შექმნისთვის [ქართულ ენაზე].....	76
ელგუჯა ხინთიბიძე – „ზუბოვკის“ სიყვარულის მისტიკური ინტერპრეტაციისათვის [ინგლისურ ენაზე].....	85
ნინო დობორჯინიძე – ქრისტიანული ისტორიოგრაფია და თხუთმეტი სამწერლო ენის ტოპოსი (ცნობები იბერიული დამწერლობის შესახებ) [ქართულ ენაზე]	89

№14

რობერტ სტივენსონი – შესავალი ვეფხისტყაოსნის საკუთარ თარგმანზე [მაკა ელბაქიძის ქართული თარგმანით]	6
ქეთრინ ვივიანი [ქართულ და ინგლისურ ენებზე]	40
რეუვენ ენოხი – ძველი ქართულის ელემენტები თავსილში [ქართულ და ინგლისურ ენებზე]	44
ელგუჯა ხინთიბიძე – ვეფხისტყაოსნის უძველესი კვალი ევროპულ ლიტერატურაში (მივიწყებული წარსულის საიდუმლო) [ქართულ და ინგლისურ ენებზე]	74
მაია ნინიძე – ახალი თვალსაზრისი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ [ინგლისურ ენაზე]	122

№15

ცხოვრება გიორგი მეფისა – (ქეთრინ ვივიანის ინგლისური თარგმანით)	5
ნინო ჩაკუნაშვილი: ქართველოლოგიის გავრცელებისათვის უცხოეთის სამეცნიერო წრეებში [ქართ. და ინგლ. ენებზე]	16
ელგუჯა ხინთიბიძე – ვეფხისგყაოსანი და ბომონტისა და ფლეთჩერის ფიდასტეხი [ინგლისურ ენაზე]	22
რისმაგ გორდუზიანი – არგონავტთა ექსპედიცია კოლხიდაში თანამედროვე გამოკვლევათა შუქზე [ქართულ და ინგლისურ ენებზე]	52
ზაზა ხინთიბიძე – ჰომეროსის ეპოსის მხატვრული ერთიანობის არისტოტელესეული კონცეფცია და რუსთველის ვეფხისგყაოსანი [ქართულ და ინგლისურ ენებზე]	78
ინესა მერაბიშვილი – ლორდ ბაირონის ქართველი ქალი [ინგლისურ ენაზე]	99

№16 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

ვაჟა ფშაველა: ალუდა ქეთელაური (I თავი)	8
გაგა შურღაია: ბერნარდე ნეაპოლელისეული ხელნაწერების კვალდაკვალ	13
თამაზ ჯოლოგუა: მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის შეფასებისათვის	29
ელგუჯა ხინთიბიძე: რუსთველის ვეფხისგყაოსანი – კულტურული ხიდი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და სეფიანთა ირანის ქართველები	55
ნათია სიხარულიძე: ლიტერატურული პარალელები – გალაკტიონ ტაბიძე და ჰენრი ლონგფელო.....	103
ავთანდილ ნიკოლეიშვილი: ალ. ქვიშვილი ემიგრაციაში ...	124
ნინო ჩაკუნაშვილი: სასწაულის სეკულარიზაცია შუასაუკუნეების ქართულ და ევროპულ მწერლობაში	154
ცირა ვარდოსანიძე: ჰაინც ფენრიხი	174
ლევან გორდუზიანი: ახალი წიგნი საქართველოს	

ისტორიაზე (ჰაინც ფენრიხის „საქართველოს ისტორია“)	189
ლადო მინაშვილი, ხათუნა გაფრინდაშვილი: ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო სომხურად ...	203
შტეფი ხოტივარი-იუნგერი: შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანიგერმანულ სკოლებში	230
რუსუდან ენუქიძე: ორი შეხვედრა (გრიგოლ რობაქიძესა და კიტა ჩხენკელთან).....	237

№17 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

შოთა რუსთაველი: ვეფხისტყაოსანი (პროლოგი).....	7
კონსტანტინე ლერნერი: ალექსანდრე მაკედონელის რომანი – მოქცევაჲ ქახთღისაჲს ქრონიკის ერთ-ერთი წყარო	27
ვახტანგ ლიჩელი: კოლხეთი ძვ. წ. I ათასწლეულში	48
ბერტ ბეინენი: ნეოპლატონური თუ არისტოტელური: არაბები და ინდოელები როგორც ფილოსოფიური პირები შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში	72
ზაზა ხინთიბიძე: შაირობის რუსთველური თეორიის მიმართებისათვის ანტიკურ ტრადიციასთან	97
ია გრიგალაშვილი: უძველესი ქართული გალობა წმინდა კოდაედ ყხმათა წამებაში	138
იასუჰირო კოჯიმა: ერთი ტიპის კავშირებითი პირობითი წინადადებისათვის	158
რეუვენ ენოხი: ფესახის აგადა (პასქის დეგენდა) და მისი მნიშვნელობა ქართველოლოგიისათვის	172
რუსუდან ნიშნიანიძე: უცნობი ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი ..	201
მარიკა ოძელი: ქეთრინ ვივიანი.....	222
ელენე გოგიაშვილი: ქართველთა ზღაპრები გერმანულად.....	238
ელგუჯა ხინთიბიძე: წმიდაჲ გრიგოლ ნოსელი – ქაღწუღებისათჳს და საღმთოჲსა მოქადაქობისა	245

№18 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

ალავერდი ხანის სიტყვა (სერ ანტონი შერლი, სპარსეთში მოგზაურობის აღწერა, ლონდონი 1613, გვ. 86-93) [მარიამ ნოდის თარგმანი]..... 16

ელგუჯა ხინთიბიძე: ალავერდი ხანი უნდილაძის სიტყვა შაჰ-აბას პირველის სამეფო კარზე5

კონსტანტინე (კიაზო) ფიცხელაური: სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძვ. წ. IV-I ათასწლეულების მოსახლეობის ეთნო-კულტუროგენეზისის საკითხისათვის..... 32

ინგა სანიკიძე: ამაზონთა სახელდების საკითხისათვის55

თამარ ბარბაქაძე: ქართული ლექსი – განვითარების გზა, ბუნება, მკვლევარნი87

ანა ხარანაული: კითხვები ქართული ბიბლიის თარგმანის მომდინარეობის შესახებ113

ბერნარ უტიე: რომელი ენიდანაა თარგმნილი *საქმე მოციქუდთა* ქართული ვერსია?142

აგნეს უზუნიაანი: *მოციქუდთა საქმის* ქართულ ვერსიასთან დაკავშირებული საკითხები151

მაია რაფავა: პროკლეს *კავშირნი ღვთისმეცყვედებითნისა* და იოანე პეტრიწის *განმახგებათა* სომხური თარგმანი.....172

შტეფი ხოტივარი-იუნგერი: ქართველი მეცნიერი გრიგოლ ფერაძე – ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტი205

ჰენრიკ პაპროცკი: ქართველოლოგია პოლონეთში 221

№19 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

XIII საუკუნის უცნობი სირიული ჰიმნი თბილისზე (ქართულად, ინგლისურად, ირიულად)..... 5

ანტონ პრიტულა: ჰიმნი თბილისის აღების შესახებ ვარდას კრებულიდან29

ელგუჯა ხინთიბიძე: *ვეფხისტყაოსანი* – შექსპირის ლიტერატურული წყარო.....71

ლევან გიგინეიშვილი: იოანე პეტრიწი და მისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური პროექტი	137
დამანა მელიქიშვილი: იოანე პეტრიწის ენა	165
სოფია ვარშალომიძე, ალექსანდრე თვარაძე: ახალი კრებული – „კავკასია მონღოლთა პერიოდში (XIII-XIV სს)“ (მოკლე მიმოხილვა)	199
ლინდა ციცქიშვილი: ვაჟა-ფშაველას ლირიკის რამდენიმე ზოგადსაკაცობრიო მოტივი	217
თამარ გეგეშიძე: ცნობიერების ნაკადი და ოთარ ჭილაძის რომანები	237
ლაურა გრიგოლაშვილი: ანდრია კრიტელის დიდი კანონის ქართული თარგმანები და კანონის, როგორც ჟანრის ჩამოყალიბების რამდენიმე ასპექტი	265
ნესტან სულავა: ქართული ჰიმნოგრაფია	325
ნინო აფციური: ჰაინც ფენრიხი – „ტყის დედოფალი; მითები და თქმულებები საქართველოდან“	342

№20 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

ქართველი ჰიმნოგრაფები: იოანე ზოსიმე, ქებაა და დიდებაა ქაჩთუდისა ენისაჲ; ფილიპე ბეთლემი, ქებაა ბეთლემისაჲ, ქაღწუდისაჲ და ძისაჲ; ბორენა დედოფალი, "ხომეღმან-ეგე..." (ქართულად და ინგლისურად – ინგლისური თარგმანი დონალდ რეიფილდისა)	5
ელგუჯა ხინთიბიძე: რუსთველის ვეფხისტყაოსანი და შექსპირის ციმბეღინი	10
შტეფი ხოტივარი-იუნგერი: რუსთველის თხზულების დღეისათვის არსებული გერმანული თარგმანები.....	76
პიტერ სკინერი: "დაკახგური" ქვეყანა (რატომ არის საქართველოს ისტორია და კულტურა ასე ნაკლებ ცნობილი ინგლისურად მოლაპარაკე მსოფლიოში?)	96
ლევან გორდუზიანი: დონალდ რეიფილდის საქართველოს ისტორია	114
ნანა გონჯილაშვილი: იკონოგრაფიის გზით გაცხადებული და დამკვიდრებული წმინდანის სახელი	126

ლელა ხაჩიძე: იოანე მინჩხი – X ს. ქართველი ჰიმნოგრაფი	154
თ. მარგალიტაძე: ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფია.....	176
ნინო აფციაური: გერმანულენოვანი მონოგრაფია უძველესი ქართული წარწერების შესახებ	207
გვანცა ჭოლიკაური, ელგუჯა ხინთიბიძე: ამერიკელი მკვლევარის წიგნი ვეფხისცაოსანზე	216

№21 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

შოთა რუსთველი: ვეფხისცაოსანი: ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე	5
კორნელია ჰორნი: წყაროები წმინდა მიწაზე ქართველების მოღვაწეობის შესახებ – პეტრე იბერის ცხოვრების სირიული ტექსტის ინგლისური თარგმანი	21
თამარ მელიქიძე: საქართველო ამერიკელის თვალით (პიტერ სკინერი, საქაჩთვედო: ქვეყანა კავკასიის მთების ქვეშ).....	30
ავთანდილ ნიკოლეიშვილი: ახალი დეტალები ქართული ემიგრაციის ისტორიიდან	48
ელგუჯა ხინთიბიძე: ვეფხისცაოსანის სიყვარული – ახალი ფილოსოფიური კონცეფცია	72
თამარ ბარბაქაძე: სონეტის დამკვიდრება საქართველოში.....	105
ვიოლეტა ავეტისიანი: გზის კონცეპტი გრიგოლ რობაქიძის გვედის პეჩანგის ნარატიულ სივრცეში	135
თამარ შარაბიძე: გავლენები თუ ლიტერატურული ურთიერთობანი XIX ს-ის I ნახევრის ქართულ ლიტერატურულ პროცესში	152
ნესტან კუტივაძე: ოსკარ უაილდის ინტერტექსტი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში	172
ზაზა ხინთიბიძე: კლასიკური ტრადიციის პაროდირებული ალუზია – კომპოზიციური ფუნქცია რუსთველის ვეფხისცაოსანში.....	197

№22 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

შოთა რუსთველი: ვეფხისტყაოსანი, ნესტანის წერილი
საყვარლისადმი 5

ანტონი ბრიერი: ხედვა მდინარე აკამპსისის
ბიზანტიური ნაპირიდან (ნაპირის მხრიდან) 20

კორნელია ბ. ჰორნი: პეტრე იბერის იბერიის სამეფო
ოჯახიდან წარმომავლობის ისტორიული
დასაბუთების თაობაზე 61

ნუგეშა გაგნიძე: გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი
მემკვიდრეობა (*პირობითი ნაშეიხნი*) 81

სალი ნიუველი: აღმოსავლეთისა და დასავლეთის
შეხვედრის მიჯნაზე: სიყვარული შოთა რუსთაველის
ვეფხისტყაოსანსა და კრეტიენ დე ტრუას არტურის
ციკლის რომანებში108

ვახტანგ ლიჩელი: ბრინჯაოს ხანის კრატერი
აწყურიდან144

თემურ თოდუა: სურიონ-ვანის მფარველი ღვთაება163

მაკა ელბაქიძე: საერთაშორისო სიმპოზიუმი
"ლიტერატურათ-მცოდნეობის თანამედროვე
პრობლემები" – თანამედროვე ქართული ფილოლოგიური
სკოლის სავიზიტო ბარათი..... 169

№23 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

ნიკოლოზ ბარათაშვილი: ლექსები (ცისა ფერს, ფიქრნი
მტკვრის პირას, მერანი – ქართ. და ინგლისურად.
დ. ჩეიფიდიისა და ვ. უხუშაძის თაჩგმანები) 5

ელგუჯა ხინთიბიძე: იმოჯენი (Imogen) თუ ინოჯენი (Innogen)
(შექსპირის ციმბელინის ოქსფორდული გამოცემის
ერთი კონიექტურის შესახებ) 12

მიხაელა კრეციოვა: ქართულ-ისლანდიური
ლიტერატურული ურთიერთობები 58

თამარ მელიქიძე: რენესანსის ეპოქის ქალი. იმოჯენი
და ნესტანი კონსტანტინე ლერნერი: ქართული ნახიხი –
აქადური *naxiru*.....76

მარინე ივანიშვილი: მცენარეთა სახელების ნახესხები ფუძეები ქართულ ოთხთავში	100
პიტერ სკინერი: დავიწყებული მოგზაური: კარლა სერენა (1829-1884)(მოგზაურობა იმერეთში, სამურზაყანოში, აფხაზეთში, გურიაში, გორის რაიონებში, ბორჯომსა და ახალციხეში, 1876-77 და 1881 წლებში).....	139
თინათინ მარგალიტაძე: მარჯორი უორდროპის ლექსიკოგრაფიული საქმიანობა	176
ანტონინა კაპანაძე: განმარტებითი, ორენოვანი და კომბინირებული ტიპის ლექსიკონების ეფექტიანობის კვლევა ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელებში.....	220
<u>ქეთრინ ვივინი</u> : ქართული პოეზიის ანთოლოგია ფრანგულ ენაზე („ქართული პოეზიის ანთოლოგია (V-XX სს.)“	247
<u>აკაკი ხინთიბიძე</u> : პროექტი – ქართული ვერსიფიკაცია.....	255

№24 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

ზაზა აბზიანიძე: ბუსუნსულები	5
ელგუჯა ხინთიბიძე: შოთა რუსთველი – საენციკლოპედიო ნარკვევი	12
ბერტ ბეინენი: შოთა რუსთაველის მეგობრობის თეორია	87
ავთანდილ ნიკოლეიშვილი: ქართული კულტურისა და განათლების კერა მონტობანში (ახალი მასალები)	111
პასკალ ლერუა: ქართველ კათოლიკე მამათა საზოგადოება მონტობანში 1872 წლიდან 1905 წლამდე	143
თამარ პაიჭაძე: მოდერნიზმი საქართველოში – სისტემური გააზრებისთვის	168
ქრისტინე შავლაყაძე: ქიოსური ამფორები კოლხეთში	206
თამთა გრიგოლია: წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის კავკასიოლოგთა მე-12 საერთაშორისო კონფერენცია.....	244
ირმა მაკარაძე: ორი ქართველოლოგიური სექცია მედიევისტთა მსოფლიო კონგრესზე.....	250

ხატია მიქაბერიძე: ვეფხისგყაონის ახალი	
ინგლისურენოვანი თარგმანი	258
ელგუჯა ხინთიბიძე: ვეფხისგყაოსნის კომენტარები.....	266

№25 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

შოთა რუსთველი: ამბავი ნურადინ-ფრიდონისა ოდეს ტარიელ შეეყარა – ტარიელისა და ფრიდონის დამეგობრება (ამაღლებულის ესთეტიკური განცდა).....	5
ლუიჯი მაგაროტო: „ვეფხის“ მნიშვნელობა შოთა რუსთაველის ვეფხისგყაოსანში.....	17
ელგუჯა ხინთიბიძე: ვეფხისგყაოსანი და ციმბეღინის ლიტერატურული წყაროები	35
რამაზ ქურდაძე, დარეჯან თვალთვაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი-სუბარი, რუსუდან ზაქალაშვილი: უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში	71
თეა ბურჭულაძე: ზოგი ტიპის შესიტყვებათა გამოყოფისათვის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში	116
ნათია სიხარულიძე: გალაკტიონ ტაბიძის ავღაჩი და ფრიდრიხ შილერის ვიდჰემ გედი	136
ლელა ხაჩიძე: სტეფანე პირველმონამე და ქართული ქრისტიანული კულტურა.....	151
ირმა მაკარაძე: იოანე სინელის სათნოებათა კიბის ქართული თარგმანების მნიშვნელობა ბიზანტიური და ქართული ფილოლოგიისათვის	172
ელგუჯა ხინთიბიძე: ვეფხისგყაოსნის სტროფული კომენტარები: ვის იმონმებს და რატომ იმონმებს რუსთველი?	199
ზაზა ხინთიბიძე: ვეფხისგყაოსნის სტროფული კომენტარები: შაირობის რუსთველური თეორიის შეჯამება.....	258

№26 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

შოთა რუსთველი: პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის
ტარიელისა: ავთანდილი და ტარიელი (*ვეფხისტყაოსნის*
მოყმე – ემოციური თუ რაციონალური)..... 5

მარიეტა ჩიხლაძე: კათოლიკე მისიონერთა რეზიდენციები
საქართველოში: ქრისტეფორე დე კასტელის სიტყვიერი
და ხატოვანი ნარატივი 29

ნინო სილაგაძე: თეოფანიის კომპოზიცია X-XI საუკუნეების
ქართული ტაძრების ფასადებზე 73

რაინერ შოფლი: *სიმღეხა ნიბელუნგებზე* და
ვეფხისტყაოსანი: ორი შუასაუკუნეობრივი ეპოსის
შედარება..... 129

ელგუჯა ხინთიბიძე: შექსპირის ბოლო პერიოდის პიესები
და *ვეფხისტყაოსანი* 155

მუშვიგ ჩობანოვი: აზერბაიჯანულ-ქართული
ლიტერატურული ურთიერთობები 189

ეკა ვარდოშვილი: ნიკოლოზ ბარათაშვილის *ნაპოდეონ*
და მისი მიმართება ბაირონის *ნაპოდეონის* ციკლის
ლექსებთან..... 219

ნათია ჯანგულაშვილი: მაკაბელთა ბიბლიური წიგნებისა
და აგიოგრაფიული თხზულების ქართულ თარგმანთა
ურთიერთმიმართებისათვის 237

ანტონი ბრაიერის გახსენება 267

№27 (ინგლისურ და ქართულ ენებზე)

რუსთველის უცნობი ლექსის საიდუმლო..... 5

ზურაბ ბარათაშვილი: ქცევის გრამატიკული
კატეგორია ქართულში და „საუღლებელი პრეფიქსები“
შუმერულში 17

მაია ბარნაველი: სახარებისეული „მკალისა“ და „ველური
თაფლის“ განმარტებისათვის (მკალი, რომელი არს
დანაკისკუდი, თაფლი ველური – მელაღრია)..... 81

ჰაიატე სოტომე: რომანტიკოსების გეოპოეტური
სტრატეგიები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში109

ლელა ხაჩიძე: რომანოზ მელიოდოსი და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში	133
ელგუჯა ხინთიბიძე: რუსთველური მხატვრული სახე შექსპირის ციმბეღინში	163
სოფიო გულიაშვილი: გჩიგოდ ხანძთედის ცხოვრების ახალი რუსული თარგმანი	175
ქეთევან გონგაძე: მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობის საზრისი	203
ანტონი სტობარტი: მარჯორი უორდროპი და გურია.....	229
პიტერ სკინერი: არნოლდ ლ. ზისერმანის წიგნი ოცდახუთი წერი კავკასიაში – 1842-1867	241
ანტონი ანდერსონი: ე. ხინთიბიძის მონოგრაფიის შესახებ.....	261
ელგუჯა ხინთიბიძე: ორიოდ კომენტარი ვეფხისტყაოსნის ქაჯეთის შესახებ (ქართულად).....	267

ვეფხისტყაოსნის კომენტარებისათვის
Commentaries to *The Man in a Panther-Skin*

ელგუჯა ხინთიბიძე

თსუ პხოფესოხი

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“

არაბთა მეფის როსტევანის დარიგება სამეფოდ გამზადებული მემკვიდრე ქალიშვილისადმი არსებითად მეფეთა უმთავრესი სათნოების – სიუხვის ინტერპრეტირებაა. ამ სწავლულების ერთი უპირველესი თეზა არის სიუხვის საყოველთაობა, რომლის საჭიროება ბუნების უნივერსალური კანონზომიერების ანალოგიითაა მოტივირებული:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების“ (50).

სურნელოვან ვარდთა სიმრავლის ოპოზიციად მოხმობილი „ნეხვთა“ ქართულად განიმარტება ნაკედად. სულხან-საბაც ნეხვს *სკოხედ* თარგმნის. თუმცა რუსთველისეული „ვარდთა“ ოპოზიციად საწინააღმდეგო თვისებების მქონე მცენარეს საჭიროებს, თანაც მრავლობითის ფორმით მოაზრებულს. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ქართულ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში ცნობილია ნეხვ-ბადახა [1, გვ. 982]*. ალბათ

* სამკუხნადო მცენარეთა სახეობებში აღნუსხულია დაჯიხა (*Salvia verticillatall*), რომელიც საქართველოში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: მოხევუხად – ნეხვბადახა; ქახთღ. შავბადახი; კახ. დაჯოხა; მესხ-ჯავახ შავჯიხაკა, ხაჭ. ყვანჩადა; დეჩხ. პუჩშუე; სვან. პიშვ (იხ. www.ice.ge).

ამითაა განპირობებული, რომ შალვა ნუცუბიძე რუსულ თარგმანში „ნეხვთას“ თარგმნის საჩევედად – сорняк. ქეთრინ ვივიანის ინგლისურ თარგმანში კი მას შეესატყვისება „noxious weeds“ (მავნე სარეველა). განსახილველი ტაეპის „ნეხვთა“-ს ნეხვბალახად გააზრების მხარდასაჭერად მოხმობილი არგუმენტების საწინააღმდეგო ნიუანსს წარმოაჩენს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ფატმანის სარეცლის გამზიარებელი ავთანდილის რიტორიკული შეძახილი:

„იტყვის, თუ: 'მნახეთ, მიჯნურნო, იგი, ვინ ვარდი-ა ვისად,
უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად
ყვავისად“(1253).

ნეხვი, რომელზეც ყვავი ზის ნაკედად უნდა იქნას გააზრებული.

განსამარტავი ტაეპის („ვარდთა და ნეხვთა“) ბიბლიურ პარალელად მითითებულია [2, გვ. 240; 3, გვ. 196] – მათე V, 45: „მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა და სწვიმს მართალთა ზედა და ცრუთა“.

სახარების მოხმობილი მუხლის „მზე მისი“ ღვთაებრივი ნათელი, მადლი, ღვთაებრივი სხივია. ხოლო მისი მიმღები ობიექტი ზნეობრივ-სარწმუნოებრივად ოპოზიციური სიმრავლეებია (კეთილნი და ბოროტნი). ღმერთი კი, ერთნაირად კეთილია, როგორც კეთილთა, ასევე ბოროტთათვის და ყოველი, რომელიც ეძიებდეს ღმერთსა, ჰპოვებს. ეს აზრი დომინირებს პატრისტიკაშიც (იხ. მაგალითად იოანე სინელის კლემაქსი).

რუსთველისეული „მზე სწორად მოეფინების...“ ამქვეყნიური, ბუნებრივი მოვლენაა – სამყაროსეული მზის სხივის – სინათლისა და სითბოს მოფენაა ამქვეყნიურ არსებებზე, მიწიერ საგნებზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელი სენტენციის აზრობრივი ქვეტექსტი – მეგატექსტი ზემოთ მოხმობილი ბიბლიური სიბრძნეა.

ამასთან ერთად, რუსთველისეული ფრაზა კონკრეტული მნიშვნელობითაც და ბიბლიური ქვეტექსტებითაც შუასაკუნეების ერთ არსებით ფილოსოფიურ-თეოლოგიურ პრობლემა-

ტიკას უკავშირდება. ესაა პირველსაწყისისაგან საგანთა ქმნადობა, არსთა გამომდინარეობა. ეს საკითხი ადრინდელი შუასაუკუნეების ნეოპლატონური ფილოსოფიის ერთი არსებითი თემაა. პრინციპული მნიშვნელობის ისაა, რომ მას (ამ პრობლემას) ქრისტიანული ნეოპლატონიზმი ადრინდელ დიდ ფილოსოფოსთაგან განსხვავებულად გადაწყვეტს. პლოტინოსი პირველსაწყისთაგან წარმოქმნილ არსებებს შორის არსებულ განსხვავებებს წარმოქმნის აქტის სპეციფიკით ხსნიდა: წარმოქმნილთა სრულყოფილება კლებულობდა წარმოქმნის აქტის ყველა მომდევნო ეტაპზე. პროკლეს პირველსაწყისთაგან შექმნილ არსებებს თავიანთი სრულყოფილებით განლაგებულებად მიიჩნევდა [იხ. 4, გვ. 176]. დიონისე არეოპაგელი კი, რომლის უმთავრესი ფილოსოფიური წყარო პროკლეს ფილოსოფიაა, პირველმიზეზის ანუ უზენაესი არსების ქმედების აქტს ბიბლიურ-ქრისტოლოგიური პოზიციიდან ხსნის: ღვთაებრივი სიკეთე ერთნაირად გადმოდის ყოველ ქმნილ არსებაზე. მათი სრულყოფილების ხარისხი განპირობებულია ღვთაებრივი ძალის მიმღებთა უნარისა და შესაძლებლობის სხვადასხვაობით.

დიონისე არეოპაგელი, *საღმთოთა სახედთათვის*, IV, 4: „ეგრეთვე სახიერებისა ღმრთისა საჩინოდ სახე, დიდი ესე და ყოვლად ბრწყინვალე და მარადის მნათობი მზე, მრავალ-სასმენელობისაგანი ნეშტილა არს ჳმისა სახიერებისა; და ყოველსავე განანათლებს, რაოდენსა ძალ-უც მიღებად ნათლისა მისისა, და ზეშთა ყოველთა განფენილად აქუს ნათელი თვისი, ამის-თვისა ყოველსავე ზედა ხილულსა გარდაჰფენს და ზედა-ქუე მიანვს ბრწყინვალებასა თვისთა შარავანდედთასა, ხოლო რომელი რად ვერ მიიღებს ნათელსა მისსა, ესე არა უძღურებისაა არს, არცა სიმცირისა ნათელთ-მიმცემლობისა მისისა, არამედ უმარჯობისაგან ნათელთ-მიმღებელთაჲსა, რომელთა ვერ განიმარტეს მიღებად ნათლისა“ [5, გვ.32-33].*

* იხ. ამ პასაჟის ბეჰდნური ედვანის ინგლისური თარგმანი (მთარგმნელი C. E. Rolt): *The Divine Names, Chapter IV, 4*: “... Even so this great, all-bright and ever-shining sun, which is the visible image of the divine Goodness, faintly reechoing the activity of the Good, illumines

არეოპაგელთან ღვთაებრივი სიკეთის გადმოფრქვევის ანალოგად მოხმობილია და აღწერილია ამ ღვთაებრივი აქტის ყველაზე დიდი ხილული სახის – მზის ქმედება. ბიბლიის მოხმობილი მუხლი (მათე V, 45) კი უშუალოდ მიუთითებს ღვთაებრივ აქტზე, ღვთაებრივი სიკეთის გადმოფრქვევაზე: „მზე მისი აღმოვალს“, ისევე როგორც „სწვიმს“, არის ღვთაებრივი სიკეთე და მადლი. რუსთველის „მზე სწორად მოეფინების“ კი ხილული მზის ქმედებაა. ამით იგი არეოპაგელის ციტირებულ პასაჟს („მნათობი მზე... ყოველსავე განანათლებს“) უშუალოდ ეხმიანება, ამ უკანასკნელის ღვთაებრივი ქმედების ანალოგად მოხმობაზე მითითების გარეშე. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ სამივე ფრაზის იდეური არსი ღვთაებრივი სიკეთის ამქვეყნიურ არსებებზე გადმოფრქვევაა.

ამრიგად, პირველსაწყისისაგან საგანთა ქმნადობის ბიბლიურ-ნეოპლატონური კონცეფცია კიდევ ერთი თეოლოგიური თეზაა, რომელიც ბოროტის უარსობის და უზენაესი არსების კატაფატიკურ-აპოფატიკური სახელდების თვალსაზრისებთან ერთად, რუსთველის ფილოსოფიურ წყაროდ დიონისე არეოპაგელის თეოლოგიას წარმოაჩენს.

ბიბლიოგრაფია

1. ჩუბინაშვილი დ., *ქაჩთუდ-ჩუსუდი დეესიკონი*, თბ. 1984.
2. ეკაშვილი კ., „ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის“ კრებული შოთა ჩუსთვედი, თბ. 1966.
3. კეკელიძე კ., *ძვედი ქაჩთუდი დიგეხაგუხის ისგოხია*, ტ. II, თბ. 1958.
4. მახარაძე მ., *არეოპაგეტიკა*, თბ. 2011.
5. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), *შჩომები*. (ს. ენუქაშვილის გამოცემა). თბ. 1961.
6. Dionisius the Areopagite, *The Divine Names and The Mystical Theology*. Translated by C. E. Rolt. S.P.C.K. London 1975.

all things that can receive its light while retaining the utter simplicity of light, and expands above and below throughout the visible world the beams of its own radiance. And if there is aught that does not share them, this is not due to any weakness or deficiency in its distribution of the light, but is due to the unreceptiveness of those creatures which do not attain sufficient singleness to participate therein” [6, p. 92].

ისევ ვეფხისგყაოსნის ქაჯეთის შესახებ

ჟურნალ *ქახთვედოლოგის* უახლეს ნომერში (#27) გამოქვეყნდა ჩემი კომენტარი *ვეფხისგყაოსნის* ქაჯეთის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კომენტარი ვარაუდის სახით იყო გამოქვეყნებული, როგორც ჩანს, ჩემს თვალსაზრისს უფრო მეტი არგუმენტირება სჭირდებოდა და იმის უფრო მკაფიოდ გამოკვეთაც, რომ ჩემი თვალსაზრისით, ეს ვარაუდი ერთი და არა ერთადერთი შესაძლებელი გააზრებაა ამ კონტექსტისა. ალბათ იმის კონსტატირებაც საჭირო იყო, რომ ჩემი თვალსაზრისი 1248-ე სტროფის არარუსთველურად მიჩნევის შესაძლებლობაზე იმას არ ნიშნავს, რომ მე მისი ტექსტიდან ამოღების მომხრე ვიყო. საქმე ისაა, რომ პოემის ტექსტის პუბლიკაციაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რასაც ხელნაწერები (ან რომელიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი) მხარს არ უჭერს, მე არ მიმაჩნია გამართლებულად. მაგრამ რუსთველოლოგიური ტრადიცია პოემის რომელიმე სტროფის არარუსთველურობის მტკიცებისას, თითქმის ყველა შემთხვევაში, *ვეფხისგყაოსნის* ტექსტის სათანადო კორექტირებასაც გულისხმობდა. ამიტომ იყო საჭირო, ამ კონკრეტული სტროფის შემთხვევაშიც საგანგებოდ დაფიქსირება ტექსტის პუბლიკაციის პრინციპებზე ჩემი თვალსაზრისისა. ამ გარემოებამ განაპირობა, რომ *ვეფხისგყაოსნის* 1248 სტროფზე ამ კომენტარის თაობაზე ჩემმა სტუდენტმა, სოფიო დვალიშვილმა, იმის შესაძლებლობაზე მიმითითა, რომ ამ სტროფისეული ქაჯების დახასიათება წინა სტროფში ნახსენებ ქაჯეთში მცხოვრებ „გრძების მცოდნელ კაცთა“ ხელოვნების რუსთველისეული ახსნა-განმარტება შეიძლება იყოს.

დიახ! განსახილველ ეპიზოდში, იმით გაკვირვებულ ავთანდილს, რომ ნესტან-დარეჯანი ქაჯებს უფლისწულის საცოლედ ჰყავთ შეპყრობილი („მაგრა ქაჯნი უხორცონი რას აქმნევენ, მიკვირს ქალსა?!“), ფატმანმა უმაღ უპასუხა: „არ ქაჯნია, კაცნიაო, მიჰნდობიან კლდესა სალსა“ (1246); და იქვე აუხსნა:

„ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი
კაცნი, გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გახელოვნებულნი.“
(1247)

მომდევნო 1248-ესტროფი, რა თქმა უნდა, განმარტებაა აქ ნახსენები – „კაცნი, გრძნებისა მცოდნელნი“-ს, ახსნაა იმი-სა, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ამ კაცთა „გრძნების ცოდნა“. მაგრამ საკითხავი ისაა, თუ ვის ეკუთვნის ეს ახსნა-გან-მარტება – რუსთველს, თუ ...

მე ვფიქრობ, არაა გამორიცხული, რომ ეს საკამათო სტროფი ინტერპოლატორის დანართი იყოს. ამის დაშვებისათვის იმპულსს შემდეგი გარემოებანი მძლევეს:

იმის დაზუსტებას, თუ როგორ ვლინდება ქაჯეთის კაცთა „გრძნების მცოდნელობა“, რუსთველი ფატმანის პირით იქვე, 1247-ე სტროფშივე აზუსტებს:

„... ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი;
მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებული“.
(1247)

ამის ბუნებრივი დასრულებაა, ჩემი აზრით, მომდევნო რუსთველური სტროფი (1249):

„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“.

ამ ორ სტროფთა შორისაა ჩართული ის საკამათო სტროფი; რომელიც „გრძნების მცოდნე“ კაცთა შესაძლებლობებზე, ჩემი აზრით, გადაჭარბებულ თვალსაზრისს ავითარებს:

„იქმან რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქართა აღსძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ,
სნადდეს – დღესა ბნელად იქმან, სნადდეს –
ბნელსა ანათლობენ.“ (1248)

ზემოთ ციტირებული დასკვნითი აზრი ქაჯთა რაობა-ვინაობაზე („თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“ –

1249), რომელიც ბუნებრივი და შესაფერისი დასასრულია ქაჯთა ფატმანისეული დახასიათებისა („ყოველთა კაცთა...“ – 1247), არაბუნებრივი და შეუფერებელი დასკვნაა 1248-ე სტროფისა („წყალსა წმიდად დააშრობენ, სწადადეს – დღესა ბნელად იქმან..“).

ვეფხისტყაოსნის ქაჯეთი არ არის უხორცო, ან ბოროტ სულიერი არსებებით დასახელებული ქვეყანა. ფატმანი გარკვევით ამბობს „თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელთანი“. მათი განმასხვავებელი ჩვეულებრივ ადამიანთაგან ჩვეულებრივზე აღმატებული მეომრობაა („ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი“), მათი დაუმარცხებლობაა („მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმილნი, დანბილებულნი“). ასე რომ, რუსთველი ვეფხისტყაოსნის ქაჯეთს არ მიიჩნევს ქაჯების ქვეყნად. პოეტისეული აღწერით, ესაა საბრძოლო ხელოვნებით აღმატებული, სალ კლდეებში გამაგრებული კაცთა კრებული, რომელთაც სწორედ ამის გამო ქაჯნი შეარქვეს სხვებმა – მათ ირგვლივ მცხოვრებლებმა: „ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი“.

ნათქვამი იმგვარად არ უნდა გავიგოთ, რომ ვეფხისტყაოსნის ქაჯეთი რეალურად, ისტორიული გეოგრაფიის დონეზე არსებული ქვეყნის საფუძველზე მოიაზრა რუსთველმა (როგორც არც თუ იშვიათად იყო თქმული წინა საუკუნის რუსთველოლოგიურ სტატიებში), მსგავსად პომეისეული ინდოეთის, არაბეთის, ხვარაზმეთისა. ამის ვარაუდისთვის პომეში არავითარი მინიშნება არ არის. პირიქით კი ჩანს – ფატმანი ამბობს, ამა და ამ თვისებათა გამო უწოდებენ გარეშემო მკვიდრნი ქაჯეთს ამ სახელსო (1249). ვეფხისტყაოსნის ქაჯეთი რუსთველისეული მხატვრული ფანტაზიით მოაზრებული ციხე-ქალაქია, რომელთა მკვიდრთ – ადამიანებს – ქაჯები შეარქვეს მათი მიუწვდომლობის, განსაკუთრებული მეომრობის და დაუმარცხებლობის გამო. ტოპონიმ ქაჯეთის ამგვარი მეტაფორული და პირობითი გააზრებით შერქმევის ტრადიცია ქართულ სინამდვილეში არსებობდა. ეს დასტურდება როგორც საქართველოს თანამედროვე გეოგრაფიის, ასევე ისტორიუ-

ლი წყაროებით დადასტურებული ტოპონიმებით. ესაა რუსთველის მხატვრული ფანტაზიის საფუძველი.

რუსთველი ერთმანეთისაგან განასხვავებს ქაჯებს და პოემისეული ქაჯეთის მცხოვრებთ. პოემაში ნათლადაა გამოკვეთილი აზრი, რომ ქაჯები უხორცო არსებანი არიან. ამიტომ არის ავთანდილი გაკვირვებული – „მაგრა ქაჯნი უხორცოი რას აქმნევენ, მიკვირს, ქალსა?!“ ფატმანის პასუხი ქაჯთა უხორცო არსებებად წარმოდგენას კი არ უარყოფს, არამედ პირიქით: ქაჯეთის მკვიდრთ, ქაჯთაგან განსხვავებით, კაცებს, ჩვეულებრივ ამქვეყნიურ (ხორციელ) ქმნილებებს („ჩვენებრვე ხორციელანი“) უწოდებს: „არ ქაჯნია, კაცნიაო“.

ქაჯეთის მკვიდრნი ფატმანის დახასიათებით, არიან ჩვეულებრივი კაცები, მხოლოდ უმამაცესი მეომრები და „გრძნებისა მცოდნენი, ზედა გახელოვნებული“, რაც დამატებით კომენტარს საჭიროებს.

„კაცნი, გრძნებისა მცოდნენი“ ქაჯეთის უძლეველობის ერთი მნიშვნელოვანი გარანტია. ამიტომაც, რომ ყოველნი გრძნების მცოდნენი წაუყვანია დულარდუხტ მეფეს შორეულ მოგზაურობაში.

„ყოვლი მცოდნენი გრძნებისა მას თანა წაუტანია,
მით რომე გზა საჭიროა, მტერნი საომრად მზანია.“ (1241)

ქაჯეთის ქალაქის მცველად მეფეს ყველაზე უფრო მამაცი მოყმეები დაუტოვებია: „ქვე დაუყრია მოყმენი, ვინც უფრო გულოვანია“ (1241).

ამ მონაცემთა გათვალისწინებით კი უფრო სრულყოფილი ცოდნა გვაქვს პოემის ქაჯეთზე: ქაჯეთის მკვიდრნი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ძალზე მამაცი და ძნელად საბრძოლველნი, რომელნიც მიუწვდომელ კლდოვან ადგილას ცხოვრობენ. ამიტომ სხვა ქვეყნების მკვიდრთა შეარქვეს მათ სამყოფელს ქაჯეთი. ქაჯეთის მკვიდრთა შორის არიან „გრძნებისა მცოდნენი, ზედა გახელოვნებულნი“.

დულარდუხტ მეფის მხლებელი „გრძნების მცოდნელიც“ არ არიან უხორცო ქაჯები, ისინიც „კაცნი, გრძნებისა მცოდნენი“ არიან, დახელოვნებულნი ისეთ ხელოვნებაში,

რომელიც სხვათათვის უცნობია. ამიტომ არიან ისინი საიმედო და საჭირო თანამგზავრნი შორეულ მოგზაურობაში.

რა არის ეს საიდუმლო ხელოვნება, რომელიც „გრძნების მცოდნელებმა“ იციან, პოემაში არ ჩანს. მაგრამ, რადგანაც პოემაში ამაზე არავითარი მინიშნება არაა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხელოვნება თუ ხელოვნებანი რაღაც სასწაულებრივია. უფრო მეტიც, პოემაში ჩანს ერთი „გრძნების მცოდნის“ მოქმედებანი. ეს არის ნესტანის მამიდა დავარი. „დავარ იყო და მეფისა, ქვრივი ქაჯეთს გათხოვილი“ (332). ამიტომ მოიხსენიებს მას ქაჯად ასმათი, დავარის მიერ ნესტანის უმოწყალოდ დასჯის ამბის მბობისას: „ესე წყრომა მეფისაგან ვისცა ესმა, ვინცა იცის, მან უამბო დავარ ქაჯსა...“; და იქვე აგრძელებს: „ვინ გრძებითა ცაცა იცის“ (578). დავარის გრძნება, პოემის მიხედვით, არის სიბრძნე, განსწავლულობა. სწორედ ამიტომაც მისცა მეფემ მას აღსაზრდელად ნესტანდარეჯანი: „მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი“ (332). ისიც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დავარის გრძნება ვარსკვლავთმეტყველების სიბრძნეა ე.წ. ასტროლოგიური სიბრძნეა („გრძნებითა ცაცა იცის“); თუ ეს სიტყვები უფრო ზოგადი ხატოვანი გამოთქმა არაა, საზოგადოდ ყველაფრის ცოდნაზე მიმათითებელი. უფრო მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ პოემისეული ნარატივის თანახმად, დავარის სიბრძნე არ არის რაიმე საიდუმლო, ჯადოსნური, მაგიური სიბრძნე (ამ შემთხვევაში მას არ გამოეპარებოდა ნესტანისა და ტარიელის შეთქმულების ამბავი და მეფე ფარსადანის ფიცსაც სხვაგვარად აუკლიდა გვერდს). მისი აღზრდილი ნესტანი უაღრესად გონიერი, უაღრესად შემართული და მიზნისკენ მიმართული ქალია; თუმცა მაგიურ ხერხებს ვერ იყენებს შექმნილ სიტუაციათაგან თავის დასაღწევად. თვითონ დავარი – უმკაცრესი, დაუნდობელი პიროვნებაა. ეს მონაცემები კი შეესაბამება ქაჯეთის მკვიდრთა ფატმანისეულ დახასიათებას.

პოემაში გრძნების მცოდნე ორი სხვა პერსონაჟიც ჩანს. მაგრამ ისინი უკვე „გრძნებით სავსენი“ არიან. ისინი ფატმანის მსახურებია. მათი მეშვეობით გაიგო ფატმანმა ნესტანის

ადგილ-სამყოფელი ქაჯეთში: „მე ორნი შავნი მონანი მყვანან სავსენი გრძნებითა... მოვახსენ, ქაჯეთს გავგზავნენ...“ (1238). ამ „გრძნებით სავსე“ მონებს პოეტი უკვე გრძნეულებს უწოდებს. ავთანდილმა ქაჯეთის ციხეში ჩაკეტილ ნესტანთან კომუნიკაციისათვის იგივე „გრძნებით სავსე“ მონა გააგზავნინა და მას „გრძნეული“ უწოდა: „მომგვარე, ქაჯეთს გავგზავნოთ იგივე მონა გრძნეული“ (1267). რუსთველი „გრძნეულებს“ უწოდებს კიდევ იმ ორ მონას, რომლებსაც დავარის მიერ დაევალათ ნესტანის გადაკარგვა „მუნ, სადა ზღვისა ჭიპია“ (584). სწორედ მათ მოიხსენიებს ნესტანი „გრძნეულებად“. ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილ წერილში იგი ფატმანს სწერდა: „შენ ორთა დამხსენ გრძნეულთა“ (1286) და ტარიელსაც აცნობებდა: „ფატმან წამგვარა გრძნეულთა“ (1298).

უმთავრესი, რაც პოემისეულ „გრძნების მცოდნეთა“ და „გრძნეულთა“ ქმედებებიდან ჩანს ის არის, რომ ისინი არ არიან „უხორცო ქაჯები“, მოჩვენებათა მსგავსი ჯადოქრები და სხვა. ისინი მიწიერი ადამიანები არიან: ზოგნი სამეფო წარმოშობის (დავარი), ზოგნი ძალზე შეუხედავნი („წამოდგეს ორნი მონანიო, პირითა მით ქაჯებითა“ (583)), ზოგნიც (უპირატესად გრძნეულნი) – შავკანიანი ზანგები („მოჰგვარა მონა გრძნეული, შავი მართ ვითა ყორანი“ – 1268; „ორთა კაცთა, ტანად შავთა, თვით პირიცა ედგა შავი“ – 1129). პოემაში უპირატესად მათი გრძნეულების რაობაზე, ან ხერხებზეცაა მინიშნებული. ისინი გრძნების მცოდნენი არიან (578; 1241), გრძნებით „გახელოვნებულნი“ (1247). ეს გრძნება ზოგჯერ სიბრძნეში, მეცნიერებაში განსწავლულობაა; კერძოდ, დავარის შემთხვევაში – ვარსკვლავთმეტყველებაში განსწავლულობა („ვინ გრძნებითა ცაცა იცის“ – 578). უფრო ხშირად კი – რაღაც საიდუმლო ცოდნა, უცნობი ხერხები („უჩინოდ მივლენ, წამოვლენ მათითა ხელოვნებითა“ – 1238). რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ტიპურია შუასაუკუნეებისთვის, ამ საიდუმლო ხელოვნებას, უცნობ ხერხებს შუასაუკუნეების ელფერი აქვს. ამიტომაც იგი უცნობი, საიდუმლო. მიუხედავად ამისა, თითქოს მაინც იგრძნობა ახალი, მომავალი ეპოქის მაჯისცემა – მითითება, მინიშნება იარაღზე თუ წამალზე, რომლის ძალი-

თაც ხდება სასწაულებრივი ქმედება: „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისვა ზედა ტანსა“ – 1276 (უმრავლეს ხელნაწერთა ვარიანტი: „წამოისხა ზედა ტანსა“). უმთავრესი ის არის, რომ ამ საიდუმლო ხერხებით მოქმედნი არ არიან უხორცო ქმნილებანი, რომლებიც არაბუნებრივი, არაადამიანური ძალით, სპირიტუალური საკვირველით („სწადდეს – დღესა ბნელად იქმან, სწადდეს – ბნელსა ანათლობენ“ – 1248) მოქმედებენ. ისინი ადამიანები, კაცნი არიან („ორთა კაცთა, ტანთა შავთა...“ – 1129; „წამოდგეს ორნი მონანი...“ – 583), რომლებიც უცნობი ხერხით, მოხერხებით მოქმედებენ („უჩინოდ მივლენ, წამოვლენ მათითა ხელოვნებითა“ – 1238).

და ბოლოს, ვეფხისტყაოსნის გრძნეულნი, რომ არ ფლობენ რაღაც სასწაულებრივ, არაადამიანურ და არაამქვეყნიურ ძალას („...მტერა თვალთა დაუბრმობენ, ქართა აღსძრვენ საშინელთა...“ – 1248), ეს თვალნათლივ ჩანს მათ პოემისეულ ქმედებებში. ფრიდონის სამეფოში ნესტანის მცველი გრძნეული მონები ფრიდონის ცხენის აჩქარებულმა ხმამ ისე დააფრთხო, რომ წამიერად გაეცალნენ ნაპირს, სასწრაფოდ ზღვას შეაფარეს თავი. ფატმანის ბაღში ფარულად შემოსული იგივე გრძნეულები, ნესტანის გაყიდვაზე რომ ვერ დაითანხმეს, ფატმანის ოთხმა მსახურმა მონამ ისე ადვილად დახოცეს, რომ მათ ხელის განძრევაც ვერ მოახერხეს.

ასე რომ, ვეფხისტყაოსნის არც ქაჯეთის მკვიდრნი, არც მათ შრის „გრძნების მცოდნენი“, არც „სრულად მცოდნენი გრძნებისა“, ანუ გრძნეულები არ არიან უხორცო ქაჯები, ეშმაკეული ქმნილებანი, არაამქვეყნიური სასწაულის ჩამდენნი („ქართა აღსძრვენ საშინელთა..., წყალსა წმიდად დააშრობენ, ... დღესა ბნელად იქმან, ... ბნელსა ანათლობენ“). ეს გარემოება ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობითი პოზიციითაც დასტურდება: პოემის სიუჟეტის ფილოსოფიური ქვეტექსტი ისაა, რომ ღმერთს არ შეუქმნია არაამქვეყნიური ფარული არსი, ეშმა, უხორცო ქაჯნი. ამიტომ ვვარაუდობ მე, რომ პოემის 1248-ე სტროფი, რომელიც ქაჯეთის სამეფოს მკვიდრთ არაადამიანური, მოჩვენებითი სპირიტუალური არსებების ქმედებების მოქმედებად მიიჩნევს, რუსთველისეული არ უნდა

იყოს. სავარაუდოა, რომ იგი ინტერპოლატორის დანართი იყოს, რომელმაც შეავსო ფატმანისეული ქაჯეთის მკვიდრთა დახასიათება. საკუთარი აზრით განმარტა ის გრძნება, რომლის მფლობელადაც თვლიდა ქაჯეთის მკვიდრთ ფატმანი. განმარტა მან (ინტერპოლატორმა) ქაჯეთის მკვიდრთა გრძნება ქაჯების თაობაზე ხალხში გავრცელებული ზოგადი წარმოდგენის საფუძველზე.

ასე რომ, ვეფხისტყაოსანში დასტურდება არსებობა ქაჯის რაობის თაობაზე ზოგადი წარმოდგენისა ანუ ხალხში გავრცელებული თვალსაზრისისა – ქაჯების, როგორც ბოროტი სულების, არსებობის თაობაზე. („მიკვირს, ქაჯნი უხორცონი“...; „არ ქაჯნია, კაცნიაო...“). მაგრამ პოემაში არ დასტურდება ქაჯების (ზღაპრულ-ფანტასტიკური არსებების), როგორც პერსონაჟების, ან საზოგადოდ სულიერი ქმნილებების რაიმე სახით არსებობა.

ნათქვამს ისიც უნდა დაემატოს, რომ პოემის სიტყვათხმარებაში „ქაჯი“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება: ქაჯი – უხორცო ქმნილებაა, რომელთა თაობაზე ხალხში გავრცელებულია წარმოდგენა, როგორც ბოროტ და საკვირველებათა მოქმედ სულიერ ქმნილებებზე („ქაჯი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?“ – 1245; და სხვა). ქაჯთა რაობაზე ამგვარი წარმოდგენა, ან ამ წარმოდგენათაგან ზოგიერთი თვისება გამოიყენება პოემისეულ სიტყვათხმარებაში გარკვეულ თვისებათა თუ ნიშანთა დასახასიათებლად, ზოგჯერ შედარების, ზოგჯერ მეტაფორის სახით. მაგალითად: „ვითა ქაჯი დაგვემაღლე...“ (290); „პირითა მით ქაჯებითა“ (583).

პოემაში ქაჯი ეწოდება აგრეთვე ვეფხისტყაოსნისეული ქაჯეთის ციხე-ქალაქის ყველა მკვიდრს (რამდენადაც, როგორც ზემოთ განვმარტეთ, მათი მიუწვდომლობისა და დაუმარცხებლობის გამო შეარქვეს ამ ქალაქს ქაჯეთი): „ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია“ (1242); „მოსრულანა ქაჯნი შინა?“ (1273). ზოგჯერ ქაჯი ეწოდება ამ ქალაქსა თუ ქვეყანაში გარკვეული ხნით მცხოვრებსაც, კერძოდ დავარს, რომელიც ქაჯეთში იყო გათხოვილი: „მან უამბო დავარ ქაჯსა“ (578).

დავუბრუნდეთ ისევ 1248-ე სტროფს. როგორც ზემოთ განვიხილეთ ამ სტროფში დაფიქსირებული წარმოდგენა ქაჯთა რაობაზე არ შეეფერება ფატმანისეულ ქაჯთა ქალაქის მკვიდრთა დახასიათებას. ფატმანი იწყებს და ასრულებს საუბარს ამ ქალაქში მცხოვრებ ხორციელ ადამიანებზე, კაცებზე: „კაცი, გრძნებისა მცოდნელნი...“ (1247) – „თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორცულანი“ (1249). მათ შორისაა ჩართული 1248-ე სტროფი, რომელშიც ჩამოთვლილი საკვირველი ქმედებანი არ თავსდება ხორციელ კაცთა და მათ შორის არც „გრძნების მცოდნელთა“ შესაძლებლობებში და „უხორცო ქაჯთა“ ქმედებების ხალხში გავრცელებულ წარმოდგენებზე მითითებაა. ამიტომ მიმაჩნია მე, რომ ეს სტროფი, სავარაუდოდ, ინტერპოლატორის დანართი უნდა იყოს, რომელმაც საკუთარი თვალთახედვის მიხედვით განმარტა ის „გრძნებანი“, რომელთა ცოდნა ქაჯეთის მკვიდრთ ექნებოდათ. ამგვარი შევსება, თუ გავრცობა პოემისეული ამბის, ცალკეული ეპიზოდის, თუ ზოგიერთი საგნის დახასიათებისა საზოგადოდაა დამახასიათებელი შუასაუკუნეების, და კერძოდ ვეფხისტყაოსანის ინტერპოლატორთათვის. და ეს საქმიანობა იმდროინდელი თვალსაზრისით საჭირო საქმედ, ამბის გასრულებად, შევსებად ითვლებოდა და არა ყალბისმქმნელობად.

ჩემეული მსჯელობა ამ სტროფის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი სარწმუნოდ მიმაჩნია, მაინც ვარაუდია. სარწმუნოდ მიმაჩნია იგი იმიტომ, რომ ეფუძნება ქაჯებსა, გრძნეულებსა და გრძნების მცოდნეთა შესახებ პოემაში გატარებული მწყობრი თვალსაზრისის ინტერპრეტაციას. მიუხედავად ამისა, თეორიულად არ არის გამორიცხული, რომ ეს სტროფი შეიძლება მაინც რუსთველს ეკუთვნოდეს. საქმე ისაა, რომ ძველი ეპოქის მოღვაწეები თავიანთ აზრებს საკმაოდ თავისუფლად გამოთქვამდნენ და ყოველთვის არ იზღუდებოდნენ იმაზე ფიქრით, თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს გამონათქვამი სხვა ადგილას მათ მიერ ფიქსირებულ თვალსაზრისს. ეს თავისებურება ანტიკური და შუასაუკუნეების ეპოქათა მკვლევართ შენიშნული აქვთ ძველ, ცნობილ ფილოსოფოსთა

ნაწერებში. იგი მით უმეტეს შესაძლებელია ახასიათებდეს პოეტ-მოაზროვნეთა შემოქმედებასაც. თუმცა რუსთველის პოეზიაში ამ ტიპის შეუსაბამობანი არ შემინიშნავს.

და ბოლოს, თვალსაზრისი ამ 1248-ე სტროფის არარუს-თველურობაზე არ უნდა აისახოს პოემის ტექსტის პუბლიკაციაში. მე ვფიქრობ, რომ კონიექტურა, ანუ ტექსტის გასწორება მეცნიერული ინტერპრეტაციის საფუძველზე (გარდა აშკარა და არაპრინციპული გამონაკლისებისა), თუ მას ხელნაწერები, ან სანდო ხელნაწერით დაცული პირველწყარო არ უჭერს მხარს, ნაწარმოების პუბლიკაციაში არ უნდა იქნას შეტანილი. გამოთქმული თვალსაზრისი უნდა დარჩეს მხოლოდ მეცნიერულ კომენტარად. ტექსტში კონიექტურის შეტანით ჩვენ ნაწარმოების ახალ ვარიანტს ვქმნით, რაც ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე დონეზე გაუმართლებელია.

საგამომცემლო ინფორმაცია

ქართველოლოგია ფართო გაგებით ნიშნავს ქართული კულტურის, ისტორიისა და ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული ჰუმანიტარული სფეროს სხვა დარგის შესწავლას. ესენია: ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ხელოვნება, არქეოლოგია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, წყაროთმცოდნეობა და სხვ.

ჟურნალი „ქართველოლოგი“ ორენოვანი (ქართული და ინგლისური), პროფესიული და აკადემიური ჟურნალია. ქართველოლოგიის დარგში მეცნიერული სიახლეების დანერგვასთან ერთად იგი მიზნად ისახავს ქართველ მკვლევართა ნარკვევების პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე და საზღვარგარეთული ქართველოლოგიური მეცნიერების გავრცელებას ქართულ სამეცნიერო წრეებში.

„ქართველოლოგი“ წელიწადში ერთხელ გამოდის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. 1993-2009 წლებში იგი მხოლოდ ბეჭდურად გამოდიოდა (N1-15). გამომცემელია „ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი“ (თსუ), ფინანსური მხარდამჭერი – „ქართველოლოგიური სკოლის ფონდი“. დამაარსებელია ელგუჯა ხინთიბიძე.

სარედაქციო კოლეგია:

ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი უცხოელი ავტორები თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად არიან „ქართველოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები, აქტიური მონაწილენი ჟურნალის სამეცნიერო სტილისა და ფორმის ჩამოყალიბებაში, სამეცნიერო სტატიების ავტორები, ზოგიერთ შემთხვევაში გამოსაქვეყნებელი სტატიების რეცენზენტები და თავიანთ ქვეყნებსა და სამეცნიერო ცენტრებში ქართველოლოგიის პრობლემატიკის პოპულარიზატორები.

ბახტაძე მიხეილ (ისტორია) – საქართველო; ბეინენი ბერტ (რუსთველოლოგია) – აშშ; ბოედერი ვინფრიდ (ენათმეცნიერება) – გერმანია; ბუაჩიძე გასტონ (ქართველოლოგია) – საფრანგეთი; დობოროვსკინიძე ნინო (ენათმეცნიერება) – საქართველო; ენოხი რუგენ (ქართული ენა, ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობები) – ისრაელი; კოჭიმა იასუჰირო (ქართველური ენები) – იაპონია; კუდავა ბუბა (ხელნაწერთმცოდნეობა) – საქართველო;

ლიჩელი ვახტანგ (არქეოლოგია) – საქართველო; მაგაროტო ლუიტი (ქართული ლიტერატურა) – იტალია; მელიქიშვილი დამანა (ქართული ენა) – საქართველო; ნიკოლეიშვილი ავთანდილ (ქართული ლიტერატურა) – საქართველო; რატიანი ირმა (ლიტერატურათმცოდნეობა) – საქართველო; სიხარულიძე ქეთევან (ფოლკლორი) – საქართველო; ტიუიტი კევინ (ეთნოგრაფია და ფოლკლორი) – კანადა; უტიე ბერნარ (მედიევისტიკა) – საფრანგეთი; ფეინრიხი ჰაინც (ქართული ენათმეცნიერება) – გერმანია; შურღაია ვაგა (ქართული ლიტერატურა) – იტალია; ჩიხლაძე ნინო (ქართული ხელოვნების ისტორია) – საქართველო; ხოტივარი-იუნგერი შტეფი (ქართული ლიტერატურა) – გერმანია.

რედაქტორი: ელგუჯა ხინთიბიძე

ჟურნალის თითოეულ ნომერს ამზადებს და აქვეყნებს

გამგეობა: ხინთიბიძე ელგუჯა, რუსიეშვილი მანანა, მელიქიძე თამარ, გულიაშვილი სოფიო, ვარდლოსანიძე ცირა, ლომიძე კონსტანტინე.

ჟურნალის სარედაქციო საბჭო, სავაშომცემლო ჯგუფი და რეცენზენტები შოგიერთ შემთხვევაში არ იზიარებენ გამოქვეყნებული სტატიების სტილისტურ თავისებურებებს და მათში გამოთქმულ თვალსაზრისებს.

© ქართველოლოგი

ქართველოლოგიური სკოლის
ფონდი
13, ჭავჭავაძის გამზირი, თსუ
0179, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: kartvcentre@hotmail.com:
kartvelologist@gmail.com
ვებგვერდი: kartvelologi.tsu.ge

© Kartvelologist

Fund for Kartvelian Studies,
13, Chavchavadze Ave., TSU
0179, Tbilisi, Georgia
Email: kartvcentre@hotmail.com:
kartvelologist@gmail.com
Website: kartvelologi.tsu.ge

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>